# მნათობი

114/1936/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7

### შინაარსი


პოეზია

გრ. აბაშიძე
გ. ჟუჩიშვილი
გაირონ
ჰომიროსი
გ. კალანდაძე

პროზა

ლეო ქიაჩელი
მ. ჯავახიშვილი
ს. თავაძე

მ. გორკის ხსოვნას

შ. რადიანი
ა. სულავა
ი. გალახაშვილი

კრიტიკის ისტორია

ვლ. ასათიანი

წარსულიდან

დ. ფაღავა


1 9 3 6

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲐᲜᲯᲐᲗᲝᲑᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ
ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

1873

## 7

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ 1936 ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პ.მგ. რედაქტორი გიორგი ყურულაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დევნა შენგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგაზის პირველი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91

მი.ავლიტ. რწმუნ. № 7075. შეკვ. № 351. ტირ. 7000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ჟიაჩელი

# გვაღი ბიგვა

## რომანი *)

### I

ჯარგვლის სვეტზე ფარდულის გარედან თოკით მიბმულ თხას თორმეტი წლის პერანგამარა ბიჭი სწველიდა. გაფარჩხულ უკანა ფეხებთან მიცუცქებოდა, მოშვილდული მუხლების თავები რძის ჩასაწველ კათხაზე შემოეჭირა, ცალი ხელი დაემუჭა და ისედაც ძალზე დაზელილ ჯიქანზე ქვეიდან ზევით ბლიკვსა სცემდა.

— გამოუშვი მეთქი, ჯექა, თორემ განანებ, იცოდე. — ჭინთვით ემუქრებოდა ბრაზმორეული.

თხას ზურგი აეზნიქა, მუცელი შეეგდო და, თითქოს აქ არაფერიაო, წინაფეხებში თავშეფარებულ თიკანს ლოკავდა.

შავიზღვისპირის შემოდგომის დილა თენდებოდა. ჯარგვალსა და მის გარემოს ჯერ კიდევ ალიონის ნისლი ბურავდა. ჰაერში გამდგარი ნესტიანი ღამის ნასუნთქს ლორწო ჩამოსდიოდა და დედამიწაზე ლიპიან ლაფად იღვენთებოდა. თხის მწველელ ბიჭს ლაფზე ფეხები უცურდებოდა და ჯიქანს ტანის დაჭიმული კუნთების მთელი შესაძლებლობით ვერ მიძალებოდა. ამაზედაც გული მოსდიოდა.

ჯარგვლის კარი შიგნიდან ჭრიალით გაიღო და მომაღლო ზღურბლზე სახე ბანჯგვლიანმა, ცალმხარზე ნაბადმოგდებულმა, მუცელგამობერილმა კაცმა გადმოალაჯა. ჩვრებით შეფუთულ ფეხებზე თასმებით აკრული დაგლეჯილი ქალამნები ფრთხილად გადმოატარა. კარი სასწრაფოდ მოიხურა, ქურდულად მიმოიხედა და აჩქარებისაგან შებანდალებული ნაბიჯით ფარდულიდან ეზოში გაეშურა. თხის მწველელ ბიჭს ისე ჩაუარა, რომ ზედ არც დახედა, მაგრამ წასაქეზებლად ალერსიანი ხმით მიაძახა:

— ბარდღუნია, ასე ჭირიმე: მიეძალე, მიეძალე მაგ ყაჩალს. აართვი რაც შეგიძლია. მთელ ჩვენს ორკეთში მაგისთანა ქურდი ჯერ კიდევ არ დაბადებულა!

---

*) ამ ნაწარმოების რუსულად თარგმნის უფლებას იტოვებს ავტორი.

ავტ.

ფარდულს რომ გასცილდა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ იმ ბიჭის გასაგონად წარმოთქვა:

— გახსოვდეს, დედაშენი ძაგის წველამ მოინელა.

ეზოში შედგა და ხარში მუშტრის თვალების ცეცებით ბაზრის სმენა დაუწყო. თვალს რომ ვერ ენდო, მონადირე ძაღლივით ნესტოები გამობერა, ააცმაცუნა და ჰაერი აირის ჩაწკაპუნებით შეიყნოსა, თითქოს გემო და სუნი ერთსა და იმავე დროს აუღოო.

— ა? ეზიანი დღე ჩანს... უეჭველია, — კითხვა-მოგებით დაასკვნა ჩუმად. ძეეტყო, რომ ვუნებაში რაღაც გაუხარდა. თხის მწველელი ბიჭისკენ მოტრიალდა და სიხარული ასე გაუზიარა:

— აბა, მითხარი, ჭირიბე, თუ გაგიგონია: დილის ნისლი მზის ნაბადიაო, მალე გადიგდებს და ძის საცვლად ფარჩებს გადმოშლისო. წიგნში თუ სწერია ამისთანა რამე?.

ბარდღუნია თავისი საქმით იყო გართული, თხის სიჯიუტეს ებრძოდა და მისდაძი მიმართულ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ სახებანჯგვლიანი კაცი უცნაური შეცუნცულებით და თვალების წკურვით მიუახლოვდა მას, გამობურთული ნაბდიანი გვერდი რაღაც მოსაზრებით მოარიდა და ასე ხელი მხარზე წაუთათუნა.

— დამიჯერე, ჭირიმე, მართალს გეუბნები ბაბაია: დედაშენს მხოლოდ შენ დარჩი ვარგისი, თორემ სხვა ლაწირაკებმა პირის დაბჩენის მეტი არა იციან რა... ჩასტენე და ჩასტენე... აი, ასე...

დაიმანჭა და პირი ისე ფართოდ დააღო, რომ ხახის ვეება ღრუ გამოაჩინა. ზედ მუშტი მიიტანა და კბილებზე რამდენჯერმე იტაკა, თითქოს შიგ ჩაჩრას უპირებსო.

— ოთხია ამისთანა... ოთხი! შენ არ გთვლი, ბარდღუნია... არც ჩემი თავი მყავს სათვალავში... თორემ...

უკანასკნელი სიტყვა აწეულად და განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოთქვა, ზედ მკერდიდან ამოგდებული, ჭირჭირისებური ამოძახილი დაურთო, რომელიც განზრახ გაზვიადებულ შეშინებასაც გამოხატავდა, დაცინვასაც და გაკვირვებასაც.

— თორემ ისე ექვსი გამოვიდოდა. — ხმა დაუშვა და ისე განაგრძო ფიქრიანად; — ექვსი პირი... ჰო, ყველა პირი პირია, კაცმა რომ თქვას ყველა ჩასახეთქს და გამოსატენს მოითხოვს, ჩემო ბიძია.

თავზე ჩიტის ბუდის მაგვარი ნაბდის ქუდი ეხურა, გამხმარი გვიმრის ფერი, უსწორმასწორად შებლანდული, ნაბადიც ამ ფერისა ჰქონდა ცალმხარზე წამოგდებული, ძალზე მოკლე და აქაიქ ქობა შემოგლეჯილი. ალბათ, ქუდი მისი შენახვისაგან იყო გამოჭრილი.

ბაიას ფერი სახე ფერგადასულ ბუძგურა წვერულვაშებს დაეზარდნა. შუბლზე ორ ბუწკნარად გადმოკიდებულ წარბებს ქვეშ, წირპლიან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლლენძილ ქუთუთოებში შემალული პატარა, ჭროღა და [illegible] ლები უნდოდ, ჭურდულად გამოიმზირებოდენ.

— მაგრამ მე და შენ პირი ბევრიც რომ ვაბჩინოთ, ბარდღუნია, შიგ ვინ ჩაგვიჩრის რასმე! ასე ახომ? არა ხედავ, ჭირიმე, შრომადღის ანგარიშს რადენი კაცი აკლავს თავს?

ეტყობოდა, რომ ბარდღუნიას გულის მოგება უნდოდა მასთან ალერსიანი, ტკბილი გაბაასებით. რაკი მიზანს ვერ ეწია და ბიჭის ყურადღება ვერ მიიპყრო, ცოტა განზე გადგა ნაწყენი და აბღენძილი. ჯარგვლის მეორე განაპირა სვეტთან მივიდა, ერთხელ კიდევ გულჩათხრობილად მოხედა ბარდღუნიას და რა ნახა, რომ იგი კვლავ თხასთან გულმოდგინე ჭიდილს განაგრძობდა, ნაბდიდან მოდიდო ხურჯინი გამოიღო მალულად, ცალთვალი ცარიელი, ცალი კი — ყელამდე სავსე და თავმოკრული. სვეტის ძირში მიაყუდა, ნაბადი გადიძრო და ზედ შეაყენა.

ჩოხა ეცვა გაცვეთილი, თალხი, უფრო მტვრის ფერის, ნაკვთების ნიშნები დაკარგული, სამასრეების ადგილას შავი ნაჭრის საჯიბეები მიკერებული. გამობერილი მუცელი ერთი მხრით უფრო ამოზნექოდა და ისედაც უშნო ტანს უმახინჯებდა. წელზე წვრილი თეთრი ღვედი შემოერტყა, წინ მარყუჟად შენასკვილი. ერთ გვერდზე მოგრძო ქარქაშიანი დანა ეკიდა და მეორეზე — ქისა, ყალიონის ტარი ამოჩრილი.

გადიძრო თუ არა ნაბადი, აი შეუყოვნებია, ხელები გაშალა, ორივე სახელო მკლავებს ზევით აიხვეტა და უშნო ტანიც ისე მოიმარჯვა, თითქოს საომრად მოემზადაო. ფეხები აიკრიბა, მუცელი შეიმჩატა, წინ გადიხარა და გამოჭყეტილი თვალებით დედის კისერს მიკრული თიკანი ნიშანში ამოიღო. ადგილიდან პარვით დაიძრა და თხას წინიდან ჩაუარა. ისე დგამდა ნაბიჯს, ვითომ შორს, სხვაგან მიდიოდა და ახლოს შეჩერებას არც კი ფიქრობდა.

უცებ, მისგან მოულოდნელი სიმარდით, ზედატანი მოიქნია, თხისკენ გადიღუნა და თიკანს დასწვდა. ყურში ხელი წაავლო, დაიჭირა. თიკანმა კიკინი დაიწყო, ავარდა, დავარდა, მაგრამ მუცლიანი კაცი შეეტოტა და ხელზე მაღლა აიტაცა.

— ჩემს ობოლ ბღარტებს რომ რძის-მტე გაუხდი, სანამ უნდა შეგრჩეს, შე ეშმაკის კერძო. — შეყვირა კბილების ღრჭენით და მაგრად ჩაბღუჯული თიკანი ხურჯინისაკენ გააქანა.

დიდი დრო არ მონდომებია, რომ ხურჯინის ცარიელ თვალში თიკანი უკანა ფეხებით ღრმად ჩაუშვა და თავს ქვემოდ კისერზე მარყუჟი შემოჰჭირა.

პერანგამარა ბიჭი წამომდგარიყო, ცალ ხელში კათხა დაეჭირა, ცალი კი ფართოდ გაეშალა და გაოცებული სახით შესცქეროდა ამ უცნაურ სურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას შვრები, ბაბაია? — დაბალი ხმით შეეკითხა ბიჭის, გაკვირვებულ-დავად.

ბიჭის ხმის გაგონებაზე ბაბაია მარდად წამოხტა და მთელი ტანით მისკენ შემოტრიალდა. უცნაურად აიმრიზა და თვალებში ისე შეაშტერდა, თითქოს ქურდობაზე დაიჭირეს და დამჭერის პირიქით შეშინება უნდაო. ერთხანს ასე იდგა და რისხვიან თვალებს ახამხამებდა. შემდეგ უცებ შეიცვალა სახის გამომეტყველება და ბიჭს მოულოდნელად შეუღიმა.

— სუ, ბაბაია, — უთხრა, პირზე ხელის გული აიფარა და ჯარგვლის კარზე ანიშნა, — არ გაგვიგონონ ლაწირაკებმა.

. მერმე მიუახლოვდა, ტანი ლაჟუკურად შეარხია და მკერდის ჯიბიდან ოთხი ჩხირი ამოიღო, მეტნაკლები სიგრძისა. ოთხივე ხელის გულზე დაიწყო და ბარდღუნიას გაუწოდა.

— აი, რა გითხრა იცი, ჭირიმე, ყური დამიგდე კარგად. — დაბალი საიდუმლო ხმით დაიწყო. — ამ ჩხირს ხომ ხედავ? — ყველაზე უფრო გრძელი ჩხირი აიღო, თვალწინ დაუტრიალა, — ეს ღუტუნიას ფეხის ზომაა. — ისევ თვალებში შეაცქერდა, აბა თუ გავაკვირვეო. — აი ეს — და ახლა მეორე, უფრო მოკლე აჩვენა — კიტუნიას ფეხის ზომაა... ეს კიდევ კუჭუნიასი... და ეს უკანასკნელი — ჭირიმისა. — დაამთავრა ჩხირების გადათვლა, ყველაზე უმოკლესის ჩვენებით. — მიჯექი სადმე, ბატონ შენც აგიღებ ზომას და ის იქნება... აბა, ჩემთვის კი არ მიმყავს ეს ეშმაკის ჩამონათესი ბაზარში. ბალღებს საზამთროდ ჩაფულებს მაინც ვუყიდი ბეთქი... პარასკევია, ჭირიმე დღეს, დარსაც კარგი პირი უჩანს. კარგი ბაზრობა იცის... იქნება, კიდევ რასმე წავაწყდე ბიოზე... ჰო ო. აბა რა ვქნა: დედალი რომ ყოფილიყო — დედის მაგიერ ნეზვად დავტოვებდი, ვაციკია და რად გვინდა. ამ ჯარგვალში ხუთი სავაცე ბოტი რომ იზრდებით, წყვილგამოუსხამი, ისიც კმარა, ჭირიმე.

ახლა ხმამაღლა ჩაიხითხითა და შეკვირვებულ ბარდღუნიას გამოქანებული ხელი ბაყვებს შუა შეატაკა, შეუსვა და შეულიტინა. დარცხვენილი ბიჭი განზე გადუხტა...

— კათხა არ გაგვარდეს, არ დამღუპო. — დააწყნარა ისევ ბაბაიამ, ხელი სახელოზე შეატანა და მოიზიდა:

— ჰა, ბიჯექი, აი, იმ ბოყვზე მეთქი... შენც ზომას აგიღებ... არ გინდა?

ბაგრამ ბარდღუნიამ თავი დააქნია უარის ნიშნად.

— მე აქაც მაძლევენ ფეხსაცმელს... **არ** მინდა, — უპასუხა დინ... და თვალებში დაუფაოავი აყვედეოოითა და ცდით შეაცქერდა. სჩანდა. არ მოსწონდა მამის საქციელი და არც მისი სიტყვები ჯეროდა მაინცადამაინც. **აშკარა** **უნდობლობას** **გამოხატავდა** მისი სახე. მაგრამ საწინააღმდეგო სიტყვა მაინც ვერ შეებედნა მამისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბარდღუნიამ უნდო და ეჭვიანი თვალი სვეტზე მიყუდებულ ხურჯიხზე გადაიტანა და განსაკუთრებულად თიკნის გვერდით აძართულ ხურჯინის ძეორე გამობერილ ნაწილს მიაცქერდა, მაძას ეს საქციელი ცუდათ ენიშნა. მაშინვე ნაბადს მიწვდა, წამოიხურა და ამ სახით ხურჯიხს წაეფარა.

— თუთუნის ერთი შეკვრაც მიმაქვს თან ფოთლად, ჭირიმე... ფულ ფული მიეძატება მეთქი... ოთხი წყვილი ჩაფულა ხუმრობა კი არ არის, ‘შე კაი კაცო. — დაძაჯერებელი ხძით განუმარტა ეჭვების გასაფანტ ვად და ის იყო ხურჯინის ასაღებად დაიხარა, რომ ბარდღუნიამ ამ დროს დაარღვია გულჩათხრობილი სიჩუმე და სახის სერიოზული გამომეტყველებით მიმართა:

— დღეს რომ სამუშაოზე უნდა წასულიყავი, ბაბაია, დაგავიწყდა? გუშინ გერამ შემოიარა... ტყის გატეხას დღესაც არ დააკლდეს, თორემ სახლის სიიდან ამოშლიანო... ასე დაგიბარა.

ბაბაია უცებ წელში გაიმართა. ხურჯინს თავი მიანება და ვაჟს გაძწყრალი თვალი შეანათა. არ ესიამოვნა გაგონილი ამბავი. უნდოდა გა ჯავრებულიყო და აყვირებულიყო. შეემზადა კიდევაც აძისთვის, გაიგუდა და გაიბერა. მაგრამ ისევ უცებ დაცხრა, ახლაც მოულოდნელად აზრი შეიცვალა და შვილთან ისევ მორიგება ამჯობინა.

— შენც წამომიწყე სახლის ამბავი, ჭირიმე? გგონია, რასაც იტყვიან. ყველაფერი ‘ართალია? პატარა ხარ ჯერ კიდევ, გამოუცდელი, ჭკუა და თვალი არ გიჭრის, ბარდღუნია... სახლიო, ამბობ შენ... პაპაჩემს ვერ აუშენებია ოდა და მამაჩემს... ალბათ, არც მე შეძეფერება... არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგონია!.. ზღაპარია ჩვენი ოდის ამბავი, ჭირიმე, ზღაპარი. ისევ ძველი ფუძე ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! — სიტყვა შეწყვიტა. თითქოს ძალაუნებურად მოუვიდაო, ერთი მძიმედ ამოიოხრა და შემდეგ საქმიან კილოზე განაგრძო:

— ‘აიხც რაკი ყოფილა ის კაცი, აი, შენ რა უნდა ქნა, ბარდღუნია: სკოლაში რომ წახვალ... ჰო, ჯერ რძე აადუღე. ნახევარი დალიეთ, ნახევარი კი ჩაამაწონე... არ დაგავიწყდეს... ჰოდა, მერე რომ სკოლაში წახვალ, იმ ტყისკენ გადაუხვიე. გერა ნახე და უთხარი. ბაბაია დღესაც იმ დოხთურთან წავიდათქვა, შენ რომ პირველად წაიყვანეთქვა. ცოტა შეაგვიანდება, მაგრამ მაინც მოვა და იმუშავებსთქვა... ჰო, შენთვის არც კი მითქვამს, ბაბაია, რომ წუხელ კინალამ მოვკვდი... შენ ტკბილად გეძინა, ჩემი კვნესა კი ცამდის აღწევდა.

ნაბადი გადაიწია, ორივე ხელის ფართოდ გაშლილი გულები მუცლის გამოზნექილ ადგილზე მიიდვა და აკრუსუნდა.

— ‘აი, ეს ‘კლავს, ბარდღუნია... აქ მაქვს ის წყეული ტყირპია. თუ რაღაცა. ბაბუაშენიც მაგან მოკლა აი ამ ჯარგვალში. მგონია, დედაშეხსაც ტყირპი სჭირდა. მეც ეს მომიღებს ბოლოს ‘მავე ჯაოგვალში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იქნება... მაშინ სახლის სიიდანაც ამომშლიან და... — მესაბრალისად დაიჯღანა, აძოიკვნესა და ამოიგმინა. მერმე განაგრძო: — არ დაგავიწყდეს იცოდე: ნასკოლევს უთუოდ ჩაის კრეფაზე გამოცხადდი, ჩემო ბაბაია, შრომადღე ჩააწერინე... ღუტუნიაც გაიყოლე, ერთ კალანჩხას ძაიც მოკრეფს ის წყეული... ასე... ამ ტყირპს რომ მოვირჩენ უფრო ოლად წავალთ...

თვალებიდან ცბიერი შუქი მოწყდა. ცალი ყბა დამცინავად მოკრუნჩხა. ძაგრამ ერთიც და მეორეც იმით დაფარა, რომ ბარდღუნიას მყისვე ხურგი შეაქცია და ისევ ხურჯინს დასწვდა ასაღებად. ორივე ხელი აუსვა. ტანი მოიმარჯვა და შეუყენა, ნაბადს ზემოდ მხარზე გადიგდო. სიძძიძის გასაზვიადებლად „ჰაი, ჰაიო“ წამოიძახა და წელზე ხელი იტაცა. შებრალების გამოძთხოვი თვალებით ერთხელ კიდევ შეხედა ბარდღუნიას და გზას გაუდგა.

ხურჯინიდან თიკნის კიკინის ხმა გაისმა. თიკანს დედათხაც გაეხძაურა.

სწორედ ამ დროს ჯარგვლის კარი ხელმეორედ გაიღო და ოთხი ნახევრად შიშველი ბავშვი, ფეხის ზომის ჩხირებივით მეტნაკლები, თვალის ფშვნეტითა და აურზაურით ერთიმეორეს კარზე მოაწყდა. მათ გვერდს უმშვენებდა ლეკვი, რომელსაც წინა თათები ზღურბლზე ჩაძოედვა და წკავწკავით ელოდა იმ წუთს, როცა ბავშვები ჯარგვალიდან გარეთ გამოვიდოდნენ, რომ თვითონაც მიჰყოლოდა.

ორი უფროსი ზღურბლზე ისე გადმოხტენ, რომ ზედ ფეხიც არ წაუკარებიათ. უძცროსები კი მკერდით შებობღდენ და ზღურბლის სიმაღლე ,ისე გადმოლახეს. ლეკვი მათზე უფრო მარდი აღმოჩნდა. ბავშვები ფარდულში დადგნენ და ეზოში მიმავალ მამას თვალი გაადევნეს. ლეკვი კი ძაშიხვე ეზოში გავარდა ყეფით. თიკნის კიკინზე ოთხივე ბალღი ერთდროულად აბღავლდა.

— ჩემი თიკანი სად არის, ვავაია! — წამოიყვირა ერთმა.

— ჩემი თიკანია! — გააბეს მეორემ და მესამემ.

— ჩემია, ბაბაია, თიკანი! — შეეჯიბრა ძმებს ყველაზე უმცროსი ჭირიშია და თვალებიდან კურცხლები გადმოყარა.

დაკონკილი პერანგები ჭიპამდე ძლივს წვდებოდათ. წინ გადმოგდებული შიშველი თოთო მუცლები ბლავილისაგან უთახთახებდათ, მზისა და ჰაერის გახარუჯი შიშველი ბარძაყების კუნთები დასჭიმოდათ.

ჯერ კიდევ ეზოში მიმავალი ბაბაია მათ ბლავილზე მთელი ტანით შემოტრიალდა და თითქოს მოსაგერიებელი ძაღლების დასაფრთხობად ქვას იღებსო, ძირს დაიხარა, ცალი ხელი მიწაზე გააფათურა, შემდეგ გაიმართა და ხელი შურდულივით მოიქნია. დორბლი გადმოყარა და დაიჩხავლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა, ძოვიდა თქვენი ალსასრული! აბა, დამიდექით მანდ!

ლეკვმა პირველმა იკადრა უკან დახევა, ისეთი წმუილი გააბა და აურზაური ასტეხა თითქოს თავში მართლა ქვა მოარტყესო. ბარდღუნიამ უყვირა:

— აქეთ წამოდი, ბუთქია, თორემ მოგკლავო!

მერე გაშლილი მკლავები ბადესავით მოუსვა თავის პატარა ძმებს და ლია კარისკენ ფარასავით გაირეკა.

— შედით შინ... ბაბაია მოგკლავთ! — ასაკსრული კაცივით უთხრა და ოთხსავე თავი ჯარგვალში უკრა, თვითონაც შიგ შეყვა კათხიანად.

II

ვიწრო ატალახებულ ორლობეს ნაპირ ნაპირ მიყვებოდა. ლაფში რომ არ ჩაფლულიყო, აქაიქ დაყრილ ქვებსა და ამოჩრილ კუნძებს იშველებდა, ხელით სარებს ეპოტინებოდა. მეტწილად მაინც ტალახში მიტოპავდა რადგანაც მხარზე გადაკიდებული ხურჯინი ამძიმებდა და ეშინოდა ქვაზე ფეხი არ დასხლტომოდა. თიკანიც უჭირებდა საქმეს. ხშირად ბორგავდა ხურჯინში და ტანის წონასწორობის დაცვას არ ანებებდა. ენის ტარტარი ისედაც სჩვეოდა და თიკნის მოუსვენრობას მისთვის ახლა ზედმეტი საბაბი მიეცა. — ისე იწყევლებოდა და იგინებოდა, რომ მთელი ორკეთის ცოცხალმკვდარს ქორბუდიანად აფორიაქებდა. საკუთარსაც კი არ ზოგავდა.

ორლობის ბოლოში, სადაც თემშარისკენ უნდა გადაეხვია, ანაზდად კუთხის ეზოდან შქერის მაღალ ლობეზე გადმოსროლილმა ქალის ხმამ შეაყენა.

— გვადი, რა მოგივიდა, მეზობელო, ამ ალიონზე რომ ასე იწყევლებიო.

მაშინვე იცნო ხმა. პირველად გაუხარდა მისი გაგონება. წყევით მოქცეული სახე გაეხსნა და ზედ სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მოკლე წამის საქმე. — მდგომარეობის მოაზრებისთანავე მისი გახარება შეოცებამ და წყენამ დაფარეს. კიდევ წამი, და ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ გაპარვაც კი მოინდომა. მიიხედ მოიხედა, აბა, საით წავიდეო. ან უკან უნდა დაბრუნებულიყო, ან გზა განეგრძნო. სხვა გამოსავალი არ იყო. მაღალი ლობეებით იყო შეკრული იქაურობა. უკან დაბრუნება დაეანა. ყური მიუგდო ეზოს, შქერის ლობეც დაკვირვებით შეათვალიერა. მაგრამ მკვრივად შეკრულ წკნელში თვალი ვერ გაატანა, ვერც ზემოდან გადააწვდინა და ქალი ვერ დაინახა. ახლა ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა ეზოდან. ხომ არ მოეჩვენა, ნეტავი? იმედი მიეცა, იქნება მშვიდობით ჩავიაროო და წინ წასვლა ამჯობინა.

ხმა მის მეზობლად მოსახლე ქვრივ მარიამს ეკუთვნოდა, ორკეთის სახელგანთქმულ დამკვრელსა და მოწინავე კოლმეურნე მუშა ქალს.

ადვილი საქმე არ იყო, ამ შემოდგომის საქმიან დღეს ბაზარში საგაქროდ მიმავალ კოლმეურნეობის წევრისათვის მარიამთან ერთად შეყრა. ადვილი არ იყო ეს განსაკუთრებულად გვადისათვის, რომელსაც შრომადღეების გაცდენით ისედაც სახელი ჰქონდა გაფუჭებული.

თუ ჭიშკართან შეუმჩნეველად ჩავიარე, უთუოდ გადავრჩებიო, იფიქრა გვადიმ. მართლაც იქვე იწყებოდა შესახვევი და შემდეგ გზატკეცილი, — მოკურცხლავდა და გაუჩინარდებოდა. ცდა ბედის მონახევრედ გაიხადა და წინ გასწია.

ჭიშკარს რომ გაუსწორდა, თვალი ჰკრა ეზოს დასაზვერავად. ალბათ, მარიამი ჭიშკართან მის ჩავლას უთვალთვალებდა, რადგანაც კარის ჯვრიტინიდან მათი თვალები ერთმანეთს მოხვდენ.

პატარა ფიცრული სახლის წინ, ეზოში მწკრივად დარგულ მანდარინის ხეებში ორმოცი წლის დედაკაცი ჩამდგარიყო, მუხლებამდე კაბააკეცილი, და ნაყოფის სიმრავლით ძირს დაზნექილ ტოტებს კარგა მოზრდილ ხეს ყვერით აკრავდა. წაკარწახებულ მკლავებს საქსოვარში შესრიალებულ მაკოს სისწრაფით იქნევდა და მწვანე ფოთლებისა და შეყვითლებულ მანდარინებს შორის დაატარებდა. მამაკაცური მოურიდებლობით განიერად გალაჯულ, წვივებშიშველ ფეხებზე მაღალი ტანი მსუბუქაც დაეყრდნო და მისი ზორბა, მარგამ მოქნილი ნაკვთების მოძრაობა მკლავთა ტრიალისათვის შეეწყო.

სხვა გზა არ ჰქონდა გვადის, — უთუოდ უნდა გახმაურებოდა. უსიტყვოდ, ქურდულად ხომ ვერ გაივლიდა. ჭირში უნდა ვაჟკაცი, გაიფიქრა და, რაც სიმახვილე გააჩნდა გონებისა, ერთბაშად შემოიკრიბა. — მის ამოცანას შეადგენდა, მარიამის ყურადღება როგორმე ისე მოეტყუებინა, რომ თავისი ამდილანდელი მოგზაურობის ნამდვილი მიზანი და ზურგზე აკიდებული ხურჯინი მისგან დაეფარა. — ჭიშკარს გაუპირისპირა. ტვირთიანი ზურგი სვეტს ამოაფარა, კისერი წაიგრძელა და ეზოში ცალი თვალით შეიჭვრიტა. მარიამი თავის საქმეს განაგრძობდა და ისე მისკენ იცქირებოდა. გვადიმ ხმა ოდნავ აამღერა, ვითომ ქადილითაც შეათამაშა და, ზღაპრის მბობის დროს რომ ჩვევიათ ხოლმე გმირის წასაბაძავად კილოს გამოცვლა, ამის კვალობაზე შესძახა:

— ვინ ხარ, უჩინრად რომ მესაუბრები? რატომ იმალები, თუ მტერი არ ხარ? — და ჩაიხითხითა.

მარიამს მოეწონა შეხუმრება.

— არც ასე გაჯავრებული ყოფილხარ გვადი, როგორც მეგონა. მიხარია რომ ასე ადრე ამდგარხარ. ალბათ, ეს ოდის ხალისით მოგივიდა. მართლა, ჯერ არც კი მომილოცნია, რომ სახლის სიაში შეგიტანეს. გერამ დიდი ამაგი დასდო სწორედ შენს შვილებს... ასე, ასე, ჩემო მეზობელო. მალე გეშველებათ: ჯარგვალში აღარ გამოიხრჩობით. საწყალი ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია ვერ მოესწრო ბედნიერ ცხოვრებას, თორემ ცოცხლად დარჩენილიყო რალა გიჭირთ.

გვადის არ ესიამოვნა მარიამის სიტყვა: ესეც რას ჩამცივებია ამ ოდითო. მაგრამ მერმე ისიც გაიფიქრა: მით უკეთესი ჩემთვის, რომ ასე გონიაო.

მარიამმა კი ისევ განაგრძო:

— კარგი წახალისებაა, კარგი! შენც უნდა გაამართლო ეს, ჩამო გვადი. ტყეში მიდიხარ ხომ სამუშაოდ?

ამ შეკითხვამ გვადი ცოტა არ იყოს დააბნია. ცხადი იყო, მარიამის ცნობისმოყვარეობას მისთვის რალაც კეთილი პირი არ უჩნდა. უნდა ესაშველნა რაიმე, რომ საუბარი სხვა რამეზე გადაეგდო.

— ხოოო... — გრძლად გააბა მან, რომ მარიამის უკანასკნელ შეკითხვაზე მოუფიქრებელი რაიმე პასუხი არ გაეცა. მერმე უცებ სიტყვა ბანზე აუგდო და სრულიად გამოცვლილი მაღალი ხმით მიმართა:

— დილა მშვიდობისა, ჩემი ობლების მფარველო კეთილო მეზობელო! მაპატიე, დილის სალამი რომ შეგიგვიანე. — და შეუწყვეტლად განაგრძო: — შენმა დალოცვილმა ხელებმა რა გინდა, რომ არ გააკეთონ, მაგრამ ტოტების აკვრა კი დაგგვიანებია, ჭირიმე! დამკვრელი ხომ ხარ. ალბათ, კარმიდამოსთვის ვერ იცლი, ა? ჩემთვის გეთქვა, შე ქალო...

მარიამმა გულიანად გადიხარხარა.

რა ცუღლუტი ვინმეა ეს გვადი! საკუთარი საქმისთვის ვერ მოუცლია და ერთი შეხედეთ, რას ამბობს ეს შეჩვენებულიო. მაინც ზრდილობიანი პასუხი გასცა.

—შენი შეწუხება რა სათქმელია, ჩემო გვადი! ორიოდე ხეა, შე კაცო... ამას ჩემი ცაცუნიაც კი ააკრავს, მე თუ ვერ მოვასწარი... კი, მაგრამ, ტყეში თუ მიდიხარ, გვადი, შორიდან მოსავალი გზა რატომ აგირჩევია, შე კაცო? — ისევ დაუბრუნდა მარიამი გვადისათვის სახიფათო საკითხს.

გვადი ახლაც გამონახავდა გამოსავალს, რომ მის თავს მოულოდნელი უბედურება არ დატრიალებულიყო. — ალბათ, თიკანს გულს მოხვდა მარიამის ტკბილი და ნაცნობი ხმა. უცებ გაჭირვების კიკინი ამოუშვა: ვილუპები და მიშველე, მეზობელოო. ხურჯინიდან ამოხტომაც გააპირა და ისე მაგრად შექანდა, რომ ისედაც ზარდაცემული გვადი საფარიდან გამოიყვანა და ჭიშკარს მიაჯახა. გვადის სიმწრის ოფლმა გადაასხა. ნიდაყვის თავი ზედიზედ უთაქა მოლალატეს.

ჰეე, რატომ თავშივე ვერ მოიაზრა გვადიმ, რომ თიკნის ღალატი მოსალოდნელი იყო! ახლა კი გვიან არის. მარიამმა შეცხადებასათვის შეჰკივლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა ამბავია? ჭირიმიას თიკანს ხურჯინში რა [illegible]ად მიგყავს?

ძახლარინის ხეს თავი მიანება და ჭიშკრისკენ დაეჭვებული გამოქანდა. მისვლისთანავე კარი ფართოდ გააღო და მთელი თავისი ზორბა ტანის ახოვანებით შეშინებულ გვადის თავს წამოადგა. დიდრონი შავი თვალები დააბრიალა, ჯერ ხურჯინს შეავლო, მერე თვითონ გვადიც თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

— ჰოო, არ გამიკვირდა, სად მიდის ეს ვაჟბატონი ამ ალიონზე მეთქი? სულ არ მიფიქრია, რომ დღეს პარასკევია! — სთქვა და შემდეგ შეუტია დაცაცხანებით: — კიდევ არ იშლი, შე უბედურო, ბაზრობაზე ხეტიალს? იმის მაგიერ, რომ შრომადღე გაიმრავლო, ამხანაგების ყურადღება გაამართლო, ობლებს ჩააცვა და დაახურო, კიდევ დღეებს აცდენ? სად მიგყავს თიკანი? — წყრომა და რისხვა შეაფრქვია. — ძიპასუხე ახლავე, სად მიგყავს მეთქი თიკანი?

გვადიმ კარგა დიდ მანძილზე დაიხია უკან. ორივე ხელის გული ფარივით გაშალა და ენერგიულად გაასავსავა.

— არ იფიქრო, მარიამ! არ იფიქრო, თუ ჩემი თავი ოდნავად მაინც გწამს! — და მოჰყვა თავისებურად: დოხთურს ვყავარ დაბარებული, წამალი უნდა შემიშხაპუნოს და იქ მივდივარო. რომ არ წავიდე, ტყირპი ერთიანად მომერევა და მამაჩემის ბედსა მწევსო. — გამობერილი მუცელი დაანახა. ცალ გვერდზე ნაბადი გადაიწია და ის ადგილი უჩვენა, სადაც ვითომ წამალი უნდა შეეშხაპუნებიათ. სულ დალილავებული მაქვს და არავის ვეცოდებიო — ცრემლი გადმოყარა. აქეთობისას ბაზარში ვაპირებდი გამოვლასო... და აზრი არ დაუსრულებია, ისე უცბად მკერდის ჯიბიდან ჩხირები ამოიღო, სათითაოდ გადათვალა. ბალღების სახელები უფროს უმცროსების რიგზე ჩამოთვალა, ახლა ბარდღუნიაც მიუმატა და ვაი ვიშით ეადმოუშალა ყველა მოსაზრება, თუ იმ წყეულ ვაციკს რატომ ყიდდა. დაარწმუნა, სანამ ამხანაგები სამუშაოდ გამოვლენ, ქალაქში საქმეს მოითავებდა და უკან დაბრუნდებოდა. ამ უთენიას სწორედ ამისათვის მიდიოდა და ქალაქიც ხომ შორს არ იყო.

რა შეატყო, რომ მისი სიტყვების ზეგავლენით მარიამი ცოტა მოლბა, ახლა განიზრახა მისი გული მთლად მოენადირებია. მეტად მონდომებული კაცის სახე მიიღო და ჯერ ერთ ადგილზე შეტრიალდა, შემოტრიალდა, თითქოს რაღაცას ეძებსო. მერმე ღობეს ეცა, შეეფოთიალა, ერთ ადგილას მოგრძო წკირი შეატეხა და ისევ მარიამს მიუბრუნდა. დაეჯღანა, წკირი გაუწოდა და ერთ ადგილზე შეფაცურებით მიმართა:

— აბა, დამიძახე ერთი შენს ცაცუნიას, ჭირიმე! ისიც ობოლია, მამა არა ჰყავს. ერთხელ მაინც გული მომაჯერებინე, პატივი მეცი, მარიამ. ჩემს უბედო ბღარტებს რომ ხანდახან დედობას უწევ, შენი მადლიანი ხელით დაბან და დავარცხნი ხოლმე, ჩემი კი არაფერი გმართებს, შე ქა-

ლო. ნათესავი რომ იყო კიდევ ჰო. შენს გოგონასთანაც დავალებული ვარ
სწორედ. ჩემი ობლების სახელით ერთი ჩაფულას მაინც ჩავაცმევ და ცო-
ტა პირნათლად მაინც ვიქნები. ეს კუდიანი ყაჩაღიც ხომ სანახევროდ
მისი გაზრდილია! ასე, ჭირიმე, ნუ მაგვიანებ! დაუძახე, ფეხი ... ბიბლიოთეკა
ავულო!

გვადის სიტყვებში იმდენი გულწრფელობა და მონდომება იგრძნო
მარიამმა, რომ სულ დაავიწყდა წელანდელი გაჯავრება. თვალზე ცრემ-
ლიც კი მოადგა. მართლაც, რა გული უნდა ჰქონოდა მარიამს, რომ გვა-
დისადმი სიბრალულის ცეცხლით არ დათუთქოდა. რამდენი კეთილშო-
ბილური მადლობის გრძნობას ამჟღავნებდა ეს ავადმყოფი, ნახევრად
გლახაკი, ხუთი უდედო წვრილი შვილის პატრონი, თვითონ ჩაუცმელი
და დაუხურავი კაცი, რომ მარიამის შვილის საჩუქრებზედაც კი ფიქრობდა.

ისე ჩამოართვა მარიამმა სიტყვა, როგორც უკვე შესრულებული გან-
ზრახვა და მადლობა გადაუხადა. შენზე სამჯერ მეტი შრომადღე მაქვს
და ჩემს ცაცუნიას რა შენი ჩაფულა სჭირია. ისიც ერთად ერთი მყავს.
შენ კი ხუთი გასევიაო. შემდეგ ისევ შეუწყრა, მაგრამ ისე, რომ ხმაში
ბევრი ალერსიც გაურია, უთხრა: შენს თავსაც უნდა მიხედო, ასე არ შე-
ძლებაო. მთელი ჩვენი კოლმეურნეობის სირცხვილია, რომ ჩაუცმელი,
დაუბანელი დადიხარო. მტერი რას იტყვისო? ამხანაგები ცდილობენ სახ-
ლის აშენებაში დაგეხმარონ, საშენებელი მასალის მიცემა შენზე უფრო
ღირსეულებს შეუწყვიტეს, და შენ კიდევ რალაც განზე იცქირები, დავა-
ლებებს არ ასრულებ და თავს იგლახაკებო.

— ნამეტანი შებანჯგვლილხარ რალაც, შე კაცო, სად არ ამოგსვლია
ეს ოხერი თმა: ცხვირში, ყურში... ერთხელ მაინც გაიკრიჭე, კაცს და-
ემსგავსე. თუ დალაქთან მისვლა გიჭირს, შემოიარე თავისუფალ დროს,
მე შეგისწორებ. მაგას რა დიდი საქმე უნდაო.

მარიამის პირით თითქოს დედამიწის ნოყიერება სუნთქავსო ისეთი
ხმა ამოსდიოდა. მსუქანი, ტკბილი ბგერებით სავსე, სანდო და მოალერსე.

გვადი არ მოელოდა, რომ მარიამთან ამდილანდელი შეხვედრა ასე
მშვიდობით დამთავრდებოდა. ბედს მადლობა შესწირა გულში. მკერდში
ჰაერი ღრმად ჩაითქვა და წინ წამოიზნიქა. ერთხანს ასე უცქირა მარიამს.
მეც ვხედავ ჩემს უბედურებასო, ამბობდენ მისი თვალები. მისი დაჭიმუ-
ლი სახის გამომეტყველება იმასაც გამოხატავდა, რომ მზად იყო მარია-
მის რჩევა მიეღო და გაჭირვებას ვაჟკაცურად შებრძოლებოდა. მერმე
ხელი მაღლა შემართა, თითქოს საზეიმო ფიცის დადებას აპირებსო. ჩა-
თქმული ჰაერი გრძელ ოხვრას ამოაყოლა და მარიამს უდიდესად აღელ-
ვებული ხმით შესძახა:

— გეცოდებოდე, მარიამ! გეცოდებოდე! მეტს არაფერს გეტყვი!

ალბათ, გულს მოგლეჯა ეს სიტყვები, იმდენი სიმწარე და გრძნობა
ამოაყოლა. თვითონვე კანკალი აუვარდა. აშვერილი ხელი ჰაერშივე მაგ-

რად დამუშტა, გამოაქანა და მკერდზე ბრაგვანით დაიცა.

— ვაი, დედასა, ჩემი ალათია სიკვდილმა რომ ამ დროს წამართვა! — სთქვა თუ არა მარიამს თვალები მოსწყვიტა, მოტრიალდა [illegible] თემშარასკენ გრძელი ნაბიჯით გაემართა.

ბიბლიოთეკა

მარიამმა დიდხანს უხმოდ, გულჩათხრობილად უცქირა არეული ნაბიჯით მიმავალ გვადის. თვალებზე ეტყობოდა, რომ ქალის მზრუნველი გული სიბრალულით დადაგვოდა. ბოლოს მიაძახა:

— გვადი, რატომ თოკს არ მოაბავ თიკანს და ისე არ გაიყოლებ. შენც არ დაიღლები და პირუტყვიც არ გაწვალდება მაგ ხურჯინშიო.

გვადის უკვე გაევლო მოსახვევი. მარიამის უკანასკნელი სიტყვები მას თემშარაზე წამოეწია. მაშინვე უკან მოიხედა. მაგრამ მარიამს და მის ჭიშკარს უკვე ხეივანი წაფარებოდა. გაუხარდა გვადის, რომ თავი მარტოდ იგრძნო. გულს მოეშვა, ტვირთიც კი რალაცნაირად ემჩატა. შესაბრალისი სახე რომ ჰქონდა უცებ შეიცვალა და გარშემო მედიდურად, თავისთავადად მიმოიხედა. მკაცრი და თან დამცინავი ხმით შეესიტყვა წამოწეულ ხმას, მაგრამ ისე, რომ მარიამს არ გაეგონა.

— მაგის მიხვედრა ვის არა აქვს, დედაკაცო! მაგრამ ჩვენმა ჭკუამ აქ სხვა რამეც იანგარიშა: სანამ ამ ღვთისგან შეჩვენებულს მაცნობ ადგილს არ მოვაშორებ, თოკს წესიერად არ გამოყვება და მასთან სალაყლაყოდ, აბა, ვის სცალია! ა? ამას თუ მიხვდი, მეზობელო? ეს თუ მოიაზრა შენმა გონებამ... ახლა მითხარი: გაჯობე, თუ არა ამაშიც? გაჯობე თუ არა, ჭკუის კოლოფო?

დ ორმაგი ჯობნით ნასიამოვნებმა ისე მადლიანად., გულიანად ჩაიხითხითითა რომ მთელ ტანს ნაბდიან-ხურჯინიან თახთახი დააწყებინა.

## III

თემშარა ახალნაკეთები იყო, ხრეშმოყრილი და დატკეპნილი. გვადის ტალახი ხელს არ უშლიდა და გზას თოხარიკით განაგრძობდა თიკანი ხურჯინიდან უკვე ამოეყვანა, თოკი შეება და წინ გაეგდო. თიკანსაც გაეხარებოდა ხურჯინიდან ამოსვლა და გზას ფინთიხივით მიყვებოდა. მაგრამ გვადის საჯავრებელი მაინც არ გამოლეოდა. ახლა იმას სწუხდა, რომ ნამეტანი შემოთენებოდა და შესაძლებელი იყო კიდევ ვისმე გადაეყროდა. რა თქმა უნდა, მარიამის ბრალია, რომ ასე შეაგვიანდა. ამ თემშარაზე ხალხი კი არა, მალე ჩაის ქარხნის ავტომობილებიც ამოძრავდებოდენ. გზა უფრო მათთვის იყო სულ ახლად შეკეთებული, რომ პლანტაციებს ახლოს მიდგომოდენ, იქვე ჩაებარებიათ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი და ქარხნისათვის დაუყონებლივ მიეწოდებიათ. გვადისათვის ხელსაყრელი კი არ იყო ასეთ გზაზე თავის გამოაშკარავება. იგი ხშირად ეზოებში იცქირებოდა. აზრად ჰქონდა ეზოებისთვის თავი შეეფარებინა. რასაკვირველია, ეზო-ეზო სიარული სჯობდა მისთვის. გზა-

საც შეიმოკლებდა. მაგრამ ვერ გადაეწყვიტა პირველად რომელში შესულიყო: ზოგის პატრონი სანდოდ არ მიაჩნდა, ზოგს კიდევ მდებარეობა ჰქონდა გამოუდეგარი.

ასეთ ყოყმანსა და ბუზღუნში რომ იყო, კოლმეურნე გოჩა სალაღიძეს კარმიდამოც გამოჩნდა, ახლად წამოწყებული ოდის კარგა მაღალზე ამოყვანილი კედელითურთ. ნაჯახის კაკუნის ხმაც მოესმა.

— ფიცრის მიცემა შეუწყვიტეს ვითომ, მაგრამ გოჩა მაინც თავისას არ იშლის, — შეკვრვებით გაიფიქრა გვადიმ და იქვე დაამატა: — მაგას კი ჰყავს დამხმარე, სხვამ იკითხოს თორემ....

მერმე ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ჰე, ღმერთმა ხეირი მისცეს!

მაგრამ გვადის ახლა გოჩას ახალი ოდა იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც მისი ეზო. ეს ეზო ზედგამოჭრილი იყო გვადის ამ დილანდელი მიზნისათვის. მასზე გავლა ერთიორად შეუმოკლებდა გზას და ძეხორციელიც არავინ შეხვდებოდა ისე გაივლიდა ორკეთს. გოჩაც ხომ საიმედო კაცად მიაჩნდა. გამოკითხვითაც კი თავს არ შეიწუხებდა: სად ყოფილხარ, სად მიდიხარ, და რა მოგაქვსო. პირიქით ხელსაც შეუწყობდა. შეიძლება ორიოდე მწიფე მანდარინიც ეჩუქებინა, ან ლიმონი, როცა მის მდგომარეობას გაიგებდა. თავსაყრელი ჰქონდა.

ააჩქარა ნაბიჯი გვადიმ.

გზატკეცილს აყოლებული თხრილის გაღმა, ცოტა მოშორებით, გოჩას სახლისკენ ბილიკი უხვევდა. გვადიმ ამ ბილიკზე გადასვლა არჩია. თხრილი თვალით გაზომა. ცოტა კი შეფიქრდა, ვაი თუ ამ მუცლით, ნაბდითა და ხურჯინით თხრილზე ვერ გადავხტეო. სხვა არა იყოს რა, თიკანთან შევრცხვები და მერმე სულ ამიგდებსო. თხრილი არც ისე პატარა იყო. ერთი ადგილი გვადის უფრო მოხერხებულად მოეჩვენა გადასახტომად. თოკი მოსწია და თიკანი შეაჩერა, გადასახტომს პირდაპირ მიუყენა. თოკი მიუშვა და თიკანს მოფერებით შესძახა:

— აბა, იმარჯვე, ჭირიმე, გადახტი.

თიკანი უკანა ფეხებზე შესდგა. მოიმართა და ისკუპა. ნახტომი კარგა დიდი მოუვიდა და თოკი მძლავრად დაქაჩა. გვადის მიერ მიშვებული თოკით ნავარაუდევ სიგრძეს გადააჭარბა. სრულიად მოულოდნელად მოხდა, რომ გვადის თოკის თავი ხელიდან გაუსხლტა და თიკანს გაყვა, შეორე ნაპირზე გაიკლაკნა. შეფუცხუნდა გვადი. ეს რა მოუვიდა? მაგრამ ამაზე მსჯელობას ხომ ვერ გამართავდა, სად სცალოდა! თიკანს თოკი შეემარქაფებია და რაც ძალა ჰქონდა, გარბოდა.

ტანის კუნთები მოჭიმა გვადიმ, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ბოირღვა და ისკუპა. მაგრამ მეორე ნაპირის კიდურზე ფეხი დაუცდა და შიგ თხრილში ჩაყირავდა. მაინც დროზე შეიკავა თავი და ფეხზე დადგომა მოასწრო. თხრილი ღრმაც აღმოჩნდა. ძლივს ძლივობით ამოფოფ-

ხდა იქიდან. გაიხედა: მისი თიკანი სულ როკვითა და [illegible] გარბოდა კურდღელივით.

ბიბლიოთეკა

გამოეკიდა გვადი. რას დაეწეოდა ეშმაკს. მალე ქოშინი აუვარდა და ხელი ტყირპზე წაივლო. შესდგა. ბევრი უძახა თიკანს სანამ თვალი მიუწვდებოდა. ეფერა, ათასი სიკეთე დაპირდა. მგელი და ტურა შეგეჯამსო ან დაიკარგები და ვინმე დაგკლავსო. ამან რომ ვერ გასჭრა, შეუწყრა, აუცილებელ სიკვდილს დაეჭადნა. მაგრამ ის წყეული მაინც გაუჩინარდა შეაოიკრა თავში ხელი გვადიმ.

— როდის იყო დიაცს სიტყვა დაეჯერებოდა, თვითონ ჭკუის კოლოფო!! — გესლიანად უსაყვედურა თავისთავს და იქვე ქვაზე ჩამოჯდა სულის მოსათქმელად. მგლოვიარე კაცის სახე ჰქონდა და თვალები ცრემლით ავსებოდა. დიდხანს სლუკუნობდა ბავშვივით და ჩუმად გულსაკლავად მოსთქვამდა.

მოგვიანოდ გაახსენდა, რომ ქალაქში გასაყიდად სხვა რაიმეც მიქონდა. მაშინვე მოინახულა ხურჯინი. ხელი შეუსვა. ჯერ გარედან გასინჯა, მერმე თავი გაუშალა და შიგ ჩახედა. შეამოწმა. ხურჯინში ოცი ოდე ცალი მანდარინი ეწყო, წინაღამით საკუთარ ეზოში მოკრეფილი ბარდლუნიასაგან დაფარულად. კარგია, რომ ეს მაინც შერჩა, თხრილში არ ჩაუცვივდა და სირბილში არ გააბნია. ისე გაუხარდა, თითქოს ეს არის გზაზე იპოვნაო. თვალებზე ცრემლი შეაშრა და მგლოვიარე სახე კმაყოფილებამ გაუნათა.

მანდარინია დრო ჯერ კიდევ არ არის დამდგარი და როგორც იშვიათ ხილს ბაზარში დღეს კარგი მაზანდა ექნებაო. ორიოდე გროშს ამითაც იშოვნიდა გვადი. მართალია, დაპირებულ ჩაფულებს ვერ იყიდდა, მაგრამ შინ სულ ხელცარიელიც არ დაბრუნდებოდა. რა ვუყოთ მერმე, რომ ის წყეული თიკანი გაექცა. იქნება ვერც კი გაეყიდა. ან რას მისცემდენ მაინცდამაინც — გატყავებულს ქათმის ოდენა ხორციც კი არ დაურჩებოდა, კაცმა რომ თქვას.

გამოეცვალა გვადის გუნება. ბედს შეურიგდა და წამოდგა. ისევ ქალაქისკენ გზას გაუდგა. გადაწყვეტილი რომ ჰქონდა გოჩას ეზოში გადასვლა, ეს განზრახვაც არ შეუცვლია. იქითკენ გაეშურა

გოჩას გვადისთან ის ჰქონდა საერთო, რომ ისიც კოლმეურნე იყო და კოლმეურნეობისათვის გვადისავით ისიც თავს არ იწუხებდა. დღეს დღეზე აცდენდა. სხვა მხრივ კი მათ შორის დიდი უფსკრული იყო. გოჩა საშუალო შიძლების გლეხად ითვლებოდა სოფელ ორკეთში, დიდი შრომისმოყვარე და იშვიათი მეურნე იყო. ლიმონის და მანდარინის მოვლა-მოყვანის ისეთი მცოდნე, რომ აგრონომებსაც კი არ ჩამოუვარდებოდა. ამ კულტურების პირველ შემომტანად ითვლებოდა თავის სოფელში. მისი პატარა ეზო ნამდვილ სანიმუშო ბაღს წარმოადგენდა ხოლო მისი თხუთმეტწლიანი ორი ლიმონის ხე მთელ რაიონში თითით სა-

ჩვენებელი იყო. მაგრამ დიდი თავისნება კაციც იყო ეს გოჩა, ... ...
ري ხასიათის მქონე, — უტეხი, კერპი გლეხი. ცხოვრების ... ...
ჯერ კიდევ ვერ შეწყობოდა. — თუ გვადის თაღლითობით, ზარმაცობით
და ნაწილობრივ ავადმყოფობითაც მოდიოდა, რომ საერთო სამუშაოს
გაურბოდა, გოჩას განდგომილებას სულ სხვა მიზეზები და შინაარსი
ჰქონდა.

ერთი ხიფათი აქაც მოელოდა გვადის—გოჩას ერთად ერთი ქალი ნაია,
ორკეთის კოლმეურნეობის კომკავშირის უჯრედის მდივნად ითვლებო-
და და მასთან შეხვედრა გვადისთვის გაცილებით უფრო მეტ საშიშრო-
ებას წარმოადგენდა, ვინემ მარიამთან. ნაია კოლმეურნეობის თავმჯდო-
მარის გერას მარჯვენა ხელიც იყო. მისი ერთგული თანაშემწე. იგი ეა-
მასთანაც კი იყო წაკიდებული მისი შეუწყნარებელი განდგომილობის
ნიადაგზე და, აბა, გვადის რას დაზოგავდა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებე-
ლიაო, ასე მოუვიდა გვადის, რომ შეაგვიანდა და თიკანიც რომ გაექცა
მოსალოდნელი იყო, რომ ნაია ამ დროს უკვე პლანტაციაში იქნებოდა
წასული. ხოლო თუ მაინცდამაინც მასთან შეხვედრა მოუხდებოდა, გვა-
დის თავისუფლად შეეძლო ეთქვა:

— ტყეში მივდივარ, ჭირიმე, და ხურჯინით საგზალი მიმაქვსო. —
მორჩა და გათავდა. ნაია ხურჯინში ხომ არ ჩაიხედავდა, ხოლო თიკანი კი
გვადის ფარულ მიზანს ვერ გასცემდა. ასეთ პირობაში, ნაიას კი არა, ვის
არ აუხვევდა გვადი თვალს.

როცა გოჩას კარმიდამოს დაუახლოვდა, დაინახა, რომ ეზოს წინ ქუ-
ჩაში სოფლის ნახირი გაშლილიყო, ხოლო ეზოდან მენახირე პახვალას
ხმა ისმოდა. ეტყობოდა, იგი გოჩას ესაუბრებოდა.

— რომ აღარ აგვდის ორკეთის მიწა, გოჩა! სად უნდა ვაბალახო
ნახირი: ეს ჩაიო, ეს მანდარინიო, ეს — ესო, ის — ისო, და ხელისგუ-
ლის ოდენა მინდორიც კი აღარსად დატოვეს. ეწერი გადასერილია და
ტყე აჩეხილი. ტყის პირად საბალახო ადგილი რომ იყო, ახლა იმასაც ბო-
ლო ეღება: ტყესთან ერთად სთხრიან ახალი ბაღი უნდა გავაშენოთო.

გვადიმ გამოღებულ ჭიშკარს მიაშურა და ეზოში შევიდა. თითქოს
სამშვიდობოს გასულიყოს, გულს ისე მოეშვა.

ტროპიკულ მცენარეთა სიმწვანით დამუქებულ ეზოს სიღრმეში
ძველებური განიერი დაბალი სახლი მოჩანდა, მისავალმოკენჭილი. სახ-
ლის წინ, მისავლის მარჯვნივ და მარცხნივ, ორი დიდრონი ლიმონის ხე
იდგა, ძირებშემოლობილი, ამ ჯიშისათვის არაჩვეულებრივ სიმაღლისა და
გაშლილობის. ორსავე იმდენი მოესხა, რომ ნაყოფი ... ...
ბოდა. მათგან ცოტა დაცილებით, მანდარინის ... ...
ყაიდაზე წამოწყებული ახალი სახლის ჩონჩხი ... ...
ბალ სვეტებზე შეყენებული. უკანა კედელი თითქმის ... ...
ჩანდა. დანარჩენი სამი — მეტნაკლებად ცოტაზე ამოყვანილი. წინ, მი-



ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ БИБЛИОТЕКА

ყრილ-მოყრილი ხის ნაჭრებსა და ბურბუშელაში ტანმორჩილი ნიკორა ფურკამეჩი ჩამდგარიყო და ზანტად იცოხნებოდა. მდევრებით ვეება გოჩა კამეჩს გვერდით ამოდგომოდა, ცალხელში გრძელტარიანი ნაჯახი დაეჭირა, ცალი კი კამბეჩის ზურგზე ჭოლოკივით გადაეწვინა და მუხის ფესვებივით ლრაკნილად გამობმულ კორძიან თითებს ფერდზე მოფერებით ავლებდა. თან მენახირე პახვალას უსმენდა გულჩათხრობილად, დიდრონ ულვაშებში შემალული მწარე ღიმილით, რომელიც მაღალ მკერდზე ფართოდ დაფენილ ჭალარა წვერს ოდნავ ურხევდა.

— მოდი, ნიკორავ, ნუ გეზარება... სხვებს არ ჩამორჩე — დაბალი, ბოხი ხმით ეუბნებოდა გოჩა თავის კამეჩს და პახვალას აბარებდა.

წელში მოკეცილი პახვალა უფრო ოთხფეხზე მავალს გავდა, ისე ჰქონდა ზედატანი მუხლებამდე დადრეკილი. თუ არა მომსხო, მოკლე შინდის ჯოხი, რომელზედაც, როგორც ურემი კონკილაზე, მკერდით იყო მუდამ დაყრდნობილი, უთუოდ თავი გადასწონიდა ქარის სენს მოუკრუნჩხა აგრე რიგად, თორემ არც ისე იყო მოხუცებული. — კამბეჩს ლასლასით შემოუარა და ჯოხი უკანა ფეხებზე ფრთხილად წაუცაცუნა. კუდზე შეავლო ხელი, გაეთამაშა და ვითომ გოჩასებურად, ამანაც ალერსით მიმართა:

— მოო, გენაცვალე, ნულარ აყოვნებო...—ფეხი აადგმევინა და უკან გაჰყვა კუდზე მიბმულივით.

გოჩა ცოტაზე მიჰყვა მათ, მერმე შედგა.

— კარი მაგრად მომიხურე, პახვალა, თუ კაცი ხარ, — უკან დაადევნა პახვალას, ნაჯახი მოიმარჯვა და ახალი სახლის კედელზე მიდგმულ კიბეს მიაშურა.

გვადიმ პახვალას მოკლე გამარჯობა ესროლა და განზრახ გაქანებულად ჩაუარა, რომ მასთან არ შეეყოვნებია. სანამ მენახირე გამარჯვებაზე პასუხს გასცემდა, მანდარინის ხეს ამოეფარა და თვალიდან გაუსხლტა. პირში შეაწყდა სალამი პახვალას.

— ფუი ეშმაკს, სად ყოფილა ეს წაწყმენდილი, — წარსთქვა სალამის მაგიერ და თავისი გზა განაგრძო.

გვადი კი კიბესთან მიცუნცულდა შეუმჩნევლად და მაღლა ასულს გოჩას მკვირცხლი ხმით დილამშვიდობისა უსურვა. იქვე დასძინა:

— ადრე შედგომიხარ, ჭირიმე, მუშაობასო.

გოჩამ ჯერ პირისახე მოატრიალა და გვადის მხარზემოდან ასე გადმოხედა. მერმე ნაჯახი კედელზე ჩამოდვა და სანამ სალამზე უპასუხებდა მთელი ტანით მისკენ მობრუნება გააპირა.

— გამოგიარე ვითომ, ამხანაგო გოჩა, — ახლა თავისებური ორაზროვანი შეხუმრებითა და მოგონილი სერიოზულობით განაგრძო ისევ გვადიმ. — ტყის სატეხად თუ აპირებს წამოსვლას მეთქი... დაგავიწყდა, რომ დღესაც გაწვეულები ვართ? ქუდზე კაცო, ასეთია ბრძანება.

გოჩა კიბის საფეხურზე იდგა გვადისკენ მობრუნებული მაგრამ ხმას არ იღებდა. უცნაურად გაკვირვებული და შუბლშეკრული [illegible] ბდა გვადის, თითქოს არ სჯერაო, რომ სწორედ გვადი დ[illegible] ელაპარეკბოდა. ეუცხოვა ეს გვადის. ჩვეულებრივად გოჩა ყოველთვის სიცილხარხარით ეგებებოდა მას, მოსწონდა მისი გადაკრული სიტყვა-პასუხი და მასთან ოხუნჯობა სიამოვნებდა. ახლა რა მოუვიდა, ნეტავი?

— შენი მკლავების ძალა მომცა, გოჩა, თორემ... — ახლა კიდევ სხვა კილოზე სცადა გასაუბრება გვადიმ, მაგრამ რა ნახა, რომ გოჩა მაინც უძრავად იდგა კიბეზე და ხმის ამოღებას არ აპირებდა, ერთხელ კიდევ გამოიცვალა კილო და ასე განაგრძო: — ოდა კი მოგითავებია და ეს არის, გოჩა! ვითომ მასალას არ მოგცემთო, მაგრამ შენ რას დაგაკლებენ! საბედნიეროდ, ჭირიმე! სასიამოვნოა სწორედ, მიხარია...

გოჩამ აქ კი დაარღვია სიჩუმე, თავისი როყიო ხმა აამაღლა და შეწყრომით გადმოსძახა:

— დასაცინად ხომ არ გამოცხადებულხარ ამ ჩემს ეზოში, მეზობელო? აჰაჰა.. ფრთხილად, ფრთხილად, ჩემო კეთილო!

გოჩას ხმა აშკარა რისხვას გამოხატავდა. მეხი რომ გავარდნილიყო, ასე არ გაუკვირდებოდა გვადის. საიდან? რატომ? მაგრამ ამაზე უფრო საოცარი ის იყო, რომ გოჩა რაღაც მძიმედ სუნთქავდა, თითქოს მტერთან შებმას აპირებსო და შესახედაობაც ისეთი ჰქონდა, რომ გვადის კი არა ვის არ შეეშინდებოდა მისი. დაიბნა გვადი. დაახლოებითაც ვერ წარმოედგინა, თუ რა მიზეზი იყო, რომ მისი მოკეთე გოჩა მას ასე უცნაურად და მტრულად შეხვდა, გვადიმ ისევ ნაცადი ტკბილი სიტყვა არჩია ფარად.

— შენისთანა მეზობელს რომ ემატება, საქმეც ეს არის, ჭირიმე... შენი შემატება ჩვენთვისაც საფრიანია, გოჩა... ჰეე,, -მე კი ერთი დღეც კი ვერ მოგეხმარე უბედურმა. სხვა თუ არა, ფიცრის თავს მაინც წამოგიწევდა. მაგრამ ჩემი დაქცეული თავის ამბავი შენც კარგად იცი და ნუ დამემდურები, ჭირიმე! ჰო და, ტყეში საჯიჯგნელად რომ ვერ მოიცლი, განა არ ვიცი... ან რატომ უნდა შეიწუხო თავი, კაცმა რომ თქვას... ისე გეხუმრე, ჭირიმე, გავაცინებ მეთქი.—და გვადიმ თავისებურად ჩაიხითხითა.

— ჩემო მახარია გვადი, — თავშეკავებულად და ცივად დაიწყო გოჩამ. — დიახაც რომ თავი შესაწუხებელი არ მაქვს. სწორედ დიახაც. მეზობელო! ტყე იმათ სტეხონ და სჩეხონ, ჭაობიც იმათ ამოაშრონ, ვინც კოლექტივში შენსავით ხელცარიელი შევიდა...

— ჭეშმარიტებაა, ჭირიმე! — მოასწრო სიტყვის ჩართვა გვადიმ. გაუხარდა: რაკი მრავლობით ლაპარაკობს, პირადად ჩემზე არ ყოფილა გამწყრალიო, — გაიფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა ერთი საფეხურით ძირს დაეშვა კიბეზე და ახლა უკვე შეტევით განაგრძო, თითქოს გვადის ჩართულმა სიტყვამ ცეცხლი გაუკიდა, —

— მე შემოვიტანე კოლექტივში, ჩემო ძამია, თუ შენ მანდარინით მოშენებული ბაღი? მე მაქვს შემოტანილი, თუ შენ, ორი ქცევა სახნავ-სათესი მიწა? გამისწორდი ამაში და მაშინ ბატონი ბრძანდები, მეც გვერდში ამოგიდგები.

— სწორია, ჭირიმე! — კვლავ მოხერხებულად დაუდასტურა სიტყვა გვადიმ, მაგრამ გოჩამ ამას ყურადღება არ მიაქცია და თავისი განაგრძო:

— მე შემოვიყვანე კოლექტივში შვილებივით ნაზარდი ულელი ხარი, თუ შენ? ამაშიც გამისწორდი, მეზობელო, და მაშინ ვილაპარაკოთ! მააშ!

გოჩა ხმას სულ მაღლა და მაღლა უწევდა. ბრაზიც თანდათან ემატებოდა. ეტყობოდა, ეს ძველი ამბავი კი არ იყო მთავარი, რაც ამ დილით გულზე ჯავრად აწვა. იგი მხოლოდ შორეული ქუხილივით ისმოდა მის ხმაში და, საცა იყო, გვადი ახლოს ჭექასაც გაიგონებდა.

ბედია ყველაფერი, ფიქრობდა ჩუმად გვადი. ვილამაც უთუოდ დანავსა ამდილას, თორემ რაღა ახლა მოაწვა გულზე გოჩას თავისი დროგადასული დარდი?

გოჩა კი ისევ გრგვინვით განაგრძობდა:

— ასე ფხიზელი და ბონდომებული როდის ყოფილხარ წინად, უთენია რომ სამუშაოზე მიდიხარ? მე რომ წამართვეს და შენ მოგცეს, ალბად, ამან თუ გაგახარა ზარმაცი!! გამოგიარეო რომ ამბობ, როდის ვიყავი შენი ამყოლი, ტყირპიანო? თუ ვაჟკაცი ხარ, იმას რატომ მიმალავ, რაც ჩემს საწინააღმდეგოდ დაგიდგენიათ? „მართალია“, „სწორიაო“, წამ. დაუწუმ რომ პირში მაჩრი, მაშინ სად იყავი, როცა გადამიწყვიტეს: გოჩას სახლის საშენი ფიცრის მიცემა შეუწყდესო, რაც ქარხანას მასალა გაეჩინა, დამკვრელებზე განაწილდესო! ა? ამაზე რას იტყვი? შენ კიდევ სადაური დამკვრელი გნახეს, ნაცარქექიავ, რომ პირველ რიგში ჩაუწერიხართ და პირაქეთ გთხოვენ, მიირთვი და სახლი ააშენეო! დაგიდგათ მუქთახორებს დრო და ეს არის! ერთი ამ გლახას შეხედეთ: დაცინვასაც კი მიბედავს: მეძახის ტყის სატეხად წამოდიო! მერმე და ვის სახლს უნდა მოხმარდეს იმ ტყეში მოჭრილი ხე? აბა, ვნახოთ, რასაც დამაკლებთ: მე გოჩა არ ვიქნები, თუ ეს ოდა უთქვენოდაც არ ავაგე!

კიბესაც კი კანკალი აუვარდა და კედელმა ჭრიალი გაიღო მთელი თავისი მძიმე ტანით აბორგებული გოჩას ყვირილისაგან.

გვადიმ მაინც იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ გოჩას წინაშე თავის მართლება გაბედა.

— სულ ტყვილია, გოჩა! მოგონილია ყველაფერი! ვინ ჩემი ცოდვით დაქცეულმა გითხრა, გვადი სახლს იშენებსო, ან შენ როგორ და-

იჯერე? ჭორია, ჭირიმე! რა ფიცარიო, ვის მიეცესო... რა დამკვრელიო? შენგან მიკვირს, რომ დაგიჯერებია. ზღაპარია, გოჩა! ძალიან-ძალა-ძალლი ვიყო, ტყეში თუ მივდიოდე! პარასაკევობაზე მივდივარ, ბაზარში... გზასშევამოკლებ-და გოჩას ეზოზე გადავივლი მეთქი, სხვა თუ რამე მეფიქროს, ასე დამამხოს გამჩენმა და ზეზე არ ამაყენოს! —

ნაბდის ქუდი მოიხადა, ხელის გულზე დაიყენა, შიგ ჩაუბერა, მოიქნია და თავქვე მიწაზე დაანარცხა.

ახლა მართალს ამბობდა იგი, მაგრამ გოჩა დარწმუნებული იყო, რომ გვადი სწორედ ახლა სტყუოდა, როგორც მისი ნამდვილი ტყვილი, — ტყეში სამუშაოდ მივდივარ და გამოგიარეო — მართალი ეგონა.

— ეზოზე გადაგატარებ კი არა, თავს ორად გაგიპობ! წადი, დამეკარგე აქედან, შე მატყუარავ შენა! — უყვირა გოჩამ, კედლის თავზე ჩამოდებულ ნაჯახს ხელი წაავლო და კიბეზე დაეშვა.

გვადის გულს კიდევაც რომ გაეძლო ამ სანახაობისათვის, მისი ფეხები მაინც ვერ დადგებოდენ იმ არემარეს. — ძლივს მოასწრო ქუდის აღება გვადიმ და, რაც ღონე შესწევდა, მოუსვა. თავს უშველა.

## IV

შეურაცხყოფილი, გალანძღული და დაბეჩავებული იდგა გვადი გზაჯვარედინზე და იმაზე ფიქრობდა, თუ საით წასულიყო: ქალაქში, ბაზრობაზე, თუ შინისკენ. მზე უკვე ამოსულიყო და ბაზარში წასვლა დაგვიანებულად ეჩვენებოდა. მითუმეტეს, რომ ამ დანავსულ დღისაგან გვადი სახეიროს უკვე აღარაფერს მოელოდა.

— ისა სჯობია, სამუშაოზე გამოვცხადდები და გერას გულს მაინც მოვიგებო, ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ კი ვერ გადაეწყვიტა. იგი ახლა გოჩაზე იყო განსაკუთრებულად გაჯავრებული.

მართლა. რა ჰგონია მაინცდამაინც ამ გოჩას თავისი თავი? ძველი სახლიც კარგი უდგა, მუხის ყავრით გადახურული, არ აწვიმს და არ ათოვს და, ოდა რომ აუჩემებია, ვითომ რაო? ნეტავი, გვადის მისცა მისი განიერი სახლი და ოდას თავის დღეში არ ინატრებდა.

მაგრამ გვადიმ კარგად იცის, თუ რატომ არის ასე გაანჩხლებული გოჩა. უთუოდ ამ ზამთრისთვის უნდოდა ვაჟბატონს ოდა დაესრულებია და.... ჰმ... ორკეთში რა გამოეპარება გვადის თვალსა და ყურს, რომ გოჩას გულის ნადები არ იცოდეს. საქმე ის არის, რომ გოჩას ოდა კი არ აწუხებს იმდენად, რამდენადაც სხვა ამბავი, რომელიც ამ ოდას აქვს დართული. ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია. ეს ის ამბავია, რომ გოჩას თავისთვის კი არ უნდა ოდა. ვაჟი რომ არა ჰყავს ზედსიძეს არის დანატრებული და ოდასაც ასე გაცხარებული იმისთვის აშენებს, რომ სიძეს მზითვად მიართვას. მერე არ იტყვით, რა კაცი ჰყავს ნიშანში ამოღებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღთუოდ აზნაურის გვარი უნდა ამშვენებდესო. ჩემს სიმეს ასე ამბობს ვინ გდიაო ეს ბიგვები, ასლანდიები და სალანდიები, არც ერთს სახლში არ შემოუშვებო. აზნაური ფორია უნდა ჩამოვისიძოვო. თვითონ რომ სალნდიაა ის კი ავიწყდება ამ უბედურს.

აზნაურობა რომ მოისპო, თუგინდა ეს არაფერია. მაგრამ სალანდია რომ ბიგვას იწუნებს, ეს კი საოცარია სწორედ. გვადი რომ გვარად ბიგვაა, ამას ამიტომ კი არ ამბობს, მაგრამ ვინ არ იცის: სად ბიგვა და სად სალანდია. სალანდია ფორიას ყმა იყო, ბიგვა კი საეკლესიო გლეხად ითვლებოდა და ნურას უკაცრავად, თუ ფორიასთანა აზნაურის ყმობას არც კი იკადრებდა. ეს ასეა ნამდვილად. ახლა გოჩა გვადის რომ სჯობია, რა ვუყოთ მერმე? გვარის მიზეზით კი არ სჭირს გვადის, რაცა სჭირს. ცალკე ციებამ და ტყირპმა დააბეჩავა, ცალკე ცოლის სიკვდილმა დაჩაგრა... დაბრკოლდა კაცი, დაქვეითდა... თორემ მუდამ ასე დაეარდნილი კი არ ყოფილა გვადი. ხუთი ვაჟი რომ ჰყავს, სხვისი გაჩენილები კი არ არიან. გოჩას რომ ერთიც არ გაუჩნდა და ახლა სხვის შვილს დაეძებს ჩამოსასიძებლად, ეს ვითომ არაფერს ნიშნავს? ჰე, მართლაც ვინ შეადარა ბიგვა სალანდიას. მარტო გერა რადა ღირს, რომ ბიგვაა. აბა მაგისთანა, თუ ურევია სალანდიებს? სალანდიები რა მოსატანია, ფორიებიც კი ვერ შეედრებიან ახლა გერას. აბა, ვინა ჰყავთ გოჩას მოწონებულ ფორიებს გერას ტოლი? ერთად-ერთი არჩილია ვითომ გამოსაჩენი, აი გოჩას რომ სიძეთ დაუჩემებია ფორიობისათვის, და... როგორ სთქვას ეს გვადიმ, ისიც კი... ჰმ... პირადი განწყობილების მიუხედავად უნდა აღიაროს გვადიმ, ისიც კი ნამდვილი ქურდია და მეტი არაფერი. გოჩამ, ალბათ, არ იცის ეს ამბავი, მაგრამ გვადის ერთი ეჭვი მაინც ებადება: გოჩას რომ არჩილი ზურგს უკან დამხმარედ არ ჰყავდეს, ვერ დაიტრაბახებდა, ვერაფერს დამაკლებთ და ოდას უთქვენოდაც ავაშენებო. ცხადია, არჩილი რომ ქარხნის დირექტორად არის, ალბად მასალას ჩუმჩუმად, მალულად აძლევს, და ამის იმედი აქვს. გოჩას... იქნება ჰგონია, რომ ეს ქურდობა არ არის? ისიც გამომდგარა პატიოსანი კაცივით და პირაქით იგინება. თუ ვაჟკაცია გერას პირში უთხრას რასაც მის ზურგსუკან ლაპარაკობს. ჰა, ჰა, გვადის იგდებს არა?

ნეტავი იმ ნაჯახს რომ ხელი წაავლო, მართლა თუ უნდოდა, რომ გვადისთვის შემოეკრა. კარგად ვერ გაარკვია მაშინ ეს გვადიმ. ძალიან ეჩქარებოდა და ამიტომ ადრე გამოიქცა. აბა, კი არ შეშინებია გოჩასი! ჩხუბის თავი არ ჰქონდა თუ არა.... რომ გაჭირდეს, ჩხუბსაც არ გაექცევა გვადი. ისე კი არ არის საქმე, აქაოდა გვადი პატარა კაცია, ტყირპიანი, გლახაკი და ადვილად მოვერევიო. ჰე, ფრთხილად, ფრთხილად. პატარა და გლახაკი სჩანდა ნაცარქექიაც, მაგრამ უზარმაზარ მდევებს კუდით სულ ქვა ასროლია. მაშ, თუ საქმე საქმეზე მიდგა, სად გოჩას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონე და სად გვადის ჭკუის ფანდები? ისე გაუხდის საქმეს, რომ ამ მო-
ქნეულ ნაჯახს თვითონვე თავში იცემდეს.

ასე მსჯელობდა გოჩაზე გაჯავრებული გვადი, ხან [illegible]
კიდევ ჩუმად თავისთვის. ამ მსჯელობაში არც კი შეუმჩნევია, ფეხი ისე
აედგა და იმ გზას გაჰყოლოდა, რომელიც ქალაქისკენ მიიმართებოდა.
ეს მას თვალში მხოლოდ მაშინ ეცა, როცა ბიგვებისა და სალანდიების
დაპირისპირების დროს გოჩას მოქნეული ნაჯახი მოაგონდა და თავი
ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ ბრაზისაგან გაიგუდა. შესდგა და
გაიჯგიმა. გვადის სრულიად არ მოსჩვენებია დაგვიანებულად, რომ გო-
ჩას მოულოდნელ შემოტევაზე ახლა დააპირა პასუხის გაცემა. ცალი ფე-
ხი წინ წასდგა და ორივე ხელით წელზე დაკიდებულ დანის ქარქაშს
ისე წაეპოტინა, თითქოს სატევარზე ხელი გაიკრაო. ამ დროს წინ რომ
გაიხედა, სწორედ მაშინ იცნო გზაც და გზის პირიც.

— ბიჭოს, ეს სად მოვსულვარო, გულწრფელად გაუკვირდა. ხელ-
წატანებული დანაც დაავიწყდა და გულზე მომდგარი ბრაზიც. იქაურო-
ბა კარგად შეათვალიერა. ხელმარჯვნივ, გზის გაყოლებაზე მომაღლო
ადგილას გაშენებულ კოლმეურნეობის სახერხ ქარხანაზე შეაჩერა თვა-
ლი. ქარხანა უკვე აუმუშავებიათ. გარკვეულად ისმოდა მისი ხრიალი
და თუქთუქი. გვადის გაუხარდა, რომ გოჩას სახლიდან ამოტელა გზა
ასე შეუმჩნევლად გამოევლო და თითქმის სოფლის ბოლომდე მიეღწია.
უკან დაბრუნებაზე ეხლა ფიქრიც არ შეიძლებოდა. ქარხნის დანახვამაც,
რალაც ახალი მოსაზრებანი დაუტრიალა თავში.

— იქნება არც ისე დაკარგულია ეს დღე და, შეიძლება, ბედმა სწო-
რედ აქ გამიღიმოსო, — გაიფიქრა გვადიმ ხმამაღლა.

ცერზე შესდგა, ვითომ ტანი აიმაღლა, რომ ახალი მასრით შამოზღუ-
დულ ქარხნის ეზოში ვინმე ნაცნობი დაელანდა. სწორედ ამ დროს, თი-
თქოს გვადის ნატვრა აუსრულდაო, ქარხნის ალაყაფის კარები ფართოდ
გაიღო და იქიდან გამოსული ცხენოსანი კაცი ძირს გაჩქარებით დაეშვა.
ცხენიც იცნო გვადიმ და მხედარიც, ისე გაუხარდა, გაქცევაც კი დააპირა,
რომ წინ შეგებებოდა, ხელიდან არ წამივიდესო. მაგრამ გადადგა თუ
თუ არა ორიოდე ნაბიჯი, ისევ შესდგა და განზრახ განზე ცქერა დაი-
წყო. გარკვეულად დაინახა, რომ მხედარმაც შორიდანვე შეამჩნია იგი
და, ალბათ, გვადის დანახვა იმასაც გაუხარდა, რადგანაც მათრახიანი
ხელი მაღლა ამართა და გვადის ნიშანი მისცა: დადექ, შენი ნახვა მინ-
დაო. მაგრამ გვადიმ ამ დროს ზურგიც კი შეაქცია მხედარს, რომ რაიმე
დაინტერესება არ შეტყობოდა. მხედარი მალე ხრიალ-ხრიალით და-
ეშვა გზატკეცილზე ცხენი გვადისკენ მოატრიალა და გამოჭანებული
ზედ ისე ახლოს მიაგდო, თითქოს გატანა დაუპირაო. როცა დადგა, მათ-
რახის ტარით მაღალი ფაფახი თავს უკან მოიგდო და გვადის ანთებუ-
ლი თვალები დაუბრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ ბაზარში არ ხარ, ყურმუსალო? დაგავიწყდა რომ პარასკევია?

სანამ გვადი რასმე პასუხს გასცემდა თვალები აკანკალებულ მოაკლო გარემოს, ხომ არავინ გვიცქერისო, მერმე ცხენიდან მთელი ტანით გადმოიხარა და გვადის საიდუმლოდ შესისინა:

— ახლავე სულ სირბილით იარე, იცოდე, თორემ ვაი შენს დღესაქმეა, გესმის? შენს ამბავსაც იქ გეტყვი... გაგახარებ.

გვადიმ ახლა კი მოასწრო და მოუჭრა:

— თუ ასე გინდა, ჭირიმე, შემომისვი მაგ ბედაურზე, ერთად მივალთ და ის იქნება.

მხედარმა სახე შეიკრა, ისევ გაიმართა უნაგირზე, აწკეპილი ულვაშები დამცინავად შეაქანა და გვადის უკადრისად ესროლა.

— ბიგვა ხომ არ გგონივარ, მამაძაღლო? როგორ მიბედავ!

ერთხელ კიდევ დაუბრიალა გვადის თვალები, ცხენი შეაბრუნა, ყალყზე შეაყენა და ადგილიდან ოთხო დასძრა. გზაზე ქარითივ გაერთხა.

ეს იყო ორკეთის კოლმეურნეობის სახერხი ქარხნის ყოფილი პატრონი და ახლანდელი მისი გამგე, არჩილ ფორია. ძველად მოაზნაურო და შეძლებული ოჯახის შვილი, რომელიც ამას წინად გაბრაზებულმა გვადიმ, გოჩას სანატრელ სიძედ და ქურდად დასახა. გვადი მამამისის ნამოჯამაგირალი იყო ოდესღაც და იმ დროიდანვე არჩილს ჰყავდა შეჩვეული ზოგი თავისი საიდუმლო საქმის მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ კარგა დიდი ხანი იყო მას შემდეგ გასული, რაც გვადის ფორიების მოჯამაგირეობისათვის თავი ჰქონდა განებებული, არჩილთან საიდუმლო კავშირი მაინც არ შეეწყვტა. ზოგ შემთხვევაში ძველი ხათრი ამოქმედებდა, ზოგჯერ შიში, უფრო ხშირად კი ის გარემოება, რომ ეს საქმეები, თუ დიდად არა ცოტად მაინც ხელმოსათბობი იყო და იოლი შესასრულებელიც. ახლაც ჭკუაში დაუჯდა არჩილის წინადადება. იქნება, ბედი ისევ, მომიტრიალდა დღეს და არჩილის წყალობით ქალაქში რასმე სახეიროს წავაწყდეო, გაიაზრა იმედიანად.

მაშინ, რა თქმა უნდა, უთიკნოდაც შესძლებდა ბალღებისათვის დაპირებული ჩაფულების მოტანას.

— ამ ორპირ ქვეყანაში ლელოს გატანა ტყუილითა და მამაძაღლობით თუ შეიძლება, ჩემო ბიძია გვადი — მოფერებით მიმართა მან თავისთავს, როცა არჩილ ფორია თვალთაგან გაუქრა და მისი წინადადების შესაძლებელი სახეირო შედეგი გაითვალისწინა.

მერმე წელგამართულად, თამამად დაიძრა წინ თავისებური ათოხარიკებით, როგორც სჩვეოდა ხოლმე ჩქარი სიარულის დროს.

## V

წინად მაზრის, ახლა კი რაიონის ცენტრი საკმაოდ მოზრდილ და კეთილმოწყობილ ქალაქს წარმოადგენდა. მას ხელშეუხლებლად შეენარ-

ჩუნებია ერთი ტრადიცია: როგორც წინად, ახლაც იგი კვირაში მხოლოდ ორჯერ მართავდა ბაზრობას — პარასკევობით და კვირაობით. წინად ეს სრულიად აკმაყოფილებდა ქალაქის მოთხოვნილებას. მოქალაქეთა რიცხვი არ იყო დიდი და რაც იყო, იმისაც საკუთარი პატარა სოფლური მეურნეობა ჰქონდა შინ გამართული. მოსულთა, უცხოთა რიცხვი კი მეტად მცირე იყო—მეტწილად ადმინისტრაციისა და სხვა სამაზრო დაწესებულებების მოსამსახურენი. ორი დღის ბაზრობა თავს აუდიოდა ქალაქს. დიდი ბაზრობა მხოლოდ დიდი დღესასაწაულებების წინადღეს იმართებოდა და ყველაზე დიდი კიდევ — წითელ პარასკევს. ამჟამად კი მდგომარეობა გამოცვლილიყო: წინანდელი საადმინისტრაციო ქალაქი დიდი საბჭოთა მეურნეობებით და კოლმეურნეობებით მოფენილი, ბუნებით მდიდარი რაიონის სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი გამხდარიყო. არა ერთსა და ორს პირველი მნიშვნელობის ქარხანას და მთელ რიგ დიდსა და პატარა საწარმოს დაესერა მისი მიდამოები. მცხოვრებთა რიცხვი ერთიორად გაზრდილიყო. მეტწილად მოსული ხალხი შემატებოდა — მუშები, ტექნიკოსები, აგრონომები, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები. კვირაში ორი დღის ბაზრობა უკვე საკმარისი არ იყო. მაგრამ რაკი ტრადიცია უცვლელად დარჩენილიყო, ყველა სცდილობდა ამ ორ დღეს მთელი კვირის საკმარი ხორაგი შეეძინა. გაზრდილმა მოთხოვნილებამ ხალხიც აამოძრავა. რაიონი დოვლათიანი იყო და ხალხი მოგების მოყვარული. უხვად, ულეველად მოაყარა სანოვაგე ქალაქს.

დღესაც უწყვეტი მდინარებით, ღრიანცელითა და ხმაურობით შედიოდა მობაზრე ხალხი ქალაქში. ქალაქის მისავალ ქუჩებში ტევა არ იყო. ურმების ჭრიალს, გასაყიდად მორეკილ მსხვილ და წვრილ-ფეხა საქონლის ბღავილს ყურთასმენა წაელო. ქალი, კაცი, დიდი და პატარა ერთმანეთში ირეოდა და საბაზრო მოედნისაკენ გაფაციცებით მიისწრაფოდა.

გვადი გლეხების ერთ ჯგუფში გარეულიყო და დასავლეთის მხრიდან ქალაქის შესავალ ფართო ქუჩით ბაზრისკენ მიიმართებოდა. მასლაათობდენ და ისე მიდიოდენ. გვადი ერთ უცნობ გლეხს აკიდებოდა, რომელსაც თხა და თიკანი მიჰყავდა ბაზარში გასაყიდად. თხისათვის პატრონს თოკი შეეება კისერზე, ხოლო თიკანი დედას უთოკოდაც მოუშორებლად მისდევდა.

გვადიმ ჰკითხა გლეხს, რამდენად აფასებო თიკანს. პასუხი რომ მიიღო, ურჩია ორჯერ უფრო მეტი დაეფასებია. იქვე უამბო: მე თოკშებმული მომყავდა თიკანი, მაგრამ გზაზე მაინც გამექცაო, ეს კი ჭკვიანი ყოფილა და მეტი ღირსო. თხის პატრონმა გაკვირვებით შეხედა გვადის.

— შე კაცო, დედა თხა რომ თოკშებმული წამოგეყვანა, თიკანი არსად გაგექცეოდაო. მაგრამ გვადიმ ბეჯითი ხმით მოუჭრა.

— მართალია, მაგრამ ის მაინც გაიქცეოდა, ისეთი წყეულია! ადამიანივით ზოგი თიკანი უზნეო გამოდის, თოკი კი არა, ... შეაბა, მაინც თავისას არ დაიშლისო! — მერმე სთხოვა: — ჩუს სახელზე ხუთი მანეთი მაინც წაუმატე მაგის ფასს და თუ მოგცეს, მე მომიგონეო, — და გამოეცნაურა: — სახელად გვადი მქვია, გვარად ბიგვა გახლავარ, ორკეთელი კოლმეურნეო.

— გვადი! — გაკვირვებით შედგა გლეხი. — მაშ, შენა ხარ ის ორკეთელი გვადი? მე კი ვერ გცნობდი, შე დალუპულო! გამიკვირდა კი: ვინ არის ეს თარსი კაცი მეთქი! — დიდი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა გვადის თავით ფეხამდე და მერმე ისე ხმამაღლა გადიხარხარა, ზღაპრული ოჩოკოჩივით, რომ მთელ ქუჩას გააგონა.

გვადის ბაზრობა იმიტომ უყვარდა უმთავრესად, რომ უცნობ ხალხში ტრიალი განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა. ენის ქავილსაც უკეთ იქარვებდა იქ და თავის გონებამახვილობას უფრო თამამად იჩენდა. უცხოთა შორის სხვანაირად ეჭირა გვადის თავი. — ღირსებას იცავდა და გაუდიოდა კიდევაც. ეს გარემოება იყო მთავარ მიზეზთაგანი, რომ ყოველი ბაზრობა მას ასე რიგად იზიდავდა. მართალი უნდა ითქვას, თავის სოფელში გვადის ვერ ჰქონდა კარგი სახელი მოხვეჭილი. ადამიანისთვის კი თავის გამოჩენა, ყურადღების მიქცევა, პატივისცემის დამსახურება ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი. ორკეთში სწორედ ეს აკლდა გვადის. შორეული სოფლებიდან ქალაქში თავმოყრილ გლეხებსაც დიდად უყვარდათ მასთან გასაუბრება. მოსწონდათ გვადის ენამახვილობა და მის უცნაურს აზრებს ინტერესით ისმენდენ. გვადიც სულით და გულით ერთობოდა.

აზიურად წინ გადახურული, დაბალი, ძველი დუქნების რიგს მიყვებოდენ. ერთი დუქნიდან გვადის ანაზდად ნელი ღიღინი მოესმა. უწინ სამიკიტნო იყო აქ, ახლა კი კოოპერატიული სასადილო მუშაობდა. გვადიმ სიმღერას იმიტომ მიაქცია ყურადღება, რომ არეულად მღეროდენ. მომღერალი კაცი იყო გვადი და მისი სმენა ვერ იტანდა, როცა შეუწყობელი სიმღერა ესმოდა. გარდა ამისა ერთი ხმა ისე ენიშნა, რომ არჩილის ხმად მოეჩვენა, ნაბიჯი შეანელა და ყური მიუგდო. მაგრამ ღიღინი უცებ შეწყდა. გვადიმაც ჩაიარა.

არ გასულა ხანი, რომ უკან ვილამაც დაადევნა:

— გვადი!

გვადი ფიცხლად მოტრიალდა. — სასადილოს კართან არჩილი იდგა და უძახოდა.

— ბიჭოს! მართლა გვადი ყოფილხარ! მე კი ბაზარში გელოდი ერთხანს. მოდი აქ, შე პირძაღლო! — ბრძანების კილოზე მიმართა გვადის არჩილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ოცდახუთი წლის საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი, შავგვრემანი, წვერგაპარსული და მაღლა აწკეპილი კოხტა ულვაშიანი. მოძველო გახუნებული პალტო ეცვა, ფერგადასული, საყელო ყურებამდე აწეული თავზე ნაცრისფერი ფაფახი ეხურა, ყურებზე ჩამოშვებული. ფეხზე ჩვეულებრივი აზიური ფეხსაცმელები ეცვა, ახლად გაპრიალებული.

— მე კი შენ გეძებდი, ჭირიმე! — უპასუხა გვადიმ და მაშინვე მისკენ წალასლასდა. მიუახლოვდა თუ არა, თავი დაუკრა და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

— სამახარობლოს რას იძლევი, ახლავე სთქვი! — მიახალა არჩილმა, ჩამოსართმევად გამოწვდილ ხელზე ხელი აუკრა და მხარზე წაავლო, მაგრად შეაძაღვრია. — ჰო, სთქვი მეთქი, რას იძლევი? — ახლოს მოიზიდა, ყურში ჩაალაპარაკა. — კოლექტივმა ოდის ასაშენებელი ფიცარი მოგცა, ოხერო! იცი თუ არა, ეს ამბავი?

— მერმე რაა, ჭირიმე, ოდას მხოლოდ ფიცარი კი არ ეყოფა....

— მათავარი მაინც ფიცარია, სულელო!!.. გამოგიცხადეს კიდევაც? — კვლავ შეეკითხა არჩილი და ხელის კვრით მოიშორა. — მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს... სამახარობლო მაინც ჩამია, იცოდე, — ახლა არჩილი თითონ მიუახლოვდა გვადის, საჩვენებელი თითი ზედ ცხვირთან მიუტანა და ხმადაბლა, მაგრამ მუქარით განაგრძო: — ხომ იცი, ქარხანა ჩემს ხელშია. მინდა ხვალვე მოგცემ მასალას, მინდა — მთელი წელიწადი გალოდინებ! მაშ, რა გეგონა? მამაჩემის გამართულ ქარხანას მუქთად გინდათ დააძღეთ, არა? ვერ მოგართვი!.. აი, აქ მყავხარ, იცოდე! — ცხვირთან მიტანილი ხელი მაგრად დამუშტა და თვალწინ გაუქან-გამოუქანა.

— მამაშენი მწყალობელი იყო ჩემი, ჭირიმე! შენგან კიდევ მეტს მოველი, აბაააა... — შეელაქუცა გვადი.

არჩილმა ნაბადსქვეშ შეუყო ხელი, მკლავი მაგრად დაუჭირა. თვალების საიდუმლო ნიშნებით ჩააცქერდა და ჩურჩულით უთხრა:

— ბარგია წასაღები... გესმის? ფულს მიიღებ... ცალკე ბავშვებისთვის საჩუქარსაც.

— კი, ჭირიმე... მაგის უარი როდის მითქვამს?! — ჩურჩულითვე მიუგო გვადიმ და ერთგული ძაღლივით თვალი თვალში გაუყარა.

— კარგი გიქნია, რომ დიდი ხურჯინი წამოგიღია... რა გაქვს შიგ? — ახლა ხურჯინს დააკვირდა არჩილი.

— არაფერი... ორიოდე რაღაც... — ბორძიკით დაიწყო გვადიმ.

— ალბათ, გროშის საღირალია... აგინაზღაურებ! — რიხით მოუჭრა არჩილმა, მერმე უცებ სასადილოს კარს ხელი ჰკრა და ფართოდ შეაღო. გვადის უბრძანა:

— შედი!

სასადილოს ცალკე ოთახის კუთხეში ორი კაცი მიჯდომოდა გაწყობილ სუფრას და არჩილს ელოდებოდა. ერთი მათგანი ერევანის ძველი ნაცნობიც აღმოჩნდა. ეს იყო ამ ქალაქის ერთერთი დიდი კოლონიალური მაღაზიის ნოქარი, არჩილის მეგობარი კაცი, სახელად მაქსიმე. მეორეს გვადი პირველად ხედავდა. აქაურს არ გავდა, ჩამოსული უნდა ყოფილიყო. ნოქარს მეტად გაუხარდა გვადის დანახვა. წამოდგა და ისე შეეგება. ხელი ჩამოართვა, მოიკითხა, მოშვებული წვერი კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი. გვადის იგი ელამი ეგონა, ყოველთვის რალაც ისე ირიბად იცქირებოდა, როცა კი შეხვედრია.

— აბა, ახალმოსულს გაუმარჯოს! — სთქვა მან, დიდი ჭიქა წითელი ღვინით აავსო და გვადის წინ დაუდგა. არჩილმა იმ მეორე უცნობ კაცს გააცნო გვადი და თვალის ჩაკვრით უთხრა, დამკვრელი კოლმეურნეა ახალი სახლით დასაჩუქრებული. უბრალო ვინმე ა რგეგონოსო. მერმე გვადის სთხოვა, ერთი კარგი სიმღერაც შემოგვაწიეო, ამ სტუმართან არ შეგვარცხვინოო. ნოქრის მიერ გავსებული ჭიქა აიღო, გვადს პირთან მიუტანა და წინადადება მისცა, სული არ მოეთქვა, ისე დაელია.

გვადიმ წესისამებრ ჯერ უარი განაცხადა, დიდი ჭიქაა და მომკლავსო.

-- ექიმთან მივდივარ, წამალი უნდა შემიშხაპუნოს, ჭირიმე, და მთვრალი ვერ მივალო! —

ვინ დაუჯერებდა.

— წითელ ღვინოს რომელი წამალი სჯობია, შე სულელო! ტყირპსაც მოგირჩენს და მუცელსაც ისე დაგიწევს, რომ ღვედივით გაგიხდისო! — არ მოეშვა არჩილი.

გვადიმ დაილოცა და დალია. გაამოსო, უსურვეს და ახლა საჭმელიც შესთავაზეს.

არჩილი გვერდით მიუჯდა გვადის. მკლავი მხარზე გადასდვა და ყური პირთან მიუტანა, ვითომ ხმის შესაწყობად გაემზადაო, თან გვადის ზურგზე გადაგდებულ ხურჯინს ხელი შეუსვა ფარულად. — ალბათ, ვაშლი წამოუღია ამ წყეულსო, გაიფიქრა, რიცა ხურჯინის თვალი გარედ გაშინჯა.

— ასე ცოტა ვაშლი რომ წამოგიღია, შე უბედურო, შიგ რა ხეირი უნდა ნახო? ა? ამოტელა ხურჯინში ათი ვაშლი თუ იქნება! ამისთვის შეწუხდიო! — გვადის პასუხისათვის არ დაუცდია, ისე ხურჯინში ჩაჰყო ხელი. ამოიღო. ძალიან გაუკვირდა, რომ ვაშლის მაგიერ ხელს მანდარინი ამოჰყვა. წამოიყვირა:

— ბიჭოს! მანდარინი! — მაშინვე მოინაცვლა ხელი და ახალი რამდენიმე ერთად ამოიღო. ყველას გაუხარდა მანდარინის ნანახვა.

— სეზონი ჯერ კიდევ არ დამდგარა. საკვირველია, რა ადრე დამწიფებულა, — დინჯად წარმოთქვა გვადის უცნობმა მოსუფრალმა, აიღო

ერთი მანდარინი და დაკვირვებით გასინჯა. უწვეროო სახეზე ულვაშები ჰქონდა შეკრეჭილი, ქერა კაცი იყო. ეტყობოდა, ღვინო მოკიდებოდა ... ჰქონდა უფერული თვალები ამღვრეული.

გვადის ამ უცნობის სიტყვები არც გაუგონია, ისე შეეპყრო მისი ყურადღება ხურჯინიდან ამოლაგებულ მანდარინებს.

— ორი ხე რომ მიდგია, იმისია, ჭირიმე... — უნებლიე შეკრთომის დასაფარავად განუცხადა გვადიმ არჩილს. — რამდენიმე ცალი რალაც ადრე დამწიფდა ეს ოხერი... — ამ სიტყვაზე ენა წაუბორძიკდა. სიტყვა გაისწორა: — თქვენისთანა პატიოსან კაცებს პირს ჩაუგემრიელებ მეთქი ვითომ... — და არ გაუცინია, ისე უცნაურად ჩაიხითხითა. ამასობაში არჩილმა მანდარინები ერთი მეორეზე სულ მთელად ამოაწყო ხურჯინიდან და მაგიდაზე დაალაგა. როცა მორჩა გვადის შეუტია:

— სტყუი მამაძალლო... შენი ხისა კი არა, კოლმეურნეობის ბაღში გექნება დაკრეფილი. — სუუ! — და ამხანაგებს მიმართა: — მიირთვით! ნაქურდალის წართმევა ღმერთს გაუხარდებაო. —

იმ ორმა კაცმა ისეთ კილოზე გაიცინეს, თითქოს გვადის აგრძნობინეს, რომ არჩილის სიტყვა არ სჯეროდათ. მაგრამ ყველაზე უფრო ხმამაღლა თვითონ გვადიმ გაიცინა ცილისწამების გასაბათილებლად. არჩილი და მისი მეგობრები მანდარინს შეექცენ.

ვერავინ ვერ მიხვდებოდა, თუ საიდან მოაგონდა გვადის და მაინცადამაინც ახლა რამ წაახალისა, რომ როგორც კი გაფცქვმეს მისი პირველი მანდარინი, დახლიჩეს და დაარიგეს, მაშინვე თვალები მინაბა და მალალი ხასანბეგურა წამოიწყო. ამ სიმღერის დიდი ოსტატი იყო გვადი და ხმაც შესანიშნავი ჰქონდა. აყვნენ დანარჩენებიც, ვის როგორ შეეძლო. ის თვალმღვრიე უცნობი მანდარინის ჭამასაც ახერხებდა და სიმღერასაც. ნოქარი კი მანდარინს ვერ შელეოდა, მხოლოდ ხანდახან თუ მოუშვებდა ბანს. გვადი მაინც თავისას განაგრძობდა და ხმას სულ მაღლა და მაღლა უწევდა. დრო გამოშვებით მალულად გაახელდა მინაბულ თვალებს, მაგრამ დაინახავდა თუ არა, რა მადიანად შეექცეოდენ მოსუფრალები მის მანდარინებს, უმალვე ისევ დახუჭავდა, ხმაში ცრემლიანი სასოწარკვეთილებას გაურევდა და ცამდის ისე მოქნეულივით შეისროდა. თითქოს ამბობდა: ჯანდაბას ჩემი ოხერი თავიო.

როგორც კი გაათავეს გვადის მანდარინები, არჩილი და მისი მეგობრები მაშინვე წამოიშალენ. ალბათ, ყველას საქმეზე მიეჩქარებოდა და დილის მოკლე საუზმე აღარ გაუგრძელებიათ. გვადის მანდარინისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს და საბოლოოდ მესამე დიდი ჭიქა დააცლევინეს.

არჩილმა ნახარჯი გადაიხადა. მერმე გვადი განზე გაიხმო და ჩაგონებით უთხრა:

— შენ ახლა მაქსიმეს გაყევი... რაც მოგცეს ხურჯინში კოხტად ჩაალაგე, თავი კარგად გამოუკარი და შინისკენ გასწი. ბაზარში რაღა გინდა, სავაჭრო და თავშესაქცევი არაფერი გაქვს... ხურჯინი დასრულებამდე შენსას შეინახე, კარგად რომ დალამდება მაშინ ჩემსას მიიტანე, მე თუ მე თუ არ ვიქნე დედაჩემს გადაეცი. არავინ შეგნიშნოს, თორემ ვაი შენს დღეს, ფიცარს მოგცემ კი არა, აი ამით გულს შუაში გაგიხვრეტო...

პალტოზე ხელი გაიკრა, გადაიწია და, ვითომ ისწორებსო, წელზე შემორტყმული რევოლვერი უფრო წინ გადმოიწია, რომ გვადის კარგად დაენახა, გვადის მაინცდამაიმც დიდი შიში არ დამჩნევია. იგი პირისწკაპუნით რაღაც სიტყვის სათქმელად ემზადებოდა, მაგრამ პირიდან არ ამოუდიოდა, ვერ ახერხებდა. ცალკე ღვინო ურევდა გონებას, ცალკე განადგურებული მანდარინების მოგონება გულს უფორიაქებდა, ბოლოს მაინც მოახერხა და არჩილს გააგებინა: ცოტა გროში მჭირია, ბალღებს თვალის მოსატყუებლად მაინც რამე მიუტანოო. რაკი მიმსახურებ და სასყიდელს მპირდები, ფული ბარემ ახლავე მომეცი. არჩილმა ცალთვალის წკურვით მოუსმინა.

— სულწასული ნუ ხარ, ყაზახო! საქონელი შინ მშვიდობით დამიბინავე, მაშინ ფულსაც მიიღებ და საჩუქარსაც! ხომ იცი ჩემი სიტყვა ბეჭედია. ახლა გასწი, ნულარ აგვიანებ... იქნებ, მეც გზაზე წამოგეწიო. — გადაჭრით უთხრა არჩილმა და ქისტის კვრით მაქსიმეს და იმ უცნობ კაცს უკან დაადევნა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. აბაშიძე

# სამხარაძის დაბრუნება

ცისკრის ვარსკვლავი მიდის და ჰქრება,
ყველა სანთელი ბნელდება ღამის,
ხეებზე ვერცხლის ქინძისთავებად
განთიადისას ენთება ნამი.

თენდება, სოფლად ერევა ხშირ-ხშირ
კრამიტს ჩელტი და ფართო ყავარი
და გახვეული კვამლში და ნისლში
ხევზე იმოკლებს გზას ორთქლმავალი.

მოაფრენს ვაგონს კეთილ მგზავრიანს
და სადგურებთან კივილს უმატებს
იქნება მართლა ეს სიზმარია
ივონებ გზებს და კრემლის ეუმბათებს.

ივონებ ტაშის დაშვებას როგორც
ღამით ასფალტზე ცხენთა ჭეხებს.
ზღაპრული იყო არ იყო ოლონდ,
არც სიზმარი და არც მოჩვენება.

შემოგხვევია მგზავრების წყება
იწყებ და მთებზე კვამლი, რომ ბოლავს
ისე მჩატდები, — არ მოგწყინდება
ოვით სიკვდილამდეც ამბის მოყოლა.

შემოგყურებენ შუბლს უშვერ ნიავს,
თითქო არაფერს არ იხედები...
და გკითხულობენ ცოლიანია? —
გასათხოვარი ქალის დედები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ბედნიერად დასრულდა გზები,
რა საოცარი ამბის მხილველი!
ზიხარ მგზავრებში და ასჯერ ყვები
ბატარებელის მგზავრი პირველი

გრძნობ: მოსათხრობი ბევრი რამ არი
და თუ ბოლომდე მაინც ვერა თქვი
წერაქვი იტყვის, მიდი დაჰკარი
დასვენებული შენი წერაქვი.

თვემ გაიარა... ახლა ძლიერი
იქნებ სხვა გაჩნდა შენი გამსწორები.
შორიდან გრძნობენ ბთას ლა ლერიშს
დასვენებული შენი სახსრები.

თვემ გაიარა... კვირტი არ ჩანდა,
ვაჭყურებ ხეებს ყვავილებიანს
ცნობის მოკვარედ ჩანან ბაქანთან
და ბალლებივით თვალ წინ დგებიან.

შორს მიდენიან შარებზე ნახირს
თავზე გადგება ცა ჩვენებური
— ამილე, მოდი! — გაგებებს ძახილს
წერაქვი შენი დასვენებული.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ჯავახიშვილი

# ქალის ჯვრით

## რომანი *)

*
* *

ნეფე-დედოფალი ერთად ჩასხეს ლანდოში. ცხენოსანმა მაყრებმა მაშხალები აანთეს, გარს შემოეხვივნენ და ყველანი გაქანებული თოხარიკით წამოვიდნენ. მათ ყვავილებით მორთული ოციოდე ეტლი გამოჰყვა. შიგ მსხდომნიც საუკეთესოდ მორთულიყვნენ და ყოველ ფაიტონში მოზრდილი თაიგული მოსჩანდა.

მაყრებმა ახატნელის სახლთან შეაჩერეს ცხენები, მარდად ჩამოსკუპდნენ, სადავენი ბიჭებს მიუგდეს და ყველაზე ადრე აცვიდნენ კიბეზე. ყველას ილიკომ აასწრო. მას კარებში მარიამი მოეგება. მისგან სამახარობლოდ ღვინით სავსე ვერცხლის თასი და მშვენიერი ბაღდადი ერგო. მახარობელმა ღვინო დალია, თასი სამახსოვროდ შეანახვინა და ბაღდადი მკლავზე მოიხვია.

ქუჩა იმ-უბნელებით გაივსო. ყველა წინ მოიწევდა, რათა ნეფე-დედოფალი ენახა. ავშაროვმა ხელი მისცა ქეთოს და ცნობის მოყვარეთა ბრბო ძლივს გაარღვია.

შესასვლელ კარებში ორი მაყარი საპატიო გუშაგივით გაჭიმულიყო. მათ ხმლები გაეშიშვლებინათ და კარის თავზე გადაეჯვარებინათ. ნეფე-დედოფალმა ამ კამარაში გაიარა. კიბის ყოველ ბაქანზე ასეთივე წყვილი იდგა. მარიამი, მადამ გალინა და ანდრია შინ დაუხვდნენ. ცოლქმარი სასიხარულო ცრემლით მონამეს, მერმე მორთულ სავარძლებთან დააბრძანეს და თვითონაც იქვე დასხდნენ.

ნამდვილი მხურვალე მოლოცვა ახლა დაიწყო. მოწესედ თვითონ ანდრო დადგა. სტუმრები ნეფე-დედოფალთან რიგრიგად მიჰყავდა და მათს წოდება-ვინაობას ასახელებდა. ხვევნა-კოცნას და ხელზე მთხვევას დასასრული არ უჩანდა.

ავშაროვის მაყრები — აფიცრები და ჟანდარმები განზე იდგნენ. ანდრო არც იმათ ივიწყებდა, თავისიანებს აცნობდა. მაგრამ მას ოდნავი

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5—6.

წუხილი ეტყობოდა, ვინაიდან მისი შვილები და ძმისწულები აღარ სჩანდნენ. მან რამდენჯერმე შეიხედა ოთახში და ვერც ერთ-ერთ ვერ ამჩნევდა. ის გრძნობდა, რომ იმის და მარიამის მარტოობას ყველანი ამჩნევენ, და ამის გამო უარესად შფოთავდა. ეს შფოთი ოდნავ ანიკომ შეანელა. ის თავაზიანად მიესალმა ავშაროვს, იმის დედას, მათს ნათესავ-მეგობრებს და ქეთოს მიუჯდა.

მერმე გრიგოლი და დიმიტრი შემოვიდნენ, ნაძალადევად თბილი სალამი მისცეს ახალ ნაცნობ-ნათესავებს, ქეთო დაჰკოცნეს და ხალხში გაერივნენ.

ანდროს გულს მოეშვა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა: ის შვილს ელოდა, პირმშო შვილს აკაკის ეძებდა. იმის ნაცვლად თამარა გამოჩნდა. ის გაქანებული ჩაეხვია ქეთოს, ძლივს მოშორდა მას, სწრაფად ჩამოართვა ხელი სიძეს, უმიზეზოდ გაიცინა და მარიამს ამოეფარა.

ახალგაზრდა ცოლქმარი ზეზე იდგა. მათ მოჰბეზრდათ ესოდენი ხვევნა-კოცნა და ხელის ჩამორთმევა, მაგრამ ამას არ იმჩნევდნენ. ყველას ულიმოდნენ, საპასუხო მადლობას უხდიდნენ და დროგამოშვებით ისევ სხდებოდნენ, მაგრამ ახალ-ახალი სტუმრების გამოჩენაზე ისევ ზეზე დგებოდნენ, ისევ ნაძალადევად იღიმებოდნენ და დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდნენ.

ილიკო მამას ეხმარებოდა: თავის ნათესავები რიგრიგად შემოჰყავდა და ახალახლის საძებნელად მიდოდა. ბოლოს აკაკიც დააჯერა, თითქმის ძალით მოიყვანა და ბოლომდე მოჰყვა.

— ჩემო ქეთინო, ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ— უთხრა აკაკიმ დას, ორივე ლოყა დაუკოცნა და მერმე ავშაროვს გაუწოდა ხელი.

ამ დროს ილიკომ უკნიდან ხელი წაჰკრა მას და ისეთი ხმით უთხრა, რომ თითქმის ყველამ გაიგო:

— ჩვენს სიძეს ყველამ ვაკოცეთ და შენც აკოცე... აკოცე მეთქი!

ავშაროვმა და აკაკიმ ერთსა და იმავე დროს მიიწიეს და ერთმანეთს თითო ცივი კოცნა უთავაზეს. აქა-იქ ხითხითი გაისმა. ილიკომ ტაში დაუკრა და წამოიძახა:

— ვაშა! გაამოს!

ხითხითი მოურიდებელ სიცილად გადაიქცა. ქეთომ ჩაიკისკისა. ავშაროვი გაწითლდა. აჭარხლებულმა აკაკიმ ჩაუსძინა ილიკოს: „სალახანავ!“ — და თავჩაღუნული გავიდა ოთახიდან.

ილიკომ დაქირავებულ ტაპიორს ნიშანი მისცა. მან ორივე ხელი ასწია, ათივე თითი მძლავრად დაჰკრა როიალს და ავსტრიულმა მარშმა ახატნელის სახლი მხნეობის აღმძვრელი ხმებით გაავსო. როცა იქ მყოფთა ნერვები სამარშოდ დალაგდა და ზოგის ფეხებმა შეუმჩნეველი იწყო ტოკვა, ტაპიორმა მარში შესწყვიტა, მცირე ხანს მოიცადა და გლინ-

კას საზეიმო მაზურკა დაუკრა. მძაფრმა შფოთიანმა რითმმა ყველას გული აუფორიაქა. სტუმრებმა კედლებისკენ მიიწიეს, ოთახიდან ხალხი აცეკვა გაიტანეს, ხალიჩა კუთხეში მიჰკეცეს და ერთ წუთში ხალხვარ ასპარეზი გააჩინეს. ხანშიშესულნი სასადილოში გავიდნენ და ჩაის მიუსხდნენ. თეორჩოხიანი ილიკო შუა ოთახში გავიდა.და შესძახა:

— Monsieurs, êngagez vos dames!— ბატონებო, ქალბატონები მოიწვიეთ!

მერმე ქეთოს დობილს ელო შაბურიშვილს წინ გაეჭიმა, მოწიწებით დაუკრა თავი, ხელი მისცა და სიძეს მიმართა:

— პირველი წყვილი თქვენა ხართ. ალონ! მაზურკა ენერალ!

ავშაროვმა აღარ დააყოვნა. ქეთოს ხელი ჩაავლო ხელში და დეზების ჟღარუნით წაიყვანა. მათ ახლად ჯვარდაწერილი სტუდენტი ვაჩნაძე, მისი ლამაზი ცოლი ლელი ჯორჯაძე და შვიდიოდე სხვა წყვილი გაჰყვა. ტაპიორი იგრიხებოდა და ხელფეხის გარდა თავს, მხრებსა და წელსაც კი იშველიებდა. ჟანდარმებისა და აფიცრების დეზების ჟღარუნში და ჩექმების ბრახუნში სულ აღარ ისმოდა ილიკოს მისტების სრიალი. ეს პოლონური გიჟმაჟური ცეკვა ისევე იყო დეზებზე და მაგარჭუსლიან ჩექმებზე გამოჭრილი, როგორც ლეკური იყო ჩუსტ-მისტიანთათვის მოგონილი. ილიკომ კარგად იცოდა, რომ ამ ცეკვაში მას სხვები დაჩაგრავდნენ, მაგრამ მაინც არ მოერიდა, ვინაიდან მას იმ საღამოს ყველაზე მეტად ნეფე-დედოფლის გამარჯვება უნდოდა.

ავშაროვიც გამოჩენილი მოცეკვავე იყო და კიდეც დირიჟორობდა ხოლმე. ყველაზე მეტად მას მაზურკა უხდებოდა და ილიკომ ამიტომ დაიწყო საღამო ამ ცეკვით. სტუმრები მაინც გაოცებულნი იყვნენ ილიკოს სიმკვირცხლითა და სიმარდით, რომელიც ყველაზე მეტად ლეკურში უნდა გამოჩენილიყო.

დირიჟორის კარნახით მოცეკვავენი ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერთმანეთის პირდაპირ შედგნენ კედლებთან. ავშაროვმა სოლო-ნომერი შეასრულა. ქეთომ მასთან ერთად უკანასკნელად სამი წლის წინად იცეკვა ინსტიტუტში. დრაგუნი ავშაროვი მაშინ უფრო ლაღი იყო, უფრო მკვირცხლი და უფრო მოქნილი. ახლა კი ოდნავ სისრულეში შესულიყო და სიდინჯე მომატებოდა. მან ქეთო ოთხჯერ ჩამოატარა ოთახში, რამდენიმე ფიგურა მბნედ და მოხდენილად შეასრულა და თავის ალაგას გაჩერდა. ნეფე-დედოფალი ფიცხლი ტაშით დააჯილდოვეს. მაზურკა სანამდის გაგრძელდა, მანამ ყოველი წყვილი სოლოს შეასრულებდა. შემდეგ კიდევ ერთხელ ჩამოუარეს ერთად უკანასკნელად და დაიშალნენ.

წვერაძის ბინაც სტუმრებით ივსებოდა. იქით ისეთი ხალხი შედიოდა, ვინც ევროპული ცეკვა არ იცოდა, ვინც მხოლოდ საქეიფოდ მოსულიყო და ვინც ჟანდარმებთან ერთად სუფრაზე ჯდომას თაკილობდა.

ქეთო ისევ თავის ალაგას იჯდა. წელან მაზურკამ ოდნავ შეაფიცხა და გამოაცოცხლა, მერმე კი ხელახლა დაღონდა. ავშაროვს ეტყობოდა, ეს დიანობას ამჩნევდა და იგი დაღლილობა ეგონა.

— მეც დავიღალე — ჩასჩურჩულა მან ქეთოს. — კიდევ კარგი რომ მოლოცვა გათავდა.

ქეთომ ხმა არ გასცა და კმაყოფილება განიცადა იმის გამო, რომ მისმა ქმარმა მისი დარდი დაღლილობად მიიჩნია. მან რამდენიმე თავისუფალი წუთი იხელთა, თავის გულში ჩაიხედა და სცადა მოწოლილი დარდის სათავე გაეგო, მაგრამ ვერ მიაგნო, და მხოლოდ ალღო ჩასჩურჩულებდა რაიმე ავსა და საზარელს.

უცებ კარებში პოეტი ელიზბარი გამოჩნდა და ისევ მიიმალა. ილიკომ ხელი წაავლო მას და ნეფე-დედოფალთან თითქმის ძალით მიიყვანა. იმ დილას მან თუმნიანი მიუგდო შუჭურაულს და უბრძანა აბანოში წასულიყო, თმა და წვერი გაეკრიჭნა, საყელო გამოეცვალნა და მადათოვის კუნძულზე ერთი დღელამით ახალი მუნდირ-შალვარი ექირავნა. ახლა ელიზბარი დავარცხნილი, განახლებული და ფერწასული იდგა ქეთოს წინ და საპანაშვიდო ხმით ულოცავდა. მერმე პირველად დასწვდა მთრთოლვარე ტუჩებით ხელზე და ავშაროვს ახედა. მან ზედმეტი თავაზიანობით ჩამოართვა ელიზბარს ხელი და პოლკოვნიკ ბეზგინს უთხრა:

— ბატონო პოლკოვნიკო, ეს სტუდენტი ის პოეტია, რომელიც ერთობას ემტერება, პოლიტიკას გაურბის და მაინც გვემალება.

— ააა, ძლიერ სასიამოვნოა, ძლიერ. — მან შუჭურაულს ღონივრად ჩამოართვა ხელი და ჰკითხა: — ისევ ხშირხშირად იცვლით ხოლმე ბინას?

თავზარდაცემულმა პოეტმა ხმა ველარ იპოვნა. მის მაგიერ ავშაროვმა უპასუხა სიცილით:

— სამი დღის წინად კუკიიდან მთაწმინდაში გადმოსახლდა, ახა-ხა!

— მაშ ერთ რჩევას მოგცემთ. — მიუბრუნდა პოლკოვნიკი პოეტს. — დღეს თავისუფლად იქეიფეთ, ხვალ კი ისევ გამოიცვალეთ ბინა და ერთ ალაგას სამ დღეზე მეტს ნუ დარჩებით, თორემ უეჭველად დაგაპატიმრებთ, ოხო-ხო!

— მთელ სიცოცხლეს ბინის ცვლაში გაატარებს.

— გაგიჟებული კვიცივით ირბინოს. იხი-ხი! ჩაურთეს სხვა ჟანდარმებმაც და როყიო ხარხარი ასტეხეს.

— ბატონებო, მე ელიზბარს თავდებად ვუდგები. — ჩაერია ილიკო. — მას არაფერიც არ დაუშავებია.

— ვიცით, ყველაფერი ვიცით. — მიუგო ბეზგინმა. — მაგრამ რახან გამალებით იმალება, ალბათ დასამალავიც ექნება რამე.

ელიზბარი უმანკოდ ილიმებოდა და ხმას არ იღებდა. უცებ ისე აიჩეჩა მხრები, თითქო უნდოდა ეთქვა, აბა რა გითხრათო, და დუნე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაპიორმა ჩუმი ვალსი დაუკრა. გიჟური მაზურკის შემდეგ „დუნაის ტალღამ“ მშვიდი რითმიული გუნება შეაპარა ყველას.

ახლა ბეზგინმა მიიპატიჟა ქეთო. ავშაროვმა ელო გაიყვანა. მათ თამარა და სხვებიც გაჰყვნენ და ათიოდე წყვილი ქალვაჟი თავდავიწყებული დატრიალდა ოთახში, როგორც ზოგჯერ ტკბილ სიზმარში სცურავენ ხოლმე ჰაერსა და მორევში.

აფიცრები და ჟანდარმები ისევ დეზებს აჟღარუნებდნენ და ჩექმის ქუსლებს ერთმანეთზე აბაკუნებდნენ. ილიკო და მისი ჩოხოსანი მეგობრები კვლავ ჩუმად დასრიალებდნენ. ტაპიორმა „დუნაის ტალღები“ „ფაუსტის“ ვალსით შეცვალა, რომელსაც შტრაუსის ვალსი მოაყოლა.

ილიკომ ბეზგინს ქეთო ჩამოართვა და დამსწრეთ საუკეთესო საფიგურო ვალსი აჩვენა. ყველანი შეჩერდნენ და დაძმას შესცქეროდნენ, რომელიც საოცარი სიმსუბუქით, სინარნარით და კოპწიობით ტრიალებდა. ცხადი იყო, რომ ეს წყვილი ვალსის ცეკვაში საფუძვლიანად დაგეშილიყო და ერთ არსებად ქცეულიყო. ჯილდოდ დაძმას საერთო აფრთოვანებული ტაში და ქება მიჰყვა.

მცირე შესვენების შემდეგ ვალსს პადესპანი, კადრილი, პადეკატრი და ცხარე ჩარდაში მოჰყვა. ქეთოს აღარ ასვენებდნენ. ყველანი რიგში ჩაეწერნენ, ყველანი ლამობდნენ დედოფალი მოეტაცნათ და თავიანთი ხელოვნება მასთან ერთად გამოეჩინათ. ცეკვამ ქეთოს სდა გაუქარწყლა სახე აელანძა. თვალები გაუბრწყინდა და თვითონაც აიშალა.

— ლეკური! ლეკური! — მოითხოვეს აქეთ-იქიდან.

კუთხეში დუდუკი ადუდუნდა. დოლი მძაფრად აკაკანდა. ტაში ქუხილით აჰყვა. ილიკომ ჩოხის სახელოები აიკეცა, ხელები ფრთებივით გაშალა, ქარიშხალივით მოირბინა ასპარეზი, ქეთოს წინ შედგა და დაბალი სალამი მისცა. ალეწილი ქეთო მაშინვე გამოვარდა. დაძმა ორი თეთრი პეპელასავით დაჰქროდა ოთახში. მათი სიტურფით და სიმკვირცხლით აღტაცებულმა სტუმრებმა ტაშის ხმაურს უმატეს.

უცებ წრეში ერთი მაყარი გამოხტა, ქეთო ილიკოს ჩამოაშორა და თვითონ მოიტაცა. ერთი წუთის შემდეგ ორი მაყარი გადმოხტა, პირველი მაყარი გათიშეს, ქეთო შუაში ჩაიყენეს და ტყვედ აქციეს. ქალი მარდად უსხლტებოდა მათ, მაგრამ ყველგან მათს გაშლილ ფრთებს აწყდებოდა. ბოლოს მაინც გაუსხტლა და ორს ახალ მაყარს შეეფეთა. დუდუკი დაილალა, ტაშის ძალაც შესუსტდა. ქეთოს არ უნდოდა შთაბეჭდილება შეენელებინა და დროზე გასხლტა წრიდან, თან მქუხარე ტაში და ქება-მილოცვა გაიყოლა.

ტაპიორმა ხელახლა დაუკრა ვალსი. ასპარეზი ხნიერებს დაუთმეს. ანდრომ ქეთო გაიწვია, ილიკომ თავის მძახალი გალინა გაიყვანა, ბეზგინმა მარიამს მოხვია ხელი. მათ ორჯერ მძიმედ მოიარაეს წრე და სიცილ-ლიმილით დაიშალნენ. ახალგაზრდობამ „ვაშა“ და ტაში მიაყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალამეს სტუმრები ორივე ბინაში გაშლილ სუფრას მიუსხდნენ და ქართულ თავაშვებულ ლხინს შეუდგნენ.

* *

შუალამე გადასულია. მართა, ზურაბი, ლევანი, თედო და რაჟდენი მართას ოთახში სხედან და ერთობაზე საუბრობენ. ძალებს სთვლიან, წვრილმანსაც ანგარიშობენ და ოდნავ მჭმუნვარენ არიან: გუშინდელი მანიფესტის გამო „მიქელ ანგელოზის კავშირი“ და მთელი ბნელეთი აფორიაქებულიყო, გაერთიანებულიყო და განეზრახა ხვალ ჯარისა და პოლიციის მფარველობით ქუჩები წაერთმია ერთობისთვის და თვითონ გაბატონებულიყო.

— თუ ქუჩა წაგვართვეს, ყველაფერს წაგვართმევენ. — ამბობდა თედო. — მანიფესტისაგან აღარაფერი შეგვრჩება.

— თუ ბედოვლათობა გამოვიჩინეთ, უმაგისოდაც აღარაფერი შეგვრჩება—ნელი ხმით მიუგო თავჩაქინდრულმა ზურაბმა, რომელიც იმ საღამოს დაფიქრებული იყო და საუბარში თითქმის არ ერეოდა. მართამ რამდენჯერმე სცადა ზურაბის უგუნებობის მიზეზი გაეგო, მაგრამ გული ვერ გაუხსნა და ამიტომ თვითონაც პირქუშად იყო.

— მაშ ქუჩა რომ წაგვართვან...

— ვერ წაგვართმევენ. — გააწყვეტინა ზურაბმა. — რა დასაჯერებელია! ხვალ კონტრ-დემონსტრაციას არ გავმართავთ, მაგრამ მერმე რაღას იზამენ? მე სხვა რამე მაწუხებს: ახლა მაგაზე უარესი ხიფათი გაგვიჩნდა. მტერმა ზურგიდან მოგვიარა. მანიფესტმა მენშევიკები მთლად გააშიშვლა, გაალიკვიდატორა და დააჯერა, თითქო მთელი ძალლონე საველმწიფო სათათბიროს უნდა შევალიოთ და ძალაუფლება იმის საშუალებით უნდა მოვიპოვოთ. უკვე ჩურჩულებენ: ხიდი გავდოთ, ხელი გავუწოდოთ, იარაღი დავყაროთ, თორემ მონაპოვარსაც წაგვართმევენო.

— ეგ ლაჩრობაა!.. ღალატია!.. უსინდისობაა! — მიაყარეს თედომ, რაჟდენმა და ლევანმა.

— ესე იგი, ჩვენვე უნდა დავუთმოთ ხულიგნებს ქუჩაც და იარაღიც? — აღშფოთებით წამოიძახა თედომ.

— ტყუილია მეთქი. ერთ ნაბიჯსაც არ დავუთმობთ. — დაამშვიდა ზურაბმა ამხანაგები. და ეკლავ ზემო სართულს ნიაპყრო სმენა. იქიდან განუწყვეტელი როიალის ჟღარუნი, საზანდრის მოთქმა, დუდუკის ბუტ-ბუტი, შეძახილები, ცეკვის ბრაგუნი და სიმღერა მოისმოდა. ფანჯრები ღიად იყო და ამიტომ მკაფიოდ ისმოდა, „ნეტავი გოგო მე და შენ“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „თამარის დროშა გაშალეს“, „მრავალჟამიერი“ და ბევრი ამგვარი ხალხური და რატილის მიერ გადმოკეთებული სიმღერა, ხოლო ბოლოს ბოლოს ამ ბოლოს ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულს“, „ოი მარი“-ს, „სანტა ლუჩია“-ს და საოპერო არიებსაც მღეროდა. მას ტაშით და „ვაშას“ ძახილით აჯილდოვებდნენ.

ოთახში ნიკო შემოვიდა და აფორიაქებულმა წამოიძახა:

— ეს კი მეტის მეტია!

— რა იყო? რა მოხდა? — მიაყარეს აქეთ-იქიდან.

— საძაგლობა მოხდა... საზიზღრობა მოხდა. ჩემმა პატიოსანმა ძმამ აკაკიმ ავშაროვს ბედნიერება მიულოცა და თურმე.... თურმე ერთი გემოიანად აკოცა.

ოთახში ღვარძლიანმა ხარხარმა ამოხეთქა. ბოლოს ნიკომაც გესლიანად ჩაიხითხითა. მარტო ზურაბს არ ეცინებოდა. შუბლ-შეკრული იჯდა და ამხანაგებს შესცქეროდა.

— ღალატია, მაშ რა ჯანდაბაა!

— ეს-არის ახლა მაგაზე ვლაპარაკობდით.

— ხიდი გასდო... იარაღი დაჰყარა... ღალატია მეთქი!.. ზურაბ, შენ რალას გაჩუმებულხარ? გვითხარი რამე.

ზურაბი ახლა განზე იცქირებოდა, თითქო სიწითლეს მალავდაო. მცირე ხანს კიდევ იყუჩა და სთქვა:

— აბა რა, გითხრათ ამხანაგებო. აკაკის ამბორი უჩემოდაც სწორად შეაფასეთ. ეს კოცნა იუდას ამბორია. დღევანდელ დღიდან აკაკი საბოლოოდ მოგვწყდა. მე იმის იმედი არც უწინ მქონია. მაგრამ ნუ შევშინდებით. გულს ნუ გავიტეხთ. აკაკის არავინ არ გაჰყვება, უმთავრესი ლაშქარი კი ისევ ჩვენ დაგვრჩება. მე ზოგის ღალატს ადრეეც მოველოდი, ამიტომ ეს ამბავი არ გამკვირვებია.

უცებ კარი დააკაკუნეს. ყველანი კრთობამ მოიცვა. ზოგმა იარაღზე იტაცა ხელი. ნეტა ვინ მოხეტიალდა ამ დროს? ვის რა საქმე აქვს მართასთან? ზემო სართული ჟანდარმებით არის სავსე და ნუ თუ... არა, შეუძლებელია, დაუჯერებელია! ეს ბინა კი არ არის, ეს ნამდვილი ხაფანგია. თუ მოაგნეს, ვერც ერთი ვერ გაუსხლტება. ვაჟები დაჭიმული იდგნენ და მზად იყვნენ თავიანთი სიცოცხლე და თავისუფლება ძვირად დაესვათ მტრისთვის, მაგრამ ჟანდარმების მაგიერ კარი ანიკომ შემოაღო და იქვე შედგა.

ზურაბი ალაგიდან არც კი დაძრულიყო, ჯიბეში ხელი ჩაეყო და შეკუმშული იჯდა. უცნობი ქალი რომ დაინახა, მხიარულად გადიხარხარა და ჯიბიდან ხელი ამოიღო. სხვებმაც გაიცინეს და ახალმოსულს შეაჩერდნენ. მას მართა მიეგება.

— ქეთო გეხვეწებათ, ათი წუთით მაინც ამოდით და გვირგვინი დამილოცეთო. — უთხრა ანიკომ დაბალი ხმით მართას. — ჩვენები წვერაძის ბინაში არიან. ჟანდარმები იქ ერთხელაც არ შესულან და არც შევლენო.

— მე კი არა მპატიჟობს? — ჰკითხა ლევანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენზე თქვა, სულ ერთია არ ამოვაო.

— ვერც მე ამოვალ. — მიუგო მართამ.

— ვერც მე. — დაუმატა ნიკომ. — ეს რა აზრი მოსვლია?

ანიკო გატრიალდა და ოთახიდან გავიდა.

ანაზდად აკაკიც შემოვიდა. კარი არც კი დააკაკუნა. სერთუკი გაეხსნა, ხელები შალვრის ჯიბეში ჩაეწყო, უწინდელზე უფრო მეტად გაწითლებულიყო და ოდნავ ბარბაცებდა. ყველამ გაოცებით შეხედა მას. ზურაბმა სკამი მიატრიალა და აკაკის ზურგი შეაქცია.

— ამხანაგებს გაუმარჯოს! — შესძახა ნაძალადევი სილალით აკაკიმ. არავინ ხმა არ გასცა. მარტო მართა წამოდგა და სტუმარს სკამი მიუდგა. აკაკის ფერი ეცვალა. მცირე ხანს იყუჩა და ალუღლუღდა:

— რა ამბავია?... რა მოხდა?

პასუხი უმცროსმა ძმამ ნიკომ გასცა:

— ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო? თავი მოგვჭერი, საქვეყნოდ შეგვარცხვინე. ხვალვე მთელი ქალაქი გაიგებს.

— რით შეგარცხვინეთ? ავშაროვს რომ ვაკოცე? — იკითხა აკაკიმ.

ნიკო ზეზე წამოხტა:

— განა ეგ საკმარისი არ არის? — მაგიდას მუშტი დაჰკრა და ხმას აუწია: — ღალატია! იუდას ამბორია! — იყუჩა და დაიყვირა: — იუდას ამბორია მეთქი! გაიგე რა გითხარი?

— ნუ ყვირი, თორემ ჟანდარმები გაიგებენ და ჩამოვლენ. — ღიმილით მიუგო აკაკიმ. — ილიკომ მომატყუა: ჩვენს სიძეს ყველამ აკოცა და შენც უნდა აკოცოო. ამ დროს ავშაროვმაც მოიწია საკოცნელად და... მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე თავს არ ვიმართლებ.

— ეგლა გაკლია, რომ თავი გაიმართლო. — გააწყვეტინა ნიკომ. — შენ მაგ კოცნით ხიდი გასდე, მაგრამ იცოდე, რომ მაგ ხიდს ჩაგიტეხავთ და ყველას უფსკრულში ჩაგყრით.

— აგრე იყოს. — მშვიდად მუგო ძმამ. — მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ...

აკაკი იმას ეტყვის, რომ გუშინწინ დროება ყირამალა შეტრიალდა; რომ პარტიამ იარაღი აღარ უნდა იხმაროს, მაგრამ არც უნდა დაჰყაროს; რომ მთავრობა დაფრთხალია და იძულებული იქნება მანიფესტი განახორციელოს; რომ ჯარი მაინც მეფის ერთგულია და, თუ საქმე სისხლის ღვრაზე მიდგა, ერთობა დამარცხდება და ახლანდელ მონაგებსაც წააგებს.

— კმარა!.. გვეყოფა!.. გავიგეთ! — შეაწყვეტინეს აქეთ-იქიდან. მარტო ზურაბი იჯდა მდუმარე და ზურგშექცეული.

— შენ რაღას იყტვი, ზურაბ? — გაუბედავად ჰკითხა მას გაწბილებულმა აკაკიმ.

— რაც სათქმელი იყო, ყველაფერი ამათ გითხრეს. — უპასუხა ცივად გურგენიძემ და არც კი მიბრუნდა.

— მაშ კარგი. ამაზე სხვაგან მოვილაპარაკოთ. — სთქვა აკაკიმ და მის ხმაში მუქარა გაისმა. — ვნახოთ უმრავლესობა ვის მიემხრობა.

— ხვალ-ზეგ ზღვა სისხლი უნდა დაიღვაროს, ეს კი ისევ უმრავლესობას ებღაუჭება. — მიაყოლა ზურაბმა კარებში გაძურწულ ვექილს და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — ნუ შედრკებით მეთქი, ამხანაგებო! რევოლუციის ბედს იარაღში ჩამჯდარი, შეუპოვარი ბრძოლა გადასწყვეტს.

— აგრეა!.. მართალია... — დაუდასტურეს მეგობრებმა და მალე დაიშალნენ.

* *

განთიადმა მოატანა, ჟანდარმები ბეზგინის მეთაურობით ადრე წასულიყვნენ. მძახალი გალინა გრიგოლმა გააცილა სასტუმროში, ისევ დაბრუნდა, სიძეს და ქეთოს გამოემშვიდობა და დასაძინებლად წავიდა. მას დიმიტრიმ მიჰბაძა. აკაკი და თამარი ჩუმად გაიპარნენ. ამ ოჯახისთვის უცხო აფიცრებიც დაშლილიყვნენ. ანდრია თავს აკანკურებდა. მარიამი სთვლემდა და მხოლოდ წვერაძის ბინაში გაისმოდა ახალგაზრდებისა და ჩოხოსნების ჟრიამული, სიმღერა, ცეკვა, და ხშირი ხრინწიანი შეძახილი.

— გენაცვალე, დროა ჩვენც წავიდეთ. — უთხრა ავშაროვმა დაღლილ ქეთოს და წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ. ქეთოს თვალებზე ცრემლი მოერია. უცებ დედას გადაეხვია და აქვითინდა. მერმე მამას მიეკრო და იმის განიერ მკერდზედაც იტირა. ისევ დასვეს, წყალი დაალევინეს და ძლივს დაამშვიდეს. მერმე წამოდგა და თავის დაობლებულ ოთახში შეიხედა. უნდოდა იმ ოთახსაც გამომშვიდებოდა, მაგრამ ისევ გული ამოუჯდა და აღარ შევიდა. ოთახი თითქმის დაეცალიერებინათ. ზოგი რამე უკვე გადაეტანათ ავშაროვთან, ზოგს კი ალბად ხვალ წაიღებენ.

ავშაროვმა ქეთოს საზაფხულო პალტო ჩააცვა, მკლავში ხელი გაუყარა და კიბისკენ წაიყვანა. მეორე ბინაში ქეიფი შესწყდა.

— მიჰყავთ... წაიყვანეს... წაგვართვეს. — წამოიძახეს იქაურებმა და კიბეზე გამოცვივდნენ.

ქეთომ იქით გაიხედა და უცხო ქალს მოჰკრა თვალი, რომელიც მას გაფაციცებით დააშტერდა. ქეთოს ის ქალი სადღაც ენახა, მაგრამ ვეღარ გაიხსენა.

— მშვიდობით! ხვალემდის! თავი არ დააჩაგვრინო! ყოჩაღად დაუხვდი! — ეუბნებოდნენ ქეთოს ახალგაზრდები და რიგრიგად უკოცნიდნენ ორივე ხელს.

ქეთო ამ ხალხში წვერაძეს და კლიმიაშვილს ეძებდა, მაგრამ არც ერთი არ მოსულიყო.

უცებ იმის ხელს ელიზბარი დააკვდა და თბილი ცრემლიც მოუნამა. ქეთომ სევდიანი ღიმილით დახედა სტუდენტის თმას და სანამდისინ გამოართვა ხელი, მანამ თვითონ ის არ მოშორდა.

ცოლქმარი ეტლში ჩაჯდა და ყველას უკანასკნელი სალამი მისცეს. უცებ ქეთოს შანტანის ესტრადა, თევზის ქაცვიან კაბაში ჩამჯდარი მადამ ჰოპკინსი და მისი ლირწი, ურცხვი, ვნებიანი ცეკვა გაახსენდა. — „ის არის, ის უნამუსოა!“ — გაიფიქრა მან, იქვე მდგომ ილიკოს დაუძახა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ვინც ჩემ ქორწილში ის უნამუსო მოიყვანა, თვითონ ისიც უნამუსო ყოფილა. ილიკო, შენ ნამდვილი სალახანა ყოფილხარ.

პასუხად ილიკომ ხმამაღლა გაიცინა და დაიკოს ხელი დაუკოცნა. ავშაროვმა ქეთოს სიტყვები გაიგო, იმანაც გადიხარხარა და მეეტლეს მიაძახა!

— გასწი, გარეკე!

ნამძინარევმა მოახლემ კარი გაუღო მათ, ცოლქმარი კადნიერი ღიმილით შეათვალიერა, ორივეს ზედა-სამოსელი ჩამოართვა და ქეთოს საწოლოთახში შეჰყვა, რათა ტანსაცმელის გახდაში ეშველნა.

— წადი დაიძინე, — უკმეხად უთხრა მოახლეს ავშაროვმა.

ის მაშინვე გავიდა ოთახიდან. ცოლქმარი მარტო დარჩა. ქეთომ ადრევე იცოდა რაც მოელოდა და ადრევე შეურიგდა ზღუდის გადასვლას, მაგრამ როცა ალმოდებულ მამაკაცს პირისპირ შერჩა, ქალმა უცებ ძრწოლა იგრძნო და მოინდომა ის წუთი ერთი დღით ან რამდენიმე საათით მაინც გადაედო.

ქმარი ველარ იცდიდა, ქეთოს ნუდარა თითქო არც კი ესმოდა.

სწორედ ამ დროს მეორე ოთახში ტელეფონის მძაფრი წკარუნი გაისმა. ავშაროვი შეკრთა, მაგრამ ყური არ ათხოვა და ჩექმების გახდას შეუდგა. ტელეფონი არა ცხრებოდა და საგანგებო ნიშნებს იძლეოდა. ავშაროვს მეტი გზა არა ჰქონდა: ლანძღვა-ბურტყუნით გავიდა მეორე ოთახში და ქეთოს მისი ხმა მოესმა:

— მესმის... მე გახლავართ, ბატონო პოლკოვნიკო... ახლავე წამოვიდე?.. ეს-არის ახლა დავბრუნდით და... ხომ გესმით რა დღეში ვარ... ერთი საათის შემდეგ გეახლებით... ნუ თუ არ შეძლება უჩემოდ ითათბიროთ? — უცებ მას კილო გადაუტყდა და მორჩილ-ბრაზიანი ხმით დაასრულა: რაკი აგრეა, გემორჩილებით, ათ წუთში მანდ ვიქნები.

ქეთომ ჩუმად ჩაიცინა და შვებით ამოისუნთქა.

შენელებული ქმარი კი ფაციფუცით იცვამდა და ბრაზიანად ბუზღუნებდა:

— უსირცხვილო! არამზადა! სწორედ ახლა მოუნდათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

ქეთო ტელეფონის წკარუნმა გააღვიძა. საჩქაროდ წამოხტა, ფეხები ხავერდის მოქარგულ ჩუსტებში ჩაჰყო და მეორე ოთახში გავიდა.

— მესმის.. არტემ, შენა ხარ?.. ძალიან კარგად მეძინა... შენ რასა იქმ? ნუ თუ სულ არა გძინებია?

ქმარმა შეატყობინა, რომ მან არც კი იცის რომელ საათზე დაბრუნდება, რომ დღეს „პატრიოტების" მანიფესტაცია იმართება, რომ შესაძლებელია არეულობა მოხდეს და ამიტომ ურჩია ქუჩაში არ გასულიყო.

მოახლემ დარაბები გააღო და ოთახებში ოქტომბრის თბილი მზე შემოუშვა. მერმე ქეთოს ჩაცმაში მიეშველა და ირიბული ღიმილით უთხრა:

— საწყალი ბატონი! რა უდროოდ დაუძახეს!

ქეთომ ცივი დუმილით უპასუხა. მოახლის ლაზღანდარობა არ მოეწონა და გადასწყვიტა თავიდანვე მოახლისათვის მისი კუთვნილი ალაგი მიეჩინა.

მას ეკა ჰქვიან. გურული ქალია. მისი ქმარი სადღაც პაწია რესტორანში ლაქიად მუშაობს. მათ ორი შვილი ჰყავთ. ორივენი სოფლად იზრდებიან, მათი მშობლები კი ლუკმას იკლებენ, რათა ქალაქში ბინა გაიჩინონ და საჭირო ავეჯეული შეიძინონ. მაშინ ეკა სამსახურს თავს დაანებებს, შვილებს ჩამოიყვანს და მხოლოდ ოჯახზე იზრუნავს. აქამდე ცოლქმარი ბათომში მუშაობდა. ეკა იქაც მოახლედ იყო და საცაა სამი თვე შესრულდება, რაც ავშაროვთან დადგა.

საცაა სამი თვე შესრულდებაო. ქეთოს კი ეგონა. არტემამ ეს მოახლე სამი დღის წინად დაიქირავა. ახალგაზრდა ქალბატონმა ახლა უფრო გულდასმით შეათვალიერა თავის ფარეში და გულში ჩხვლეტა იგრძნო. ეკა ახალგაზრდა დედაკაცია — დაბალი, შავტრუხა, ფუნჩულა, სუფთა, მკვირცხლი და ეშხიანი.

ამას წინად მარიამმა ქეთო ასე დაარიგა: ამ ქვეყნად უმანკო საქმრო არ არსებობს, ამიტომ შენს ქმარს ნურც კი ჰკითხავ, ვინ და რამდენი ქალი ჰყავდა მას საცულლუტოდ. შენ მხოლოდ იმას ეცადე რომ ჯვრის წერის შემდეგ რკინის ჯაჭვით მიიბა ქმარი და ალარავის დაუთმოო.

ქეთომ ეს უდედოდაც იცოდა და არც თავმოყვარეობა ანებებდა მას რომ ქმრის სასიყვარულო თავგადასავალი გამოეძია. მას ისიც ჰქონდა გაგონილი: მამაკაცი იმდენად წუწკია, რომ მოახლესაც კი არ იწუნებს და ცოლს მისივე ლოგინში ღალატობსო. მაშ ნუ თუ... ნუთუ არტემი შინ მაინც აილაგმავდა თავს? ნუ თუ ამ შეტრუსულ ფუნთრუშას არ იკალრებდა?

ქეთომ რამდენჯერმე თვალი თვალში გაუყარა ეკას. ის კი თვალს არიდებდა და შეუსვენებლივ ტიტინებდა თავის ქმარ-შვილზე, ნათესავებზე და მომავალზე. მერმე ყავა გამოიტანა და ქეთოს თავთ დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი წლისაა შენი ქმარი? — ჰკითხა ქეთომ.

— ორმოცდაათისაა, ქალბატონო, სნეულია, ბეჩავი ... ორ-ხელ ძლივს ვხედავთ ხოლმე ერთმანეთს..

ახლა ქეთომ ღრმად ირწმუნა, რომ ავშაროვს ეკა ნაგემები ჰყავდა. ირწმუნა და გულის ტკივილმა უმატა. ის ლამობდა ეს ავი ფიქრი თავიდან ამოეგდო, ვინაიდან იგი თვითონ ქეთოს და იმის ქმარსაც ამცირებდა. ჩირქსა სცხებდა.

უცებ ვილაცამ დასჩხავლა მას:

— ქეთო, სულელო!

ქალმა უკან მიიხედა და გალიაში დამწყვდეული თუთიყუში დაინახა, რომელმაც ორჯელ კიდევ დაუმატა:

— ქეთო, სულელო! ქეთო, სულელო!

ეკამ გულიანად გაიცინა.

— ვისია, ვინ დაასწავლა? ჰკითხა მოახლეს გამხიარულებულმა ქეთომ.

— დილას ვინცხა სტუდენტმა მოგიყვანა საჩუქრად და მითხრა, ამ ჩიტსაც ქეთო ჰქვიანო. — მიუგო ეკამ და იმ სტუდენტის გარეგნობა აუწერა.

ქეთომ მაშინვე გამოიცნო ელიზბარ შუქურაული და გაიღიმა. ადგა, თუთიყუშს მოუალერსა, გულის ჯავრი გადაიყარა და თავის ახალი ბუდე დაათვალიერა. სანამ ავშაროვი ამ ბინას თავის მეგობარ ჟანდარმისგან შეიძენდა, რომელიც ვარშავაში გადაიყვანეს, მანამ მან მარიამს და ქეთოს აჩვენა იგი და მათგან დასტური მიიღო. ახალი ამ ბინაში მხოლოდ მარიამის მიერ ნაყიდი საწოლი ოთახის ავეჯეული და ქეთოს თეთრეული, კაბა-კუბა, ჭურჭელი და უამრავი სასარგებლო და უსარგებლო ნივთი იყო, რომელიც გუშინვე გადმოეტანათ და ჯერაც არ დაელაგებინათ.

ავშაროვს ივდითის სურათი თავის კაბინეთში ჩამოეკიდნა. იგი ბინდიან მხარეს ეკიდა და ამის გამო ივდითი უფრო ლამაზი და უფრო ცოცხალი მოსჩანდა. ქეთომ სიამით დაათვალიერა იგი, გაულიმა და გაიფიქრა: „ჩემმა ქმარმა ჯერ არ იცის, რომ მას ორი ივდითი ჰყავს. ერთი მკვდარია და მეორე ცოცხალი. არ იცის და ნურც ეცოდინება“.

ქეთო მარტო იყო. მან სცადა არტემის საწერი მაგიდის უჯრები გამოეღო, მაგრამ ყველა დაკეტილი აღმოჩნდა. ქეთოს ორი გასაღები ჰქონდა თავის საწერი მაგიდისა, რომელიც ახლა საწოლ ოთახში იდგა. ოთხი უჯრა არც ერთ გასაღებს არ დანებდა, მეხუთე კი მიუდგა და გაიღო. უჯრაში რამდენიმე საქმე იყო, ქეთომ არც კი ამოიღო. ზემო საქმე გადაშალა და გაფაციცებით დაუწყო კითხვა. უცებ გურგენიძის გვარს და მის ზედმეტ სახელს „ჯიქს“ მოჰკრა თვალი და შეკრთა. ბაქო ატყობინებდა ტფილისს: გურგენიძე აქ ყოფილა და უკანვე წამოსულაო. ამასვე სწერდნენ ბათომიდან და ქუთაისიდანაც. აქვე იყო ჩაკერებული რამდენიმე ოქმი, ცნობა და ერთი ჩაუკერებელი ფურცელი, რომელზედაც რამ-

დეხიმე შენიშვნა ეწერა ფანქრით: „ჯიქმა სასაფლაოზე ვიღაც ლამაზი ქალი მოიყვანა... ჩვენს აგენტს მოსაკლავად დაედევნა... ალბათ შეფარული სიტყვა წარმოსთქვა“... აგენტი ჩიოდა: ჯიქს ორჯელ კიდევ შეხვედრია ძაგრამ მიცნო და მაიძულა დავმალულიყავიო. იქვე ოდნავ გასარჩევი ასოებით ეწერა: „ფოცხვერი გვეხმარება. ასი მანეთი მივეცით და სამასს კიდევ შევპირდით“.

ქეთოს მაშინვე გაახსენდა ვინმე პატიმარი „არწივი“, რომელსაც ავშაროვისთვის ეთქვა, ჟანდარმის მოკვლაში „ტოგო“ და „ფოცხვერიც“ მეხმარებოდნენო. ქეთომ ეს ამბავი ოთხი დღის წინათ ზურაბს გადასცა, რომელმაც ძიტინგის დროს ორივე გააფრთხილა ნაძალადევში, ახლა კი ის ვიღაც ფოცხვერი ავშაროვს ეხმარება. გარკვევით სწერია: „გვეხმარება“, გასამრჯელოც მიუციათ და კიდევაც შეჰპირებიან, მაშ ცხადია, რომ ზურაბს დიდი ხიფათი მოელის.

ქეთომ ზოგი სტრიქონი ვერც კი გაარჩია, ზოგს თვალი აარიდა და ბოლოში გარკვევით მიწერილი ორი სტრიქონი წაიკითხა. ეწერა: „ბეზგინიძა ბრძანა, ჯიქს სანამდის ნუ დააპატიმრებთ, მანამდის სტამბისა და იარაღის საწყობის კვალს არ მივაგნებთ, ხოლო დოვლათაშვილის ბინას ძკაცრი თვალყური ადევნეთო“.

ქეთოს ელდა ეცა. ძაშინვე დაჰკეტა უჯრა და გადასწყვიტა შინ წასულიყო და ვინმეს პირით გაეფრთხილებინა ზურაბი. მაგრამ ახლა ალბათ არც მართა დაუხვდებოდა შინ, არც ნიკო და არც ლევანი. ესეც რომ არ იყოს, ქეთოს ურჩევნიან უშუალოდ ზურაბთან დაიჭიროს საქმე. ახლა ზურაბი ალბათ ქუჩაში იქნება. მანიფესტის შემდეგ თითქმის აღარ იმალება. მაგრამ ასეთ დროს შინიდან გასვლას საპატიო საბაბი სჭირდება, თორემ ქმარი დასტუქსავს ქეთოს და პირველივე დღეს ჩაუმწარებს.

ქეთოს დედმამა და ნათესავები საღამოზე უნდა მოსულიყვნენ. წელან ქმარძა ტელეფონით უთხრა ქეთოს, დედაჩემი უქეიფოდ გამხდარა და ახლა ნუ ელოდებიო. „მაშ მე თვითონ უნდა მოვიკითხო ჩემი დედამთილი. — გაიფიქრა ქეთომ. — მარტოა და ალბათ წყლის მიმწოდებელიც არ ეყოლება“. ეს ხომ ქმრის განკარგულების დარღვევა არ იქნება. მათს უბახ'ში არც აქამდის ყოფილა ხალხის აღრევა და არც დღეს იქნება. საზიფათო ძხოლოდ გოლოვინის პროსპექტია. ქეთო მას ერთ წუთში გადასერავს, ასიოდე ნაბიჯს გაირბენს და დედამთილთან შევა „ორიანტ“-ში. თუ ზურაბს არ შეხვდა, იქიდან მართას ამოუვლის და გააფრთხილებს.

ძაშ გადაჭრილია. ეკავ, ტანისამოსი ჩააცვი. შაპო „პარადიზი“ არ უსდა. სადღეისო არ არის. მეტისმეტად საზეიმოა. არც სიასამურის პალტინი სჭირდება. თითქმის ცხელა და ამიტომ საზაფხულო პალტოც ეყოფა. ამ პალტოს ლურჯი ქოლგა მოუხდება და აბა მოართვი.

ათიოდე წუთის შემდეგ ქეთო გოლოვინის პროსპექტზე უამრავ ხალხში შეერია, რომელსაც ფართე ტროტუარები გაევსო და აღარ იძვროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა პოლიციას შეეკრა და მეფისნაცვლის სასახლისკენ აღარავის უშვებდა. ქუჩაში ცხენოსანი ჟანდარმები და კაზაკები დადიოდნენ.

ალექსახდრეს ბაღში მთელი როტა დაბანაკებულიყო. ეკლესიის მხრიდან ორიოდე ათასი მანიფესტანტი მოდიოდა. წინ საეკლესიო ბავრაყები, მეფის სურათი და ხატები მოჰქონდათ. გვერდით და უკან დრაგუნები და კაზაკები ძოსდევდნენ. ბრბო ნელი ნაბიჯით მოიწევდა და გალობდა: „აცხოხე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი“.

ავ'ძაროვი ჟახდარმების ნახევარ-ესკადროხს მიუძღოდა. გაჭიმული იჯდა თეთრ ცხენზე და ხალხს მედიდურად და მუქარით გადმოსცქეროდა. ქეთომ ზურგი შეაქცია მას, ძლივს გაარღვია ხალხი, „პურღვინოს“ და კლასიკური ქუჩის კუთხეში შეჩერდა. პირველი გიმნაზიის იქით აღარავის უ'შვებდნენ. ხალხში ქეთომ თავის მეგობრებს ლელი ჯორჯაძეს და ძის ქმარს ვაჩნაძეს მოჰკრა თვალი და შორიდან გაუღიმა. უნდოდა მისულიყო, ‘ბაგრამ გზა ველარ გაიკვლია.

უცებ მას აკაკის ხმა მოესმა, რომელიც იქვე იდგა და ზურაბს ცხარეთ ელაპარაკებოდა. ზურაბი ხმას არ იღებდა და მოახლოვებულ მანიფესტანტებს უყურებდა. მერმე მოიხედა, ქეთო დაინახა და ღიმილით ‘ოესალ’ძა:

— ‘ქალბატონ ქეთოს ვახლავარ.

— ოჰ, ქეთო, ‘ენც აქა ხარ? — მოაძახა აკაკიმაც.

ქეთომ პასუხიც კი ვერ მოასწრო.

— ჩქარა აქაურობას მოვშორდეთ, თორემ სისხლი დაიღვრება. სთქვა აკაკი’ და გაიწია. — ხულიგნები მეტისმეტად გათამამდნენ.

‘ბაგრა’ გვიანლა იყო. იმოდონა ხალხის გარღვევა’ ათი წუთი მაინც უხდოდა. ხაპირ-ნაპირ მოდენილი პატრიოტები ხალხს ქუდის მოხდას უბრძანებდნენ, უშვერი სიტყვებით აგინებდნენ და საცემრადაც კი ეტანებოდნენ.

ქეთომ ერთხელ კიდევ მიიხედა ბაღისკენ, სადაც სალდათები ჩასაფრებულიყვხეხ, და კლიმიაშვილი დაინახა. იმანაც მოჰკრა მათ თვალი და ‘ოესვენრად ატოკდა. მან ალბათ ზურაბიც დაინახა და ამან შეაშფოთა შურის მაძიებელი.

ქეთომ ზურაბი არ გააფრთხილა, ვინაიდგან მიხვდა, რომ სანდრო ამოდენა ხალხში ზურაბს ვერაფერს გაუბედავდა. მანიფესტანტებმა უკვე გაიარეს და ‘ათი ბოლო ახლალა გასცდა ქეთოს. ის ქმარს ემალებოდა, ზურგი მისკენ ჰქონდა შექცეული და გიმნაზიელთა ჯგუფს შესცქეროდა, რომ’ელიც იქვე კლასიკური ქუჩის კუთხიში იდგა. მათ შორის მან სამიოდე ხაცნობს მოჰკრა თვალი. ყველაზე წინ მისი შორეული ნათესავი, მერვე-კლასელი ამირეჯიბი იდგა.

უცებ პროცესიიდან ვილაც მოხელე გამოვარდა, ამირეჯიბს თავში გაჰკრა მუშტი, ქუდი გამოაგდებინა და ხრინწიანი ხმით მიაძახა:

— ქუდი ძოიხადე, საძაგელო, მეფის ორგულო!

თავმოყვარე ჭაბუკმა მეფის ერთგული მოხელე მეტისმეტი სიმკაცრით დასაჯა: რევოლვერი იშიშვლა, ჩინოსანს ქუდში დაუმიზნა და ესროლა. მოხელემ ხელები აიქნია და გულაღმა დაეცა მიწაზე.

ხალხი ისე შეკრთა, თითქო მას ერთი გული ჰქონდაო. ამირეჯიბის ხასროლი ყველას ენიშნა, იარაღიანსაც და უიარაღოსაც. ქეთომ ერთი წამით მიიხედა უკან და თავის ქმარი დაინახა. მან ცხენი მოატრიალა, ხაგანი იძრო, ქეთოს მხარეს მოიშვირა და ექვსჯერ დასცალა ზედიზედ.

ქეთომ შეჰკივლა და იგრძნო, რომ ზურაბმა უკნიდან ორივე ხელი ძოხვია, მოაწვა და ყურში ჩასძახა:

— მიდით, ძიაწექით! ჩქარა!

ხალხით გაჭედილი ქუჩა რამდენიმე წამში ბრძოლის ველად იქცა. ბალიდან სალდათები გამოცვივდნენ, იქვე გაიშალნენ და ტყვია ააზუზუნეს. კაზაკებმა და დრაგუნებმა ცხენები მოატრიალეს, ხმალი იშიშვლეს და იერიშით წამოვიდნენ.

მახიფესტანტები გაჩერდნენ და აირივნენ. მერმე იხუვლეს, „ბოჟე ცარია ხრანი“ დაიწყეს და ბრძოლის ველს გასცილდნენ.

უქუდო აკაკი ტროტუარიდან ქვაფენილზე ჩახტა და ხელების ქნევით გაიქცა ძიმავალ ბრბოსკენ, თან ჰყვიროდა:

— არ ძესროლოთ! თქვენიანი ვარ!.. ბოჟე ცარია ხრა-ნი-ი-ი...

ის ბრბოს კუდს შეეხიზნა, სასახლემდის მიჰყვა, მერმე მარჯვნივ აუხვია და თითქმის სირბილით გასწია შინისკენ.

ქეთო სხვებს აწვებოდა და ძლივს იძვროდა ალაგიდან. ძას ზურაბი აწვებოდა და ჩასძახოდა:

— არ წაიქცე, თორემ ველარ ადგები და გაგჭყლეტენ.

ირგვლივ სრესა, ჟლეტა, კივილი და ზარი იდგა. უკნიდან ხმლის ჩახუნი და თოფ-რევოლვერის ჭახუნი მოისმოდა. ქეთომ ორ გვამს გადაალაჯა. წინ ლელის შაპო და მისი ქმრის სტუდენტური ქუდი მოსჩანდა უცებ ორივე გაჭრა.

— ლელი მოჰკლეს! — შეჰკივლა ქეთომ და ერთი წუთის შემდეგ იმის გვამს დაადგა ფეხი. მისი მეგობარი ფართხალებდა და ლამობდა ამდგარიყო.

— ლელი! ლელი, შე უბედურო!

ქეთო დაიღუნა, უნდოდა ეშველნა, მაგრამ ზურაბმა ძალით გაიტაცა:

— არ წაიქცე, თორემ შენც დაიღუპები! მიდი! გაიქეცი! — და თითქმის გონწასული ქალი „პურლვინო“-ს ეზოში შეაგდო.

* * *

ზარდაცემული ხალხი უგზო-უკვლოდ გარბის. ყველანი იქ აფარებენ თავს, სადაც რაიმე ხვრელი მოიპოვება. ვილაცამ სანაგვე ყუთს ხუფი

ახადა, შიგ ჩაძვრა და ისევ დახურა. თმაგაწეწილმა ქალმა მუშტებით შეაძტვრია ფანჯარა, ხელები დაისისხლიახა და გადაძვრა. ოციოდე ქალვაჟი ბიჭყვა ცხვრის ფარასავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლელი! ლელი!

— გაჩუმდი, ქეთევან! რა გაყვირებს! იქნება ცოცხალია და გადარჩეს. — ამშვიდებდა მას ზურაბი და ბალღივით მიარბემინებდა. „პურლვინოშიც“ წივილკივილი და ალიაქოთი იდგა. მისი პატრონი მამიხაიშვილი ფეთიანივით დარბოდა და ჭურჭელს აგროვებდა. ზურაბმა ქეთო ერთი წამითაც არ შეასვენა. რესტორანი გადაასერინა, მარცხნივ ბოლოხვია და აგურის კიბეზე დაეშვა. ორი ლამფა ვეება სარდაფს ძლივს ანათებდა. აქ არ შეიძლებოდა დამალვა. ოციოდე კაცი სირბილით მირბოდა. უკნიდან მათ თოფის გრიალი მისდევდა.

— გაიქეცი! ჩქარა! ჩქარა!

ახლა ზურაბი ქეთოს გვერდით ამოუდგა, მკლავში ხელი გაუყარა და ისევ გააქცია. ერთ ალაგას მარცხნივ შეუხვიეს, ისევ კიბეს წააწყდნენ. ისევ ქვეით დაეშვნენ და ბნელ ჯურღმულში ჩავიდნენ. ზურაბი ასანთით იკვლევდა გზას. მან ერთი გადარაზული კარი შენიშნა, შეაღო იგი და ვიწრო გვირაბში შეიხედა. შიგ ძველი ავეჯეული, თივა და ლეიბები ეყარა. ზურაბი მიხვდა: ზემო სართულში „მუხრანის სასტუმრო“ იყო და ეს გვირაბი მისი საწყობი უნდა ყოფილიყო.

უცებ იქვე ახლოს რამდენიმეჯერ გავარდა თოფი და მისი ხმა ზარბაზნის გრიალივით გაისმა.

— ზურაბ, მოდიან!

— ჩქარა შემოდი!

ქეთო შეიყვანა, კარი მიიხურა, გზა ასანთით გაიკვლია და ლეიბების ძალალ გროვას მიადგა. კარის უკან სირბილი და ყვირილი გაისმა. ზურაბი და ქეთო ოთხით ავიდნენ ზვინზე, ღრმად შეცოცდნენ გვირაბში და რბილ ლეიბებზე მიწვნენ. ჰაერი თივის სუნით, სიმყრალით და ნოტიოთი იყო შეხუთული.

მცირე ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. რომელიც შემზარავმა კივილმა გაფხრიწა:

— მიშველეთ!

კივილი თოფის გრიალმა მოსხიპა.

— ზურაბ, მეშინიან. — წაიჩურჩულა ქეთომ და ორივე მკლავით ბოლოხვია ბას. — მოდიან... დაგვხოცავენ... მიშველე...

— სუ, გაჩუმდი! დამშვიდდი!

ქეთოს ცახცახი აუვარდა. მთელი ტანი უძაგძაგებდა. ზურაბს მკვრივად ეკვროდა, მკერდში ეხუტებოდა და კბილებს აწკაწკაკებდა. ზურაბს ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, ხოლო მეორე ხელს ქეთოს თმაზე უსვამდა და ამშვიდებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწყნარდი... ნუ გეშინიან... მე აქა ვარ და ხელსაც ვერ ვახლებენ...

— შენ ჩემი მფარველი ხარ, ჩემი ერთგული მეგობარი... შენთან ერთად არაფრისაც არ მეშინიან. — ბუტბუტებდა ქეთო და თანდათან მშვიდდებოდა.

თითქო ირგვლივაც მშვიდობა დამყარდა. აღარც თოფის გრიალი, აღარც შემზარავი კივილი. ზურაბი და ქეთო მაინც ჩახუტებული წვახან და ხმას აღარ იღებენ.

ოჰ, რა სიცხეა! რა თავბრუდამხვევია თივის სურნელი! რა მხურვალეა ქალვაჟის სუნთქვა და რა ტკბილია ეს ჟრჟოლა! ორივეს სისხლი უდუღს, სული ეხუთებათ და წელანდელი კივილი, გრიალი და ძრწოლაც ამ უცხო სიხარულში იძირება.

— ნუ, ზურაბ, ნუ იზამ... ვაჟკაცი ხარ, მოითმინე.

მაგრამ ზურაბი სწორედ იმიტომ ვერ ითმენს, რომ ის ნამდვილი ვაჟკაცია.

— არ მინდა... თავი დამანებე... არ მინდა მეთქი! — ბუტბუტებდა ქეთო, თან ხელსა ჰკრავდა ზურაბს, თანაც კისერზე ეხვეოდა და თავისკენ იზიდავდა მას.

წუხელის შენი ქორწილი იყო!

ქეთომ ორივე ხელი მოჰხვია, მხურვალედ აკოცა და ცხარედ უთხრა:

— ზურაბ, ყური მიგდე. წუხელ გავთხოვდი, მაგრამ... მაგრამ ჩემ ქმარს არ დავხებებულვარ... გესმის, რა გითხარი? შენ პირველი ხარ... პირველი და ნამდვილი. გარდა ამისა, შენს მეტი არც ვინმე მყვარებია და არც ახლა მიყვარს...

მათ არ იცოდნენ, რამდენ ხანს გაგრძელდა მათი ტრფიალი. არც ის იცოდნენ, რა მოხდა ზევით და წელანდელი საზარლობა რით დასრულდა. უცებ სადღაც ყრუ ხმაურობა გაისმა. ორივემ სული განაბა და სმენა გაილესა. სარდაფში ხალხი დადიოდა. სალდათური ჩექმების ბრახუნი თახდათან მოახლოვდა. ზურაბი მიხვდა: მთელ სარდაფს ჩხრეკავდნენ და საცაა აქაც უნდა შემოსულიყვნენ.

— გაინაბე, ხმა არ დასძრა. — უთხრა მან ქეთოს და ლეიბი დააფარა, თვითონაც თივაში ჩაძვრა, ლეიბი დაიხურა და მხოლოდ თვალები, ცხვირპირი და რევოლვერი გამოჰყო.

კარი გაიღო. ფარანმა მთელი გვირაბი გაანათა. ზურაბმა სალდათებისა და ჟანდარმების ჯგუფში კლიმიაშვილი და ავშაროვი იცნო.

— რომელი ხარ? ახლავე გამოდი, თორემ გესვრით. — დაიძახა უნტერმა და შემოვიდა. ყველას მზად ეჭირა იარაღი.

— კარგად გასინჯე უთხრა უნტერს კლიმიაშვილმა. მე ჩემის თვალით დავინახე, რომ ის არამზადა ამ სახლში შემოვარდა.

„არამზადა“ ზურაბმა არჩია სულ ჩამალულიყო და ფეხ მოკიდებდნენ, მაშინლა წამოჰყოფდა თავს და სოცოცხლეს ძვირად გასწირავდა.

ორმა სალდათმა უწესოდ მიყრილ ავეჯეულში გზა ძლივს გაიკვლია. იქაურობა მოჩხრიკეს, ლეიბების გროვაზედაც ამოცოცდნენ, აქა-იქ ხიბტიც წაჰკრეს და უკანვე გაბრუნდნენ.

— იქ არავინ არის. — თითქო შორიდან მოესმა ზურაბს. ერთი წუთის შემდეგ მან თავი ასწია. ფეხის ხმა თანდათან შორდებოდა. მან ქეთოსაც გადახადა ლეიბი და უთხრა:

— ქეთო, შენი ქმარი და კლიმიაშვილი იყვნენ. მე მეძებენ. ახლა არხეინად იყავი. ყველაფერი გათავდა.

— უჰ, სული მეხუთება.

— წამო, კარში დავდგეთ, იქ მეტი ჰაერია.

ხელების ფათურით ჩამოვიდნენ, გვირაბიდან სარდაფში გამოვიდნენ და ოდნავ სული მოითქვეს.

— ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა. — გაიხსენა ქეთომ ზურაბის „საქმე“ და დაწვრილებით უამბო ფოცხვერის ამბავი.

— დავიჯერო? მართლა აგრე ეწერა? ფოცხვერი გვეხმარებაო? ფულიც მიუციათ? შენ თითონ წაიკითხე? ზედიზედ მიაყარა თავზარდაცემულმა ზურაბმა.

წავიკითხე მეთქი. ზურაბ, გენაცვალე, იმ ფოცხვერს ერიდე.

— ჰოი მოღალატევ, უბედურო! სჯობს ის ვერაგი თითონვე მერიდოს. ურჩევნიან ქვესკნელს სადმე დამემალოს.

ქეთომ მეორე მინაწერიც უამბო. ზურაბი ამ ამბავმა გააოცა:

— მაშ მართას ბინასაც თვალი დაადგეს? ორივე ცნობა ძლიერ საეჭვოა. ჩვენთვის. მითხარი ქეთინო, მადლობა როგორ გადაგიხადო?

— გიყვარდე, ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ. ამაზე მეტი არაფერიც არ მინდა. — მიუგო ქეთომ.

ზურაბმა მხურვალე კოცნით უპასუხა და უთხრა:

— ცოტა ხნით უკანვე შედი. მე აქაურობას დავათვალიერებ და ახლავე დავბრუნდები.

ზურაბმა ქეთო ისევ გვირაბში შეიყვანა და მოშლილ სავარძელში ჩასვა, თვითონ კი ასანთით გაიკვლია გზა და სიბნელეში მიიმალა. ქეთოს ეგონა, ერთი საათი მაინც გავიდაო. ზურაბი მალე დაბრუნდა, ქეთოს ხელი გაუყარა მკლავში და წაიყვანა. მიხვეულ-მოხვეული გზებით და კიბეებში ატარა, ბოლოს ზემო სართულში აიყვანა და ქეთოს უთხრა:

— ეს მაჭავარიანის სასტუმროა. პატრონი მიცნობს და იქნება დაგვმალოს. მაგრამ იცოდე, მე და შენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

ამ დროს გრძელი ტალანის ბოლოში თვითონ მაჭავარიანიც გამოჩნდა

სწრაფად მოდიოდა დაღვრემილი და ლაქიას რაღაც განკარგულებას აძლევდა. ზურაბი რომ დაინახა, გაოცდა, ნაბიჯს უმატა და მორბენალ დახვე ჰკითხა:

შენც აქა ხარ? გადარჩი? რასა ჰგევხარ? მაგოდენა მტვერი სად დაგდებია? ეს ქალი ვილა არის?

— არც კი ვიცნობ. — მიუგო ზურაბმა. — კიბეზე შემხვდა და ამოძყვა. მითხარი, შენს სასტუმროს კიდევ მოელის ხიფათი?

მაჭავარიანმა შუბლში ხელი იტკიცა და ცრემლნარევი ხმით მიუგო:

— რაღა ხიფათი, ძმაო! ამაზე მეტს რაღას გვიზამენ? დაგვძარცვეს. აგვიკლეს. ერთ ქალს ბეჭედი ვერ წააძვრეს და თითი მოსჭრეს.

— ქვეით რაღა ხდება?

— მაგას ნუ მკითხავ. საშინელი ჟლეტა მოხდა. უთვალავი ხალხი დახოცეს. ქუჩები ჯარით არის სავსე. გირჩევ არ გახვიდე. საღამომდის ან დილამდის აქ დაიმალე, თორემ ვერ გადაურჩები. აბა, მომყევი.

— მე შინ უნდა წავიდე. — სთქვა ქეთომ. — გთხოვთ გზა მაჩვენოთ.

ზურაბმა ქეთოს გადახედა. უნდოდა ეთქვა, ნუ მიდიხარ, მოიცადეო, მაგრამ ისინი „ერთმანეთს არ იცნობდნენ“ და ამიტომ სათქმელი ველარ უთხრა. ზურაბმა წელან იმიტომ იტყუა, რათა ქალისთვის ჩირქი არ მოეცხო, ახლა კი იძულებული გახდა დამუნჯებულიყო და ხელიც კი არ ჩამოერთმია იმ ქალისთვის, ვინც წელან თავის უმანკოება შესწირა მას.

ქეთო სასტუმროდან გიმნაზიის ქუჩაზე გავიდა და ზევით აუხვია, მაგრამ მოდარაჯე სალდათმა შორიდანვე დაუქნია ხელი და მიაძახა:

— არ შეიძლება!. უკანვე გაბრუნდი!

ქეთო გამობრუნდა. გოლოვინის პროსპექტზე ჩამოვიდა და იმ ადგილას მოუხვია მარცხნივ, სადაც ორიოდე საათის წინათ სროლა და ჩეხვა დაიწყო. ქუჩა ბანაკად იყო ქცეული. ახლომახლო სახლებში ჯარი დაბიხავებულიყო. იქ შეხიზნული ხალხი ჯგუფჯგუფად გამოჰყავდათ, უკვე გაძარცულებს ხელმეორედ ჩხრეკავდნენ და საკომენდანტოში ჰგზავნიდნენ. სალდათმა ქეთოს გზა გადაუღობა და მიაძახა:

— შესდეგ! ვინა ხარ? საით მიდიხარ?

— მე ჟანდარმთა როტმისტრის ავშაროვის ცოლი ვარ.

— პასპორტი მაჩვენე.

— მე პასპორტი არა მაქვს.

— მაშ ჟანდარმებთან გაგგზავნი. ისინი გამოარკვევენ. მომყევი.

ქეთო შეკრთა. იქ მისი ქმარი გაიგებს, რომ ქეთომ ურჩობა გაუწია, შინიდან გამოვიდა და ამ ოროომტრიალში მოჰყვა. უცებ შორიახლოს კლიმიაშვილს მოჰკრა თვალი და სალდათს უთხრა:

— რა საჭიროა, რომ იმ სიშორეს მგზავნი? აგერ ის პარუჩიკი მიცნობს და გთხოვ იმასთან მიმიყვანო.

— მაშ წამოდი. — დაუჯერა სალდათმა და წინ გაუძღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაც თმაგაწეწილი გოგონა დაფეთებული დარბოდა, ხან ერთ-ერთ ვინმე ქალს აწყდებოდა, ხან მამაკაცს ეჭიდებოდა და შესჩიოდა:

ძალო, დედა მომიკლეს... ძია, დედა მომიკლეს.

გოგონამ ქეთოსაც ჩასჭიდა პაწია ხელი კალთაში, ცრემლიანი თვალები შეანათა და შელაღადა:

— ძალო, დედა მომიკლეს. მიშველე!

ქეთოს ცრემლი წასკდა. უნდოდა ის ბავშვი დაეკოცნა, დაემშვიდებინა და იქაურობას მოეშორებინა, მაგრამ გოგონა ახლა სხვა ვინმეს ბივარდა და იმასაც შესჩივლა:

— ძია, მიშველე, დედა მომიკლეს.

აქა-იქ დახოცილი ქალები და ვაჟები ეყარნენ. ტროტუარზე სისხლის გუბეები იდგა. მეეზოვენი და მეკურტნენი საკაცეებით ეზიდებოდნენ გვამებს და ფურგუნში ჰყრიდნენ. უცებ ქეთომ თავის მოკლული მეგობარი ლელი და მისი ქმარი დაინახა, წელან რომ წაიქცნენ, და ხმამაღლა შეჰკივლა.

— წამო, წამოდი! — შეუტია მას სალდათმა. — აქ თქვენი მეგობარი ბევრი ჰყრია და ყველას ვერ გამოიტირებ. გასწი მეთქი!

ქეთოს თავრეტი ესხმოდა. ძალღონე მოიკრიბა, კრიჭა შეიკრა, თითქმის დახუჭა თვალები და ბარბაცით მივიდა კლიმიაშვილთან, რომელიც ცივი სალამით მიეგება:

— აქ რა გინდათ? საიდან მოდიხართ?

— სახდრო, მე იქ ვიყავი... აგერ იმ სასტუმროში ჩემი შორეული ნათესავი ყიფიანი ცხოვრობს... დიმიტრი ყიფიანის შვილს არტისტს კოტე ყიფიანს ხომ იცნობთ? ერთი წუთით შევიხედე, მოვიკითხე და ეს უბედურებაც სწორეთ იმ დროს დაიწყო.

— სწორედ იმ დროს დაიწყო, როცა თქვენ აგერ იმ კუთხეში იდეგით და გურგენიძეს ესაუბრებოდით. — ცივი ღიმილით გაუსწორა სანდროს. — ახლა ბითხარით, თქვენ და ჯიქი სად დაიმალენით? ახლა სად არის?

ქეთო ყურებამდის გაწითლდა და ალუღლუღდა:

— მე რა ვიცი სად არის!.. მას აქეთ არ მინახავს... მე ყიფიანთან ვიყავი ბეთქი.

— მაგოდენა მტვერიც იქ დაიდეთ? — დამცინავი ღიმილით ჰკითხა სახდრომ და დაუბატა: — ახლა რა გინდათ ჩემგან?

— ამ სალდათს არა სჯერა, რომ მე ავშაროვის ცოლი ვარ.

— მე ვადასტურებ, რომ ეს ქალი მართლა ავშაროვის ცოლია. — უთხრა კლიბიაშვილმა სალდათს და უბრძანა: — გააცილე.

— გბადლობ, სანდრო. — ერთხელ კიდევ წაილუღლუღა ქეთომ და გაბობრუნდა. ბობრუნდა და მაღალ ქერა კაცს წააწყდა, რომელიც უკან ედგა და ყურს უგდებდა. წააწყდა და შეკრთა. მათ ერთმანეთი იცნეს.

ქერა კაცი ავშაროვის აგენტი იყო. პირველად ქეთომ ეს კაცი მოკლული მუშის დამარხვის დროს ნახა სასაფლაოზე, და ისიც გაახსენდა, როგორ ზურაბმა მაშინ იფრინა ის და ღრმა ხევში შეაგდო. ახლა ამ კაცმა ქეთოს გაოცებული თვალები აადევნა და ალბათ არა სჯეროდა, რომ ეს ქალი ავშაროვის მეუღლედ გადაქცეულიყო.

სალდათმა ქეთო სამშვიდობოს გამოიყვანა და უკანვე გაბრუნდა.

ავშაროვი ჯერ არ მოსულიყო. ქეთომ ტანისამოსი გამოიცვალა, პირსახე დაიბანა, ეკა გაისტუმრა, საქანელაში ჩაწვა და ახლაღა იგრძნო, თუ რაოდენად დაღლილიყო და აქოთებულიყო სულიერად და ხორციელადაც. თვალები მილულა, მოეშვა და ჩუმი ხმით ატირდა.

ამ სამიოდე საათში ქეთოს უამრავი რამ გადახდა: ქმრის საიდუმლოება გაიგო და გასცა; ქმარს ურჩობა გაუწია და ქუჩაში გავიდა; იქ მისმა ქმარმა უიარაღო ხალხს ტყვია დაუშინა; ქეთოს მეგობარი და მისი ქმარი ხადირივით მოჰკლეს; იქვე უამრავი უდანაშაულო ხალხი დახოცეს; ქეთო მელიასავით შეძვრა სოროში და იქ მოულოდნელად ზურაბის საყვარლად გადაიქცა; სანდრომ ქეთო ტყუილში დაიჭირა და იქნება წელანვე უთხრა ავშაროვს, რომ ქეთო და ზურაბი ერთად შეცვივდნენ ეზოში, ან შესაძლოა ხვალ-ზეგ უთხრას და ქეთოს ახლავე დააკარგვიხოს ქმრის ნდობა. დასწყევლოს ღმერთმა, ის ქერა ჯაშუში საიდანღა გამოტყვრა?!

* * *

ქეთო გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს თავის ქმარს. სამსახურიდან დაბრუნებულ ავშაროვს გაფაციცებით შესცქეროდა ხოლმე თვალებში და ლამობდა იქ ამოეკითხნა, გაიგო თუ არა მან ქერა ჯაშუშისგან, რომ ის ლამაზი ქალი, რომელიც ზურაბმა სასაფლაოზე მიიყვანა, მართლა ქეთო იყო? იცის თუ არა მან, რომ ქეთო იმ საზარელ ხოცვა-ჟლეტის დროს ზურაბმა გადაარჩინა? მიხვდა თუ არა ჟანდარმი, რომ ქეთო იმის საწერ მაგიდას და მუდამ გაბერილ პორთფელს თაგვივით სუნავდა, სჩხრეკდა და თან თავის ნაცოდვილევის ნამცეცა კვალსაც კი შლიდა, რათა საიდუმლო საქმეებში დაგეშილ ავშაროვს ეჭვი არ გაჰფუჩუნებოდა.

ყველაზე საშინელი მაინც პირველი ღამე იყო. ქმარს მოეჩვენა, თითქო ცოლის უმანკოება ვიღაცას მოეპარნა მისთვის, მოეჩვენა და თავის თავიც და ქეთოც ლამის ჯვარს აცვა. ქეთომ თავის თავი მხეცთა მომომთვინიერებელს შეადარა, რომელიც განძვინებულ ლომის გალიაში ჩავარდა. მან გრძნეულება მოიკრიფა, მრავალნაირი ეშმაკობა გამოიყენა და ალერსით, გაბუტებით, დაცინვით, ცრემლით და მრავალი მოგონილი და ნამდვილი საბუთით დაუმტკიცა ქმარს, რომ მისი იჭვი უსაფუძვლო იყო. ავშაროვი ხან ცეცხლმოდებულივით დარბოდა და იმუქრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ხან ქეთოს საწოლის წინ იჩოქებდა, ტიროდა, ემუდარებოდა და იმავე დროს თანდათან ლბებოდა და უჯერებდა.

ის ღამე უძილოდ გაათენეს. მას აქეთ ავშაროვს ამაზე ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს, მაგრამ მღრღნელი ეჭვი აქამდისაც არ გაჰფანტოდა. ზოგჯერ დიდხანს იჯდა ხოლმე დაღვრემილი, ერთ წერტილს ჩაციებული. ქეთო არ ასვენებდა მას: თავთ დასტრიალებდა, ეხვეოდა, უცინოდა, ეხუმრებოდა, სადმე ჰპატიჟობდა, მრავალი ხერხით უქარვებდა სევდას და თან ლამობდა დაღვრემის მიზეზი გაეგო, მაგრამ მისი ქმარი გულჩათხრობილი იყო და თავის ბოლმას დაღლილობას და სამსახურს აბრალებდა.

მას შემდეგ ორიოდე თვე გავიდა. ავშაროვი თითქო დაცხრა, თითქო გამხიარულდა. დღეს დილით კიდეც შესჩივლა ქეთოს: ოქტომბრის მანიფესტმა სასურველი ნაყოფი არ გამოიღოო. პირიქით, არეულობამ უფრო იმატა. ხალხმა თავი აიგლიჯა, ჭუჩა დაიპყრო და უწინდელზე მეტი ბრაზი ჩაიგუბა. მთელი რუსეთი ორ ბანაკად გაიყო. შეძლებულთა ნაწილი მთავრობას შემოეხიზნა, რომელმაც ნაძირალებიც კი შეიერთა და რუსეთის ყველა ქალაქში და სოფლადაც ებრაელებს და „კრამოლნიკებს“ უხვად გამოადინა სისხლი, მაგრამ ერთობელებმა მალე მოიკრიფეს ძალა და ტახტს უწინდელზე უფრო კადნიერად მიაწვნენ.

— მარტო აქაურ ამბებს ჩამოვთვლი. — უთხრა ავშაროვმა ქეთოს და ჩამოუთვალა: — რკინის გზა მრავალ ალაგას მოშალეს; უამრავი ერთგული ხალხი დაგვიხოცეს; ჯარი უარესად გაგვიხრწნეს; საიდუმლო სტამბამ ერთი-ორჯელ უმატა მუშაობას; აქამდის კონსტიტუციას მოითხოვდნენ, ახლა კი ამასაც არ სჯერდებიან... მიტინგებს ბოლო აღარ უჩანს; გაზეთებმა აღვირი წაიგდეს და ქვეყანა სულის ასამღვრეველი წერილებით წალეკეს; დეზერტირობა საშინლად გახშირდა და აღარც ახალ სალდათს გვაძლევენ; გურია ხომ სულ ჩამოგვშორდა; ჩვენი ხალხი გამორეკეს და ყველგან საკუთარი ხელისუფალნი აირჩიეს; იქ ნამდვილი დამოუკიდებელი რესპუბლიკა დამყარდა; გრიაზნოვმა ძლივს დააჯერა ვარანცოვი, რათა დამსჯელი რაზმი გაეგზავნა და გურულები ცეცხლით და მახვილით დაემშვიდებინა...

— წუხელის „ფოცხვერი“ მოგვიკლეს. — გაკვრით სთქვა ავშაროვმა, როცა გასავლელ კარს მიადგა, თან შეჩერდა და ქეთოს თვალი თვალში გაუყარა.

ქეთო შეკრთა, აილანძა.

— ვინ იყო ფოცხვერი? — ჰკითხა ბოლოს მან.

— ვითომ არ იცი?

— არა... არ ვიცი. — ლუღლუღით მიუგო ცოლმა.

— ერთობის გამოჩენილი ტეროორისტი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთობის ტერორისტი? მაშ რათა სთქვი, მოგვიკლესო?

— იმიტომ ვთქვი, რომ... რაღა დასამალავია: რომ ან ... დღეს ან ხვალ შენს მეგობარს გურგენიძეს დაგვაჭერინებდ.

ქეთო უარესად აირია და გაწითლდა:

— არტემ, გურგენიძე ჩემ მეგობრად რად მიგაჩნია?

— იმიტომ მიმაჩნია, რომ გაციმბირებას გადაარჩინე.

— მეტი არაფერი? — ძლივს ჰკითხა ქეთომ და თვალები განზე წაიღო.

— ამაზე მეტი რა გინდა?

ქეთომ შვებით ამოისუნთქა, მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა.

— უცხაური ხუმრობა გცოდნია. გურგენიძე მას აქეთ არც კი მინახავს.

— მაპატიე. მართლა გაგეხუმრე. — დაამშვიდა ქმარმა. — ერთ რაღეს მაინც გეტყვი: ზურაბის ნამდვილი ვინაობა რომ იცოდე, თავზარი დაგეცემა. შენ რა იცი ვინ არის შენი ზურაბი.

არტემი წყვდიადში აფათურებს ხელებს — გაიფიქრა გახარებულმა ქეთომ, როცა მარტო დარჩა. — მაგრამ ცხადია, რომ ზურაბი უფრო დიდი მოღვაწე ყოფილა, ვიდრე აქამდე მეგონა. „შენ რა იცი ვინ არის შენი ზურაბი“. ჩემ ქმარს კი ოდნავი ეჭვი შეჰპარვია. ფრთხილად იყავი.

პირველად ქეთო მხოლოდ ერთი უჯრის გაღებას ახერხებდა. ავშაროვი იმ უჯრაში წვრილმანის გარდა თითქმის აღარაფერს ინახავდა. გურგეხიძის საქმე სადღაც გააქრო, ან მეორე უჯრაში გადასდო, ან სამსახურში წაიღო. ქეთომ დანარჩენ უჯრებს ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერ გააღო. სამი დღის წინათ ავშაროვი განთიადზე დაბრუნდა. ქეთომ რომ გაიღვიძა, იმის ქმარი შუა ძილში იმყოფებოდა. სკამზე გადაკიდებულ შალვარს ფოლადის ძეწკვი ება, რომელსაც ხუთიოდე გასაღები ეკიდა. ქეთო ფრთხილად წამოდგა, პაწია უჯრიდან ცვილის ნაჭერი ამოიღო, ჩუმად ამოსწია ძეწკვი და გულის ფანცქალით შეუდგა საქმეს. სამიოდე წუთის შემდეგ მას ხუთივე გასაღების ყალიბი მზად ჰქონდა. იმავე დღეს ყალიბები ზეინკალს მიუტანა, რომელმაც გუშინ საღამოს ქეთოს ხუთი გასაღები ჩააბარა.

ქეთომ რომ ქმარი გაისტუმრა, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, ფანჯარა გამოაღო და სანამდის ადევნა თვალი ავშაროვს, მანამ სულ არ 

გაზრდა ქალბატონს ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ ქეთოს მაინც შიში დარჩა გულში.

საცაა ეკა ბაზარში უნდა წასულიყო. ქეთომ ვეღარ მოითმინა, ეკას წასვლას აღარ მოუცადა. ეწადა ახლავე გაეგო, მიუდგებოდა თუ არა ჭურდულად ნაშოვნი გასაღები იმ უჯრებს. ფეხაკრეფით შევიდა კაბინეთში და სცადა. ხანმოკლე ჩხაკუნის შემდეგ ოთხივე უჯრა გააღო, გამოსწია, ჩაიხედა, მაშინვე დაკეტა და ისეთი ალანძული გამოვარდა სასადილოში, თითქო სამარცხვინო საქმეში დაეჭირათ. უჯრები სავსე იყო საქმეებით, წერილებით, სურათებით და წვრილმანით, რომელსაც ძერმე წაიკითხავს, გაჩხრეკავს და გამოუძიებელს არაფერს დასტოვებს.

ქეთო სასადილოში გავიდა და საუზმეს მიუჯდა. უცებ შიდა აივანზე ბალალმა ქერა კაცმა ამოჰყო თავი. ქეთო შეკრთა, გვერდზე გადაიხარა და მიიმალა. ქერა კაცი სამზარეულოში შევიდა. ქეთოს გული აუფანცქალდა. მას გაახსენდა, რომ ამას წინათ ერთ მთვარიან ღამეს ძნ ამ აივნიდან გადაიხედა და იმ უცნობ კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც ეზო გადასერა და ალაყაფის თაღში მიიმალა. ქეთომ მაშინ ის უცხობი ამ ქერა ჯაშუშს მიამსგავსა და გადასჭრა: ის არის თუ სხვა ეიხმეა, ალბათ ეკას საყვარელია. შიშით და მოლოდინით ახლაც გული გაუწვრილდა.

ძალე ეკა შემოვიდა და მოახსენა:

— ქალბატონო, ერთ კაცს თქვენი ნახვა უნდა.

— ვინ არის? რა გვარია?

— არ ვიცი.

ქეთომ არ დაუჯერა. „იცის, იცნობს, მაგრამ მიმალავს“.

— იქ შემოვიდეს. — უთხრა მან მცირე მოფიქრების შემდეგ და სასტუმრო ოთახში გავიდა.

ქერა კაცი დინჯი ღიმილით შემოვიდა და შუა ოთახში გაჩერდა. ყავის-ფერი ძოთელილი შაპო და ორივე ხელი წელზე დაიწყო, დიასახლისს თავდაბალი სალამი მისცა და სთქვა:

— ნება ბიბოძეთ...

— დაბძახდით. — ნება მისცა ქეთომ, თვითონ კი ზეზე დარჩა და ცივად ჰკითხა: — ვინ ბძანდებით? რა გნებავთ?

ქერა კაცი დინჯად დაეშვა სავარძელში, მან თავი დაღუნა, შაპო ხელებში აათამაშა, მერმე ქეთოს ახედა და ღიმილით ჰკითხა:

— განა ვერ მიცანით?

ქეთოს მისი ცინიკური ღიმილი, მისი კითხვა და მისი იერიც კადხიერებად ბოეჩვენა, მაგრამ მაინც მტკიცე ხმით მიუგო:

— არ მაგონდებით... მგონი არსად არ მინახვიხართ.

— პირველად ერთმანეთი სასაფლაოზე ვნახეთ. — გაახსენა მან და შემდეგ ვიწრო ტუჩებიდან ღიმილი აღარ მოიშორა. — გურგენიძემ მი-

გიყვანათ. ჯიქი თქვენს ქორწილშიც გახლდათ. ის და მისი მეგობრები მართა დოვლათოვთან ისხდნენ. ლამის წაიქცეთ. ვფიცავ ეკლესიას — და ჩემს ცოლშვილს, რომ თქვენი წყენა აზრადაც არა მქონია. გთხოვთ დაბრძანდეთ და გულმშვიდად მომისმინოთ. არხეინად ბძანდებოდეთ. არც მე გაწყენინებთ და ნურც თქვენ მაწყენინებთ. დაბძანდით მეთქი, თორემ მეც ავდგები. — და მართლა წამოდგა.

— ნუ სწუხდებით, დაბძანდით. — უკვე მშვიდი ხმით უთხრა ქეთომ და თვითონაც ჩამოჯდა. ახლა მას მუხლები აღარ უთრთოდა. განაბული იჯდა, ყურს უგდებდა, დაფანტულ გონებას იკრეფდა და ლაბობდა ისეთი რამ მოეფიქრებინა, რომ ის კაცი ქუდმოგლეჯილი გავარდნილიყო იქიდან და იმ ქუჩაზე გავლაც კი ველარ გაებედნა.

ქერა კაცი ხელახლა ჩამოჯდა და უფრო გაბედულად ალაპარაკდა.

— სასაფლაოდან რომ დავბრუნდი, ავშაროვს ყველაფერი მოვახსენე, მაგრამ თქვენი ვინაობა დავუმალე. ძალიან კარგად ვიცოდი ვინ ბძანდებოდით, ისიც ვიცოდი, რომ ავშაროვს ძლიერ მოსწონდით და ამიტომ მოვალეობას ვუმტყუნე და ორივენი დაგინდეთ. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: მე მოვალე ვიყავი გურგენიძე დამეპატიმრებინა, მაგრამ არ მინდოდა თქვენთვის ბედნიერი დღე ჩამეშხამებინა და ამიტომ დავინდე.

— ვითომ აგრეა? მართლა ნება გქონდათ დაგეპატიმრებინათ? — ცბიერი ღიმილით ჰკითხა ქეთომ, რომელსაც საიდუმლო შენიშვნა გაახსენდა: გურგენიძე ჯერ არ დააპატიმროთო.

ქერა კაცი განზე იხედებოდა, მაგრამ იმავე დროს ქეთოს თვალებსაც ხედავდა. ახლა მან გაოცებით შეხედა მას და ჰკითხა:

— თქვენ საიდან იცით?

— რა ვიცი? — მაშინვე დაუხვედრა ქეთომ პასუხიც და თვალებიც.

— საიდან იცით მეთქი, ვაპირებთ თუ არა ამჟამად გურგენიძე დავაპატიმროთ?

— მე არაფერიც არ ვიცი. — აუკრა გულგამაგრებულმა ქეთომ. — ჩემთვის სულ ერთია, გინდ დააპატიმრეთ, გინდ არა.

— არა, ქალბატონო, სულ ერთი არ არის. მე ყველაფერი ვიცი. — დაჯერებით შეჰკადრა ჯაშუშმა.

— რა იცით? რას მაშინებთ! — მტკიცედ დაუხვდა ქეთო და ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ ბელფორის ლომის ქანდაკებას დაავლო ხელი, რომელიც წინ ედო.

ჯაშუშმა ქეთოს ხელს თვალი დაადგა და ღიმილით მიუგო:

— ღმერთმა დამიფაროს, სულაც არ გაშინებთ. ის კი ვიცი, რომ იმ დღეს გურგენიძემ გადაგარჩინათ, რომ თქვენ მასთან ერთად სამ საათს იმალებოდით ჯურღმულში, რომ ორივენი ერთად იწექით თივაში და... ამაზე მეტს აღარაფერსაც არ გეტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კმარა! — გააწყვეტინა ქეთომ და სწრაფად წამოდგა.

ქერა კაციც წამოდგა. მან მოწიწებით მოიხარა კისერი და ბრძანა ხმით მოახსენა:

— მაპატიეთ, ქალბატონო. თუ მიბძანებთ, ხმასაც აღარ ამოვიღებ და ახლავე გეახლებით.

ყოყმახის შემდეგ ქეთო ხელახლა დაეშვა სავარძელში. მან ისევ წაავლო ხელი ბრინჯაოს პაწია ქანდაკებას, უცებ მიანება თავი, მერმე ორივე ხელი აიფარა სახეზე და ამოიკვნესა:

საწყალი ქალი დაიბრიყვეთ... შეურაცყოფაც კი მომაყენეთ.

— ღმერთმა დამიფაროს! — გულწრფელად წამოიძახა ქერამ. — როგორ შეიძლება! რა ბძანებაა! აზრადაც არ მომსვლია, თითქო იმ სარდაფში უკადრისი რამ ჩაგედინოთ, თითქო თქვენი ქალური უმანკოება გურგენიძისთვის დაგეთმოთ, თითქო ქმრისთვის ხუთი გასაღები მოგეპარნოთ და მის საიდუმლო საქმეებში ხელებს აფათურებდეთ. რა ბრძანებაა! როგორ შეიძლება! ამას როგორ იკადრებდით!

— ღმერთო ჩემო, რა საძაგლობაა!

— რასაკვირველია საძაგლობაა! — მიეშველა ქერა. — მართალია, ორივენი თივაში და მტვერში ამოვლებული ახვედით სასტუმროში, მაგრამ ეს არაფერსაც არ ნიშნავს. იმ დღეს კლიმიაშვილისთვის გითქვამთ, კოტე ყიფიანთან ვიყავიო, ქმარს კი ესეც დაუმალეთ. კოტე ყიფიანი თქვენი ნაცნობია, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ის იქ არა ცხოვრობს, ეხე-ხე. დიაღ, იქ არა ცხოვრობს მეთქი. ესეც ჩვენში დარჩეს, ქალბატონო, დიაღ, ჩვენში დარჩეს. მე სხვა რამეც ვიცი, მაგრამ ჯერ ესეც გვეყოფა.

— ბითხარით, რა გინდათ და რისთვის მოხვედით? — ჰკითხა ქეთომ ბოთვინიერებული ხმით.

— თქვენი სიკეთის მეტი არაფერიც არ მინდა. — ქლესურად მიუგო გახარებულმა აგენტმა. — ერთი საწყალი კაცი ვარ. ხვალ ან ზეგ მომკლავენ. ქვრივი და სამი ობოლი დამრჩება. მე მორწმუნე გახლავართ და ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ჩემი შვილები მიყვარს. მათ სცივათ, შიანთ, სწყურიანთ და გამკითხველი კი არავინა ჰყავთ. ჩემს სამსახურს ძაღლიც კი არ იკადრებდა.

— ცოტა ხანს მოითმინეთ. — გააწყვეტინა ქეთომ და მეორე ოთახში გავიდა. იქიდან მალე დაბრუნდა, ერთი დასტა წითელი თუმნიანები გამოუტანა, ხელში ჩასჩარა და უთხრა:

— თქვენს ცოლშვილს ჩააცვით, დახურეთ და აჭამეთ.

— გმადლობთ, ქალბატონო, გმადლობთ... გმადლობთ. — თავდახრით იმეორებდა ქერა. მერმე უცებ დაიხარა და თავის ულვაშები ჯაგარივით უჩხვლიტა ქეთოს ხელს.

ქეთომ ზიზღი აისახა სახეზე და ხელი გამოსტაცა. ქერამ ირიბულად ჩაიცინა და უთხრა:

— სასაფლაოზე თქვენ მშვენიერი ბეჭედი აჩუქეთ პოლიკელს. ჩემთვის რომ გეჩუქებინათ, ჩემს საწყალ ცოლს მივართმევდი, იმან კი მეორე დღესვე გაყიდა და მას შემდეგ ლოთობას უმატა.

ქეთომ საჩქაროდ წაიძრო თითიდან ლალის ბეჭედი, წითელი ბუზივით რომ აჯდა ხელზე, გამოწვდენილ ხელში ჩაუგდო ქერას და დასძინა:

— გეყოფათ. დროა მიბრძანდეთ.

— რასაკვირველია, მეყოფა. მეტიც მომივიდა. ამას იქით აღარ შეგაწუხებთ. ჩემი იმედი იქონიეთ, ქალბატონო. თუ ჩემი თავი დაგჭირდეთ, ეკას პირით დამიბარეთ და მაშინვე გეახლებით. ნუ მომერიდებით, ამიერიდან ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. გმადლობთ... გმადლობთ.— ნაწყვეტ-ნაწვეტად ლუღლუღებდა აგენტი და უკან უკან იხევდა.

ქერა კაცი სამზარეულოში შევიდა. ქეთომ თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „ცხადია, რომ ეს კაცი ეკას საყვარელია. საქმე ერთად გაჩარხეს. ამავე დროს აგენტია ჩემი ქმრისა, რომელსაც ღალატობს. ახლა მაგის ხელში ვარ და ვინ იცის რა დღეში ჩამაგდოს. ღმერთო მიშველე!“

ქერა კაცი მალე გამოვიდა სამზარეულოდან და კიბეზე დაეშვა. მას ეკა გამოჰყვა, რაღაც უთხრა, მერმე ქეთოსთან შემოვიდა და საბაზრო ფული მოითხოვა. ქეთომ მოსამსახურეს ფული მისცა, გაისტუმრა, კარი ჩაკეტა, სწრაფი ნაბიჯით შევიდა კაბინეთში და ერთი უჯრა გამოაღო. შიგ წერილები, სურათები და მრავალი წვრილმანი აწყვია. ქალს ეშინიან ხელი ახლოს. ეშინიან ვით ნადირს ხაფანგისა. ალბათ ავშაროვს ნიშანი აქვს დადებული. კიდევ იმიტომ ყოყმანობს, რომ სხვის გულში ჩახედვას შეჩვეული არ არის. ეშინიან ისეთს არაფერს წააწყდეს, რომელშაც შესაძლებელია ქალური თავმოყვარეობა შეულახოს და ანანოს.

„ცოლქმრის საიდუმლება ცეცხლია.—უთქვამს ქეთოსთვის მარიამს.— თუ გაქექეს, ორივეს დასწვამს, დაამცირებს, ანანებს“. ახლა ქეთოსთვის ეს საოჯახო დარიგება განყენებული უხორცო რამეა. მას გონებით ესმის მისი აზრი, მაგრამ მის სიმართლეს ვერა გრძნობს. ვერა, ვერ მოითმენს. ეს წერილები უნდა წაიკითხოს, ყველაფერი უნდა გაიგოს, ცეცხლი უხდა გაქექოს. დეე დასწვას! რა ბედენაა! სამაგიეროდ სიმართლეს მიაგნებს და იმასაც გაიგებს, ვინ იყო და აქამდის როგორ ცხოვრობდა მისი ქმარი.

ქეთო გაფაციცებით კითხულობს რუსეთიდან მონაწერს თავის დედამთილის წერილებს, ის უფრო ათვალიერებს, ვიდრე კითხულობს. ათიოდე წერილში სულ ერთი და იგივე სწერია: გალინა ჯერ არ დაბერებულა, მას ბევრი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ შვილის ხათრით არ თხოვდება. ის მაძულს გადაეგო და დილით-საღამომდის მხოლოდ იმაზე ზრუ-

ნავს, რომ ძამულს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი გააგდებინოს და შვილის მადა დააცხროს. შვილი ურჩევს დედას და ასრულებს: გლეხებს ძკაცრად ეპყრობა, ერთი შაურის შელავათსაც არ აძლევს და ურჩებს დაქირავებული ჩაჩნების მათრახით და იარაღით ელაპარაკება. დედა შვილს რუსეთში მდიდარ საცოლეს უმზადებს და იმავე დროს ურჩევს: სანამ ოჯახის უღელს დაიდგამდე, მანამდის იცხოვრე, იქეიფე, ძაგრამ ზომას არ გადასცდეო.

აჰა ის წერილიც, რომელსაც ქეთო გამალებით ეძებდა. ჯერ ავშაროვს გარკვევით არ უთქვამს თავის ცოლისთვის, რამ აიძულა ის დრაგუნთა მუნდირი ჭუჭყიან ლურჯ მუნდირზე გაეცვალნა? ძალიან აღშფოთებული და შეშინებული დედა სწერს შვილს: „მე არა მჯერა, რომ სახაზინო ფული გაგეფლანგოს. არც ისა მჯერა, რომ დანიშნული ქალალდით გეთამაშნოს. ისიც ჭორი იქნება, თითქო ვიღაც შანსონეტს ჩემი შვილისთვის ოქროულის მოპარვა დაებრალებინოს. ამ ჭორებს სათავეშივე უნდა დავაჭრათ ფრთები. ამას დიდი ფული დასჭირდება. გამალებული ვაგროვებ, ვსესხულობ და ათიოდე დღის შემდეგ მანდ ვიქნები. ნუ გეშინიან, გუბერნატორი სვეჩინი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი პასტრულინი და თვით მთავარმართებელი გალიცინიც კარგად გვიცნობენ და დაგვეხმარებიან“.

კმარა, გამოირკვა! ახლა ქეთომ ყველაფერი იცის. მისი ლამაზი ოლოფერხი ქურდი და ჯიბგირი ყოფილა.

— ქეთო, სულელო! — დაუძახა ამ დროს მეორე ოთახიდან თუთიყუშმა.

„ოლონდაც, რომ სულელი ვარ. — დაეთანხმა ქეთო — მაშინვე უნდა მცოდნოდა, რომ ჭუჭყიან მუნდირს ისევ ჭუჭყიანი კაცი ჩაიცვამდა. მაგრამ ახლა გვიანლაა თითზე კბენანი“.

თქმა არ უნდა, რომ გვიანლაა... ახლა უმთავრესი ის საქმეებია, რომელიც დანარჩენ უჯრებში აწყვია. მაგრამ სანამ საიდუმლო საქმეებს წაიკითხავდეს, ჯერ იმ წერილებს გადაავლებს თვალს, იმავე უჯრაში რომ ალაგია. წერილების დასტა აბრეშუმის ძაფით არის შეკრული. შიგ ძრავალხაირი ქალალდი მოსჩანს: ვარდისფერი, მოწითალო, იასამნის ფერი, მოყვითალოც და ცისფერიც. ქეთომ ალალბედზე ვარდისფერი წერილი ამოიღო.

ვიღაც ლენა ტიროდა: არტემ, მე შენ ყველაფერი შემოგწირე, შენ კი ვერაგულად მიღალატეო.

მეორე წერილში ვიღაც მარგო ჩიოდა: ჩემმა ქმარმა ღალატი შემამჩნია და სიცოცხლე ჩამიმწარა, შენ კი სწორედ ახლა დამემალეო.

ვინმე შანსონეტი ადელი ავშაროვთან ერთად გატარებულ ღამეებს იგონებდა და ისეთ ინტიმიურ სურათებს ასწერდა, რომ სირცხვილისაგან ალეწილმა ქეთომ წერილი უკანვე ჩააგდო. მერმე ისევ ამოიღო, ბო-

ლომდე წაიკითხა, თარიღს დახედა და გაშტერდა: ცხადი იყო, რომ ავშაროვს ჯვრის დაწერამდის სამი დღით ადრე ადელთან გაეტარებინა და მე და ახლა ის ქალი ლამობდა საყვარელი ხელახლა დაებრუნებინა, თანაც ქეთოს დასცინოდა: შენი ცოლი ჯერ გამოუცდელია სიყვარულში და სანამ ისწავლიდეს, ისევ ჩემთან ივლიდეო.

ქეთოს ხელები აუკანკალდა. მან გაფაციცებით დაუწყო ძებნა ადელის წერილებს. რამდენიმე ადრინდელი წერილი წაუკითხავად გადასდო და ერთი პაწია წერილი ჩაიკითხა, რომელიც ორი კვირის წინათ იყო დაწერილი. ამ წერილიდან ცხადად სჩანდა, რომ ქეთოს ქმარს იმ ხანებში რამდენიმე საათი კიდევ გაეტარებინა ადელთან, რომელიც ახლა აუწყებდა მას: ჩემმა გარყვნილმა ნავმა ამდენი ხეტიალის შემდეგ ბედნიერ ნავსაყუდელს ძიალწია. მოუსვენარი კაფეშანტანური ცხოვრება მეყო. რამდენიმე დღის შემდეგ ქურდულად ვთხოვდები და გემუდარები დამივწყო და ჩვენი უწინდელი სიყვარული არსად გაამჟღავნო, თორემ სამუდამოდ დამღუპავო. რამდენიმე უსირცხვილო მინაწერის შემდეგ ბოლოს ეწერა: „სამუდამოდ შენი ყვითელწითელი ადელი“.

„წუწკო! ბილწო! გარყვნილო არტემ!“ — გულში წამოიძახა ქეთომ, სწრაფად შეჰკრა წერილები, უჯრა დაჰკეტა და ჩუმი ხმით ატირდა, ისე ატირდა, თითქოს იგი ვინმეს საჯაროდ გაელახოს, გულამომჯდარი ტიროდა და თან ლამობდა აქოთებული გრძნობა დაეცხრო და მხოლოდ და მხოლოდ გონებას აჰყოლოდა, რათა მოღალატე ქმარს მომზადებული დახვედროდა და ახლანდელზე უარესად არ შერცხვენოდა. ძალღონე ძალე ძოიკრიფა, გაშმაგებული გული თითქმის აილაგმა და ქმრის ღალატს საკუთარი ღალატი შეადარა.

ქეთო თვითონვე იყო საკუთარი თავის მოსამართლეც, დამცველიც და ბრალმდებელიც.

„მე ზურაბი ძიყვარს, არტემს კი — ვილაც ადელი. მაშ ამ მხრივ ბარიბარში ვყოფილვართ. მაგრამ მე ერთხელ ვუღალატე შემთხვევით და უნებურად, ის კი შეგნებულად მღალატობს. მას აქეთ მე ზურაბი აღარც კი მინახავს, ხოლო ჩემი ქმარი იქნება ახლაც იმ კახპას ეხვევა“.

ამ სურათმა ელვასავით გაურბინა თვალწინ და გული შეუტრუსა.

„მარტო მე ძალა არ შემწევს ეს ხლართი გავხსნა. — გაიფიქრა მან.— ზურაბი უნდა მოვიშველიო“.

ზურაბი ძოუსმენს და ალბათ ჰკითხავს: „სანამ გიშველიდე, ერთ რამეს გკითხავ და მიპასუხე: გიყვარს თუ არა ავშაროვი?“

ქეთოს შეეშინდა. ბოლოს და ბოლოს ვინ უყვარს მას, ზურაბი თუ არტემი? ან იქნება ზურაბიც და ქმარიც? შეუძლებელია! ტყუილია! ქეთო მეძავი ხომ არ არის, რომ ვილაც „ყვითელწითელ ადელსავით“ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მამაკაცი უყვარდეს! მას მხოლოდ ზურაბი უყვარს და მეტი არავინ, ავშაროვს კი მხოლოდ შეეჩვია, დიალ, მან მხოლოდ შეიჩვია და მეტი არაფერი.

ოჰ ნეტავი ზურაბი ამ ორ თვეში ერთხელ მაინც შეხვედროდეს ქეთოს! მათი სიყვარული განმტკიცდებოდა, ფესვებს მოიმაგრებდა, ურღვეველი გახდებოდა. მაგრამ სჩანს გურგენიძე სასიყვარულოდ ვერ იცლიდა: ხან ბაქოში იყო, ხან ქუთაისს მიეშურებოდა, ზოგჯერ ბათომს დახედავდა და ზოგჯერ სოფლადაც დადიოდა.

ქეთომ მას ნიკოს პირით რამდენიმე ცნობა შეუთვალა და სცადა პირადად ენახა გურგენიძე, მაგრამ ნიკომ უპასუხა „არ ვიცი სადა ცხოვრობსო“, და თავიდან მოიშორა. მას აქეთ ქეთო მწვავე მოლოდინმა მოიცვა. ეგონა, თვითონვე გამიხსენებს და ხმას მომაწვდისო, მაგრამ ზურაბს ჯერ არ ეწადა გაწყვეტილი ძაფი ხელახლა გადაება და მისი ერთგული ქეთო ერთხელ მაინც ენახა.

არა, ქეთოს არტემი არა ჰყვარებია, ახლა კი ეზიზღება კიდევაც. ზხედაცემული, გარყვნილი ვინმე ყოფილა და განა ღირს ამ სალახანასთვის იტიროს და გული გაიბოროტოს? რა თქმა უნდა, არა ღირს. ამიერიდან ერთ კურცხალსაც არ ჩამოაგდებს, აღარც მოუალერსებს, არც გვერდით მიუწვება, დეე ყვითელწითელ ადელთან წაეთრიოს და იქ დაცხრეს, თუნდ გაგიჟდეს, თუნდაც დადნეს.

წაეთრიოს, მაგრამ ვინ არის ეს ყვითელწითელი ადელი? ქეთო ხელახლა ეცა უჯრას. იქ წელანვე მოჰკრა თვალი ფოტო-სურათებს. მთელი დასტა აძოიღო, ქალების სურათები ამოარჩია და ხარბად შეუდგა სინჯვას და წარწერების კითხვას.

ეს ის ლენაა, რომელმაც ავშაროვს, „ყველაფერი შესწირა“. ნამდვილი მოჭიდავეა: სქელი, ვულგარული, გაცვეთილი და ურცხვად მოპრანჭული.

აი ის მარგოც. ქმარმა რომ ღალატი შეამჩნია და სიცოცხლე ჩაუმწარა. ჯმუხია, პაწია, შავი, გამხდარია ნამძუვარი კატასავით და რომანტიული ძიჯხურისა ოდნავი იერიც კი არა აქვს.

აი მესამე, მეოთხეც და... და ქეთოს მადამ ჰოპკინსის სურათი ხელიდან გაუვარდა. აი თურმე ვინ ყოფილა ყვითელწითელი ადელი! შანსონეტი ადელი! ილიკოს საცოლო და ავშაროვის საყვარელი! ახლა მისი „გარყვნილი ნავი“ ვილაცამ შეიცურა. ადელი ქურდულად თხოვდება. მისი მთხოვნელი მასზე უფრო მეტად უნდა იყოს გარყვნილი, ავარა და სულელი.

„ღმერთო დიდებულო, ნუ თუ ილიკო ბრიყვდება? — იკითხა ქეთომ. — აგრეა, უეჭველად აგრე იქნება. ერთხელ გაკვრით მითხრა. მაშინ არ დავუჯერე. ხუმრობა მეგონა. მაგრამ სჩანს იმ ძუკნას იმდენად მოუხიბლავს მართლა სულელი, მართლა ავარა და მართლა ზნეწამხდარი ჩემი ძმა, რომ მან გაჰბედა და ის უნამუსო ჩემს ქორწილშიც კი მოშგვარა. ალბათ ილიკოს არ ეცოდინება, რომ ადელი არტემას საყვარელია, თორემ თავმოყვარეობას არ შეილახავდა, სისხლის აღრევას არ ბოითმენდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ დრო აქვს, ქეთომ ილიკოც, თავის დედმამაც და საკუთარი თავიც უნდა იხსნას საქვეყნო შერცხვენისაგან.

უცებ მან მაგიდაზე რამდენიმე საქმე შენიშნა, რომელიც მის ქმარს დავიწყებოდა. ქეთომ ორი მათგანი გადასინჯა, მესამეც გადაფურცლა, გურგენიძის სახელს მოჰკრა თვალი, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და დარეტიანებული დაეშვა სკამზე. ეგონა, თვალმა მიმტყუნაო, და ხელმეორედ ჩაიკითხა. ძაფით შეკერილს ზურაბის საქმეში ერთი ფურცელი იყო ჩადებული, რომელზედაც რამდენიმე შენიშვნა ეწერა. ეს შენიშვნები ქეთოს ადრევ ჰქონდა წაკითხული. იქ ეწერა: ჯერჯერობით გურგენიძე არ დააპატიმროთ და მართას ბინას თვალყური ადევნეთო. ახლა კი ავშაროვს საკუთარი ხელით მიეწერნა: „გურგენიძეს ხელი აღარ ახლოთ. დიდ სამსახურს გვიწევს“.

არა, თვალს არ უმტყუვნია. სწორედ ასე სწერია: დიდ სამსახურს გვიწევსო. ქეთოს ჟრუანტელმა ჩაურბინა, მერმე ცახცახი აუვარდა...

„მაშ ზურაბიც... ნუ თუ ზურაბიც... არა, არა მეთქი! შეუძლებელია! დაუჯერებელია! ჩემი ქმარი ხაფანგს მიგებს. მან ანკესი გადმომიგდო. ახა-ხა, სულელო! ტუტუცო! სულელი ის არის, ვისაც მე ვგონივარ სულელი. წელანვე მომამზადა. მითხრა: შენ რა იცი შენი გმირი ზურაბი ვინ არის, და როცა გაიგებ, თავზარი დაგეცემაო“.

აჰა, გაიგო. მერმე რა, ვითომ მოტყუვდა? სასაცილო ფანდია. ამ ფინაჩურ ხაფანგს ბრმაც კი დაინახავს. ქეთომაც თვალნათლივ დაინახა, თახდათახ ცახცახი დაუცხრა და სულიერ ცაზე ღრუბლის ერთი ნაგლეჯილა დარჩა: ფოცხვერის ლალატიც ქალალდის იმავე ფურცელზე ეწერა და მართალი გამოდგა. მაგრამ... ვითომ მართალი გამოდგა? ვინ გამოიძია? ვინ შეამოწმა? იქნება ავშაროვმა ის საწყალიც ამ ფანდით მოაკვლეინა? მაგრამ შესაძლებელია ფოცხვერი მართლა მოღალატე ყოფილიყო და, მაშასადამე, ჩაწერილი შენიშვნაც მართალი ყოფილა. თუ აგრეა, მაშინ არც ის არის დაუჯერებელი, რომ ზურაბიც... დიაღ, ზურაბიც... ჰოი საძაგელო, საზიზღარო ჟანდარმო, ეს რა შხამი ჩაუწვეთე შენს ცოლს ქეთოს?! ის უკვე მოწამლულია. მან დღესვე უნდა იპოვნოს ზურაბი, დღესვე უნდა გაიგოს სიმართლე, უნდა გაიგოს და ეს ჭორი გაჰფანტოს, თორემ შესაძლებელია მთელ ქალაქს მოედოს და ზურაბმა თავი ველარ გაიმართლოს.

სანამ ეკა დაბრუნდებოდეს, ქეთო ქალალდებს თავის ალაგას აწყობს, უჯრებს ჰკეტავს, სწრაფად იცვამს ტანისამოსს და ცალიერ ოთახებში დიდხანს დადის ამღვრეული, მოწამლული, ფერწასული. ეკა რომ ბრუნდება, ქეთო რაღაც დარიგებას აძლევს მას და საჩქაროდ გადის შინიდან.

— ქეთო, სულელო! ქეთო, სულელო! — მისდევს მას უკნიდან თუთიყუშის ყრანტალი.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ჟუჩიშვილი

# კ ა ხ ე თ ი შ ი

1.

გომბორის მთათა
        მაღალ მწვერვალებს
სპეტაკი ნისლი
        ალმასებს არხევს
შორს ალაზანი
        ისე ელვარებს,
ისე აშუქებს
        შირაქის არხებს, —
რომ უნებლიეთ
        გული მღელვარებს
და პირველ ჯეჯილს
        ცვარმოცახცახეს.
დავძახე:
        თავთავ-დასხმული გნახე!
. . . . . .
დიახ, იზარდე!
        დაპურდი ყანად!
ბელლებს ავსებდეს,
        ვინც მოგიყვანა!

2.

ახლა გავხედოთ
        ზვრებს და ვენახებს,
როგორ დასხმულა
        და შეფოთლილა;
გული ზღვად ჰქმნია
        თვითეულ კახელს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალს რომ გაახელს
შეჰხარის დილას.
შეჰხარის დილას,
მაგრამ თუ ცაზე
გაჩნდა სასეტყვო
შავი ღრუბელი, —
მოიღუშება
მის დანახვაზე,
რადგან ყოველ წამს
დაქცევას ელის.

3.

არა და არა!
მზე ცეცხლისთვალა
ისე დაჰყურებს
გულგაშლილ კახეთს,
რომ ალისფერი
ალაზნის ჭალა
ოქროს ჩარდახებს
აგონებს მნახველს.

4.

კავკასიონის
ზვიადი ქედი
სდარაჯობს მხარეს,
დაფენილს თვალწინ;
ტრიალ მინდორზე
სჩანს ალავერდი,
რომლის გუმბათსაც
ლაჟვარდი აწვიმს.

5.

ვარ მოხიბლული
და როგორც მუნჯი
'მორით შევტრფივარ
სილნაღს და თელავს;
მათი გალავნით
და ციხე-ბურჯით
მთელი წარსული
მეტყველებს, ელავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.

აგერ დაძრულა
ქიზიყის ცხვარი,
თავს ევლებიან
მწყემსები ნამატს;
საიალაღოდ
ხელს უწყობს დარი,
ოდნავი ცვარი
ბალახს თუ ჰნამავს.
მიდის, მიღელავს
ცხვრის თეთრი ფარა,
შვინდის კომბლები
ცაში ტრიალებს;
მწყემსთა სიხარულს
საზღვარი არ აქვს,
სალამურთა ხმაც
ლაღად წკრიალებს.

7.

სტალინურ
ახალ ადამიანებს
აქვთ შეტევა და
სოცშეჯიბრება;
გუგუნი მათი
ველს ახმიანებს,
იზრდება შრომის
აბობოქრება.

8.

დიდებულია!
ქუდს ვუხდი ჯახეთს!
რა შეედრება
მის სილამაზეს?!
აყრილა მტრობა
და სივაგლახე,
შემდგარა მედგარ
სიკეთის გზაზე!

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლ. თავაძე

# ფრთები

## რომანი *).

### XVII

სამსარის მთათა მწვერვალებიდან გადმოჭრილი ნიავი დაგელაობდა ივლისის მზის მცხუნვარებაში, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხელოდა და სოფლელები მზვარეს თავს ანებებდნენ.

გუმბათის ჯვარზე იჯდა შავფრთებიანი ყანჩა და ნისკარტით უბეს იჩიჩქნიდა, ხოლო როცა მოსწყინდებოდა, ხანგრძლივად გაშეშდებოდა და მზვერავივით მოძვლებდა თვალს შუადღისას გარინდულ ბარმაქსიზს.

არც ერთი საჩრდილობელი, არც ერთი შეფოთლილი, ხე ქვის სახლებს შორის, ეზოებში კი გალავნიდან გალავნამდის ჩამწკრივებული იყო ნამცხვრებივით შეზელილი ნაკელის ზვინები.

სოფლის პირად სქელქამრიანი და თავმორთული ქალები, წვივებამდე დაკარწახებულნი, საცვლებს უბათქუნებდნენ ქვებზე, ხოლო თმაგაჩეჩილი ბავშვები მდინარეში ჭყუმპლაობდნენ.

მოწყვეტით დაეშვა ფერდობზე სამგზავრო ავტომობილი, გრიალით შეიჭრა ხიდზე და თემშარაზე რომ ასრიალდა, მყისვე გამოება რუხი ნისლივით დაგრაგნილი კუდი.

ბექობზე, ფართო აივნიან სახლის წინ შესდგა იგი.

მწიფე შინდისფერი ფრჩხილები ელვარებდა გრძელ თითებზე, შოფერის კაბინის სარაზავი რომ გადასწია, და პირველად ხავერდის ქუდი გამოჩნდა, სწორედ იმ ფერისა, მამალი ხოხობის ყელზე რომ ხასხასებს. დაადგა მიწას ნატიფად ჩამოსხმული ფეხები, კაბა გაისწორა და ზე აღიმართა. ვარსკვლავებით გულსავსე ზღვის ბრწყინვალება გამოკრთოდა ქლიავისოდენა თვალებიდან, ხოლო დაწმენდილ ღაწვების თავებთან რომ მცირე ხაზი აჩნდა, ვერავინ მიხვდებოდა, ხშირი წამწამების ჩრდილი იყო იგი, თუ ვნებათა ღელვის კვალი, ოდნავ შესამჩნევი. თეძოების სისავსე ამძიმებდა თითქო, მაგრამ ვიწრო წელს ზემოდ შემართული გულმკერდი უტოლფარდებდა მოქნილ აღნაგობას. ტანმაღალი იყო და ეშხიანი გოგმანით სიარულს ფრიად იმშვენებდა.

არჩილ სანებლიძემ ცხრისა თუ ათი წლის გოგონა გადმოსვა ავტოდან, ხოლო ნინოს ფარეში — ჯანლონით სავსე ქერა ქალიშვილი ბარგი

*) გაგრძელება იხ. „მნათობი" № 5 — 6.

გადმოზიდვას შეუდგა. მას შოფერიც დაეხმარა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ იყო და არც არავის დაუვალებია, მაგრამ ხანგრძლივად ეჯდა ის იდუმალი ცეცხლით აღსავსე ქალის გვერდით და ახლაც ამ ცეცხლს საამო სითბო ამოქმედებდა.

მალე დალაგდნენ ფართო დარბაზში და ნინომ აივნიდან გადახედა ბარმაქსიზს. ცალყბად გახსნა ოდნავ შეფერილი ტუჩები და ქუფრად დაენისლა ფირუზისფერი თვალები; მყისვე შემობრუნდა და ფარეშს უბრძანა:

— მარუსი, გაასეირნე ლილი. დიდხანს იჯდა ავტომობილში და გავლა მოუხდება.

გავიდნენ ისინი და ნინო მაღლიდან დააცქერდა ტახტზე მიწოლილ არჩილს; კაცი ვერ გაიგებდა — მრისხანებას გამოხატავდა ეს მზერა, თუ ალერსს, ვინაიდან ყოველ წუთს ფერს იცვლიდა მისი დიდრონი თვალების ციმციმი.

— ეს არის, არჩილ, წელს ჩვენი აგარაკი?

არჩილმა დაყვავებით გაუღიმა და მისებური ტკბილი ხმით უპასუხა:

— ცოტა ხნით, ჩემო კარგო, ცოტა ხნით. შენ ჯანმრთელი ქალი ხარ და აქაური ჰაერი არ გაწყენს... წყალტუბოს ხომ იყავი წელს...

— საქმეზე მელაპარაკე, ნუ მიედ-მოედები! — მკაცრად შეაწყვეტინა ნინომ.

არჩილი მყისვე წამოჯდა ტახტზე და ცოლს ხელი გაუწოდა:

— ჩამოჯექი აგერ და ვიჭუჭუნოთ ტკბილად.

ქალმა თითქო ზიზღით აარიდა სახე და ფანჯარას მიადგა.

— სთქვი, აქაც გავიგონებ.

— რა უნდა ვთქვა... ხომ გითხარი, ნინუცი, მახეში ვარ გაბმული. ბევრჯერ დავაღწიეთ თავი ასეთ განსაცდელს, მარა ახლა სულ სხვაა. ეს იმიტომ მომივიდა, რომ აქ დიდი გასაქანი არაა, ჩვენ კი მარტო ხელფასი ხომ არ გვეყოფოდა. თვეში ასი თუმანი შენს პირად ხარჯებსაც არ დაფარავს... არა, მე ხომ არ გაყვედრი. დიდი ოჯახის შვილი ხარ და ცხოვრების გემოც იცი...

ნინო უცებ შემობრუნდა, ქმარს გვერდით მიუჯდა, ალერსით მოუსვა თავზე ხელი და ნაზი შებრალებით ჩაილაპარაკა:

— გაუჭირდა ჩემს არჩილიკოს. მახეშია საწყალი გაბმული... სთქვი ბარემ, როგორ გამოვხსნათ ის მახე. არც ისე სუსტია ჩემი თითები...

არჩილი ვნებით დაეწაფა ნინოს ხელს, ლოყაზედაც აკოცა და მერმე საქმიანი გამომეტყველება მიიღო.

— ჩვენ აქ რამდენიმე კაცი უნდა მოვიშინაუროთ. ბეწვზე ჰკიდია ჩვენი ბედი, თუ უკვე წამოწყებული საქმე არ მოვსპეთ. სასამართლომდე თუ მიაღწია, მერე მშვიდობით... როგორმე აქედან მშრალად უნდა გავიდე და მერე სხვაგან მოვეწყობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორი ფიზიონომიისანი არიან ისინი? — რუსულად ეკითხა ნინომ.

— ერთ მათგანს შენ უკვე იცნობ, ტფილისში რომ გვყავდა დაპატიჟებული, ფოფხაძე, აი ის არის.

— ჰა, ჰა... კამბულასავით ჩამრგვალებული რომაა, ხომ?

— ჰო. ფოფხაძე მსუნაგი კაცია და მისი ჩათრევა ადვილია. ზავრიშვილი კი — ისიც ნახე მგონი ერთხელ — მიუდგომელია. გარეგნულად რომ შეხედო, მუდამ ტკბილად იღიმება, მარა მტერი ჩაუვარდა ხელში...

— უყურე ამ დონდლოს! — გაიკვირვა ნინომ.

— არის კიდევ ერთი ახალგაზრდა ინჟინერი, ალანია, მე ვფიქრობ, მთლად მისი წამოწყებულია ეს საქმე. მგონია, შენს მოქნილ თითებსაც გაუძნელდეს მისი მორჯულება. ერთობ შეზღუდული ახალგაზრდაა და თავისი საქმის მეტი არაფერი ახსოვს.

— ჯავრი ნუ გაქვს. ჩვენ ჯერ ერთი კარგი ვახშამი გავმართოთ...

არჩილს თითქო რაღაც მოაგონდა, სახე წამოეგზნო და ცოლს თითი დაუქნია.

— შენებურად არ შესტოპო იცოდე! მეყოფა, რაც მე რქები ვატარე.

— ჰა, ჰა, ჰა. — ხანგრძლივად გადიკასკასა ნინომ. — შენ ისე გინდა, არც წვადი დაიწვას და არც შამფური, ხომ? ძნელია ეს, არჩილ ჩემო! მაგრამ ასე იყოს. თუმცა შენისთანა განათლებული კაცი და ეჭვიანობა ვის გაუგონია. შენ ხომ გიყვარს ხოლმე თქმა: მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ დარჩენილაო. ადამიანი ხომ პრასა არ არის, რომ მეორეჯერ ამოვიდესო. მეც ამ აზრისა ვარ. სანამ ხარ ამ ქვეყნად, კიდევაც უნდა იცხოვრო. არც ეჭვით უნდა მოიწამლო გული, არც მწუხარებით. ჩვენ კი ჯერ ბევრი არაფერი მიგვიკლია და ადამიანურად ვცხოვრობთ. ეს კია, წელს ბორჯომის ნაცვლად ამ გადახრუკულ მთებში ამოვყავი თავი, აქ არც გასართობია და არც...

— მაგაზე არ იჯავრო შენ, ნინუცი. ოლონდ ერთი ამ ხლართიდან გამოვძვრე და მერე პირდაპირ აქედან ჩაგიყვან ბორჯომში, ქობულეთშიაც გაგიშვებ...

*
* *

კარგა ხანს ასეირნა მარუსიამ ლილი და ბოლოს პატარა საყდრის გალავანში ჩამოსხდნენ საფლავის ქვაზე.

მზე უკვე მთებისაკენ გადაიწურა და ყალხზე შემდგარ ზღვის ტალღასავით გაბრწყინდა თრიალეთის ქედი.

ლილიმ ყვავილებზე მოფარფატე პეპელას მოჰკრა თვალი და თვითონაც პეპელასავით აფართქალდა. აი თითქო მისწვდა პეპელას, მაგრამ იგი დაბლობში გადაეშვა და ლილიმ წონასწორობა დაჰკარგა, უთუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმედ დაეცემოდა, მოსე მიქატაძე რომ არ მიშველებოდა და მარტო არ აეტაცნა.

სასტუმროსთან აედევნა მოსე ბავშვს და ახლა იშოვნა დრო, მაგრამ მოხვია ხელები, გულზე მიიკრა და რამდენიმეჯერ აკოცა ღაწვებსა და თვალებში.

ლილიმ თავი გადასწია, გაოცებით დააცქერდა ამ უცხო კაცს და მაჯით ლოყა მოიწმინდა. მერმე უცებ მოაგონდა და მეამიტად ჰკითხა:

— მოიცა, თქვენ ხომ ისა ხართ, ტფილისში რომ დამიჭირეთ ერთხელ და მეუბნებოდით — მამა ვარ შენიო? უიმე, რამხელა ტყუილი გცოდნიათ, ბატონო, თქვენ! სახლში რომ მივედი, დედას ვკითხე და გამიწყრა, განა არ იცი, ვინც არის მამაშენიო.

მოსემ კვლავ მიიზიდა ლილი, მაგრამ ბავშვმა მკერდზე მიაბჯინა ხელები და გაშვება მოსთხოვა.

ცრემლით ამოევსო მოსეს წამოკაკლული თვალები, იქვე ქვაზე ჩამოჯდა, ლილი მუხლებზე დაისვა და მთრთოლვარე ხმით მიუალერსა:

— ნუ გეშინია, გენაცვალე ჩემო გოგონა. მართლა მამა ვარ მე შენი, ღვიძლი მამა...

მწვავე სიბრალული აღეძრა ლილის ამ აცრემლებული კაცისადმი და უნებლიედ მიეფერა მას, ნაზი ალერსით მოუსვა ლოყაზე ხელი; მაგრამ პირზე მომდგარი სიტყვა მაინც ვერ შეიკავა და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჯერ არავის გაუგონია, რომ ბავშვს ორი მამა ჰყავდეს!

— ორი რატომ, ჩემო ერთადერთო! მე ერთი ვიყავი სანამ კაცად ვარგოდი, სანამ შენი მამინაცვალი ძირს გამომითხრიდა და უფსკრულში გადამაგდებდა...

იქვე ახლოს იჯდა მარუსია და მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია, ეს უცნობი რომ ეალერსებოდა ლილის, არც ის ეუცხოვა — მას რომ ისე თვითვე წამობერილი თვალები ჰქონდა, როგორც მის მუხლებზე მჯდარ ბავშვს. კარგად იცნობდა თავის ქალბატონს და მყისვე გადასწყვიტა: ეს კაცი ნინოს ადრინდელი საყვარელი იქნებოდაო და შვილიც ალბათ მისგან ეყოლაო.

მაინც უხერხულად ჩასთვალა, ეს გადაყენებული მიჯნური რომ ასე ხანგრძლივად ესაუბრებოდა ბავშვს.

— ლილი, წავიდეთ ახლა, თორემ დედა გაჯავრდება.

ლილიმ შეატყო, მოსეს რომ ფერი ეცვალა, და კვლავ შეეცოდა, მაგრამ ჩაავლო მაჯაში ხელი და ბრძანების კილოთი უთხრა:

— თქვენც უნდა წამოხვიდეთ! ვნახოთ ერთი, რას იტყვის ახლა დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარედ გაეღიმა მოსეს, მაგრამ მაინც ადგა, ვინაიდან ისეთი გრძნობა აღეძრა — სიკვდილამდის გაჰყვებოდა ამ ხელს, ასე მაგრად რომ შეეხვეჭდო მაჯაზე თავისი სათუთი თითები.

*
* *

ნინომ არჩილი გაისტუმრა და ტახტზე მიწვა მოსასვენებლად.

ის იყო ჩასთვლიმა და ლილიმ ჭრიალით შეაღო ოთახის კარი. მყისვე გამოეღვიძა და კარიბჭესთან ატუზულ მიქატაძეს დააცქერდა ხანგრძლივად, ჯერ ცისფერი შუქი გამოკრთა თვალთაგან, მერმე ქუფრი იერი მოეფინა დაწმენდილ სახეზე და ცივად, სასტიკად შეათვალიერა მოსე თავიდან ფეხამდე.

ლილიმ მიქატაძეს ხელი შეუშვა და დედას მიაშურა ღიმილით:

— დედიკო, აი ეს კაცი მეუბნება — მამა ვარ შენიო. სტყუის ხომ, დედა?

მარუსია გარედან უყურებდა ამ სურათს და, თუმცა ქართული არ იცოდა, მაგრამ მაინც პირზე ხელი აეფარებინა და სიცილს ძლივს იკავებდა.

წარბშერჭმით წამოჯდა ტახტზე ნინო და ფარეშს უბრძანა:

— მარუსი, არჩილთან ჩადი! ქვევით იკითხე და გასწავლიან. ლილიც წაიყვანე, არჩილი ვახშმისათვის სანოვაგეს გამოგატანს.

ლილი პასუხს მოელოდა, მაგრამ დედის დაწკურული თვალების სუსხს ვერ გაუძლო, მყისვე შემობრუნდა, მომდურავსავით ალმაცერად ახედა მოსეს და მარუსიას აედევნა.

— დაბრძანდით, ბატონო მოსე! — შინაურულად მიმართა ნინომ, ადგა და კაბა გაისწორა, მერმე სარკესთან მივიდა და პუდრიანი ფოჩი მიისვ-მოისვა სახეზე.

მიქატაძე კვლავ გაშეშებული იდგა და ხმა ვერ დაეძრა.

ცალყბად მოუხედა ნინომ და ირონიული ღიმილი ტუჩებზე შეაშრა: სრულებით არ მოელოდა, ყოფილი ქმარის წამობერილ თვალებში რომ ვნება ამოიკითხა, ულმობელის ძალით ანთებული ვნება. ღრმად ამოჭრილ კომბინეზონში ამობურცულ მკერდს დაჰკვდომოდა მიქატაძის მზერა და ჩვეული სიამით შეერხა ქალს გული, მაგრამ მაინც გამკილავად ააციმციმა თვალები, შავი წარბები შეჭმუხნა და რუსულად მიმართა მოსეს:

— ნუ თუ არა გრცხვენიათ თქვენ, ბავშვს რომ გულს უმღვრევთ და მამისადმი სიძულვილს უნერგავთ?

— რომელი მამისადმი? — წამოიხრიალა მიქატაძემ და კედელს მაეყრდნო.

ახლა კი დაუფარავი ზიზღით ახედ-დახედა ნინომ და გესლიანი ხმით შეუტია:

— მამა ის არის, ვინც ზრდის და არჩენს. შვიდი წელიწადია გადაკარგული ხარ და ახლა მოიგონე შენი მამობრივი უფლება!

— ჩემი ნებით ხომ არ გამინებებია თავი! თქვენ თვითონ მომიწყვეთ ეგ საქმე, არჩილმა და შენ...

— ჰა, ჰა, ჰა, სხვას აბრალის თავის სიგლახეს! შენ რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინო, მე და არჩილი რა შუაში ვართ?

— არჩილიც ხომ ერია იმ საქმეში? მთლად მისი წამოწყებული არ იყო?

— ეგ მე არ ვიცი. ის გაამართლეს.

— მე მომახვია ყველაფერი და გამოძვრა....

— არჩილს შნო აქვს და უნარი. შენ კი გლახაკი იყავი მუდამ და გლახაკად დარჩები.

— მაშ მე ლილის მამაც არ ვყოფილვარ? — ჩავარდნილი ხმით წამოიძახა მიქატაძემ, მუხლები მოეკვეთა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— რა თქმა უნდა, არა! კაცს რომ ცოლშვილის რჩენა არ შეეძლება, ის ამ ქვეყნად სახსენებელიც არაა. კარგია, შენ ნუ მომიკვდე, ბავშვი სხვამ გამოზარდოს, სხვისი ნაშრომით იკვებებოდეს მთელი შვიდი წელიწადი, მოხვიდე მერე და მამა-შვილობა მიუალერსო. რა დაგიხარჯავს? ან მის გაჩენაში რა წილი მიგიძღვის?

ჩიხში მოემწყვდა მიქატაძე. ისიც ამავე საზომით უდგებოდა ადამიანთა ურთიერთობას, უმთავრესად ნივთიერი ინტერესი აკავშირებდა საზოგადოებასთან და ახლა შეირყა თითქო ეს შეხედულება, დაუზოგავად მოქნეულ მახვილივით შეიჭრა მის ცნობიერებაში ნინოს ულმობელი ლოგიკა და მწვავე ტკივილით იგრძნო, რომ მეტად დიდი უსამართლობა ატყდებოდა მეხივით და შემზარავ უფსკრულში მიაქანებდა.

გულშეღონებლივით დაეშვა მიქატაძე ამ ჯურღმულში, სამარის მღილებივით შემოეხვია გრძნობა არარაობისა, შხამიანი ალით შეჭვარტლული ხვეულები რომ მოიარა, მაგრამ იქედან გაწმენდილი არ დაბრუნებულა.

უმოწყალო სიმძაფრით ჩასწიოდა ყუშრი ნინოს მკაცრი სიტყვები, ლოდებივით სცვივოდა ირგვლივ და ამ ლოდებს, საფეხურებად ქცეულს, ადგამდა ფეხს იგი და ამოდიოდა ზევით, აღსავსე სიცოცხლის წყურვილითა და ჟინმოუკვლელი ვნებით.

გაფითრებული სახე თანდათან წამოეგზნო და ნინო რომ ულმობელ განაჩენს უკითხავდა, მის თეძოებს თვალს არ აშორებდა; მერმე ეს შინაგანი მღელვარებით ანთებული მზერა გულმკერდზე გადაიტანა, ყელსა და ღაწვებს მიმოჰფინა და ბოლოს თვალი თვალში გაუყარა.

შეკრთა ქალი, მაგრამ სახე მაინც არ ააარიდა, ვინაიდან კვლავ ჩვეული სიამით შეუტოკდა გული და ტუჩებზე ღიმილი გაეფურჩქნა, პირველი ღამის მოგონებით ნაფეთქი ღიმილი.

ვერავითარი ძალა, ვერც რაიმე დიდი მისწრაფება ვერ დასძლევდა ახლა მის ქედმაღალ მრისხანებას, ვერც სინანულს აღძრავდა მასში, ვერც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათნოებას, მაგრამ ამ წუთში ეს ვნებით აცეცხლებული კაცი ადარ-ერის თითქო მისი ყოფილი ქმარი, თეთრი ნისლივით მიეფარა უდრტვინველად გატარებული წლები და მის წინაშე დგას ჯანღონიანი მიჯნური, არც თუ მთლად სანატრელი, მაგრამ მაინც სასურველი.

ლიმილთან ერთად ტონიც შეიცვალა, თვალები ფირუზისფრად ააციმციმა და უნებლიედ ჰკითხა:

— როგორ ცხოვრობდი მაინც ამდენ ხანს?.. სჩანს, დიდი გაჭირვება არ გამოგივლია, არ გატეხილხარ, ძალღონე სავსებით შეგინარჩუნებია ის კი არა უფრო გაახალგაზრდავებული მეჩვენები!.

— როგორ უნდა მეცხოვრა უშენოდ! — მხილეული ხმით ჩაილაპარაკა მოსემ და წამოდგა, — პირველად გნახე ახლა და შენ ხელიც კი არ გამომიწოდე.

ნინომ ლალად გადიკასკასა, ეშხიანი გოგმანით გაემართა მისკენ და...

— ინებეთ, ჩაგრულო რაინდო!

მხურვალედ დაეწაფა მიქატაძე გამოწვდილ ხელს, შიშველ მკლავზედაც აკოცა და მერმე სახეზე შეანათა ლადარივით წამოლვივებული თვალები.

ნინოს თითქოს რაღაც მოაგონდა, ფანჯრისკენ მიიბრუნა პირი და ხელი გაინთავისუფლა. მერმე კვლავ მოხდენილი ღიმილით მოუხედა და ნაზის საყვედურით ჰკითხა:

— ტფილისში რომ ჩამოხვედი, რატომ არ მინახულე? ბავშვის შეტი არავინ მოგაგონდა?

ბედნიერების მწვავე ჟრუანტელი შემოენთო მიქატაძეს, ვინაიდან ამ საყვედურმა აგრძნობინა, რომ უბრუნდებოდა დიდი ხნის წინათ დაკარგული განძი და გულში ბოლმად ჩარჩენილი შურისძიებაც გამოსავალს ჰპოულობდა. სანებლიძის განადგურებას ნატრობდა დღენიადაგ და ახლა თუ ნინომ მისკენ პირი იბრუნა, რაღა დაუშლის, მიწასთან გაასწორებს, ცოცხლადვე აწამებს დაუსრულებლად. იმასაც მოესწრება, მისი ქალიშვილი რომ არჩილს ვიგინდარად სთვლიდეს და ამდენმა ამაგმაც ფუჭად ჩაუაროს...

— მინდოდა მოსვლა, მაგრამ სიყვარულმა დამსძლია. — მორცხვად უპასუხა მიქატაძემ.

— ჰა, ჰა, ჰა. ვისმა სიყვარულმა, მოსე ბატონო?

— შენ უფრო იცი, ნინო... ჩემო ნინო! — გაბედა მიქატაძემ.—მეშინოდა, ვაი თუ ხელი მკრას და ვერ ავიტან-მეთქი... თან პასპორტი არ მომცეს და ტფილისში დარჩენა არ შემეძლო... აქ მოგელოდი მოუთმენლად.

— მართლა? — მაცდური ღიმილით გაიკვირვა ნინომ და კედლისაკენ მიიწია. — წელან არ მითხარი — შენ დამღუპეო? მე თუ დაგღუპე, სიყვარული როგორ-ღა შეგრჩა?

— არა, ნინო, შენ რა შუაში ხარ! — წამოიძახა მოსემ. — ჩემთვის რომ ქონება არ ჩამოერთმიათ, ეს არ მომივიდოდა, ვერც არჩილი ჩამაბამდა იმ საქმეში...

— ნუ დაგავიწყდებათ, ბატონო მოსე, არჩილი ჩემი ქმარია! — მკაცრად შეესიტყვა ნინო და თვითონაც გაუკვირდა, რომელმა გრძნობამ ამოკარნახაო ეს ოფიციალური ტონი!.

მწვავედ დასუსხა მიქატაძე ამ სიტყვებმა, მაგრამ ნინოს თვალთაგან გამომკრთალი შუქი შემოეფინა, სასოების მიმნიჭებელი შუქი, მისწვდა და მკლავი დაუკოცნა, მერმე კვლავ ლადარივით წამოღვივებული თვალები შეანათა, და:

— იყოს, არ გიშლი, არც რაიმე მეთქმის, ოღონდ მეც ვიყო რაიმე შენთვის. ჩვენ ხომ ერთი შვილის მშობლები ვართ...

არ მოეწონა ნინოს მოსეს ათრთოლებული ხმა, მას უფრო მამაკაცის ჯიქური და გაბედული მისვლა იმორჩილებდა, მაგრამ ამ ხმის მიღმა მაინც ამჩნევდა უტეხ ძალას, მიმზიდველსა და დამატკბობელს.

მართლაც და, რამ უნდა დაუშალოს ნინოს, რომ ეს მისთვის შემონახული ვნება არ უარყოს. რამდენიმე მიჯნური გამოიცვალა ამ წლების მანძილზე, ანგარებითაც დაჰნებებია ზოგიერთს და ახლა მოვიდა მიქატაძე, მოვიდა და თავისი ანთებული გულით აქრობს თითქო განვლილი დღეების დამჭკნობელ ჩრდილს და პირვანდელ სიხალისეს უბრუნებს.

— საწყალი მოსე! — ძველებური სინაზით შეეხმატკბილა ნინო და ალერსით მოუსვა თავზე ხელი, სწორედ ისე, ორიოდე საათის წინათ რომ სანებლიძეს მიეფერა.

ელდასავით დაეცა მიქატაძეს ეს შემბრალებელი ხმა, პირველად თითქო დატორტმანდა, მაგრამ ნინოს მოხდენილმა ღიმილმა შეჰმატა მხნეობა და მართლაც ჭაბუკურის სიძლიერით მოეხვია თავის ყოფილ ცოლს.

ალერსზე ალერსითვე უმასპინძლდებოდა ნინო, მაგრამ ცალი თვალი მაინც აივნისაკენ ეჭირა და, როცა იქ ლილიმ ამოირბინა, მყისვე განშორდა მიქატაძეს, სარკეს მიაშურა და სახე შეიპუდრა.

მოკრძალებით შეალო ლილიმ კარი, წამოფაკლულ მიქატაძეს პირი აარიდა და, დედის გაბრწყინებული თვალები რომ შეეფეთა, სიხარულით მოეხვია წელზე.

ფარეშმა სანოვაგით სავსე კალათი კუთხეში დადგა, ჩუმი, ეშმაკური ღიმილით მოავლო თვალი ყველას და გარეთ გავიდა.

ნინომ ღაწვებზე მოუსვა ბავშვს ხელი და მიქატაძეზე მიუთითა:

— წელან მეკითხებოდი, ლილი... ეს მართლა მამაა შენი... არჩილიც მამაა, ე. ი. გამზრდელია შენი, ეს ნამდვილი, ღვიძლი მამაა.

ლილიმ მორცხვად შეათვალიერა მოსეს წამოჭარხლებული სახე და რაღაც ზიზღის მაგვარი გრძნობა აღეძრა უნებლიედ. რამდენჯერ შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრებია დედასთან ნაალერსალ კაცს და ყოველთვის ეს შურნარევი ეჭვი დაჰბადებია გულში.

საყდრის ეზოში რომ აიტაცა ამ უცნობმა, მაშინ სულ სხვა იყო, მაშინ რაღაც საოცდავი გამომეტყველება ჰქონდა მას, მაგრამ ახლა დედაც უმოწმებს — მამა არისო ეს კაცი და ლილის უტიფარი ხუმრობა ჰგონია ეს.

— მოდი, გენაცვალე, ჩემო გოგონა! ახლა ხომ გჯერა, მამა ვარ-მეთქი რომ გეუბნებოდი?

ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და დედას კალთაზე მოეხვია.

— მიდი, ლილი, ნუ გრცხვენია! მალე შეეჩვევი! — უბრძანა ნინომ და ძალით მიჰგვარა მიქატაძეს.

ბავშვს თვალები ცრემლებით აევსო და სახეზე ხელები აიფარა, რათა ამ უცხო მამაკაცის მზარავი ტუჩები ლაწვებზე არ გაჰკარებოდა.

ბოლოს მაინც მშობლიური ხმის სითბო ჩასწვდა გულში, მორცხვად ააცმაცუმა ცრემლჩამდგარი თვალები და მამას მიაშტერდა. მერმე ხელიდან გაუსხლტა, სარკესთან მიირბინა, შიგ ჩაიხედა და დედას მიმართა გაოცებულმა:

— დედა, ხედავ, ამ კაცს...

— სთქვი, მამას, ან ბატონ მოსეს. — გაუსწორა ნინომ.

— ჰო, ბატონ მოსესაც ისეთივე თვალები აქვს, როგორც მე...

ორთავეს გაეცინა. ხოლო ლილი კვლავ სახტად დარჩა, ერთ წამს რაღაცას ღრმად ჩაუფიქრდა და მერმე უცებ იკითხა:

— კი, მაგრამ თუ ეს... ბატონი მოსე მართლა მამაა, ამდენხანს სად იყო?

— მაგას ჯერ შენი ჭკუა ვერ მისწვდება, გაიზრდები და მერე გაიგებ. — დაარიგა ნინომ.

მართლაც ვერ ჩასწვდა ლილი ამ საიდუმლო გამოცანას და სანებლიძე რომ მოულოდნელად კარებში შემოიმართა, გულუბრყვილო სიხარულით მიაფართქალდა, ფეხის თითებზე შესდგა და მხრებზე ჩამოეკიდა.

არჩილმა მიქატაძეს დაასო დაწკურული თვალები, ღაჟღაჟა სახე ბაიასავით გაუყვითლდა და ბავშვს ხელი ჰკრა.

არ მოელოდა ამ წუთში ნინო ქმარს, მაგრამ მაინც არ დაიბნა, წაბარბაცებულ ლილის მკლავში ხელი ჩაავლო და ლაღი სიცილით მიაგება არჩილს.

— ჰა, ჰა, ჰა, ნამდვილი ოტელოა ჩემი არჩილი, მრისხანე ოტელო!

არ გაუგონიათ თითქო სანებლიძეს ეს სიცილი, ყელში ბოლმა მოაწვა და ბრაზი ახრჩობდა, შემმუსვრელი სიტყვის დაძვრა რომ ვერ მოეხერხებინა.

— რა მოგვიდა, არჩილ, ასე უნდა მიეგებო სტუმარს? ეს ხომ ლილის მამაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს უხუთავდა ახლა არჩილს სულს, რომ მიქატაძე ლელის მამა იყო. განა არ იცოდა მან, რომ ესენი აქ ერთმანეთს შეხვდებოდნენ? იცოდა და თითქოს შერიგებულიც იყო, მაგრამ ასე უცბად და ისიც ასე სიამტკბილობით თუ მოხდებოდა, არ ეგონა. ახლა კი...

და მოაგონდა სანებლიძეს, თუ რისთვის ჩამოიყვანა აქ ნინო, მისმა შავად დახლართულმა საქმემ გამოაფხიზლა მყისვე და მწარედ გაელიმა, მერმე თავს ძალა დააატანა, თაფლისფერი თვალები შეავლო ნინოს ლმობიერად და მიქატაძეს ხელი გაუწოდა.

## XVIII

გამოვიდა ლადი გვირაბიდან და მშვიდი ალერსით შემოეფინა გარს ღრმა ხევში ჩამოწოლილი საღამოს ბინდი; მდინარეც ხმადაწეულად ჩხრიალებდა თითქო და ნაზად იღიმებოდნენ ჩამავალი მზის შუქით მოოქროვილი თხემები გორებისა. ნელი ნიავი მოსისინებდა ნაპრალივით გაბზარულ ხრამში და აფრქვევდა ირგვლივ მთების კალთებიდან მოტაცებულ სურნელებას.

ღრმად ამოისუნთქა ლადიმ, სახეზე მტვერი მოიწმინდა და ბილიკს აჰყვა აუჩქარებლად.

სხმულ ფოლადივით მიუკარებელი კლდის ფენა ედგა თვალწინ და უკვირდა — ეს ორთვენახევარი ასე მალე როგორ გაფრინდაო. ოთხასი მეტრია კიდევ გასაჭრელი და შემდეგშიაც თუ ასეთი ნიადაგი შეხვდათ, მაშინ მეტისმეტად გაძნელდება გეგმის შესრულება.

ნიკოსა და ვასოს ბრიგადები მთელი ძალლონის დაჭიმვით იბრძვიან, ოთხ ცვლად მუშაობენ დღისითა და ღამით.

დავითის ბრიგადას შესასვლელი არხი გაჰყავს:

შორიდან უხდებოდა დავითს აქ სიარული, ვინაიდან ოჯახურადაა მოწყობილი სტანდარტულ სახლში და აქ შესაფერი ბინა ჯერ არ იშოვებოდა. სხვები კი აქვე ცხოვრობენ, ტაშბაშში.

ორი ბანაკია აქ თითქო, ორი შეურიგებელი ბანაკი: მილიონი წლების მანძილზე შეკირული გრანიტი და მილიონი წლების შეურყეველ ქედმაღლობასთან მებრძოლი ადამიანები.

ცეცხლს აფრქვევს კაჟადქცეული ტინი და ბიჭები სულმოუთქმელად მიარბენინებენ გვირაბიდან ბურღებს პირის ასალესავად; ხელმარჯვედ ჰპირავენ და აწრთობენ ამ ბურღებს სახეშემურული მჭედლები და ერთის წუთითაც არ სწყდება მძაფრი და შეუპოვარი იერიში.

კომპრესორისა და ვენტილატორის საქმეც მოაწესრიგა ლადიმ, ელექტროდენიც თითქმის შეუწყვეტლად აქვთ, პატარა სასადილოც გახსნეს ტაშბაშში და გვირაბის მუშებისათვის ფარდულებიც ააგეს ხევში, მაგრამ ზოგჯერ კლდის ისეთ ფენას წააწყდებიან ხოლმე, რომ დღიური ნორმის შესრულებას ველარ ახერხებენ.

ტაშბაშზეა ახლა მიპყრობილი ხრამჰესელთა მთელი ყურადღება და თამაზის გამჭრიახი თვალი შეჰყურებს ყველას, იდუმალის ძალდატანებებს მათ; სიამაყით გაჰყურებენ უკვე დაძლეულ დაბრკოლებებს — ... მეტებულის ხალისით მიისწრაფიან ახალი სიძნელის გადასალახავად.

ფოფხაძეც გამოაფხიზლა თითქო ამ საერთო გზნებამ და მასალების მიწოდებას ძველებურად ალარ აგვიანებს.

ბაგრატ თეზელი და გიორგი ზავრიშვილიც აქ ტრიალებენ ხშირად და ამ პატარა სოფლის ვიწრო შუკები ავტოებით გაჭედილ ქუჩას დაემსგავსა, მრავალხმიან ქალაქის ქუჩას.

ინჟინრები და ტექნიკოსებიც საკმაოდ არიან აქ ამ ზაფხულს, მაგრამ ლადის, ამ უმთავრესი უბნის სამუშაოთა მწარმოებელს, ერთი წუთითაც არა აქვს მოცლა, ათასი წვრილმანი და მნიშვნელოვანი საქმე აქვს მოსაწესრიგებელი ყოველდღიურად და ხშირად საკმაოდ გამოძინებასაც ვერ ასწრებს.

ამიტომაა, ახლა რომ უკვირს ფერდოზე მიმავალს — ეს ორთვენახევარი ასე უცებ როგორ გაფრინდაო!

გუშინწინ გაისტუმრა დედა და ერთი ვერ მოიცალა, რამდენიმე საათით მასთან დარჩენილიყო და ესაუბრა, ან სადმე გაესეირნებინა.

ერთ კვირას დაჰყო ძაძუმ შვილთან და ფრიად გაუჭირდა ამ უცხო ქვეყანაში; ოთახში მარტო რჩებოდა ხოლმე და ხმის გამცემი არავინ ჰყავდა.

ისიც ეუცხოვა პირველად ძაძუს, მისი ვაჟი რომ ინჟინერს სრულებით არა ჰგავდა. რამდენჯერ, შეუვლია მორცხვად თვალი ოქროსფერ ფოლაქებიან დიდკაცებისათვის, მედიდურად რომ გაივლიდნენ რკინის გზის სადგურის ბაქანზე... ჰო, როგორ არა, კარგად იცის ძაძუმ: ახლა სხვა დროა, გამარჯვებულ მშრომელთა დრო, მაგრამ მაინც გული ეტკინა, მისი ლადი რომ უბრალო მუშებისაგან ვერაფრით განასხვავა: მასაც ისეთივე სამოსი ეცვა, როგორც დავითსა და ნიკოს, ვასოსა და სერგო ნიკურაძეს; გამუდმებით დარბოდა ხევიდან ხევში, ხან ცხენზე შეჯდებოდა და ბარმაქსიზისაკენ მიჰქროდა, შუალამეშიაც წამოხტებოდა ხოლმე და გვირაბისაკენ მიეშურებოდა. ეს კია: დაღლილობას ვერ ამჩნევდა დედის მოსიყვარულე თვალი და ეს უამებდა გულს ძაძუს, ლამის მასაც გადაედო შვილის ყოველდღიური საზრუნავი და ბუნდოვანად წარმოესხა რაღაც მზესავით დიდი და ბრწყინვალე, ელვარე ჯაჭვივით აღმავალი საუკუნიდან საუკუნემდე, სწორედ ისე, ძველ ქართულ ზღაპარში რომ ადის რაინდი ცამდე აზიდულ კიბეზე და ჩამოაქვს იქედან ბედნიერება და სიხარული.

წარმოესხა ეს და შეიცნო ძაძუმ, რომ მარტოოდენ გვირაბისა და ჰიდროელსადგურის მშენებლობა როდია ეს, არამედ უფრო ღირსშესანიშნავი და საშვილიშვილო.

ამიტომ ლადისთან ერთად მუშებიც გაიზარდნენ ძაძუს თვალში, ფრიად მიმზიდველი იერით შეიმოსნენ და რალაც უჩვეულო სიამაყე იგრძნო ძაძუმ, თავის სიცოცხლეში არასოდეს რომ არ განუცდია, ისეთი სიამაყე: მისი სისხლი და ხორციც ხომ აქ არის, ამ საშვილიშვილო საქმეში...

მართალია, ლადი გარეგნულად არაფრით განირჩევა სხვა მშენებლებისაგან, მაგრამ მეტისმეტად გაეხარდა ძაძუს, როდესაც ირგვლივ მიმოიხედა, ლადისადმი ამხანაგების დამოკიდებულებას დააკვირდა და დარწმუნდა: ყველანი, ხანდაზმული და ახალგაზრდა, დიდის პატივისცემითა და მეგობრული თანაზიარობით ეპყრობოდნენ ლადის.

განსაკუთრებით ასალოს შეეთვისა ძაძუ და წასვლის წინ დააარიგა:

— იმ კაცს, ნანა, ასალოს, შვილივით უყვარხარ. მის რჩევას გვერდს ნუ აუვლი გამოცდილი და გულმართალი კაცია, ნანა.

მერმე ალერსით მოუსვა თავზე ხელი და დაუმატა:

— თავს გაუფრთხილდი, ნანა შვილო. ხრამში არ გადავარდე, ღამით რომ დადიხარ იმ საშინელ ხევში, ან ცხენმა არ გადაგჩეხოს სადმე...

და ცხადად წარმოუდგა თითქოს ძაძუს შვილის განსაცდელი, თვალები ცრემლით დაენისლა და რამდენიმეჯერ შეერხა თხელი ტუჩები.

— შემოდგომაზე შვებულებას ავიღებო, ნანა, რომ მპირდები, არ მომატყუო...

ახლა ღიმილით გაუბრწყინდა ნაოჭიანი სახე, შვილიშვილს ჰკიდა თითქო თვალი, ნორჩსა და პირმცინარეს.

— რომ იცოდე, ლადი, ნანა, როგორი გოგო დადგა ჩვენი ბაბორე! ისეთი კი არაა, ფეხშიშველა რომ დასდევდა ძროხებს ბავშვობისას. საშუალო დაამთავრა და სულ შენს ხსენებაშია, ნანა....

ლადის ნათელა მოაგონდა მყისვე და დარცხვენილი ღიმილით მოეხვია დედას.

— ნუ გეშინია, დედა, არ მოგატყუებ, უთუოდ ჩამოვალ და შეიძლება შენ რომ გაგიხარდება, ისეთი ამხანაგიც ჩამომყვეს.

ძაძუ ხანგრძლივად შეაცქერდა ლადის თვალებში და ადვილად ამოიკითხა, დედის გულმა ამოიკითხა შვილის საიდუმლო. კვლავ პირმცინარე შვილიშვილის ნორჩი ხმა შემოესმა თითქო, მაგრამ მაინც შეეცადა არ გამოემჟღავნებინა ეს სიხარული და ტკბილად უსაყვედურა:

— ახლანდელ ახალგაზრდას დედის ამორჩეული როგორ მოეწონება! ეს მეც ვიცი, ნანა... შენი ნება იყოს, შვილო. მაგრამ ამასაც გეტყვი: ბაბორესთანა გოგო ძნელად მოინახება, ნანა. მის მშობლებსაც ვიცნობ და მისი ხასიათიც ვიცი. დიდი მეოჯახე ქალი დადგება, ნანა, ბაბორე...

ლადიმ წარბები შეიჭმუხნა და ძაძუ მყისვე მიხვდა — თავი მოვაბეზრეო ლადის ბაბორეს ქებით.

ხოლო როდესაც შოფერმა მგზავრებს თვალი მოავლო და საქე გადასწია, ძაძუ ავტობუსიდან გადმოიხარა, შვილს თავზე ხელი მოხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— აბა, შენ იცი, ნანა, თუ ჩამოხვალ და იმ შენს კარგ ამხანაგსაც ჩამოიყვან!...

აივაკა ლადიმ და გორებსაც მოსწყდა ჩამავალი მზის შუქი, კალთებშეკეცილი მთებიდან გადმოეშვა თითქო მუქად მონარნარე ჩრდილი და შორეულ ნანჩქრევივით აბიბინდა სოფლის მიღმა გაშლილი ყანები. ქუფრი იერი წამოიბურა ლოდებიან კბოდეზე განმარტოებულმა მუხამ და თეთრ თავსაფრიანი დედაკაცები და გოგოები წყაროზე მიეშურებიან.

ასალო მზარეულივით ტრიალებდა კუთხეში, ნავთურასთან, ლადიმ რომ ოთახის კარი შეაღო.

კეთილი ღიმილით მიეგება ასალო და მაგიდაზე დაწყობილი ახალი გაზეთები ანიშნა.

მეტად კმაყოფილი იყო ლადი, რაკი ტაშბაშში გადმოსვლის შემდეგ ასე თვალსაჩინოდ შეიცვალა ხასიათი ასალომ, ერთხელაც არ უნახავს წინანდელურად გარინდული; კაეშნიან ფიქრებში დანთქმული. მისთვისაც ერთობ სახალისო და უპირველეს საქმედ გადაიქცა ამ გვირაბის დამთავრება და ლადისთან ერთად ანგარიშობდა ხშირად, თუ რამდენი დღე დარჩა კიდევ ოც სექტემბრამდე, რამდენი დაბრკოლება უნდა სძლიონ, როგორ უნდა აამაღლონ შრომის ნაყოფიერება...

დილიდან საღამომდე გარს უტრიალებდა ასალო კომპრესორსა და ვენტილატორს, მჭედლებს ბურღების მოპირვას ასწავლიდა, მილების გაყვანას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ლადის ოთახში მაინც მიასწრებდა, სუფთა ხალათს გადაიცვამდა და ადუღებულ რძეს ან ჩაის დაახვედრებდა; ხანდახან ქათამს იყიდდა ხოლმე სოფელში და სასადილოს მზარეულს შეამზადებინებდა.

იშვიათად ორიოდე ბოთლ ღვინოს მოიტანდნენ ბარმაქსიზიდან, საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ მცირე ხნით ძველი მეგობრები — დავითი, ნიკო, ვასო და ლადი, ხოლო ასალოს უთუოდ თამადათ აირჩევდნენ.

სათითაოდ დაახასიათებდა მათ ასალო. ჯერ დავითს ადღეგრძელებდა.

შენო — ღიმილით ეტყოდა დავითს — სვანური მოდგმის ძარღვმაგარი მუშა ხარ. შენს წინაპარს სვანეთში ალბათ ვინმე შემოაკვდა, შურისძიებას გამოექცა და იმერეთში რომელიმე თავადს შეეხიზნაო. გვირაბის ძველი ოსტატი ხარ, მაგრამ უფრთხილდი, ახლებმა არ გაჯობონო...

— შენ კი, ჩემო ახალგაზრდა ჭალაროსანო, — მიმართავდა ნიკოს — შრომაში ვერავინ გადაგაჭარბებს, მაგრამ ნამეტარი დინჯი ხარ და კეთილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასოს ჯერი რომ მოაღწევდა, ეშმაკურად ჩაუკრავდა ვასო თვალს და მისებური ხუმრობით მოაგონებდა:

— ლოიდ-ჯორჯი არ დაგავიწყდეს, ბიძია ასალო, ლოიდ-ჯორჯი!

— სულ შენი ბრალია ეს, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო. წინათ კრიტიკოსი შემარქვი, ახლა კი ლოიდ-ჯორჯად მომნათლე. — შეესიტყვებოდა ასალო. მაინც გულმხურვალედ ადღეგრძელებდა:

— შენისთანა სიცოცხლით სავსე ბიჭები ქმნიან ამ ახალ ცხოვრებას...

და ყოველმხრივ შეამკობდა ასალო ვასოს, შრომის უნარსაც მოუწონებდა და ორგანიზატორულ ნიჭსაც. მერმე მაინც დასძენდა:

— მაგრამ ამით კი არ უნდა გამედიდურდე, ბიძია! ჯერ ბევრი რამ უნდა ისწავლო კიდევ. ყოველი დიდი მშენებელი დიდი კულტურული ადამიანიც უნდა იყოს...

ბოლოს ლადის შეავლებდა თვალს სიყვარულით და...

ამ ხუთიოდე ჭიქა ღვინის ბრალი როდი იყო ეს, ასალოს რომ სახე გაუბრწყინდებოდა და დარბილებული ხმით იტყოდა:

— ჩვენი ლადი... ამ უბნის ხელმძღვანელია და უფროსი ჩვენი, მაგრამ მის სადღეგრძელოს მაინც ბოლოს ვსვამთ. წლოვანებით ყველაზე უმცროსია და იმიტომ...

ლადი მაგიდასთან მივიდა და გაზეთებზე წერილს მოჰკრა თვალი, უმალვე მიხვდა, ვისგანაც იქნებოდა იგი. შებრუნდა, ასალოს სახე ააარიდა და კონვერტი გახსნა.

ულვაშებში გაეღიმა ასალოს, ვინაიდან გულთამხილავივით იცოდა, რომ იმ ბარათში ნათელა ესაუბრებოდა ახლა ლადის, თითქო მისი ხმაც კი ესმოდა და მარადის დაუვიწყარი სახე ედგა თვალწინ, ამ უცხო ქალიშვილის სახე კი არა, სიჭაბუკიდანვე გულში ჩაღვრილი შუქი აენთო ახლა, ელენეს მოკამკამე თვალთაგან გადმოფრქვეული შუქი, და ასალოც ლადისთან ერთად განიცდის ანაზდათ მოზღვავებულ სიხარულს; მართალია, მას მალე მწვავე სევდა დაჩრდილავს და ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია დაკარგული ბედნიერების დაბრუნება, მაგრამ განა ლადისაც არ უმძიმს ახლა ეგზომ ხანგრძლივი განშორება, განა მას კი არ ენატრება — შეისხას ფრთები და პირისპირ ესაუბროს თავის ნათელას?

პირველად იყო ეს, ნათელამ რომ ასეთი ვრცელი წერილი გამოუგზავნა ლადის. წინათ საფოსტო ქაღალდის ორ გვერდს თუ შეავსებდა და გაკვრით უსაყვედურებდა, — რა შეიქმნა ეს შენი ხრამჰესიო, ნუ თუ ორი დღე ვერ იშოვნე, რომ ტფილისში ჩამოსულაყავიო.

ახლა კი რამდენიმე გვერდი გაეჭრელებინა წვრილი ხელით და ბარათის პირველ ნაწილში ნათელასთან ერთად შეჰხაროდა ლადი ადამიანის მიერ დაპყრობილ ცის იერს, ნათელსა და მიმზიდველს, უზენაეს მისწრაფებასავით დაუსრულებელს.

„კარგი პილოტი კარგი პარაშუტისტიც უნდა იყოსო — სწერდა ნათელა — და მე გადავწყვიტე ამ საქმესაც დავუფლებოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამზადებელი მუშაობა აეროკლუბში ჩავატარეთ და რამდენიმეჯერ გადმოვხტი საპარაშუტო კოშკიდან. გუშინ წინ დილით კი ჩავჯექით ავტოში და ტფილისის აეროკლუბში გავეშურეთ. ათნი ვიყავით და მათ შორის ჩემს გარდა ერთი ქალიშვილი იყო — ჩემი კარგი მეგობარი რუსუდან სიხარულიძე. აეროდრომზე სასწავლო თვითმფრინავებს გარდა „ანტ-9“ მოფრინდა და ჩვენ გველოდებოდა...

ორი პარაშუტი მქონდა გარდიგარდმო გადაკიდული და ვერ ვიტყვი — გული არ შემიფანცქალდა-მეთქი, ხელმძღვანელმა რომ გვანიშნა ჰაერო-პლანში ჩასასხდომად მოემზადენითო. ჩემს გვერდით იდგა რუსუდანი, ის მესამეჯერ ხტებოდა ახლა და გამამხნევებელი ღიმილით შემომხედა. გაბედულებით რუსუდანს არ ჩამოუვარდები მგონია, მაგრამ პირველად ყოველი საქმე ეუცხოვება კაცს. „ანტ-9-ს“ ჩემი პირველი მასწავლებელი მართავდა და მე სიყვარულით გავაყოლე თვალი ამ კაცს, როდესაც იგი კაბინაში ჩაჯდა და ჩვენ მოგვიხედა. საჰაერო ნათლობა ისეთი საქმეა, რომ არ შეიძლება პირველი პილოტის სახე განსაკუთრებულად არ აღგებეჭდოს ხსოვნაში.

მოსწყდა მიწას თვითმფრინავი და ჩვენმა ხელმძღვანელმა სიმღერა წამოიწყო. ჩვენც ავაყოლეთ ხმა და რუსუდანმა გაბრწყინებული სახე შემომანათა. ალბათ, მეც ისევე ანთებული თვალებით შევჰყურებდი რუსუდანს და, უნდა გამოგიტყდე, რუსუდანიც მომეწონა და ჩემი თავიც. შენ არ იცი, ლადი, რა არის ჰაერში სიმღერა! ხომ თითქმის არაფერი ისმის და ჩვენი ხმა პროპელერის გუგუნში ინთქება, მაგრამ თავს ისე მსუბუქად გრძნობ, ისე დანავარდობ ცის ლაჟვარდში, თითქო მუსიკის ჰანგს დაემსგავსე და რადიოს ტალღებივით მოეფინე უსაზღვრო სივრცეს...

და მაშინ შენია, ლადი, ყველაფერი! ეს თეთრად მოკაშკაშე კავკასიონი, ეს ველები და ამწვანებული მთები, ეს ვერცხლის ძეწკვივით დაკლაკნილი მტკვარი, ეს ვანახლებული ტფილისი, ყველაფერი შენია, მზეც შენია და ვარსკვლავებიც, ღრუბლებს ზემოდან გადმოჰყურებ და არ არსებობს ისეთი მანძილი, რომელსაც ჰაერში ამღერებულმა ადამიანმა ვერ მიაღწიოს...

ავფრინდით ათას მეტრამდე და მე ხრამჰესისაკენ გამოვაპარე თვალი... არა, მეტისმეტად კი ნუ გამედიდურდები! შენს გარდა სხვა რამეც არის მაქეთ მიმზიდველი, ძალზე ლამაზი გორებია და ათასნაირად დაგრეხილი მთები. სამწუხაროდ, ღრუბლიანი დღე იყო და შავნაბადს იქით არაფერი მოჩანდა. მაგრამ მე მაინც მოვკარი თვალი ერთ ინჟინერს, გვირაბებში დაძვრება შუდამ და გული გააწყალა თავისი მოუცლელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. აქაო და, სამუშაოთა მწარმოებელი ვარო და როგორ [illegible] ძარ
ღლით მოვცდეო...

ხელმძღვანელის განკარგულებამ გამომარკვია და მაშინვე მოვემზადენით. მწკრივში მეშვიდე ვიყავი და თვითმფრინავის კარს რომ მივადექი, მიწისაკენ არ ჩამიხედავს, სივრცეს მოვავლე მხოლოდ თვალი, გადავეშვი და წამსვე სახელური ჩამოვსწიე. გაიხსნა პარაშუტი და მაშინვე ფრთები გამომესხა. მეგონა ხმას მოგაწვდენდი, იმდენჯერ გახსენე. მივფარფატებდი ქვევით და მთელი ხმით გეძახოდი — ჰაუ ლადი... ლადი ჰაუუ! მაგრამ შენ მიწაში ხარ ჩამძვრალი და ჩემს ძახილს როგორ გაიგონებდი... ჩემს სიახლოვეს რუსუდანი ეშვებოდა, მას მოეკრა ყური და გუშინ ეშმაკურად მეკითხებოდა — ვინ არის ის ლადი, ასე თავდავიწყებით რომ უხმობდიო"...

წერილის მეორე ნაწილმა კი ფრიად ჩააფიქრა ლადი. სტრიქონსა და სტრიქონს შუა მომწყვდეული მღელვარე სული შესჩიოდა თითქო...

„...ქალ-ვაჟთა ურთიერთობა — სწერდა ნათელა — ყველაზე უფრო იდეალური იმ წრეში უნდა იყოს, რომელშიაც მე ვტრიალებ. აქ ქალი ის ხომ ალარ არის, ძველად რომ მხოლოდ მონური მორჩილება მოეთხოვებოდა. აქ ქალმა თავისი შრომითა და ტექნიკის დაუფლებით მოიპოვა სრული თანასწორობა. მაგრამ ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ალბათ, სანამ ვაჟი შეიგნებდეს სავსებით თავის პასუხისმგებლობას ქალის მიმართ, ქალში მარტო ქალს კი არ ხედავს, არამედ სრულუფლებიან ამხანაგსა და თანამებრძოლს... არა, მე ყველაზე არ ვლაპარაკობ ამას, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენში ძველი აზნაურული შხამით მოწამლული ახალგაზრდები. ამას წინათ ერთი ჩემი კარგი ამხანაგი დაილუპა ამ ნიადაგზე, საავადმყოფოში გამოესალმა სიცოცხლეს. ყველაზე საძაგელი ის არის, რომ ის ყმაწვილი, რომელმაც ასე არაადამიანურად გასწირა ჩემი მეგობარი ქალიშვილი, ახლაც თავმომწონედ დაიარება და ცდილობს სხვებთან გააბას კავშირი. ვისი ბრალია მერე ეს? მეტისმეტად დიდი მორალი, კომუნისტური მორალი გვჭირდება ჩვენ, ლადი. მე ახლა ბავშვი ალარა ვარ, უკვე ოცი წელიწადი შემისრულდა და ბევრი რამ გამეგება... აი, როცა ჩამოხვალ, პირადად გეტყვი ყველაფერს... ჰო, მართლა. შალიკო ქავთარაძე ჩვენს წრეში უკვე შინაურული კაცია. ხომ მოგწერე, ტფილისში ჩამოვიდა-მეთქი. ახლა ხშირად ვხედავ, და ასე მგონია, მარტო პირადი კეთილმოწყობისათვის ზრუნვა ალარ ახასიათებს"...

ლადის მოეჩვენა, თითქო განზრახ დაუმატა ბოლოს ნათელამ ეს სტრიქონები. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ლადი გაეჯავრებია, ან არა და შვებულების აღება დაეჩქარებინებია? ვინ იცის.. დიდი ენამოთაფლული ბიჭია შალიკო და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადიმ წერილი ჯიბეში ჩაიდო, წარბები შეჭმუხნა და ფანჯარასთან გაიარ-გამოიარა ოთახში. სულ დაავიწყდა, ღია ფანჯარასთან რომ ასალო იჯდა და უბოროტო მესაიდუმლესავით უთვალთვალებდა.

— რაიმე საწყენი ხომ არ იყო, ლადი, მაგ წერილში? — უნებლიედ შეეკითხა ასალო, ვინაიდგან მყისვე შეამჩნია: სხვა დროს, ნათელას წერილს რომ მიიღებდა ლადი, მთელ დღეს სახე უბრწყინავდა, ახლა კი ფოლადისფერი ელვარება გადმოაფრქვია თვალიდან და ქვედა ბაგეს რამდენიმეჯერ დაადგა კბილი.

— საწყენი რა უნდა ყოფილიყო!—უპასუხა ლადიმ და უმალვე ჩაიფერფლა გულში ჩავარდნილი ეჭვის ნაკვერცხალი..

— დიდი გულქვა კაცი ხარ, ბიჭო, შენ! — ტკბილად უსაყვედურა ასალომ. — კარგად გაგჯოლია ალბათ ნათელამ მაგ წერილში და კიდევაც გემართლება.

— კი, მაგრამ საიდან იცი შენ, რომ ეს წერილი ნათელასაგან იყო?— ღიმილით შეესიტყვა ლადი.

— საწყალმა დედაჩემმა მასწავლა მე გულთმისნობა, ხომ გაგიგონია — ადამიანის თვალი სარკეაო. ჰო-და, მეც ამ სარკეში ვხედავ ყველაფერს, არაფერი არ დამემალება... აი ჩაი მზად არის. ვივახშმოთ. დაჯექი მერე და მისწერე პასუხი ნათელას...

ნავახშმევს კი, როდესაც ლადი თავის ოთახში მაგიდას მიუჯდა და ჩქარი ხელით გამოჰყავდა მგზნებარე გრძნობებით დატვირთული სტრიქონები, ასალო გაზეთს ჰკითხულობდა, მხოლოდ ხანგამოშვებით გააპარებდა მზერას ლადისაკენ და ჩუმი ღიმილი გაჰკრავდა ჩამოშლილ წარბებს ქვეშ მოკიაფე დიდრონ თვალებსა და ჭაღარა ულვაშებში.

ვინ იცის, რას შეჰნატროდა ახლა ეს მეოცნებე მოხუცი! იქნება თავისი ელენეს სახე ედგა თვალწინ, ან არა და წყალწაღებულივით ხავსს ეკიდებოდა და გულის რომელიღაც კუნჭულში კიდევ უღვივოდა მცირეოდენი იმედი, რომ ის უსუსური ბავშვი არ დაღუპულა და... იქნება კარგად იცოდა, რომ მარტოოდენ ზმანება იყო ეს და განზრახ იტყუილებდა თავს, ვინაიდან ეს ზმანებაც ფრიად საამო იყო ამ ათას ვაებაში გამოვლილ კაცისათვის.

დაამთავრა ლადიმ ბარათი და ასალოს არც კი უფიქრია, ისე წამოცდა ეს სიტყვები:

— თუ ბიჭი ხარ, ლადი, ჩემ მაგიერადაც მისწერე ნათელას მოკითხვა... ისიც დაუმატე — ერთი ბებერი მეგობარი მყავს-თქვა და შენი ნახვა ძალიან ენატრება-თქვა...

## XIX

ის იყო კონვერტში ჩასდო ლადიმ წერილი და ოთახში არკადი ჯილავდაროვი შეიჭრა. სახე შეფაკლული ჰქონდა არკადის და ფრიად მო-

ქნილი მიმოხვრითა და ასხივოსნებული თვალებით ამ[illegible] ,რომ ოდნავ გადაკრული იყო. ისედაც მუდამ ცოცხალი და [illegible] [illegible]ეშაკი იყო არკადი. ალმშენკომის მდივანიც იყო, თვითმომქმედი წრის ხელმძღვანელი, ცეკვა-თამაშის მომწყობი, მედოლე, კედლის გაზეთსაც ის ადგენდა და წითელ კუთხესაც ლოზუნგებითა და პლაკატებით რთავდა.

შეიჭრა და წელში გაიმართა, მხედრულად მისცა სალამი ლადის, მერმე თავი დახარა და ცალი თვალით გახედა ჯერ ლადის და შემდეგ ასალოს.

— ერთი ამათ უყურე! ჩვენ ბარმაქსიზიდან მოვედით, საღამოს ვმართავთ და ესენი დასწრებასაც არ კადრულობენ! აბა, ჩქარა! ბარსეგიანი მოხსენებას ამთავრებს...

დაეზარა ლადის, მაგრამ წაუსვლელობა უხერხულად ჩასთვალა და ადგა.

არკადიმ ასალოს მიუხედა:

— შენ რა ბებერო, მოშლილი ხომ არა ხარ კონდახში? ერთი ისეთი სტუმარი მოვიყვანეთ, რომ ნახო, უთუოდ მოგეწონება. ისეთია, ისეთი, რომ ჰა!

და არკადიმ თითები დაიკოცნა.

—იქ მოცეკვავეებისათვისაც არ იქნება ადგილი. მე აგერ მოსკოვის ძველი გაზეთები ვიშოვნე, საინტერესო ფელეტონი ვნახე ტომას მორზე და უმჯობესია, იმას წავიკითხავ. — უპასუხა ასალომ.

ტაშბაში ახლა საკმაოდ გაჩირაღდნებული იყო ელნათურებით, მაგრამ უამისოდაც თეთრი ღამე იყო და ლადიმ აღტაცებით მოავლო თვალი მტრედისფერ გუმბათებივით აზიდულ მთათა მწვერვალებს. ნათელას სიტყვები მოაგონდა და ღიმილით გაივლო გუნებაში:

„მიწაში დაძვრებიო. რატომაც არა! თუ მიწის ენერგიას არ დავეუფლეთ, ისე მთვარეზე ვერ ავფრინდებით... შენს ხმას კი გვირაბშიაც გავიგონებ“...

იქვე ახლოს იყო სასადილო. აქ იყო კრება და, ლადი და არკადი რომ კარს მიადგნენ, ბარსეგიანი უკვე ამთავრებდა მოხსენებას.

პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნას ეხებოდა იგი.

თავმჯდომარე ნიკო გოგოლაძე იყო. მის ჩვეულებრივ სიდინჯეს მოწყენილობაც დართვოდა და ქვეშქვეშ იცქირებოდა სახედაღვრემილი, კაცს ეგონებოდა, ბარსეგიანის მაგიერ სცხვენია და ამხანაგებს პირს არიდებსო.

რამდენიმე კაცმა გააკრიტიკა მკაცრად ალმშენკომის მუშაობა, ბოლოს ვასო დვალიშვილი გამოვიდა და არც ბარსეგიანი დაინდო.

— სანამ „პრავდამ“ არ მიგითითათ, თქვენ აქ ყველაფერი წესრიგზე გეგონათო — ამბობდა ვასო. — რა გააკეთა კავშირმა, საწევრო ანარიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების აკრების მეტი? ჩვენ აქ ბრიგადები შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული და თქვენ ალრიცხვის საქმეც ვერ მოაწესრიგეთ...

ოდნავ შერყეული ქედმაღლობით უსმენდა არტემი მოკამათეებს, მერმე ადგა, წელზე ჩამოკიდებული მძიმე რევოლვერი გაისწორა და რიხიანად წამოიწყო:

— ამხანაგებო...

კარგა ხანს ილაპარაკა, მაგრამ მსმენელებმა მხოლოდ ერთი რამ გაიგეს:

გვქონდაო შეცდომა, შეცდომა ვის არ მოსვლია, გამოვასწორებთო.

დაამთავრა და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

ნიკო და ვასო გვირაბისაკენ გაეშურნენ, ვინაიდან იმ დღეს ბრიგადებს დღიური ნორმა შესრულებული არ ჰქონდათ და მათი უშუალო ხელმძღვანელობა აუცილებელი იყო; ხოლო არკადი დარბაზში დატრიალდა, გრძელი სკამები კედლებისაკენ მისწია და, ქერა ჭაბუკმა რომ გარმონი მოხდენილად გასჭიმა, მოცეკვავეთათვის წრე უკვე მზად იყო.

გაისმა თუ არა მუსიკის ხმა, მყისვე გაიჭედა სასადილო; ხრამჰესელები და ადგილობრივი მცხოვრებლები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ოათა მოხერხებული ადგილი დაეკავებიათ.

განსაკუთრებით ბავშვები არ ცხრებოდნენ, კარებშიაც მიძვრებოდნენ და ლია ფანჯრებშიაც. უხტებოდნენ.

წინათ ამ დროს გომურებში ეძინათ და ძროხების ცოხნა და ცხვრების ბღავილი ნანასავით ესმოდათ, ახლა კი პირველად ხედავდნენ ამ ხელჩახვეულ წყვილებს, მსუბუქად რომ უვლიდნენ წრეში და ფეხებს შეწყობილად აბაკუნებდნენ.

საოცარი ჟრიამული, უნახავი მანქანები, ავტოები და ელნათურები. მოიტანეს ამ მივარდნილ სოფელში ხრამჰესელებმა და არა მარტო ბავშვებს, ხანდაზმულ დედაკაცებსაც მიუტოვებიათ ბნელი ქოხები, თავსაფრით ტუჩები დაუფარავთ და მორცხვად ატუზულან კედელთან, დაფეთებული თვალები კი, ცისფერი, თაფლისფერი, მარილი და შავი თვალები იცინიან და ციმციმებენ.

თმაგაჩეჩილი ყმაწვილები და სახე მოგრძო გოგონები, სხვაგან რომ ვერ მოთავსდნენ, სკამებსა და მაგიდებს ქვეშ მიძვრებიან, ერთმანეთს ფეხებზე ასხდებიან და იქიდან იმზირებიან, დამფრთხალ წიწილებივით თავწაწვდილნი.

დარბაზში რომ ნაირ ნაირი ცეკვაა გაჩაღებული, თვითმომქმედი წრის წევრები სამზარეულოში გრიმებს იკეთებენ, ხოლო არტემ ბარსეგიანი და სიმონიკა ცერაძე სცენას რთავენ ნოხებით.

მკაცრად გააკრიტიკეს ამ საღამოს არტემი, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზეა, ხშირად მიანებებს ხოლმე თავს სცენას, მოთამაშეებში შეიჭრება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოსავლურად შეარხევს ტანს, სახე კი ოფლით აქვს შეკონილი—ტყობა, მასაც საკმაოდ გადაუკრავს დღეს.

გასცა არკადიმ განკარგულება და მეგარმონემ ლეკური დაუკრა.

ასხაბაძე შეიჭრა მყისვე წრეში...

კარებთან იდგა ავთანდილ წერეთელი, მაღალი, შავწვერ მოშვებული, ამფეთქებლად მუშაობდა გვირაბში.

მთელი ტანით შეტოკდა ავთანდილი, ლეკური რომ დაუკრეს, მაგრამ ასხაბაძემ შეასწრო წრეში.

— ე, ბიჭო, ნუ შემარცხვინე! ტყვილა ხარ ნათავადიშვილარი? ახლა მაინც გადი! — ეუბნება სარდიონ წილოსანი და ავთანდილი გალიაში ახლად ჩამწყვდეულ ვეფხვივით ცახცახებს, მზადაა მოსწყდეს ადგილიდან და ლალად გაინავარდოს, მაგრამ წყეული სიმონიკა გადახტა სცენიდან და ასხაბაძის მეუღლე გაიწვია.

— შეგარცხვინა ღმერთმა! — ბუზღუნებს სარდიონი. — შენისთანა ცეკვა ვიცოდე, აქანე გამაჩერებს ვინმე!

— მაცალე, კაცო! — ცალყბად გადაულაპარაკა წერეთელმა და ასხაბაძის მეუღლეს თვალი გააყოლა.

მეტისმეტად შეიხუთა ჰაერი სასადილოში და ლადი აივანზე გამოვიდა, მოაჯირს გადააწვა და გრილმა ნიავმა დაუამა დასიცხული სახე.

გომარეთის გასწვრივ გადმომდგარიყო ვარსკვლავებისაგან განაპირებული მთვარე და მიძინებულ ცის იერივით გამოიყურებოდა გამსჭვირვალე ბურსეულში გახვეული მთები და ზეგანი.

იქვე ახლოს ძალსადგური ჩახჩახებდა და გარეთ დარჩენილ სოფლელებს თავი მოეყარათ ნათურებით გაჩირაღდნებულ ფარდულთან, გაოცებით ადევნებდნენ თვალს ეგზომ უცნაურად მომუშავე მანქანის ნაწილებს.

ლადის არც კი გაუგია, მის გვერდით რომ წილოსანი მიეყრდნო სვეტს; ოდნავ შეკრთა, როცა სარდიონმა ჩუმად გადაულაპარაკა, თითქო საიდუმლოს ანდობსო:

— შეხედე, ვინ მოჰყვება ფოფხაძეს!..

თემშარას გადახედა ლადიმ და ტანმაღალი ქალის ჩრდილმა დაჰფარა ჩამრგვალებული მიხა ფოფხაძე.

ნელის გოგმანით მოარხევდა გულმკერდს ეს უცნობი ქალი; ფოფხაძისათვის მკლავში ხელი გამოედო და ხანგამოშვებით ისე დააცქერდებოდა სახეზე მიხას, თითქო მის მეტს ამ ქვეყნად ვერავის ამჩნევსო.

— სანებლიძის ცოლია ეს ქალი — ჩასჩურჩულებდა ყურში სარდიონი. — ქვეყანამ იცის, რომ ფოფხაძეს აქ ორი საყვარელი ჰყავს. ერთი მანგლისში მოაწყო სამსახურში. ახლა ხომ ხედავ, ამ ქალს გამობმია კალთაზე. ქუთაისში კი უპატრონოდ ჰყავს დაყრილი ცოლშვილი... რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს ახლა ასეთ კაცს! მაგისთანები გვიტეხენ ჩვენ სახელს...

ლადის იმდენად უცნობი ქალისათვის არ მიუქცევია ყურადღება, რაც დენადაც სარდიონის სიტყვებმა ჩააფიქრა: საოცარია, რა ამბავია ეს კაცს ფოფხაძის წინააღმდეგ! რაიმე პირადი მტრობა ხომ არა აქვს მისი? ამას წინათ იყო და ის შემზარავი ნაამბობი გაუზიარა, ახლა კი მის ოჯახურ ცხოვრებაში იჭვრიტება... თუმცა ეს ხომ მართლაც ყველამ იცის აქ...

— ...დამაცადოს ცოტა! აქაც მოაწევს შემოწმება და მაშინ ვნახოთ!

დაამთავრა სარდიონმა და ვიწრო კიბეზე ამოიმართა ნინო.

საზაფხულო პალტო გახსნილი ჰქონდა და მთვარის სხივები უქანდაკებდა გედივით შეღერებულ ყელს.

აივანზე რომ ავიდა, შებრუნდა, ოდნავ დაიხარა და კვლავ ხელი გამოსდო მიხას.

უნებლიედ შეაცქერდა ლადი ამ სახედაწმენდილ ქალს და საამო მიმზიდველობის იდუმალი შუქი მოჰფინა მისმა სილამაზემ.

— არ დაგავიწყდეთ, გამაცანით თქვენი ახალგაზრდა ინჟინერი. — რუსულად მიმართა ნინომ მიხას. (რუსულად ლაპარაკი უფრო ეხერხებოდა ნინოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალ გაცნობილს ესაუბრებოდა. ფრიად მარტივი და ხშირად ბანალურიც კი იყო ეს ფრაზები, მაგრამ მის ბაგეთაგან წარმოთქმული თითქო სულ სხვანაირად ხმაურობდა).

ფოფხაძემ ალმაცერად მიუხედა ლადის, როყიოდ ჩაიხითხითა და:

— ა, ბატონო! ეს გახლავთ. გაიცანით: ინჟინერი ლადი ალანია.

— ნუ თუ? — გაიკვირვა ნინომ და ნაზის ციმციმით მიანათა ლადის თავისი ფირუზისფერი თვალები, მერმე მოხდენილად გაუღიმა და ისე შინაურულად გაუწოდა ხელი, თითქო დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ.

ლადი მოკრძალებით შეეხო ამ ფუნთუშა ხელს და მხოლოდ ქალის დაკვირვებულმა მზერამ შეამჩნია, რომ მზისაგან დამწვარი ღაწვები ოდნავ წამოეგზნო.

„ჯერ ამას დიდი გამოცდილება არა აქვსო“ — მყისვე გადასწყვიტა ნინომ და მომეტებულის ეშხით შეათვალიერა ეს დარცხვენილი ჭაბუკი.

სულ ორიოდე წელიწადია, ნინომ რომ შეამჩნია: თავი მოაბეზრეს ფოფხაძისებურმა კავალრებმა. არაერთგზის გაიფიქრა გულშელონებულმა: ხანდაზმულობა ხომ არ დამეტყოო. სარკეს მიაშურებდა ამ დროს, ჯერ კუშტად დააშტერდებოდა თავის ორეულს, მერმე ტუჩებს გაშლიდა ფაოთოდ, თეთრ კბილებს გამოაჩენდა ღრძილებამდე, მომუწავდა და ნელინელ გაიღიმებდა, ფართო თვალების ელვარებით ამოივსებოდა სილრმე სარკისა. მცირეოდენ ხაზებს შეამჩნევდა წარბების ძირებთან და მაგრად დაიზელდა თიფებით, მრავალნაირ ნელსაცხებელს ხმარობდა იმ ნაოჭის გასაქრობად, ვინაიდან ყველაზე მეტად ეს უმნიშვნელო დალი აშინებდა, თითქო იმ სარკის მიღმა კიდევ იყო მეორე სილრმე, ცივი და თვალმიუკარებელი; და იქიდან მოსცურავდა დამჭკნარი, დაღარული სა-

ხე, სწორედ ისე შემზარავი, ოდესღაც ბრწყინვალე ქალაქისა — მისი ბებია რომ არის ახლა. ბოლოს მაინც მრისხანედ დაწკეცილ-თვალების ელვარება ამოავსებდა სილრმეს. სარკისას, კვლავ მშვიდად გაილიმებდა, და... ჯერ ვერავინ შეატყობს ნინოს, რომ ოცდათექვსმეტი წელი შეუსრულდა, მრავალ ქალიშვილს დაჩრდილავს "გულმკერდის სიმკვრივითა" და მწიფე ყურძნის სურნელებსავით დამტკბარი იერით.

ფოფხაძისებურ უხეშ მიჯნურს მაინც ეს ჭაბუკი ურჩევნია ნინოს. მასთან მცირეოდენი გათამაშება ფრიად სასიამოვნო იქნება მისთვის. არჩილის აწეწილი საქმეები აიძულებს, მიხას რომ ასე ანაზდათ გაუხსნა გული, ეს ყმაწვილი კი უთუოდ უნდა მოინადიროს...

— ჩემი ქმარი მუდამ თქვენს ქებაშია. რამდენჯერ მითხრა, ლადი უნდა გაიცნო, რომ დარწმუნდე, თუ როგორი ნიჭიერი მშენებლები გვეზრდებიან. — გამახნევებელი ტონით გაესაუბრა ნინო. — არჩილი დაკვირვებული კაცია. ადამიანების ცნობაში მე მას სავსებით ვენდობი.

— სხვაში რაში ენდობით კიდევ? — ცალყბა ღიმილით ჩაერია ფოფხაძე.

— როგორი ოხუნჯი ხართ თქვენ, მიხა! — წამოიძახა ნინომ და ლადისაკენ მიიწია, ჯერ მთვარით გაშუქებულ სივრცეს მოავლო თვალი, მერმე შემობრუნდა და ხალხით გაჭედილ სასადილოს დააცქერდა.

იქ ჯერ კიდევ ცეკვა გრძელდებოდა, ვინაიდან სცენის მოწყობა დამთავრებული არ იყო.

— ახ, რა ვიწროობაა იქ! — წამოიძახა ნინომ. — დაიხრჩვებიან საწყლები!.

მერმე ლადის მიმართა:

— დიდხანს გაგრძელდება თქვენი კონცერტი?

— როგორც ჩანს, კარგა ხანს არ დამთავრდება. — რუსულადვე უპასუხა ლადიმ და მაჯის საათზე დაიხედა. — თერთმეტი საათი შესრულდა უკვე. შეიძლება პირველამდის გასტანოს...

„მართლაც მშვენიერი ცოლი ჰყოლია სანებლიძეს"...

გაიცლო გუნებაში ლადიმ და უმალვე მოაგონდა ასალოს ნაამბობი; მაგრამ ახლა, როდესაც ასე ახლოს ხედავდა მას, უცებ შემოეძარცვა თითქო სამოსი ბიწიერებისა და სულ სხვა სახით წარმოუდგა ეს სიცოცხლით სავსე ქალი.

— რა ღვთიური ღამეა! განა უმჯობესი არ იქნება, ცოტა გავისეირნოთ? — შეეკითხა ლადის ნინო და მიხას მკლავში ხელი გამოსდო. — აქ ჩვენთვის ადგილი მაინც არ არის.

უხალისოდ გაჰყვა მათ ლადი და უნებლიედ მოუხედა სარდიონს, რომელიც იმთავითვე განზე გადგა და ალმაცერად უთვალთვალებდა ხან ფოფხაძეს და ხან ნინოს; ახლა კი დამცინავად გაეღიმა და ლადის სახე აარიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰყვნენ შუკას და ნინოს თითქო რაღაც მეტად სასიხარულო მოგონდა, ლადის მიაფართქალდა და აღტაცებით წამოიძახა:

— ახლა მომაგონდა! აქ ძველისძველი ეკლესიაიაო, მითხრეს. დავათვალიეროთ, თუ ასვლა ძნელი არ არის! ეს ღამე ხომ დღესავით ნათელია.

— სიამოვნებით. აქვეა, სულ ახლოს. — უპასუხა ლადიმ და ნინოს მკლავი დაუთმო.

— მორწმუნე ხომ არ ბრძანდებით, ქალბატონო ნინო? — ბოხი ხმით შეეკითხა ფოფხაძე და ცალყბა ღიმლით გადახედა ლადის, ნინოს გვერდით მიმავალს. თავშიშველი იყო ლადი და უკრაინული ხალათი ეცვა.

არც ქალის მომეტებული მილაციცება მოეწონა მიხას და არც ამ გულჩახვეული ყმაწვილის მოკრძალება. მას. უსაყვედურებენ ეგა და მისი მეგობარი გურგენიძე — არშიყობისა და ნარდის თამაშის მეტს არაფერს აკეთებსო, მაგრამ ახლა ვნახოთ, მოექცევა თუ არა ამ ქალის გავლენის ქვეშ... აგრე აჯობებს... მიხა ხელსაც კი შეუწყობს, ოღონდ ამ „წმინდანს“ ნიღაბი ჩამოხადოს...

ნინომ ხმამაღლა გადიკასკასა და მერმე უპასუხა ფოფხაძეს:

— ხომ არ დამცინით, ბატონო მიხა! სად გინახავთ, ჩვენს დროში რომ განათლებული ქალი მორწმუნე იყოს!

უკანასკნელი სახლის წინ გაიარეს და ვეება ლოდებს მიადგნენ.

დანგრეულ გალავანივით მოსჩანდა ქვევიდან ეს ხავსიანი ქვები, აქ კი დევების ბუნაგსა ჰგავდა, კბოდეზე აქაიქ შეროხვილს.

მთვარე ზენიტს გვერდს უვლიდა და ქუფრი ნისლივით ჩაწოლილიყო ხევში თავმოკვეთილი სიბნელე; პირგადაგლესილ ქვესკნელიდან მოისმოდა თითქო მდინარის შორეული შხუილი და ოქროს ზონარივით ციმციმებდნენ გვირაბის სათავემდე ჩამწკრივებული ნათურები.

— ხედავთ, აქ სასაფლაო ყოფილა! — წამოიძახა ნინომ და ფერდოზე მიმოფანტულ ძეგლებს დააცქერდა. — აგერ ვილაცას პირუტყვი დარჩენია გარეთ!

მართლაც უმეტყველოა ეს გაუწაფავი ხელით გამოჩოგნილი ქვა. რამდენი საუკუნეა დგას აქ მწყემსის მიერ ბნელ ღამეში მიტოვებულ და შიშით გალენჩებულ ცხვარივით...

— არა, ეს საფლავის ძეგლია, ვერძის მსგავსად გამოთლილი. — განუმარტა ლადიმ. — ასეთ ვერძებს აქ ბევრს იპოვნით.

ნინოს მკლავგამოდებული მიჰყავდა ლადი და ფრიად კმაყოფილი იყო, რაკი მასში გულუბრყვილო მოკრძალების მეტი ვერაფერი აღმოაჩინა.

„ასეთი არიან ზოგიერთები — ფიქრობდა ნინო: — შორიდან რკინასავით მიუკარებელი მოსჩანან, მივუახლოვდები და სანთელივით დნებიან“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც შეეცადა, ჩაეხედა მის გულში და მიხა რომ ოდნავ ჩამოშორდათ, ანაზდათ შეეკითხა:

— თქვენ უთუოდ შეყვარებული იქნებით?

— რაში მატყობთ?

— ახ, ამაზე ადვილი რაა! — სიცილით უპასუხა ნინომ. — ჩვენ, ქალებს განსაკუთრებული ალღო გვაქვს.

— შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსტყუვდით. სად მცალია მაგისთვის. — იცრუა ლადიმ.

— მოიცლით კი არა...

და კვლავ ხმამაღლა გადიკასკასა.

— რა მოხდა, მე ხომ არ დამცინით? — მოუბრუნდა მათ მიხა.

— არა... ჩვენ მეტად საინტერესო თემაზე ვსაუბრობთ, — განუმარტა ნინომ. — რაღა თქმა უნდა, ჩვენი დროის ადამიანს იმდენი მოცლა არა აქვს. განა არ ვიცი: უზარმაზარი აღმშენებლობა სწარმოებს, ახალი კულტურა იქმნება, დიდი და პატარა საქმეშია ჩაბმული, მაგრამ ადამიანის პირადი განცდები მაინც მეტისმეტად რთულია და ღრმა, ამ განცდებს მარტო მშენებლობით ვერ დაიკმაყოფილებთ...

და განაგრძო ნინომ ფრიად განსწავლული მსჯელობა. პოლიტიკურ საკითხებშიაც საკმაოდ ერკვეოდა თითქო, ზერელობაც არ ემჩნეოდა, ვინაიდან ერთობ დაბეჯითებით გამოსთქვამდა საერთოდ მიღებულ აზრს.

ლადიმ გადასწყვიტა — ეს ქალი არც ისე ჩამორჩენილი ყოფილაო და ოდნავ შეუმსუბუქდა მცხუნვარე უხერხულობა, ნინოს მკლავიდან გადმომავალი სითბო რომ ჰბადებდა მასში.

ნინომაც იგრძნო თითქო ეს, მჭიდროდ მიაყრდნო მხარი ლადის, საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა და ნაღვლიანად წარმოსთქვა:

— ეჰ რა არის ჩვენი ცხოვრება! ვინ იცის, რამდენ თაობას გაუვლია ამ სასაფლაოზე და გამქრალა...

ლადის რომელიღაც წიგნში ამოკითხული ფრაზები მოაგონდა და თავისებურად განუმარტა:

— არაფერი არ იკარგება მ'ოფლიოში... სახეს იცვლის მხოლოდ...

— თქვენი არ მიკვირს, ლადი ჩემო! — სანებლიძისებურად შეესიტყვა ნინო, — მე ჩემს სახესა და გრძნობებს ვნანობ, თორემ ფერფლი და ტალახი გინდა დარჩეს და გინდა არა... აი თქვენ ასეთი კარგი ახალგაზრდა ხართ, ახლა უნდა დაეწაფოთ ცხოვრების სიტკბოებას, თორემ მერე, სიბერე რომ შემოგეპარებათ, არაფერს გემო აღარ ექნება...

ეუბნებოდა ამას და კიდევ უფრო მჭიდროდ აყრდნობდა მხარს.

ლადიზე ოდნავ მაღალი იყო ნინო და რამდენიმეჯერ იგრძნო ლადიმ: სოსანისა თუ მწიფე ყურძნის სურნელებას აკმევდა ქალის მოშილიფებული გულმკერდი, საამო სიმწვავით უძვრებოდა ნესტოებში და ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერწკალი, გულის სილრმეში თავისთავად გაღვივებული ნაპერწკალი, ნაპერწკალს ეთამაშებოდა.

და არაერთგზის გააპარა ლადიმ თვალი უცნაური საიდუმლოებით სავსე უბისაკენ, ხოლო ნინომ ისეთი კმაყოფილებით გაიღიმა ჩუმად, თითქო პირველად შეჰხებოდეს ვაჟის ქურდული მზერის ისარი.

ეკლესიის ბჭესთან შესდგა მიხა და ჩამორჩენილთ მიუხედა, განთვისებული თვალები დაწკურა და თავისთავს გაესაუბრა უხმოდ:

— აჰა! გაება ხომ...

შერმე რაინდულად მიეგება ნინოს და საყდრისაკენ ხელი გაიშვირა.

— ა, ბატონო, ესეც თქვენი ძველისძველი ეკლესია... მაინცადამაინც არაფერი საინტერესო აქ არ არის.

— ო, როგორ არა! შეხედეთ, როგორი თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი! — წამოიძახა ნინომ და ლადის მიმართა:

— თქვენ გეცოდინებათ, რომელ საუკუნეშია აშენებული?

— მგონი მეთერთმეტე საუკუნისა უნდა იყოს.

— და მას შემდეგ დგას აქ ასე ურყევად და ლამაზად! რა შესანიშნავი მშენებლები ყოფილან ძველად! არ შეიძლება შიგნითაც დავათვალიეროთ?

— რატომ არა, მობრძანდით! — მიიპატიჟა ფოფხაძემ.

ეკლესიის შესავალთან ყორე იყო მიდგმული, სახურავჩანგრეული.

გაძვრა ნინო ბჭეში და ლადის გაუწოდა ხელი:

— თქვენ უნდა მოგყვეთ, თორემ ნამეტარი სიბნელე იქნება იქ.

მიხამ ფიცრული კარი შეაღო და ასანთს გაჰკრა.

მხოლოდ ერთ ადგილას იყო ჩატეხილი ქვის სახურავი და ვიწრო სარკმლიდანაც მცირეოდენი შუქი ატანდა შიგ, მაგრამ საყდარი ჯვარედინი იყო და სამხრეთისა და ჩრდილოეთის განივი წყვდიადით იყო ამოვსებული.

ხავსის სუნი იდგა შიგ, თითქო უამრავ წლებს შემოღამებიათო აქ. და უსასოო ლოდინში დამძაღებულანო.

დაადგა ლადიმ ფეხი ჩაწეულ იატაკს და ნინოს მიუბრუნდა.

— უიმე! რა სიბნელე ყოფილა აქ! — ოდნავ გასაგონი ხმით სთქვა ნინომ და ფეხწაკრულივით გადაეყრდნო ლადის.

ბუმბულივით მსუბუქი ეჩვენა ლადის ეს ტვირთი, ვინაიდან ქალის სავსე მკერდს შეაეღო ხელი და მწიფე ყურძნის სურნელებამ დაათრო, მწვავე ჟრუანტელი შემოენთო და ზეაღიტაცა.

— ბოდიში, ხომ არაფერი გატკინეთ? — წასჩურჩულა ნინომ და მკლავში ხელი გამოსდო.

ლადის არც ეს მობოდიშება გაუგონია და არც ის შეუმჩნევია, მიხამ რომ სარკმლის ძირას ასანთით გაზეთს ცეცხლი წაუკიდა და თაფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთლების ნამწვავებით შეჭვარტლულ ქვასა და სახეწაწლილ ხატებს ათვალიერებდა.

ჟამთა დეხისაგან შეკუმშულ თაკარა სიცხით ხომ არ ამოივსო ეს საყდარი? გადარუჯულ უდაბნოში ხომ არ დაებნა გზა ლადის? მაშ რათ დაეუფლა ეს მოუთმენარი წყურვილი და ჰგონია: იქვე ახლოს, სულ ახლოს გადმოსჩქეფს ანკარა წყარო, სიცოცხლესავით ტკბილი და ნეტარი. საკმაოა მხოლოდ ოდნავ დასწიოს თავი და...

ნინომ საშხრეთის განივში შეახვევინა ლადის და ფოფხაძეს რომ ახთებული გაზეთი ჩაუქრა, ოდნავ შეაჟრჟოლა და მინაზებულის ხმით წარმოსთქვა:

— ო, მეშინია! როგორ მეშინია!

და მთელი ტანით მოეხვია ლადის.

პირველად მარჯვენა ღაწვზე შეეხო ლადის ეგზომ სანატრელი ნაკადი, და ეს ნინოს კულული იყო, ლბილი და ჰაეროვანი, წრფელის გრძნობით ახთებულ ამბორივით, მაგრამ ლადის უფრო დიდი წყურვილი ჰკლავდა და თავი სიზმარში ეგონა, როცა დაიხარა და ნინოს შიშველ მკერდს დაეწაფა აცეცხლებული ტუჩებით.

და მყისვე გაჰქრა გადარუჯული უდაბნო და თაკარა სიცხით ამოვსებული საყდარი, თითქო ამ წამს უცდიდნენო უამრავი წლები, უსასოო ლოდინში რომ შემოლამებიათ აქ და ხავსის სუნით გაჟღენთილან.

ახლა ცხოველმყოფელი და ნექტარივით სასურველი წყარო მოჩუხჩუხებს აქ და მოკამკამე შხეფებით რწყავს დაუსრულებლად ალმავალ დღეებს; ქალის გულმკერდს მოჰქონდა იგი საუკუნიდან საუკუნემდის და ამ ნაკადმა მოიტაცა ახლა ლადი.

ხოლო როდესაც მიხამ კვლავ გაჰკრა ასანთს, ნინომ ალერსით მოუსვა ლადის ნიკაპზე ხელი და განზე გადგა, თან ფოფხაძესაც გაეხმაურა:

— მეტად საინტერესო ეკლესიაა ხომ, ბატონო მიხა!

— არაფერი მაინცადამაინც. მხოლოდ ეს ვერ გამიგია—რათ უნდოდათ, ასე ჯვარედინად რომ აუშენებიათ?

— ჯვარს დიდი პატივისცემა ჰქონდა ძველად საქართველოში...

— ჰო, მართლა! ნინოს ჯვარი! ნინოს ჯვარი! — ბოხი ხმით წამოიძახა ფოფხაძემ და ორთავეს ხმამაღლა გაეცინა, ნინოსაც და მიხასაც.

ლადი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო და კარგად არც კი ესმოდა, თუ რაზე იცინოდნენ ისინი.

მერმე მცირე დუმილი ჩამოვარდა.

ფოფხაძემ ასანთის ცარიელი კოლოფი გადააგდო და კარისაკენ გაემართა, ჩატეხილ სახურავიდან ჩამავალ შუქში გაილანდა და ნინოს მიუხედა:

— არ მობრძანდებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, როგორ არა! არაფრის ისე არ მეშინია, როგორც სიბნელის! — უპასუხა ნინომ და მკლავგამოდებული ლადი გაიყოლია.

გასცილდნენ ბჭეს და საყდარში კვლავ ხავსის სუნი დარჩა, თითქო უამრავ წლებს შემოღამებიათო იქ და უსასოო ლოდინში დაობებულან...

— ძართლაც ღვთიური ღამეა! არა, ბატონო ლადი? — სთქვა ნინომ და ლადის დააცქერდა ფირუზივით გაბრწყინვებული თვალებით.

ვიღაც გაძარჯვებულის ზეიმი მოესმა თითქო ლადის. ნინოს თვალში თვალი გაუყარა და მყისვე უკან დაიხია, მკლავიც გაინთავისუფლა.

რამ გააფითრა ლადი?

ნათელას სახე ხომ არ ეზმანა ამ ქალის გამსჭვირვალე თვალებში?

— უკაცრავად... გვირაბში საჩქარო საქმე მაქვს... ახლა მომაგონდა.— ცივად ჩაილაპარაკა ლადიმ, უმალვე შებრუნდა და ხევისაკენ ჩაჰყვა ბილიკს.

— ღმერთო ჩემო! ღამითაც არა აქვთ მოსვენება! — თანაუგრძნო ნინომ და:

— უთუოდ უნდა მესტუმროთ, ლადი ჩემო, უთუოდ!

გააყოლა ხმა და ფოფხაძეს აედევნა.

## XX

მიეფარა ფერდობს და სიბნელეში შავად აღმართულ ლოდთან გაიარა.

მდინარის ბუტბუტია ეს თუ ვისილაც ნაცნობი ხმა ჩასწივის ყურში:

...„ქალში ძხოლოდ ქალს კი არ უნდა ხედავდეს“...

გრილი სიო შეიჭრა გაბზარულ კლდიდან და მშობლიური ალერსით დასძინა:

— „არამედ თანასწორუფლებიან ამხანაგსა და თანამებრძოლს“...

ქვას მიაყრდნო ლადიმ გახურებული შუბლი და გმინვასავით აღმოხდა;

— ეს ხომ ნათელას სიტყვებია?!

განა ორიოდე საათის წინათ არ იყო, მასთან ერთად რომ ნავარდობდა ცის იერში და მთელი ქვეყნიერება მათ ეკუთვნოდა! მწვერვალიდან მწვერვალზე ადიოდნენ სამარადჟამო სწრაფვით ფრთებშესხმულნი და შუქჩაძდგარი თვალებით გაჰყურებდნენ შორეულ პლანეტებს. სადაც უთუოდ უნდა ძიაღწიოს ადამიანმა, უკლასო საზოგადოებაში შობილმა და აღზრდილმა...

ახლა რა მოუვიდა? შალიკო ქავთარაძის ხსენებამ ხომ არ დაუმსხვრია ლადის ფრთები და წარსულში ხომ არ გადაისროლა მომავლისაკენ აღმავალ საფეხურებიდან? ან არა და, იქნებ მარტოოდენ ეს არის სადაგი ღლეების დედაარსი და იმ ქალის მკერდზე უნდა მოიკლას ასე უეცრად შემონთებული წყურვილი!..

მყისვე წარმოუდგა, ნინო რომ მკლავგამოდებული მიჰყვებოდა ახლა ფოფხაძეს და ზიზღით გააფურთხა. არა, ეს არ არის სიცოცხლის წყარო, მწიფე ყურძნის სურნელებით რომ მიიზიდა და მაცდურების ქსელში გახვია.

მაინც ნათლად ჰკიდა თვალი ნინოს სავსე მკერდს, მომხიბვლელი მტევნებით დაძძიმებულს და... უცებ შეაკრთოლა, თითქო ნათელაც იქვე იყო ძიძალული, საყდრის ბნელ კუთხეში, და მისებური დამცინავი ღიმილით უყურებდა, ლადი რომ ამ უცხო ქალის მკერდს დაეწაფა.

შეაკრთოლა და მოწყვეტით დაეშვა გვირაბისაკენ.

რა არის ეს: მისი ფეხის ხმა არღვევს ხევში ჩაწოლილ დუმილს, თუ ნათელას სიცილი დაირხა ამ ხრამში და შეუწყვეტლად წკრიალებს ნაპრალში გადასროლილ ზარივით. იქნებ მდინარის გაბმული რაკრაკია ეს და ძეტი არაფერი, მაგრამ როდის იყო, ქცია რომ ასეთი გამკილავი ჩხრიალით ეგებებოდა ლადის!..

კბოდეს წააწყდა და გზაზე რომ გადახტა, ფეხი ილრძო. ერთის წიმით შესდგა და ტკივილი კი არ უგრძვნია, ხევში მომწყვდეული გუგუნი ამოიჭრა სიბნელიდან, მდინარის ნაცნობი შხუილი ჩასწვდა ყურში და დილის ცვარივით მოკამკამე შხეფები შეაფრქვია...

ახლა უფრო გარკვევით წაიბუტბუტა თითქო ქციამ — ქალში მარტოოდენ ქალს კი არ უნდა ხედავდეო და გვირაბის სათავესთან მოელვარე ხათურას დააცქერდა ლადი.

ამ ნათურამ დაუბრუნა თავისი ქვეყანა, სადაც ორი მძლავრი ბანაკი ებრძვის ერთმანეთს: უამრავ წლების მანძილზე კაჟადქცეული კლდე და საუკუნეთა შეურყეველ ქედმაღლობასთან მებრძოლი კოლექტივი. ნათელაც აქ არის, მისი ერთადერთი სატრფო და ამხანაგი ნათელა; სიცოცხლის წყაროც აქ სჩქეფს და არა...

გვირაბისაკენ გასწია და წარბები რომ შეჭმუხნა, იმიტომ კი არა — ხალრძობი ტკეხოდეს, მოზეიმე ნინოს ლანდს ხმალივით შეაგება ბრისხანება დაწკურული თვალებისა, მჩვარივით გადაისროლა ეს ლანდი წყვდიადში და ნაბიჯს აუჩქარა.

გვირაბის შესასვლელთან წამოწოლილიყო ნიკო ფიცარზე და ღრმად ჩასძინებოდა.

ნახევარი საათის წინათ ააფეთქეს გვირაბში ლაღუმი და აქ რომ ჩამოჯდა, მყისვე ძილი მოერია. მკლავი ამოიდო სასთუმლად და მშობლიური მუსიკის უკანასკნელ აკორდივით დაინთქა ხევში მდინარის ჩხრიალი.

რაძდენიძეჯერ გააგორეს მის გვერდით ქვის ნამსხვრევებით დატვირთული ვაგონეტი, მაგრამ არაფერი გაუგია, ვინაიდან ტკბილ სიზმარში იყო და აქ კი არ იმყოფებოდა, ქუთაისში გადაფრენილიყო, თავის ცოლშვილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ძიილო ნიკომ სახლიდან წერილი. ნამეტარი მოგვენატრენ, შესჩიოდა ცოლი, და ეთერიც შეუძლოდ არისო. საშიში კი ალბათ არ იყოს, მაგრამ ორიოდე დღით რომ ჩამოხვიდოდე, ძალიან დაგიძადლებთო.

ბავშვის ავადმყოფობის მომიზეზებით უნდა ჩამიტყუილოსო, — ღიმილით გაიფიქრა მაშინ ნიკომ, მაგრამ მცირეოდენი მღელვარება მაინც შეეპარა გულში. იქნება მართლა ავად არის ეთერი და... მოუთმენლად ძოსწყურდა ნიკოს თავისი ცქრიალა გოგონას ხმის გაგონება, თითქო უსაზომოდ დიდი განსაცდელი მოელოდეს მას და დაუყოვნებლივ უნდა ძიეშველოს...

„წასვლა? ხომ არ გაგიჟდი, როგორ შეიძლება ახლა საქმის მიტოვება!“ — თავისთავს გაუჯავრდა ნიკო.

რამდენი ხანია წინ უსწრებს ვასოს ბრიგადა. მართალია, მათ უფრო ხელსაყრელი ნიადაგი შეხვდათ, მაგრამ გეგმა მაინც უნდა შესრულდეს, ობიექტური მიზეზებით თავის გამართლება საკუთარი სისუსტის მიჩქმალვა იქნება...

მშობლიური მუსიკის უკანასკნელ აკორდივით დაინთქა ხევში მდინარის ჩხრიალი და მზისაგან დამწვარი სახე წამოეგზნო ნიკოს, ქუთაისის სადგურს რომ განშორდა და შეფენებაზე გადმოდგმულ სახლს მოჰკრა თვალი.

ცალ ხელში პატარა ჩემოდანი უჭირავს, ხოლო მარცხენა მკლავზე საზაფხულო პალტო აქვს გადადებული. უზადოთ ჩამოსხმულია მისი მომაღლო აღნაგობა და ფრიად შვენის აჩქარებული სიარული; ჭაბუკის უტეხი ძალღონე შესდგომია გაშლილ მხარბეჭში და თმაში თუ აქა-იქ თეთრი ურევია, ეს არაფერია, ოდნავ მოჭარბებული სიდინჯის იერით ჰძოსავს მხოლოდ მის ნათელ გამომეტყველებას.

შეაღო ჭიშკარი და სიხარულით გულანთებული ცოლი შეეგება პირველად.

— ეთერი სადღაა? მართლა ავად ხომ არ არის?

— აქა ვარ, ძაძილო! — შოესმა ნიკოს და ბავშვისაკენ გაეშურა, ხელში აიტაცა.

აბრეშუმივით რბილი კულულები აქვს ეთერს, წაბლისფერი კულულები, დედასა ჰგავს უფრო, მაგრამ როცა გაიბუტება, მამასავით დინჯია და მოკრძალებული.

სუფთად ძილაგებულ ნათელ ოთახში შევიდნენ და ეთერი მუხლზე დაისვა ნიკომ, ნაზად ეალერსება გულდამტკბარს და თვითონაც ბავშვივით გახარებულია, რაკი ყველანი მშვიდობით დახვდნენ.

გაიღო მეორე ოთახის კარი და სიდედრი მოეხვია ნიკოს.

— არ გრცხვენია, შვილო, ასე რომ დაგვივიწყე! — უსაყვედურებს ეატრონე და დედური მოფერებით უსვამს თავზე ხელს.

მიუახლოვდა ლადი ფიცარზე მიწოლილ ნიკოს და ნაბიჯი შეანელა: ძილი არ დავუფრთხოო დაღლილს. კომპრესორი და ვენტილატორი შეათვალიერა და ძერმე ნიკოს დააცქერდა.

ულტობი ტილოს ხალათი ეცვა ნიკოს, გულისპირგახსნილი, ხოლო მძიმე ფახსაცმელებში ჩაკრული ფეხები ცალცალკე დაეწყო. კეპი მკლავს ქვეშ მოქცეოდა ბალიშივით და ნათურას შუქი მოჰფენოდა სახესა და შეეერცხლილ თმაზე; ღაწვი დამტვრეული ჰქონდა და ნაცრისფერი ედო, ოდნავ გაღებული ტუჩები კი თითქო ლიმილს აპირებდნენ

კომპრესორთან მომუშავე ტექნიკოსი გაეხმაურა ლადის, მაგრამ საუბრის გუნებაზე არ იყო და გვირაბს მიაშურა.

აქა-იქ დამდგარ ჭანჭრობს გვერდს უვლიდა, პირდაპირ მიაბიჯებდა ტალახში; ეგონა აქ მაინც მოიცილებდა ნინოს აჩრდილს, უფსკრულში რომ გადაისროლა მჩვარივით, მაგრამ იდუმალ ალივით ჩაუძვრა თითქო გულში იმ ქალის მკლავიდან გადმოსული სითბო და სხივდამცხრალი ნათურა კი არ აშუქებს ახლა ამ ნესტიან გვირაბს, ნინოს მოზეიმე თვალები არ შორდება და ფოფხაძის როყიო ხარხარი მოსდევს ლტოლვილს...

მომუშავეებს მიუახლოვდა და ეამა, მტვერში რომ გაეხვია, თითქო ამღვრეულ ტბაში ჩაყვინთა და უსირცხვილო მაყურებლებს თავისი სიშიშვლე დაუმალა.

ვაგონეტში გაბმულ ცხენს რომ გვერდს უვლიდა, უნებლიედ მოუსვა ფაფარზე ხელი, მაგრამ ცხენმა თავი აარიდა, იუკადრისა ეს, უგულო მიალერსება და საყვედურით შეანათა თავისი მშვიდი თვალები.

დუმილით შეხვდნენ ლადის მტვერით სახეშეფიფქული მუშები. არც ის გაჰკვირვებიათ, ამ შუალამისას რომ შეიარა გვირაბში, ხშირად უნახავთ ამ დროს და უფრო გვიანაც.

მტვირთავები უკანასკნელ ვაგონეტს ავსებდნენ, ხოლო მბურღავებს დანა პირს ვერ უღებდა, ვინაიდან კაქის ფენას წააწყდნენ და ბურღი ამაოდ ხრიალებდა კლდეში.

განსაკუთრებით ახალგაზრდა მაღაროელი — ბოდენკო წვალობდა ძლიერ, ბურღი გრანიტში არ ტრიალებდა და გული მოსდიოდა.

ლადიმ ბურღი გამოართვა ბოდენკოს, ნათურას შუქში დაათვალიერა და ბლაგვი აღმოჩნდა.

— ათი წუთის წინათ გამოვცვალე! — ბრაზმორეულად ჩაილაპარაკა ბოდენკომ.

მოპირული ბურღი მიამაგრა ლადიმ კომპრესორს, ჩაიჩოქა, მარცხენა მხარით ქვას მიეყრდნო და ელდენივით შეიჭრა ძარღვებში კომპრესორის ძაგძაგი, ხოლო კაქის ფენამ სხივთა ჩქერივით შეაფრქვია ნაპერწკლები.

რას მრისხანებ, კლდეო ქედმაღალო! ცეცხლად შეკრულხარ ბნელ ჯურღმულში და გგონია გაუძლებ ამ შეუპოვარ ელიშს. მარტოოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭიმული მკლავების ძალით გებრძვის ახლა შენ ეს ჭაბუკი, ხელოვნება მისი თავისუფალია, ეს არის ახლა განერიდა ძველ ...ფებულ ყვავილს, მძაფრი სურნელებით რომ დაათრო ერთის წამით და შხამიან ქსელში გახვევას უპირებდა. განერიდა და ახლა მარტოოდენ მკლავები ძაგძაგებს მისი. ოცნებამ კი მყისვე გაარღვია გრანიტის ტინი და... არის ერთი შავგვრემანი გოგონა, ამაყი სიმამაცე შვენის მას უფრო და სიმამაცეს უმღერის ცის ლაჟვარდებში; თვალშეუდგამ სივრცეებს იპყრობს ფრთებშესხმული და როცა მიწისაკენ ეშვება, ლადის ეძახის სიყვარულით გულანთებული...

ოფლში გაილვარა ლადი, თვალები აუწვა გვირაბში დამდგარმა მტვერმა და გარუჯულმა ჰაერმა. ორჯერ გამოსცვლა ბურღი და სალალუმე ხვრელი უკვე მზად იყო.

დიდხანს ითმინა ბოდენკომ, მაგრამ ლადიმ რომ ადგილი გამოიცვლა და მეორე ხვრელის ბურღვას შეუდგა, გული მოუვიდა: მე ვარო აქ მბურღავი და არა ლადი ალანია. სამუშაოთა მწარმოებლისათვის სხვა საქმეც მოიძებნება.

— მომეცი აქ ბურღი! — ბრძანების კილოთი ჩასძახა ბოდენკომ და მკლავზე ხელი ჩაავლო.

უსიტყვოდ მოიშორა ლადიმ ბოდენკოს ხელი და მუშაობა განაგრძო.

გამკილავი ღიმილით მიუხედა ლადის მეორე მბურღავმა და მერე ბოდენკოს ანიშნა მუნჯურად: წადი და მოპირული ბურღები მოიტანეო.

რა იცოდნენ მათ, თუ რა აწვალებდა ახლა ამ ახალგაზრდა ინჟინერს, ასე თავდავიწყებით რომ ეომებოდა ფოლადივით ბიუკარებელ კლდეს და ერთხელაც არ მოუწმენდია დამტვერულ ლოყაზე დაგორებული ოფლი; არც ბოდენკოს უკმაყოფილება შეუმჩნევია ლადის. ვინაიდან მარტოოდენ ერთი მისწრაფებით იყო შეპყრობილი და უკვირდა საიდან სად გადავიჩეხო! მაგრამ შემდეგ, როდესაც მკირეოდენი დაღლილობა იგრძნო, საამო ბურანში გაეხვია და გაუტკბა მუშაობა. ძილში დამართნია ასე ლადის, ცუდ სიზმარს შეუწუხებია, გამოღვიძებია და ზმანებაც მყისვე გამქრალა. მისი მოგონებაც აღარ მოუსურვებია შემდეგ: ნათელ ოცნებას წარუტაცნია და ახალ სიზმრად ჩაჰყოლია იგი ძილში. ახლაც ასე მოუვიდა თითქო: აღარც სანებლიძის ცოლი არსებობს სადმე და აღარც ფოფხაძე. არის მხოლოდ დიდი მშენებლობის ერთი უბანი და ოც სექტემბრამდე უნდა დამთავრდეს იგი, ეს მხოლოდ გზაა ზეაღმავალი და ვერავითარი ტვირთი ვერ გასტეხს ლადის, რათა უფრო დიდი და ვრცელი გზები გაიყვანოს მწვერვალიდან მწვერვალამდე. არის კიდევ ერთი ფრაზა, ნათელამ მოსწერა იგი და ლამის გული ამოსწვას ამ უბრალო სიტყვებმა — ქალში მარტოოდენ ქალს კი არ ონდა ხედავდეო... ეს ფრაზა და ოცი სექტემბერი გადაიხლართა ახლა ერთმანეთში. უცნაურ შუქივით აიჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სივრცეში და გარს შემოეფინა პარაშუტით გადმოფრენილ ნათელას, თან მისი ძახილიც შემოესმა და გაუტკბა მუშაობა...

არც ის გაუგია, ნიკო რომ თავს წაადგა და განცვიფრებით მეთვალიერა ოფლში გაწურული. ბურღის გამოსაცვლელად რომ მობრუნდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა და მაჯით სახე მოიწმინდა.

— რაზე გადამირიე, კაცო, შენ ეს ბიჭი?—ღიმილით შეეკითხა ნიკო.

— ვინ ბიჭი?.. ჰოო, ბოდენკო? მინდოდა გამეგო, ბურღვა ხომ არ დამავიწყდა-მეთქი. — გაიმართლა თავი ლადიმ.

ჩაქუჩის გრძელი ტარით გაზომა ნიკომ სალაღუმე ხვრელები. მცირეოდენი მუშაობა იყო კიდევ საჭირო დინამიტის ჩაწყობამდე.

ბოდენკომ ბურღი მოიმარჯვა და ცალყბად ახედა სამუშაოთა მწარმოებელს, რომელმაც ასე უმიზეზოდ დაუწუნა მუშაობა და ამხანაგების წინაშე სირცხვილი აჭამა.

ნიკო გვირაბში დარჩა, ხოლო ლადის ჯერ ოფლი მთლად შემშრალი არ ჰქონდა, მდინარეს რომ მიაშურა, სამოსი გაიხადა და დაბერტყა. მერმე მოწყვეტით გადაეშვა მორევში და მხარულით გასრიალდა შიგ...

## XXI

**დაამთავრა ასალომ** ტომას მორისადმი მიძღვნილი ფელეტონის კითხვა, გაზეთი მაგიდაზე დასდო და დიდხანს მიმოდიოდა ოთახში. მერმე კვლავ ფანჯარასთან ჩამოჯდა, თეთრად მოკამკამე სივრცეს თვალი მოავლო.

ორიოდე წუთიც არ დაჰყოვნებია ასალოს, მყისვე გარს შემოეარა ოკეანეებსა და მატერიკებს, გრანდიოზულ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას, არმიებიდან არმიაში გადადიოდა და ძველი ქვეყნის მრისხანე ძალებს რომ ბოლო ჰიეულეს, აჰყვა მაშინ რიჟრაჟივით ნათელ ოცნებას.

...სწორედ იქა სდგას ახლა ასალო, საიდანაც პირველად იხილა ქვეყნიერება, თითქო ხელახლა იწყებს სიცოცხლეს და უკვირს — ასე როგორ გამოიცვალა ეს მიდამოები და ეს ხალხი! გურიის გორებია ეს, ნიგოითიდან ნატანებამდე ჩამწკრივებული ისე, როგორც ცის კიდეზე მრავალკეცად ამობურთული მუქი ღრუბლები.

...ფორთოხლისა და ნარინჯის ბაღში ზის ასალო, ოდნავ შრიალებს მწვანე ფოთლები და ნიავი ქარვის კრიალოსანს აელვარებს სერიდან სერამდე. აჰა, ესეც კოლხეთი, ანკარა წყლებიანი არხებითა და უმტვერო გზებით დასერილი. წალკოტი თვალუწვდენელი! რა გინდა სულო და გულო, აქ რომ არ იხილო: ფეიხოია და გრეიფრუტი, ლიმონი და... მაგრამ რა იცის ასალომ, თუ რას უწოდებენ ახლა აქაური მცხოვრებელები ამ უცხო ხეხილს, ათასნაირად გადაჯიშებულს! მცხოვრებლები? ასალოს

დროინდელი ქოხები და ოდები რომ არსად ჩანს? ასალოს [illegible] ლიც კი დაწყდა: ბავშვობისას მამამისი სულ ოდის აშენებ[illegible] [illegible] და მას შემდეგ შეუყვარდა ასალოს გურული ოდა, მაღალ ბალავარზე წამოდგმული და კრამიტით დახურული, ახლა კი მარტოოდენ ბაღები და არხები... დაიცა, აი იქ, ოდესლაც რომ ფოთი იყო და მალთაყვა, მაღალი კოშკები კაშკაშებენ ბროლივით. იქ თუ ცხოვრობენ... ამ ბაღის მეთვალ-ყურე მაინც იყოს ვინმე, რომ გაესაუბროს...

...არ ამდგარა, ისე მიწვდა თურაშაულის ოდენა ნარინჯს, მოსწყვიტა და არასოდეს ასეთი დამატკბობელი სურნელება არ უგემნია. კვერცხის გულივით დნება პირში და რაჭული ღვინის მხურვალებასავით იღვრება ძარღვებში. მეტისმეტად იამა და მეხუთე ცალს რომ ფცქვნიდა, უკვე შეზარხოშებული იყო, მაგრამ ისე კი არა, თავის სიცოცხლეში ღვინის ძალა რომ უგრძვნია, რაღაც ნაზი და ჰაეროვანი განცდა დაეუფლა, თითქო ფრთები გამოესხა და დედამიწამაც დაჰკარგა მიმზიდველობა, თითქო შორიდან შორსმჭვრეტელი სიბრძნით გაიმსჭვალა და პლანეტიდან პლანეტას ესაუბრება...

არ გაჰკვირვებია, იქვე ახლოს ოდნავი შრიალით რომ დაეშვა პატარა თვითმფრინავი; ისე მიიხედა, თითქო საკუთარ ბაღში იჯდა და სასურველი სტუმარი ეწვია, მაგრამ საოცრად ნაცნობი სახე რომ შეეფეთა, მაშინ კი შეკრთა და თვალები გაუფართოვდა. ეს ხომ ელენეა! არა, ნათელაა! თუმცა არც იმას ჰგავს მთლიანად, რაღაც ახალი იერით, უფრო დაწმენდილი და ამამაღლებელი იერით დამშვენებულა!..

ნათელი ლიმილით მიუახლოვდა პილოტი და დაამშვიდა. მერმე, ასალომ რომ თავისი სახეცვლილი ქვეყნის დათვალიერება მოისურვა, მყისვე გაუძღვა თვითმფრინავისაკენ, რომელიც პლანერს უფრო ჩამოჰგავდა; წვიმისა და ქარის დროს კი გადასწევდა კრიალა სარაზავს და უმალვე გადაეხურებოდა მინსავით გამსჭვირვალე ულტობი ქსოვილის ხუფი.

არ გაუგია ასალოს, როგორ მოსწყდნენ მიწას. რბილ სავარძელში იჯდა, პილოტის გვერდით და არავითარი ხმაური არ აწუხებდა. ნება-ნება მისცურავდნენ სივრცეში და ფირუზივით დამინანქრებული ზღვის სუნთქვა უალერსებდა მშობლიურად.

გრიგოლეთს რომ მიუახლოვდნენ, გურულების ბედმა დააინტერესა ასალო და პილოტს სთხოვა — მიჩვენე, სად ცხოვრობენ ახლა ისინი.

მერცხალივით შემოტრიალდა პლანერი და ზემო ჯუმათისაკენ აიღო გეზი.

ახლა პირდაპირ გაჰყურებს ასალო საჯავახოდან ნატანებამდე ჩამწკრივებულ გორებს და... ნაირნაირი ბაღები და ხეივნები, ყოვლისშემძლე აგრონომების მიერ გაშენებული.

ჩანჩეთს რომ თავს გადაადგნენ. ნაცნობ კორდს დააცქერდა ასალო
და მხოლოდ ეგნატე ნინოშვილის მაღალ ძეგლს მოჰკრა ლოდინიანულ
ახლოს დაეშვნენ, დააკვირდა და ძველი სევდა წაშლილიყო ეგნატეს სა-
ხეზე... ირაკლი ინწკირველის, დარინესა და სხვა უამრავ განწირულთა
კაეშნიანი აჩრდილები ეზმანა ასალოს და გული ეტკინა.

მყისვე შეამჩნია ეს პილოტმა, ბუდეშური თვალებით მიუალერსა და
საოცრად ნაცნობი ღიმილით განუმარტა: სქელკანიან მატეანეზე უკეთ ეს
ძეგლი მეტყველებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ წინათ ჩვენი წინაპრებიო.

ჯუმათის სერის გასწვრივ აცურდნენ და უცნაური სასახლეები გამო-
ჩნდა ზეგანზე; რაღაც ახალი მასალით იყო აგებული ეს თითოსართული-
ანი დარბაზები და თვალს ახარებდა მზიური აივნები.

სხვა ზეგნებსაც გადახედა და ყველგან ასეთი სასახლეები კაშკაშებ-
და მზის სხივებში. ირგვლივ ყვავილნარი იყო და სასპორტო მოედნებზე
ნახევრად შიშველი ბავშვები თამაშობდნენ. კბოდეებზე ჩამწკრივებული
იყო ასეთივე პატარა პლანერები თუ თვითმფრინავები, თითქო ეს სივ-
რცე ჩვენი იყოს და რიყეზე მიუბამთ მეთევზეებს თავიანთი ბადეები
აგერ ერთი სახლიდან რამდენიმე კაცი გამოვიდა. ჩასხდნენ თავიანთ ნა-
ვებში და უმალვე გასრიალდნენ ცის იერში.

ამ სერებსა და ზეგნებზე მოუყრია თავი მოსახლეობასო — გადასწყვი-
ტა ასალომ. — მაგრამ მაინც ეცოტავა: მას შემდეგ უნდა გამრავლებულ-
იყვნენ და ნუ თუ აქ ეტევიანო!

ახლაც გულთმისანივით მიუხვდა პილოტი და ხელი ბახმაროს მთე-
ბისაკენ გაიშვირა. შემოდგომა იწყებოდა და მწვერვალები თოვლით იყო
დაფარული. ამიტომ ფრიად გაუკვირდა ასალოს: ამ სიცივეში იქ ვინ
გასძლებსო!

კვლავ საოცრად ნაცნობი ღიმილით მიუხედა პილოტმა და ბარისა-
კენ დაეშვნენ.

არც აქ მოჩანს სადმე გურული ოდა და ფართოდ შემოლობილი ეზო-
ები. ბარტოოდენ ნაირნაირი ბაღები და ხეივნები... მხოლოდ ჟუჟის პირად
კი — ცხემლის ხიდიდან მერიამდე ჩაყოლებულია მაღალი კორპუსები,
მარმარილივით სუფთა და კრიალა...

ეს ჩვენი კომუნის სამრეწველო ცენტრიაო — განუმარტა პილოტმა. —
აქ უმთავრესად ხეხილის კონსერვებს ამზადებენო. ხოლო აი აქ, აქვის-
წყლის ნაპირებზე ულტობი და გამსჭვირვალე ქსოვილების ფაბრიკებიაო.

რაღაცას კიდევ ამბობდა პილოტი. მაგრამ ასალოს აღარ გაუგონია:
ღრუბლებ გადმოეშვენენ მთებიდან დიდი და პატარა ჰაეროპლანები. ოდნავის
შრიალით ჩაუქროლეს გვერდით და ქარხნებსა და ფაბრიკებს მიაშურეს.

შ საცვლელად მიდიანო — აუხსნა პილოტმა და პლანერს გამსჭვირ-
ვალ ხუფი გადაახურა. ვინაიდან თოვლიან ქედებს მიუახლოვდნენ ლა
გრ ... ჰაერმა ასალოს ლოყები აუწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვისა და ფიჭვის ტყეებს ასცილდნენ და აჰა, სად ყოფილა თურმე მოსახლეობა! მთათა ქორედებზე და ზეგნებზე აუგიათ საკვირველი ფერ-ბაზები, ნაირნაირი აივნებითა და კოშკებით. ან კი რა დაუძლიდათ, სადაც მოისურვებენ, იქ დაფრინდებიან, არც ტვირთის ამოტანა გაუჭირდებათ...

თოვლიან მწვერვალზე ახალგაზრდები ვარჯიშობდნენ; ხან სივრცეში აიჭრებოდნენ პაწია პლანერებით და ხან თოვლზე დასცურავდნენ. მამაპაპათაგან მხოლოდ ერთი ჩვეულება შემოუნახავთ: ხანგამოშვებით თოვლის გუნდას ესვრიან ერთმანეთს და გულიანად იცინიან.

სივრცეში ნელი რონინით დაათვალიერა ასალომ ზეგნებზე და ფერდობებზე აღმართული დიდებული სასახლეები, სიცოცხლის ეშხით სახეგაბრწყინვებული მცხოვრებლები და ამაოდ ცდილობდა ერთი მახინჯი მაინც აღმოეჩინა მათ შორის.

— მახინჯები ახლა იშვიათად იბადებიან — გაესაუბრა გულთამხილავი პილოტი.—ყოველწლიურად იკრიბება ბიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი და ახალახალ მიღწევებს აკანონებს ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესებისათვის...

არ მოეწონა ასალოს ეს სიტყვა — კანონი, ეს ხომ ძალდატანებაა! თუ სახელმწიფო არ არსებობს...

ნათელი ღიმილით დაამშვიდა პილოტმა და განუმარტა:

— ჩვენი უზენაესი კანონი საზოგადოების, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა და ბედნიერებაა. სხვა მისწრაფება ჩვენ არ გაგვაჩნია. ყველაზე მამაცი და ღირსეული ჩვენში ის არის, ვინც მეტს გააკეთებს ამ მიზნისათვის. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სიხარული განუყოფელია, ერთი მეორისაგან გამომდინარეობს...

თვითონაც უფიქრია ასალოს ამაზე ოდესღაც და ახლა პოლიტიკის სიტყვები აღარ ანცვიფრებდა. გამსჭვირვალე ხუფიდან დაჰყურებდა მშვენიერ აივნებს და თვალი ვერ მოეშორებინა სამრეწველო ცენტრებიდან და მარად მწვანე ბაღებიდან დაბრუნებულთათვის. ფრთაშეკუმშულ ფრინველებივით რომ სხდებოდნენ კბოდეებსა და წინაგარდებზე.

მერმე ქვენა ქარმა დაუბერა შავი ზღვიდან და გურიას თეთრი ღრუბლები გადაეფარა. ვით ლამაზ ჩუქურთმებიანი გუმბათი მარმარილოსი.

ყრუ შრიალით გაარღვია პლანერმა ნისლი და ჩოლოქთან, ციტრუსების წალკოტი რომ აბიბინდა, მაშინ გადახსნა პილოტმა ხუფი.

ზღვის ნაზმა ჰაერმა დაუამა ასალოს გული, მაგრამ განცვიფრება მაინც ვერ დამალა: ქობულეთიდან დაწყებული, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა, ყველგან მრავალსართულიანი ცისფერი კოშკები და დარბაზები ამშვენებდა ნაპირებს.

— ეს საზამთრო საცხოვრებლებია...

— მაშ, მომთაბარეობა განახლებულა! — გაიკვირვა ასალომ.

— არა, მთებშიაც რჩებიან. აქ უმთავრესად ხანდაზმულები არჩევენ ყოფნას. გარდა ამისა, ეს მსოფლიო აგარაკია — ბათომიდან ყირიმამდე... ჩრთილოეთისაკენ გაუხვიეს. ასალო ზღვას გაჰყურებდა და უკვირდა, ვერც ერთი გემის კვამლი რომ ვერ დაინახა.

— მას შემდეგ, რაც ავიაცია უაღრესად განვითარდა, გემი ჰიდროპლანმა შესცვალა. — მოესმა პილოტის ნაცნობი ხმა. — ახლა მხოლოდ მცურავ სახლებს აშენებენ სასეირნოდ და სამკურნალოდ... ხომ იყო წინათ რკინის, ორთქლისა და ელექტრონის ეპოქები. ახლა უმთავრესად ფრთების ეპოქაა...

მიადგენენ ფოთს და ასალოს ამ უდიდეს სამრეწველო ცენტრში ყველაზე მეტად ერთი მაღალი შენობა მოეწონა. აქ ოდესღაც ვეება კუსავით იყო ჭაობში ჩაფლული რუხი ტაძარი, ახლა კი უკვდავ ქანდაკებასავით აზიდულა სივრცეში ეს ციხედარბაზი. აი რა დიდი ხელოვნება ყოფილა ხუროთმოძღვრება!..

— ეს კოლხეთის მუზეუმია. — აუხსნა პილოტმა. — აქ არის იმ შესანიშნავ ადამიანთა გალერეა, რომელთაც დამპალი ჭაობები ამოაშვრეს და ამ თვალუწვდენელ ბაღებისათვის ნიადაგი მოამზადეს...

ძლივს მოსწყვიტა ასალომ თვალი ამ მრავალმეტყველ ძეგლს და სენაკსა და ზუგდიდს რომ გადახედა, წეროების გუნდებივით ატივტივდნენ სივრცეში უთვალავი პლანერები, ჭალადიდისაკენ გასწიეს. მრავალფერად მობიბინე ევკალიპტის ტყეს გადაუარეს და მწვანე ბაღებში ჩაფართქალდნენ.

სამეგრელოშიაც გურიის მსგავსი სურათი იხილა ასალომ. აქაური მცხოვრებლებიც დაბრუნებოდნენ „მემთაბარეობას“ და მთებსა და ზღვის ნაპირებზე აეგოთ „ფრთების ეპოქის“ სტილის სასახლეები.

პილოტმა კვლავ გადაახურა პლანერს გამსჭვირვალე ხუფი. ღრუბლების სქელი ტალღები გაარღვია და გამოჩნდა კავკასიონის სპეტაკი მწვერვალები. ენგურის ხეობის გასწვრივ მიფრინავდნენ და ფრიალო კლდეებზე, ფიჭვისა და ნაძვის ტყეებში შედგმულ ციხედარბაზებს თავს დაჰყურებდნენ.

სიზმარშიაც არ ზმანებია ასალოს ასეთი დიდებული ბინები, ლაჯამულადან მესტიამდე რომ გადაეშალა ჰაეროვან კოშკებივით...

— ესეც საერთაშორისო აგარაკია — ეუბნებოდა პილოტი, — ზაფხულობით აქ მოდიან სტუმრები დედამიწის ყოველი კუთხიდან...

უშბას ნისლი არ ეხვეოდა, თეთნულდიც ბროლივით აღმართულიყო სივრცეში, ხოლო თხემებზე გამსჭვირვალე სართულები თინათინობდა.

— მსოფლიო აკადემიის ქვესადგურებია აქ — მოუთხრობდა პილოტი — ამჟამად აქ, სხვათაშორის, ერთი გამოჩენილი სვანი მეცნიერი მუშაობს და მისგან უდიდეს აღმოჩენებს მოელიან...

უშგულში დარჩენილიყო მხოლოდ მრავალგზის შეკეთებული ძველი სვანური კოშკები, თავიანთი დაყრუებული სათოფურებით, ირგვლივ სოფლებ-გან — ზეგნებსა და ფერდობებზე ფრთებშესხმულ ადამიანთა სავანეები ელვარებდა.

ყორილდაშის უბეში, ცენას ნაპირებზე უზარმაზარი ქარხნის კორპუსები ამოეძართა მთების თოვლიან თხემებამდე; ხოლო ზუნტარის პიტალა კლდეებს რომ მიუახლოვდნენ, შინაური ცხოველებივით გადმოდგნენ ნაპრალებსა და კბოდეებზე რქებშემართული ჯიხვები და სისხლივით წითელი არჩვები, ერთი ბანჯგვლიანი დათვიც აუჩქარებლად მიეფარა ტყეს. ხოლო თავაწეულმა შურთხებმა ირიბად შეათვალიერეს პლანერი...

— ზოოლოგიური მთა არის აქ — სთქვა პილოტმა და ისეთი სისწრაფე განავითარა, ასალოს აღარ შეუმჩნევია, როგორ გადაუარეს ლაშხეთსა, და ლეჩხუმს...

იმავე ბალში დაეშვნენ, საიდანაც პირველად გაფრინდნენ და პლანერიდან რომ გადმოვიდნენ, ნიავი კვლავ ქარვის კრიალოსანს აელვარებდა სერიდან სერამდე.

ფრიად გაუძნელდა ასალოს პილოტის განშორება, ვინაიდან საოცრად ნაცნობი ღიმილით გაუწოდა მან ხელი და ელენესა თუ ნათელას თვალებმა შეანათა მოალერსე ციმციმით. უნდოდა ეკითხნა რაიმე ამ საკვირველი ქალიშვილისათვის, მაგრამ დაერიდა.

მყისვე შეატყო პილოტმა და გული აღარ დასწყვიტა: მეო ორი შვილის დედა ვარო. ჩემმა ქმარმა გუშინ წაიყვანა საჰაერო მატარებელი მოსკოვისაკენ და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის კომუნას ათი ათასი ტონა ნარინჯი და კონსერვები წაულოო...

პილოტის სიტყვებზე უფრო მისი ხმა და სახის იერი ხვევდა ასალოს ტკბილ ბურანში, თითქო სიჭაბუკის ნეტარი ოცნება ეწვია და სადაცაა ასეთივე დაუვიწყარი ღიმილით შეაღებს ოთახის კარს ელენე...

გამოეთხოვა პილოტი და ასალომ სევდით გააყოლა თვალი ცის იერში ატივტივებულ ბადიას. მერმე სანუგეშო მაინც იპოვნა და დაასკვნა: ეს ქალი უთუოდ ნათელასა და ლადის შთამომავალი იქნებაო...

თვითონაც წამოდგა...

დააყურა. სასადილოდან გარმონის ხმა აღარ მოისმოდა. ლადის მოელოდა და გაუხდელად მიწვა ლოგინზე.

ნაშუალამევს გამოეღვიძა და გაუკვირდა — ლადის რატომ დააგვიანდაო. აივნიდან გადახედა სოფელს. მთვარე გორს მიფარებოდა და მუქი ჩრდილი გადაჰფენოდა სახლებს. ყველას ეძინა, მხოლოდ ძალსადგური ჩახჩახებდა განუწყვეტლად.

— რა უნდოდა ახლა გვირაბში! — გაჯავრდა ასალო. ამ ბოლოს მეტისმეტად შეეჩვია მამობრივ მზრუნველობას და ერთხელაც არ მოსვლია აზრად — ლადის თავი არ მოვაბეზროო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ხანს იტრიალა ოთახში და როლესაც ლადიმ აივანზე აირბინა, სიხარულით გაულო კარი. სქელი წარბები კი მაინც შეეჭმუხნა, ... შეუტია:

— სად ბრძანდებოდი, ყმაწვილო, ამდენხანს?

— ოჰ, ბიძია ასალო, ჯერ კიდევ არ დაწოლილხარ!

— მე კი გამოვიძინე, ბიჭო, მაგრამ შენ რას აკეთებდი აქამდე?

— მე... ვმუშაობდი. — უპასუხა ლადიმ, სარკესთან მივიდა და სველი თმა დაივარცხნა.

## XXII

ჯერ დილის მზის შუქი არც კი შეჭრილიყო ფანჯარაში, მტრედისფრად ინათა მხოლოდ. მყისვე წამოდგა ასალო და ნავთურაზე ჩაისათვის წყალი დაადგა. ფრთხილად აბიჯებდა ფეხს, რათა ლადი არ გამოეღვიძებინა. სამი საათიც არ გასულა. მდინარეში ნაბანავები რომ დაბრუნდა. საკმაო ხალისით გაესაუბრა მაშინ. მაგრამ ასალომ ოდნავი შეშფოთება მაინც შეამჩნია, თითქო ნაძალადევი ღიმილით ჰფარავდა ლადი გულის სილრმეში მიყუჩებულ მღელვარებას.

რა მოხდა? ნათელას წერილმა ხომ არ იმოქმედა? რა მოსწერა ნეტავი ისეთი? — ამ დილითაც გაივლო გუნებაში ასალომ და მძინარეს დააცქერდა. უსაპნოდ დაბანილი და ბალიშზე შემშრალი თმა აქა-იქ შეწებებოდა...

სკამზე გადადებული ხალათის ჯიბე მოხვდა თვალში და თავის სიცოცხლეში რომ არ ჩაუდენია, ისეთი სურვილი დაებადა ასალოს. თუმცა არა, ერთხელ კი გახსნა ფარულად ლადის ჩემოდანი და ნათელას სურათს დაჰყურებდა დიდხანს. ახლაც იმავე განცდამ აიძულა და ქურდულად ამოაძრო წერილი. აივანზე გავიდა ფეხაკრეფით, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და სინამდვილედ იქცა თითქო წუხანდელი ნაოცნებარი: ცის ლაჟვარდში დაფრინავს ეს მამაცი გოგონა და მიწისკენ რომ ეშვება, თავის შეყვარებულს ეძახის მთელი ხმით...

გული აუჩქროლდა ასალოს და მთის თხემზე შეასვენა თვალი; მზის შორეული ღიმილი გადაჰფენოდა მწვერვალებს. მაგრამ ასალო კიდევ უფრო შორს იხედებოდა და სტიქიონთან ბრძოლაში გამარჯვებულ ფრთოსან ადამიანს შეჰხაროდა...

მერმე კვლავ წერილს დაუბრუნდა. ბოლომდე ჩაიკითხა და ახლა მიხვდა, თუ რატომ უნდა შეეშფოთებინა ლადი ამ ბარათს... ვინ არის ეს შალვა ქავთარაძე? ჰო, კარგად იცნობს ასალო ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ქალში მარტოოდენ ქალს ხედავენ და საკუთარი კეთილმოწყობის მეტი არავითარი მისწრაფება არ გააჩნიათ. თავი ფუტკარი ჰგონიათ და ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატობენ. უთუოდ ეს იქნება, სხვა რა უნდა ყოფილიყო! — გადასწყვიტა ასალომ, ოთახში კვლავ ფეხაკრეფით შევიდა და წერილი თავის ადგილას ჩასდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის-იყო ადუღდა ჩაისათვის დადგმული წყალი და ოთახში ვასო შეიჭრა, ლადის მიაშურა და დაურიდებლად შეანჯღრია.

— რას შვრები, ბიჭო! აცალე, გამოიძინოს, აგერ ახლა დაუვა! — ძიაძახა ასალომ, მაგრამ უკვე გვიან იყო, ლადი მაშინვე წამოხტა და ვასოს შეაშტერდა.

— რამ გადაგრია, ბიჭო! გეცლია ცოტა ამ კაცისათვის. — უსაყვედურა ასალომ.

— მოიცა, თუ კაცი ხარ, ცეცხლი მენთება გულზე! — შეუბღვირა ვასომ. — გუშინწინ ჩამოათრიეს ხრამში დიზელი და ახლა უკვე აღარ მუშაობს. სად შოულობს ეს ოჯახდასაქცევი ფოფხაძე ამ ადამისწლის მანქანებს! დღეს გვირაბში ნორმის ნახევარსაც ვერარ გავაკეთებთ. ეს არის საქმე? ქე მაინც ამ სიშორეზე მოტანას და იმ სკვარამში დადგმას ამდენი შრომა არ სჭირდებოდეს!

— ხომ ვთქვი მე, არ ივარგებს-მეთქი! — წამოიძახა ასალომ. — არა, შენ ვინ გკითხავსო, დამიყვირა მაშინ და ტფილისიდან მოყვანილ მექანიკოს დაადგმევინა. მოვიდეს ახლა თვითონ და გააკეთოს

— მოგცლია ერთი შენ! რას გააკეთებს, რომ არაფერი გაეგება.

— ჰო-და, თუ არ გაეგება, მასეთ კაცს თავისი ადგილიც უნდა უჩვენოთ. — ბრაზმორეულად ჩაილაპარაკა ასალომ და ნავთურიდან ჩაიდანი გადმოიღო.

— მაგის დროც მოაწევს... ახლა კი — მიუბრუნდა ვასო ლადის — საწრაფო თათბირი უნდა გავმართოთ. ამხანაგები დაბარებული მყავს. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ გვირაბს სექტემბერში კი არა, დეკემბერშიც ვერ გავიყვანთ.

სწრაფად ჩაიცვა ლადიმ და პირს რომ იბანდა, მაშინაც არ შეწყვეტილა ლოგინიდან აყოლილი საგონებელი: გვირაბის საქმე მართლაც ცუდათაა. ყოველდღე ახალახალი დაბრკოლება; ერთის მხრივ მიუკარებელი ნიადაგი — ბაზალტი და კაჟი, ხოლო მეორეს მხრივ — უვარგისი მექანიზმები და შრომის უნაყოფოდ ხარჯვა... ეს უკვე ჩავარდნაა. როდის უნდა გამოსწორდეს ამდენი ჩამორჩენა? რა უთხრას, რა პირით შეხვდეს თამაზს?.. მართალია, მარტოოდენ ლადი ხომ არ არის დამნაშავე. მაგრამ ამ უბნის სამუშაოთა მწარმოებელი ხომ ის არის. მთელი მშენებლობის გაშლა ამ გვირაბის დამთავრებაზეა დამოკიდებული. ესეც რომ არ იყოს.. არა, ოცი სექტემბერი რიჟრაჟივით ელვარებს ლადის ოცნებაში და ეს დღე უთუოდ გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს. სწორედ ასე მისწერა ნათელას...

მოიყარეს თავი და ასალომ მორიგეობით ჩამოარიგა ჩაი, ვინაიდან სამი ჭიქა ჰქონდა, ხოლო ისინი ხუთნი იყვნენ.

ვასო ოხუნჯობის ხასიათზეც კი დადგა და ასალოს გაჰკრა კბილი.

ლადიმ წარბები შეჭმუხნა და მყისვე საქმეზე გადავიდნენ.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს თათბირი. ისედაც ნათელი იყო: მთავარი ყურადღება სამუშაოთა მექანიზირებისათვის უნდა მიექცეოდა და შრომის ნაყოფიერება აემაღლებიათ. ლადიმ დღესვე უნდა მოსთხოვოს პარტკომს, რათა მოწვეულ იქნას გაფართოებული კრება და ეს საკითხი ყოველმხრივ დამუშავდეს. შეკიბრებისა და აღრიცხვის საქმეც უნდა მოწესრიგდეს...

ბოლოს ვახომ შეიტანა ერთი პრაქტიკული წინადადება.

— სულ მარტივი და უბრალოა ეს — დაიწყო ვასომ, მაგრამ როცა დაამთავრა, განცვიფრებით შეაცქერდა ასალო ამ ლიმშეუმშრალ ჭაბუკს, ვინაიდან მის „პატარა" წინადადებაში უდიდესი რამ შეამჩნია.

შეიძლება ვასოსათვის მართლაც უბრალო წვრილმანი იყო ეს, ვინაიდან ის მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სამუშაო საათების მთლიანად გამოყენებას გულისხმობდა.

ჩვენო — ამბობდა ვასო — ხელსაწყოების მომარაგებაც არ ვიცითო. მუშაობის დროს საძებარი არაფერი არ უნდა გვქოდესო. ერთის ნაცვლად ორი ვაგონეტი უნდა ვაძუშაოთ და დატვირთვაში თავისუფალმა მაუოლავებმა და ამფეთქებელმაც კი უნდა მიიღოს მონაწილეობაო. გვირაბი ადრე გაიწმინდება და კლდის ბურღვა შეუწყვეტლად იწარმოებსო...

ეს ხომ ძველი ნორმებისა და მუშაობის განაწილების სრული დარღვევაა! — გაიფიქრა ასალომ და ელვარე შუქივით შეიჭრა მის ცნობიერებაში სრულიად ახალი აზრი, რომელიც სავსებით სცვლიდა ადამიანის დამოკიდებულებას შრომისადმი. ნათლად წარმოუდგა, ბაქოში მექანიკურ სახელოსნოში რომ მუშაობდა სარანდ ჩარხზე. ჩადებდა გირაგში რკინასა თუ თუჯს, აუშვებდა ჩარხს და მორჩა, მანქანა სთლიდა, ის კი უსაქმოდ იდგა. მაშინ რომ ვისმეს ეთქვა, თავისუფალი დრო მრჩება და მეორე და მესამე ჩარხზეც ვიმუშავებო, კაპიტალისტების მონად და მოღალატედ ჩასთვლიდნენ, ვინაიდან ყოველ მომუშავეს ერთი უმუშევარი მაინც შეჰყურებდა შურით. ახლა კი ისე შემოაქვს ვასოს ეს წინადადება, თითქო დიდი არაფერი იყოს. თითქო მცირეოდენი ურთიერთ დახმარება იყოს და მეტი არაფერი. მას ამჟამად ნაკისრი ვალდებულების შესრულება აინტერესებს, სადღეისო ამოცანა ამოქმედებს, ჩამორჩენის გამოსწორებაზე ზრუნავს, ხოლო მისი „მარტივი და უბრალო" წინადადება რომ საუკუნეების ნანძილზე შეკირულ შეხედულებას არყევს, ეს თავისთავად გამოჩნდება...

დავითი და ნიკოც ისე შეხვდნენ ვასოს წინადადებას, როგორც აუცილებელ და ხელსაყრელ მოსაზრებას, სახელდახელო თათბირის დროს რომ დაებადებოდათ. ხოლმე, თავის მხრივ ორიოდე სიტყვით შეავსეს იგი და კონკრეტულად მიუთითეს, თუ ვინ რა და როგორ უნდა გააკეთოს.

ხოლო ასალო რომ რაღაც უზარმაზარ შედეგებს ანგარიშობდა ფიქ-
ნებაში და ახალი ადამიანები ედგა თვალწინ, სახეწამოგზნებულმა ლადიმ
ლიმ ალფრთოვანებით წამოიძახა:

— აი, სწორედ ეს გვიშველის ჩვენ! სხვანაირად გეგმის შესრულება, შეუძლებელი იქნება. დღეიდან ისე უნდა გავშალოთ მუშაობა, რომ არც ერთი წუთი არ დაიკარგოს. ამ საღამოს სამკუთხედის კრებაზე უფრო ფართოდ უნდა დავამუშაოთ ეს საკითხი... რა თქმა უნდა, ფოფხაძესაც უნდა მოვსცხოთ...

ამ დილით, ნიკო რომ აქ მოდიოდა, თითქმის ურყევად ჰქონდა გადაწყვეტილი, რათა ამხანაგებისათვის ეთქვა — რამდენიმე დღით შვებულებაში უნდა წავიდეო, სახლიდან ბავშვის ავადმყოფობას მწერენ და ვაი თუ საშიში რაიმე იყოსო; მაგრამ ახლა, როდესაც ასე მწვავედ წამოიჭრა მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა და ბრიგადირის ხელმძღვანელი როლი კიდევ უფრო გაიზარდა, სიტყვაც აღარ დაუძრავს, მყისვე უკუაგდო ქუთაისში წასვლაზე ფიქრი და ჩვეულებრივი ხალისით გაჰყვა დავითს გვირაბისაკენ; მხოლოდ ხევში რომ ჩადიოდნენ, შორეთიდან გამოგზავნილ ამბორივით შემოანათა რამდენიმეჯერ ეთერის ცქრიალა სახე; პირსავსე ღიმილით უხმობდა იგი და იადონის ფრთებივით უქნევდა პაწია ხელებს...

გვირაბის გამოსასვლელ ნაწილისაკენ მიეშურებოდა ლადი ვასოსა და ასალოსთან ერთად. ხრამში ჯერ კიდევ მდინარის ანაორთქლით გაჟღენთილი ჩრდილი იდგა და კბოდეებს ნათელ არშიასავით შემოვლებოდა მთებზე გადმომდგარი მზის შუქი.

ფერდოზე შედგმულ ფარდულში შეუხვიეს და ასალომ გულმტკივნეულად დაათვალიერა დადუმებული მანქანა.

— ამის აქ გამოყენება ყოვლად შეუძლებელია. — დაასკვნა ბოლოს.— სად ჰქონდათ ჭკუა, ამ ბენძლს რომ აქ მოათრევდენ.

— მესამეჯერაა ახლა ეს — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ლადიმ.

— მეორმოცდაათჯერაც ასე იქნება, თუ არავინ ყურადღებას არ მიაქცევს! — მკაცრად შეუტია სარდიონ წილოსანმა, რომელიც ფარდულში მისული დახვდათ.

ლადიმ რატომღაც სარდიონს თვალი აარიდა და ასალოს მიმართა:

— ახლავე შეუდექით მაგის მოხსნას. ფოფხაძე გამოძახებული მყავს. თუ ბიჭია სამაგიერო ნუ გაუჩენია სასწრაფოდ აქ და მერე მე ვიცი...

გვირაბის შესასვლელთან გამართა ვასომ სახელდახელო თათბირი. ლადიც იქვე იყო და მხოლოდ ახლა გაითვალისწინა ყოველმხრივ, თუ რა დიდ შედეგებს იძლეოდა ვასოს წინადადების განხორციელება.

ბრიგადის წევრთაგან მხოლოდ ამფეთქებელ წერეთელს არ ეჭაშნიკა ეს ახალი წამოწყება. ჭოლოკივით წამოიმართა იგი, კუშტად შეაცქერდა ვასოს და ხელი ჩაიქნია:

— მოგცლია ერთი შენ! ყოველ კაცს თავისი მოვალეობა აქვს, მე ...ეთქვ და მერე გინდა გაწმინდონ და გინდა კისერი ...ეთ... ...ვილი გგონიათ თქვენ ეს! დღეში ათასი ხიფათი მელის...

— მოიცა, ბიჭო, მოიცა! — შეაწყვეტინა სიტყვა ამბაკო მაისურაძემ.— დაყუდებულხარ სარივით და რას მიედმოედები, არ იცი..

ფრიად ღონიერი ვაჟკაცი იყო ამბაკო; საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჩასკვნილი, მხრებგანიერი. წვიეებივით მსხვილი მკლავები ჰქონდა და კრივში მის მუშტებს ვერავინ გაუძლებდა. ქუთაისში განთქმულ მოჩხუბრად ითვლებოდა და მაშინ ამით კიდევაც ამაყობდა. წააწყდებოდა აყალმაყალს, მილეწმოლეწდა მოწინააღმდეგეებს და თავი რაინდათ ნოჰქონდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ, ხრამჰესში დაიწყო მუშაობა, საოცრად შეიცვალა ხასიათი. მრგვალსა და დაწმენდილ სახეზე ერთობ ლმობიერი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი, საუკეთესო მბურღავი იყო და დამკვრელი.

— აბა, ის უკეთესია, მთელი საათობით რომ უსაქმოდ გამოლენჩდები და ბუზებს ყლაპავ? — შეუტია ახლა წერეთელს. — ხომ მივეცით პირობა, რომ გვირაბი ოცდათხ სექტემბერა მზად იქნებაო. საქმე თუა, საქმე იყოს! ყველა უნდა დაეხმაროთ ერთმანეთს...

წერეთელს გული მოუვიდა, მაგრამ ამბაკოს უშველებელი მაჯები მოხვდა თვალში, თავი ჩალუნა და გაბზარული ხმით უპასუხა:

— რავაც გინდათ, ისე ქენით. ჩემი მოვალეობა მე თქვენზე უკეთ ვიცი.

— სადაა ახლა ერთი კაი ლეკური! — ინატრა ვასომ და წერეთელს მეგობრულად დააყრდნო მხარზე ხელი. — მარტო ცეკვაში უნდა იყო, კაცო, შენ მარჯვე?

— თავი დამანებე, შენ სულ ხუმრობის ხასიათზე გგონია კაცი! — დარცხვენილად ჩაილაპარაკა წერეთელმა და ვასოს ხელი აირიდა.

— ე, ბიჭო, მართლა! ახლა მომაგონდა! — წამოიძახა ამბაკომ. — მაგას წუხელის ასხაბაძის ცოლთან უნდოდა ცეკვა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იმისთვის არის დღეს ასე მოწყენილი.

— არაფერია, ნახავთ, თუ მაგასაც არ მოეწონოს ახალი წესით მუშაობა. — სთქვა ვასომ და სარდალივით შეუძღვა მუშებს გვირაბში.

მდინარის ნაპირიდან გვირაბის სათავემდე, ფრიალო კლდეზე, ფართო კიბე იყო მიშენებული. ამ კიბის საფეხურებს ჩაჰყვა ლადი. ხელმარცხნივ გვირაბიდან გამოტანილი ქვის ნამსხვრევები იყო ჩახვავებული, ხოლო ქვევით, სადაც ახლა ლადი ჩადიოდა, უკვე სწარმოებდა მუშაობა საგენერატორო სადგურის საძირკველის ჩასაყრელად. აქაც უფრო ჩქარი ტემპი იყო საჭირო, ვინაიდან დრო სწრაფად გადიოდა და გასაკეთებელი კი ერთობ ბევრი იყო.

ხევშიაც საკმაოდ ჩამოცხა, როდესაც ლადიმ თვალი მოჰკრა ცხენით მომავალ ფოფხაძეს. წელგამართულად იჯდა მიხა თავის ქურქიანი მონგრეული ფეხები უზანგებზე დაეყრდნო და უსაქმო კაცივით ეგულებოდა ... და სეოს.

ლადიმ მყისვე აირბინა ფრადულთან. ასალოსა და სარდიონს მანქანის დაშლა უკვე დაემთავრებინათ.

ფოფხაძე ზლაზვნით გადმოხტა ცხენიდან და ბოხი ხმით მიესალმა ლადის.

— რა მოხდა, კაკო, ისეთი, შენმა გამოგზავნილმა ბიჭმა რომ უთხრა წამომაგდო ლოგინიდან!

ლადის ფოლადისფერი ელვარება გამოკრთა თვალთაგან და დაშლილ მანქანაზე მიუთითა უსიტყვოდ.

ცხოლოდ ცალი თვალი შეავლო მიხამ ფარდულის კარებთან დაყრილ ნაწილებს, მერმე ნაძალადევად გაიღიმა და ისეთი გამომეტყველება მი ილო, თითქო უარესს მოელოდაო.

— მე მეგონა, რაღაც კატასტროფა მოხდა. თქვენც ისე მგლოვიარედ გამოიყურებით. ვითომ საშველი აღარ იყოს...

სარდიონს მწარედ გაეღიმა, მიხას სახე აარიდა და ასალოს რაღაცა თვალით ანიშნა.

მეტად მწვავე სიტყვები მოადგა პირზე ლადის, მაგრამ თავი შეიკავა და ფოფხაძეს მკაცრი ხმით შეესიტყვა:

— ჩვენთვის ახლა ესეც კატასტროფაა! რამდენჯერ უნდა განმეორდეს ეს? ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ასეთ უმსგავსოებას? ეს დიზელი რომ მოატანინე, მაშინვე გითხრეს, არ ვარგაო, შენ მაინც შენი გაიტანე და დაადგმევინე. ხომ ხედავ ახლა, რა შედეგი გამოიღო შენმა ჯიტიტობამ? ისედაც გარღვევა გვაქვს, გეგმის შესრულება საფრთხეშია...

— ა.. ბატონო, ა! — გაშალა ხელები ფოფხაძემ. — თუ რაიმე წახდა, ყველაფერი მე უნდა დამაბრალონ! სამასალო განყოფილებამ რომ ეს დიზელი შეიძინა ტფილისში, მაშინ მშვენიერად მუშაობდა და ახლა რა ჯანდაბა დაემართა? აქაური ოსტატების ხელში ყველაფერი უვარგისი უნდა გამოდგეს!

სთქვა ეს და ასალოს გადაჰკრა თვალი.

დაუფარავი ზიზღი ამოიკითხა ასალომ იმ ცალ თვალში და ზიზღითვე მიაძახა:

— თქვენს ცოდვებს სხვას ნუ ახვევთ, ყმაწვილო! ოსტატობა და საქმის ცოდნა ცოტაოდენი თქვენც მოგვითხოვებათ! კაცური კაცი, თუ მას არ გააკეთებ, ისეთ საქმეს არც იკისრებს!

ნაცრისფერი გადაედო სახეზე მიხას. კვლავ მედიდურად ახედდახედა ასალოს და ცალყბად გაეღიმა:

— რა უნა უთხრა ახლა ასეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა ეთქვა მეტიჩარასო, მაგრამ თავი შეიკავა, და ლადის მიუ-ბრუნდა:

— ხვალ თუ არა, ზეგ მე თვითონ წავალ ტფილისში და მანქანას ამოვატანინებ. მანამდე როგორმე ოლად წავიდეთ.

— არა, საზეგიოდ ნულარ გადასდებ! ვინმე სპეციალისტს დაათვალიერებინე და ისე გამოგზავნე. კიდევ რომ ასეთი რაიმე განმეორდეს.. არა, მე პირდაპირ მაკვირვებს, ნუ თუ ანგარიში არ უნდა გაუწიო ამდენ უნაყოფო ხარჯსა და შრომას?!!

— ა, ბატონო, ა! ეს კიდევ თავისას არ იშლის! შენ, ჩემო ძმაო, ბოლშევიკი არ ხარ! ამდენი მილიონები ჯდება ხრამჰესი და ერთ პატარა დიზელს რა მნიშვნელობა აქვს? ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ჰო, მართლა! — წამოიძახა ბოლოს და ლადის ისეთი გამომეტყველებით გამოსდო მკლავში ხელი, თითქო ფრიად საჭირო და გადაუდებელი საქმე მოაგონდა.

გამქირდავი ღიმილით გააყოლა მათ თვალი სარდიონმა და წარბშეკრულ ასალოს გადაულაპარაკა:

— კაი ბიჭია აი ჩვენი ლადი. მარა პაწაი ბლაჩუაი კია. მაგას გაგუყვები მკლავ გამოდებული?!.

ლადის ეგონა, მართლა სერიოზულ რაიმეს ეტყოდა მიხა, მაგრამ როდესაც მან ნინო ახსენა, უცებ შეკრთა და განზე გადგა. დილიდანვე თვალს არიდებდა წუხანდელ სცენას, თითქო ორი სინამდვილე იყო მის ირგვლივ. ერთი — ყოველდღიური, ნათელი და სახალისო, ზეაღმავალი ურყევ საფეხურებივით, ხოლო მეორე: ბუნდოვანი და შემაკრჭოლებელი. ეს მეორე სინამდვილე შემოეხვია ახლა გარს და სირცხვილით სახე აეწვა.

ფოფხაძეს როყიოდ გაეცინა და მეგობრულად დაარიგა:

— რამ შეგაშინა, ჩემო ძმაო, შენ? საქმეც უნდა გააკეთო და დროკულტურულადაც უნდა გაატარო. სამოქალაქო ომის ხანა ხომ არ არის ახლა, რომ კაცმა გართობისათვის დრო ვერ იშოვნო? ჩადი ერთი ტფილისში: დიდი და პატარა ფოქსტროტს თამაშობს. ასეა ეს ჩემო ძმაო... ნინო კულტურული ქალია... ხა, ხა,. არ ვიცი, რა ნახა შენში, მაგრამ ძალიან კი მოეწონე. აუცილებლად მეწვიეო შემოგითვალა...

ცივ წყაროსავით შემოესხურა ლადის ეს სიტყვები და ფოფხაძეს შეუტია:

— კარგი, კმარა! რა დროს გართობაა ახლა! ჩვენ აქ გარღვევა გვაქვს, გესმის, გარღვევა!

სთქვა ეს და ფარდულისაკენ გაბრუნდა.

ფოფხაძემ გესლით სავსე თვალები დაწკურა და მწვავედ გადაჰკრა მათრახი ცხენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXIII

საღამოს ბარმაქსიზში, სახლის ქვედა სართულში რომ ... თხეა, იქ შეიკრიბნენ.

კრება არტემ ბარსეგიანმა გახსნა და საკმაოდ გრძელი სიტყვა წა. მოიწყო.

ათი დღის წინათ მიიღო არტემმა ფრიად ვრცელი მოხსენება, რომელშიაც ნათლად იყო გარკვეული, თუ როგორ უნდა გარდაქმნან პროფკავშირებმა თავიანთი მუშაობა, რამდენიმე საღამოს იჯდა არტემი თავის ოთახში და იზეპირებდა ამ მოხსენებას, განსაკუთრებით ქვესათაურებსა და ზოგიერთ დასკვნებს, წითელი ფანქრით ხაზგასმულს.

ჩვეულებრივად ახლაც ბუნდოვნად და არეულად ლაპარაკობდა ბარსეგიანი, მაგრამ დაზეპირებულ ფრაზებსა და უამრავჯერ განმეორებულ „ამხანაგებს“ მეტად ენერგიულად და მკვეთრად გამოსთქვამდა; ხრამჰესის აღმშენკომის მუშაობაზე კი თითქმის არაფერს ამბობდა, საერთოდ აკრიტიკებდა პროფკავშირებს და შეცდომებისა და ნაკლის გამოსწორებას მოითხოვდა.

მის გვერდით გიორგი ზავრიშვილი იჯდა, მაგრამ არტემის სიტყვას ყურს არ უგდებდა, ისედაც კარგად იცოდა, თუ რას იტყოდა ის და რაღაცას გულდასმით ჰკითხულობდა.

ფანჯრები ღია იყო და გრძელ სკამებზე მსხდომთა უმრავლესობას პირი შეებრუნებიათ და დაბინდულ სივრცეს გაჰყურებდნენ, ვინაიდან სწორედ იმ დროს, როდესაც არტემი კულტმომსახურებაზე ლაპარაკობდა, გარეთ, სტანდარტული სახლის გვერდით, გარმონის ხმები დაირხა. მუშები, რაკი ამ საღამოს კლუბი დაკავებული იყო, მინდორში შეკრებილიყვნენ, და ცეკვა-თამაში გაემართათ.

და ორი ხმა ეჯიბრებოდა ერთმანეთს, ერთი გარედან იჭრებოდა თამბაქოს კვამლით დანისლულ დარბაზში, ლაღად და მხიარულად წკრიალებდა, ხან მოჭიკჭიკე ფრინველივით ატივტივდებოდა სივრცეში, ხან მობიბინე ყანებსა და ხავერდოვან ველებს მოეფინებოდა და მაშინ ხავერდივით ლბილი იყო და საამო; ხოლო მეორე აქვე გრძელ მაგიდაზე ხელდაყრდნობილ ბარსეგიანის ბაგეთაგან სცვივოდა ნაჭერნაჭერ, მორღვეულ ქედიდან გადმოგორებულ გოროხებივით.

ფანჯრისაკენ მიდგმულ მერხზე ისხდნენ ტაშბაშელები. ვასოს ქაღალდი და ფანქარი ეჭირა ხელში და შენიშვნებს იწერდა, ხოლო ასალო პირქუშად შეჰყურებდა არტემს და გული მოსდიოდა — ნუთუ ამდენ ხანს ვერ მოისაზრეს ამის გამოცვლაო.

პირველად დავით ტვილდიანი აღიმართა ჭერამდე, ქვედა ბაგე ნერვიულად შეერხა და გულმტკივნეულად შეუდგა დამაბრკოლებელი მიზეზების ჩამოთვლას. მაგრამ ბარსეგიანმა შეაჩერა და განუმარტა: ეგ წვრილმანებიაო, შენ შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე ილაპარაკეო.

დავითი კუშტად დააცქერდა ბარსეგიანს, რამდენიმეჯერ ულაპარაკოდ გახსნა ტუჩები და მყისვე დაჯდა გულმოსული, თან ... ჩაილაპარაკა:

— ეგ თუ წვრილმანია, აბა მსხვილმანი თქვენ გეცოდინებათ...

მხოლოდ ახლა მოსწყვიტა თვალი გიორგი ზავრიშვილმა წინ გაშლილ ქაღალდებს და მკაცრად შეხედა ბარსეგიანს, მერმე ღავითს გაულიმა და დაყვავებით მიმართა:

— განაგრძე, დავით! ამას რას უყურებ.

— არა, მე კრებაზე ლაპარაკი არ მეხერხება, აგერ ამხანაგები იტყვიან. — უპასუხა დავითმა და ვასოს მიუხედა.

ვასოს სახე შეეფაკლა და პირველი სიტყვიდანვე ბარსეგიანს შეუტია: შენ ყველაფერი წვრილმანად გეჩვენებაო, ჩვენს საერთაშორისო მიღწევებზე ფართოფურთობ და ცხვირწინ ვერაფერს ხედავო.

მოჰყვა მერმე და დაწვრილებით განმარტა, თუ რა აბრკოლებს გეგმის წარმატებით შესრულებას... სოცშეჯიბრება და დამკვრელობა? ნამდვილი შეჯიბრება და დამკვრელობა ჩვენ ჯერ აქ არ გაგვიშლია. რიონჰესში თუ ვინმე დამკვრელად ითვლებოდა, აქაც დამკვრელია, მორჩა და გათავდა. არავითარი აღრიცხვა არ სწარმოებს. აბა მოგვცეს აღმშენკომმა ზუსტი ცნობები, თუ რომელმა ბრიგადამ რა გააკეთა, ვინ ჩამორჩა და ვინ მიდის წინ. მე გაღაჭრით მოვითხოვ, რომ ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს...

შემდეგ ვასო ბრიგადების მუშაობის გარდაქმნაზე გადავიდა და თავისი წინადადება ვრცლად განმარტა.

— სულ ადვილია ეს. მთავარია ყველა ერთიმეორეს დაეხმაროს და სამუშაო დრო მთლიანად გამოვიყენოთ. — დაამთავრა ვასომ.

ბარსეგიანი რამდენიმეჯერ შეეცადა შენიშვნა მიეცა მისთვის, მაგრამ ვასოს შეუპოვარმა გამომეტყველებამ ენა შეუბორკა და გულჩათხრობილი გაჰყურებდა ფანჯრიდან სივრცეს.

გიორგი ზავრიშვილმა კი თავისი ქაღალდები განზე გასწია და გულდასმით უსმენდა ვასოს.

ხოლო როდესაც ლადი წამოდგა და აწეული ხმით დაიწყო ლაპარაკი, მძაფრი ტალღა მოვარდა თითქო და მყისვე ჩანთქა გარმონის გაბმული ჭრიალი. საყელოგადაკეცილი ხალათი იცვა ლადის და მზემოკიდებული სახეზე თვალთაგან გადმოფრქვეული წრთობილი ფოლადის ელვარება გადაჰფენოდა: ყველამ იგრძნო, განსაკუთრებით კი ასალომ: ამჟამად ლადი მხოლოდ ერთი მისწრაფებით იყო შეპყრობილი — გვირაბის გაყვანა ვადაზე უნდა დამთავრდეს, ეს არის ახლა ყოვლისშემცველი მიზანი.

— დღეს ჩვენ ნამდვილი გარღვევა გვაქვს — ამბობდა ლადი. — სამასალო და სამექანიკო ნაწილი საძაგლად მუშაობს. ბრიგადებს არაერ

თარი ხელის შეწყობა არა აქვთ. სად არის ახლა ფოფხაძე? რატომ არ მოვიდა ამ კრებაზე? როდემდის უნდა გაგრძელდეს ტფილისიდან, ეკარგისი მანქანების მოტანა, ხრამში ჩათრევა და ისევ უკან წამოღება? სანებლიძე რას აკეთებს? განა წვრილმანია, ამხანაგო არტემ, მუშათა მომარაგება? წვრილმანია, ამას წინათ რომ ბენზინის უქონლობის გამო კომპრესორი გაგვიჩერდა..

ბარსეგიანი ქალალდზე ფანქარს ათამაშებდა, ნაძალადევად ილიმებოდა და ლადის თვალს არიდებდა.

— აი, ახლა ჩვენ გვაქვს ვასოს პრაქტიკული წინადადება — განაგრძობდა ლადი. — რა არის მასში მთავარი? საქმის ცოდნა, ურთიერთდახმარება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ამ საფუძველზე გავშალეთ დღეს მუშაობა და თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო. მაგრამ ეს არ კმარა. ყველამ უნდა დავჭიმოთ ძალღონე, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ...

და ისევ ფოფხაძესა და სანებლიძეს დაუბრუნდა, დაუნდობლად გააკრიტიკა მათი ყალთაბანდობა და უმოქმედობა.

რამდენიმე ამხანაგმა ილაპარაკა შემდეგ და ბოლოს გიორგი ზავრიშვილმა დინჯად და აუჩქარებლად შეავსო გამოთქმული მოსაზრებანი, მუხლებად დაჰყო იგი და სავსებით კონკრეტული ამოცანები დასახა.

წამოდგნენ და დარბაზში გარმონის ხმაც შეიჭრა. გამოქვაბულივით თალშეკრულ სცენასთან მიდგმულ გრძელ მაგიდას ჭადრაკის მოთამაშენი შემოუსხდნენ.

კარი ვიწრო იყო და ასალომ, რაკი მკლავგამოდებული ვერ გაეტეოლნენ. ლადი წინ გაიმძღვარა, ხელი მაინც არ შეუშვა და, გარეთ რომ გავიდნენ, კვლავ გვერდით ამოუდგა, მამაშვილური ტონით გაესაუბრა და ფოფხაძის წინააღმდეგ მკაცრი გალაშქრება მოუწონა.

სტანდარტული სახლის გასწვრივ, აღმოსავლეთით, თეთრად შელესილ ჯიხურში ფუსფუსებდა არკადი ჯილავდაროვი, კინოაპარატს მართავდა; კედელზე ფართო ტილო იყო ჩამოკიდებული და მოჩვენებასავით გაიელვებდნენ ზედ უცნაური ლანდები. მინდორში, ღია ცის ქვეშ, ორწყებად იყო ჩამწკრივებული გრძელი სკამები, მუშებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ წინასწარ დაკავებული.

გარინდული ისხდნენ ყვითელი გროშებით შუბლშეჭედილი ქალები და შიშჩამდგარი თვალებით შეჰყურებდნენ ამ ჯადოსნურ ტილოს, ჭინკებივით რომ ხტოდნენ ზედ უხილავი სილრმიდან გამომძვრალი ადამიანები.

აი ამ თმაგაწეწილ ბავშვებსაც სკამების წინ, მიწაზე მოურთხამთ ფეხი და ხმას არ ილებენ განცვიფრებულნი, იდაყვს გაჰკრავენ ხოლმე ერთმანეთს, როდესაც მეტისმეტად შეავიწროვებენ. აგერ განაპირას ერთმა ქალამნიანმა ბერძნის ბიჭმა გაჰბედა და ამხანაგს წაჩურჩულა თათრულად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი რა არის ეს?

— რა?

— კინოა.

ლადისა და ასალოს ტაშბაშში მიეჩქარებოდათ და აქ აღარ შეჩერებულან.

მთვარე ჯერ ამოსული არ იყო, მაგრამ მშრალსა და გამსჭვირვალე ჰაერში გადმოღვრილი ვარსკვლავების შუქი ეფინა მიდამოს და მუქ ნისლში ჩაძირულ ციხე-კოშკების გუმბათებივით მოსჩანდა მთათა მწვერვალები. რულმორეული დუმილი სუფევდა სოფელში და განთვისებულად ციმციმებდნენ ნათურები თემშარის პირად. მოსახვევთან, ორსართულიან სახლის ეზოდან გამოვარდა მურეშა ძაღლი და დაგვიანებულ მგზავრებს შეუყეფა, მაგრამ დაყვავებით გაეხმაურა ასალო და ძაღლმა უმალვე იცნო ძველი მდგმურები, ლაქუცით შეარხია ბანჯგვლიანი კუდი და გულდაწყვეტილივით გაბრუნდა უკან.

სანებლიძის ბინის წინ რომ მიდიოდნენ, უცებ შეკრთა ლადი და ზარ დაცემულივით გაშეშდა: აივნიდან თექვსმეტი წლის გოგონასავით ჩამოირბინა ნინომ და ლადის მიაძახა:

— ბატონო ლადი! ერთ წუთას დამიცადეთ, ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთან.

იქვე ახლოს, თეთრ ბოძზე ნათურა კაშკაშებდა და ნინოს რომ შუქი მოეფინა, განცვიფრებით დააცქერდა მას ასალო: საზაფხულო პალტიცალ მხარეზე წამუსხამს და სადაფივით უელვარებს მოშილიფებული გულმკერდი, მაღალი ყელი და შიშველი მკლავი; მოკლედ დახუჭუჭებული კულული შვენის სინორჩის იერით გაბრწყინვებულ სახეს და... თვალები, კაცმა არ იცის, შავია, ზღვისფერია, თუ ფირუზისფერია ეს ქლიავის ოდენა თვალები! ასალოს გაგონილი ჰქონდა, არჩილს ლამაზი ცოლი ჰყავსო, მაგრამ ასე ახალგაზრდა და კეკლუცი თუ იყო, არ ეგონა.

ბავშვობიდანვე თანშეზრდილივით მიიჭრა ნინო გაფითრებულ ლადისთან, მაჯაზე ხელი ჩაავლო და რუსულად უსაყვედურა:

— როგორ არ გრცხვენიათ? ჩემი ბინის წინ მიდიხართ და ჩემთან კი არ შემოივლით!

მერმე ასალოს მიუხედა კდემამოსილებით, თავის ოდნავი დახრით ანიშნა სალამი და ლადის მიმართა:

— თქვენს მეგობარსაც სთხოვეთ წამობრძანდეს.

მწვავედ შეაჟრჟოლა ლადის, ნინოს გრძელი თითები რომ შემოეჭდო მაჯაზე, მაგრამ მაინც გადასწყვიტა, უთუოდ განრიდებოდა მას, და თვალი არ გაუსწორებია, ისე უპასუხა:

— ბოდიშს ვითხოვ, ახლა არა მცალია, საჩქარო საქმე მაქვს...

— აბა! აბა! ეგენი არ იყოს! ისეთი რა საქმე გაქვთ, რამდენიმე წუთი ვერ მოიცალოთ? ჩემი ბავშვი სახლში არ შემიშვებს, ფეხვი თავი თუ არ გავაცანი. წამობრძანდით!—ლმობიერი ბრძანების კილოთი სთქვა ნინომ, ლადის მკლავი გამოსდო და ასალოს შეეპატიჟა:

— წამობრძანდით, ბატონო, თქვენც, ერთი ჭიქა ჩაი მიირთვით!

— გმადლობთ, მე ქვევით, სასადილოში დავუცდი. — უპასუხა ასალომ და უმალვე სახე აარიდა, შუბლი შეიკრა და მძიმე ნაბიჯით ჩაჰყვა ოემშარას. ბორცვს მიეფარა და უკან მიიხედა — ლადი ხომ არ მოდისო. ერთხანს იდგა ისე და მერმე, გზა რომ განაგრძო, თავის თავს გაესაუბრა: „რამდენი ძალაა ამ ქალში!.. დიდი, სტიქიური ძალა. ასეთი ტიპი, თუნდაც საზოგადოების ხორცმეტი იყოს, მაინც შეეგუება ცხოვრებას. მაგრამ ლადი როდის გაიცნო? აჰ, წუხელის ხომ არა? იმიტომ ხომ არ დააგვიანდა ლადის? აკი გვირაბიდან დაბრუნდა!!!

სასტუმროს ვიწრო დერეფანში შესდგა ფეხი, მოქეიფეთა ხმაური შემოესმა და მარცხნივ, პატარა ოთახის ღია კარში შეიხედა უნებლიედ: რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა გაწყობილ მაგიდას, მათ შორის არჩილ სანებლიძისა და მიხა ფოფხაძის შეფაკლული სახეები შემოეფეთა ასალოს და თვალს არ უჯერებდა, მოსე მიქატაძეც რომ იქვე იჯდა, ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და მიხას ეხმატკბილებოდა.

მყისვე პირი აარიდა მათ ასალომ და დაფეთებულივით შეიჭრა სასადილოში, უაზროდ მიიხედმოიხედა, ნაცნობ დიასახლისისათვის სალამი არ მიუცია, ისე დაეშვა ღია ფანჯარასთან სკამზე და კვლავ თავის თავს გაესაუბრა უხმოდ: „არაფერი აღარ გამეგება! სანებლიძე და მიქატაძე ერთად შეეჭცევიან! ის ქალი კი... ნეტავი ლადი მალე მოვიდეს... როგორ შერიგდნენ? აკი სანებლიძე თვითონ გამოძვრა, თავისი საქმე მიქატაძეს მოახვია და ცოლი წაართვა! ალბათ, ჭორი იყო ეს, თორემ როგორ წარმოვიდგინო მათი ხელახალი დამეგობრება“...

სასადილოში არავინ იყო. მარტოოდენ სათვალებიანი დიასახლისი იჯდა დახლში და ჩეკებს ანგარიშობდა. უწესრიგოდ იყო მიმოფანტული საკმაოდ ფართო დარბაზში პატარა ოთხკუთხი მაგიდები და სკამები; ნათურას ზონარს ფუტკარივით ესეოდნენ ბუზები, ერთმანეთს ასხდებოდნენ და ღამის გასათევ ადგილისათვის იბრძოდნენ გაავებულნი.

დიასახლისმა ჩეკები ყუთში ჩააწყო, სათვალე გაისწორა და ფანჯარასთან განმარტოებულ ასალოს დააკვირდა ხანგრძლივად. მერმე შებრუნდა, სარკმელში შეჰყო თავი და მზარეულს ჩაი დაასხმევინა, საინზე ყველი და პური დააწყო და ასალოს დაუდგა წინ.

მადლობა გადაუხადა ასალომ და ლამბაქი ისე მისწია თავისკენ, თითქო დიასახლისს მისი დაკვეთა შეესრულებინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქეიფეთა არეული ხმაურობა შემოესმა და მაშინვე მიხვდა: კრებიდან დაბრუნებული ბარსეგიანი ეწვია მათ.

კარგა ხანს იჯდა ასე, მეორე ჭიქა გამოსცალა. ფიქრებში იყო გართული. სქლად შეახვია თამბაქო და ცისფერი კვამლი შემოებარდნა ულვაშებს, დაღვრემილი სახეც დაეწინისლა.

კვლავ ახმაურდნენ მოქეიფენი და დარხეული ნაბიჯით შებაჯბაჯდა სასადილოში ფოფხაძე. ჯერ დიასახლისს გაესაუბრა შინაურულად და მერმე ასალოს შეავლო დაწკურული თვალები.

— აა, გურგენიძე ბრძანდებით! ვის ზვერავ აქ! — გამყივანი ხმით წარმოსთქვა მიხამ, ასალოს მიუახლოვდა და ქოროულად დააცქერდა. მარჯვენა ხელი შეათამაშა, მაგრამ რაკი მათრახი ოთახში დარჩენოდა, მოკლე ნიკაპზე შემოიჭდო თითები, თითქო მეტად ღრმა გამოცანის გადაწყვეტას ლამობსო.

ისედაც არ იყო ასალო კარგ გუნებაზე და ახლა ამ კაცის მედიდურმა გამომეტყველებამ ზიზღით აუვსო გული.

— მე მგონია, მოვალე არა ვარ, ანგარიში ჩაგაბაროთ თქვენ. თუ ზედმეტი მოგივიდათ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და მოინელოთ.

— ააა. — კვლავ დაიხროტინა მიხამ და უწმაწური გინება დააყოლა ზედ. — ამისთვის ზიხარ აქ? საჭორიკანო მასალებს აგროვებ? დადიხარ მერე და ავრცელებ ხმებს — მიხა ფოფხაძე არშიყობისა და ლოთობის მეტს არაფერს აკეთებსო. დამაცადეთ ცოტა, შენც და იმ შენმა ლაწირაკმა ალანიამაც! დავსვამ მე ამ საკითხს, ჰო, დავსვამ და მაშინ ვნახოთ!..

ფეხაკრეფით მიუახლოვდა მათ არჩილ სანებლიძე; სახე შეფორაჯებული ჰქონდა, ეტყობოდა, ისიც საკმაოდ ნასვამი იყო; ჯერ დორბლმორეული ფოფხაძე შეათვალიერა, მერმე გაფითრებული ასალო და მაშინვე მოისაზრა—ამათთან დარჩენა სასარგებლო ალარ არისო; ფეხაკრეფითვე გაბრუნდა და ბინისაკენ გასწია.

ხელზე თავდაყრდნობილი იჯდა ასალო და ფოფხაძის როხროხი თითქო არც კი ესმოდა, დიდრონი თვალები დავიწროვებოდა და სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა. გრძნობდა კი: რამდენიმე უხამსი ფრაზა კიდევ და ველარ მოითმენს, გაშმაგებით შეუტევს ამ გალეშილ კაცს. მაგრამ ბარსეგიანმა მოუსწრო, მიხას მკლავი გამოსდო და დინჯად დაარიგა:

— როგორ გეკადრებათ, ამხანაგო მიხა...

გავიდნენ ისინი და ჯერ მწარედ გაეღიმა ასალოს, მერმე აუტანელი ობლობა იგრძნო, გულზე ბოლმა მოაწვა და დევნილივით გაიჭრა გარეთ.

(გაგრძელება შემდეგ №—ში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაირონ

# ღ ე ძ ს ე ბ ი

## ის მიდის

**(ებრაული მელოდიებიდან)**

ის მიდის სავსე თავის შვენებით
როგორც ულურბლო ზეცათა ღამე
და ჰკრთის თვალებში ნაზი ჩვენები
მუქი, ჩრდილები და სითამამე.
მათ შეხვედრაში არ იხსენება
დღის სინათლეთა უხვი კაშკაში.

ბევრს დაჰკარგავდა სინაზე მთელი
გიშრისფერ თმათა ღელვის წინაშე,
რომ დაემუქოს იმ ჩრდილებს ფერი,
რომ ჩამოაკლდეს სხივებს სინაზე,
იქ სადაც ფიქრი ჩუმი და ნელი
თავის წმინდა ბინაზე
მოგვითხრობს,
სახე, რომელსაც ვერ ჰპოვებთ მწუხარს.
ლოყები მწველი, ღიმილი წყნარი,
უხმოდ მეტყველებს, თუ რა რიგ უყვარს
მას უდარდელი დღეების დარი,
გული, რომელსაც ქვეყანა უყვარს
გული, რომელიც უმანკო არის.

## ა ს უ ლ ს

ჯერ არ გამშრალა შენი სურნელი
ჩემს ტანსაცმელზე და მაგარ მკლავზე
ჯერ ჩემი ბაგე და გზა მზრუნველი
მაქვს შენი მძიმე კოცონით სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ასე ვხვდებით ყოველდღე თითქმის.
შენ გარედ მაგდებ. მეტყვი: მომწყინდა.
მეტყვი: მძიმეა კოცნათა ფიფქი.
და ელი ზაფხულს სხვა სიცოცხლიდან.

შენ მართალი ხარ: მძიმეა, როცა
კვლავ სიყვარული ხმა-მაღლა სცანი,
როცა ძველ სიზმრებს თვითონვე ხოცავ
და რისხდებიან ბავშვურნი ცანი.

მძიმეა, როცა სული გაქვს მგოსნის
და ველარ იტან ამ სულს სიმიანს.
მაგრამ როდესაც უგულოდ მკოცნი
ეს, დამიჯერე, უფრო მძიმეა!

## ჩვენ არასოდეს აღარ გავალთ

ჩვენ არასოდეს აღარ გავალთ
სასეირნოდ ღამით გარედ,
თუნდ გულს ტრფობა სურდეს კვალად
და დაადგეს ჩვენს გზას მთვარე.

უკვე ქარქაშს ნატრობს ხმალი,
სული მკერდში იწვევს დაღლას
გულს სიმშვიდის იპყრობს ძალი
და სიყვარულს დაღლა ახლავს.

და თუმც სწრაფად სიყვარულში
ჩნდება დილა ღამის მიღმა,
მაინც მთვარის ცისფერ რულში
სასეირნოდ ნულარ მიხმობ!

თარგ. **გ. გაჩეჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ჰომეროსი** *)

# ი ლ ი ა ს

## (დასაწყისი პირველი ძებისა).

მუზავ! უმღერე რისხვას აქილევის პელეიას ძისას
რომელმაც აღუძრა აქაველთ ენისგან უთქმელი ვარამი,
მრავალი გმირისა სული ჰადესის უფსკრულში შთაგზავნა,
და ხოლო ისინი თავად საძიძგნად მიუგდო ძაღლებს,
და სვავებს იმ არემარის. ძევესის აღსრულდა ნება
იმ დღიდან რაც მწვავე ბრძოლისთვის პირველად აღეგზნენ
ატრევის ძე მამაცთა მამფალი და ქველი აქილევს.
მარქვით რომელმა ღმერთმან წაჰკიდა ისინი ერთმანეთს?
ლეტოს და ძევსის პირმშომ, რომელმაც მეფეზე ნაწყენმა
ლაშქარში წარგზავნა ჟამი და ხალხი მოისრა მრავალი,
რადგანაც ქრიზესი მოგვი შეუგინა უშვერი სიტყვებით
ატრევის ძემ. როცა ის აქაიას გემებთან მოსულა
ქალწულის აშკარად სასყიდლად და მოეტანა საფასი ურიცხვი,
ხელთ ეპყრა სადავე ქრიზესს, შორსმტყორცნელის ფოიბოს აპოლონის
ოქროს ხელკვერთხზე დართული. აქაველებს შესთხოვდა ხმამაღლა.
უწიხარესს ყოვლისა ატრიდებს თემების ორთავე სარდლებს:
ატრევის ძენო და ყოველნო აქაველთა მამაცნო გმირნო,
უთუოდ მოგცემენ ღმერთები — ოლიმპის ქედებზე მცხოვრებნი
დასანგრევად პრიამის ქალაქს და მშვიდობით შინ დაგაბრუნებენ
ოღონდ დამიბრუნეთ ქალწული და მიიღეთ ქრთამები ძვირფასი,
მოერიდეთ ძევესის ვაჟს — შორსმტყორცნელსა ფოიბოს აპოლონსა.
ეს მოისმინა კრძალვით აქაველთა ლაშქარმა სრულმა,

---

*) ჰომეროსი, ანუ ჰომერი ძველი საბერძნეთის უდიდესი პოეტი (ცხოვრ. დაახლოებით მე-IX ს. ჩვენს წელთ აღრიცხვამდე.) მითის მიხედვით იგი ბრმა მგოსანი ყოფილა თურმე, საკუთარ ჰექზამეტრებს თავათვე მღეროდა. ანტიურ ქვეყანაში მას მიაწერდნენ პოემებს „ილიას“ და „ოდისეა“-ს. მე-18 გერმ. ფილოლოგმა **ვოლფმა** უარჰყო ჰომეროსის ავტორობა ამ პოემების მიმართ. ამ თეორიას დიდი წინააღმდეგობა გაუწია **ფრ. შილლერმა** თავის დროზე. შემდეგი საუკუნის ფილოლოგიამაც შეიწყნარა შილლერის თეორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასთახსნდა საპატიო მოგვისგან შეძლეული ქრთამების მიღებას,
არ ინება ეს აგამენონმა ატრევის მრისხანე ძემ.
ძან დაითხოვა მოგვი და შერისხა უხამსი სიტყვებით:
„არ გნახო იცოდე ბერო, ჩვენ გემებთან ჩავლილი ახლოს
„არც აქვე ხანდაზმით მოცდილი, ან მოსული მერმისში ჩვენთან.
„არ ვგონებ გიშველოს თუნდ ღმერთის დაფნამ და ოქროვან კვერთხმა
„იმ ქალწულს არ მოგცემ უკან (ვიდრემდის არ მოხუცდება,)
„რომელიც ჩემს მაღალ დარბაზში — არგოსში, სამშობლოს კიდეგან
„ცოლობას მიწევდა დღემდის და საწოლს მიმშვენებს ღაძით.
„წა, გიჯობს ნუ გამახელებ და გერჩიოს უვნებლად წასვლა“.
აგამენონ ამბობდა და ქრიზეს შეკრთა რა ისმინა ქადილი.
ძდუძარედ ძიჰყვა ის კიდეს ვრცელისა და მღელვარე ზღვისას
და აგრე ძარტოკა მავალი იჩქაროდა, შესთხოვდა მოხუცი
თავათ ღმერთს აპოლონს მაღალს — თმა-ხუჭუჭა ლეტოსის ძეს:
„ძისძინე ეეცხლისმშვიდდა ღმერთო, რომელიც თავსეულები ქრიზასს
„წმინდასა განაგებ კილლას და ტენედოსს ძლიერად მფარველობ.
„სმიტეუს არ აგიგე გარნა, ბრწყინვალე ტაძარი მრავალი?
„ან თუ უხეიროდ შემიწვავს რჩეული ბატკნების, ციკნების
„ძსუქანი ფერდების მწვადები? მაშ მისმინე ნაველრი ეხე.
„ეს ცრემლები ჩემს ღაწვზე ნადენი, წაამწარე აქაველებს ქვემეხით“.
ასე ლოცულობდა ქრიზესს და უსმინა ფოიბოს აპოლონმა.
ოლიმპის მაღალი ქედიდან გადმოჰქონდა ის ძვინვარე გულით,
ძხარზე გადაეგდო მშვილდი და კაპარჭი ისრებით სავსე.
ზრიალი გაჰქონდა ისრებს გაქანებულ ღმერთისა ძხრებზე.
როს იგი მოჰქროდა ბარად, მოგვავდა ბნელ ღამის დარად
უეცრად ჩამოჯდა მაშინ გემების ახლოს და გასტყორცნა ისარი.
გულშეძზარავი ტკრციალით ახმაურდა ვეცხლისა მშვილდი
ჯორები დახოცა მრავალი და მოისრნენ ძაღლები ფეხმარდი:
დაუმიზნა სასროლი ბანაკს მშვილდოსანმა ძვინვარე ღმერთმა,
სტყორცნა მან ანაზდად და ცეცხლი შეუნთო, დაბუგა მრავალი
ცხრა დღე მიჰქროდნენ ისრები და ბასრნი ბოძალნი ღმერთისა.
ხოლო მეათე დღეს მოუწოდა ლაშქარს აქილევმა,
რომელსაც ეს ჩააგონა, თეთრმშვილდიან ქალღმერთამ ჰერამ.
ვინაიდან ხედავდა მსხვერპლს დანაელთა ხალხის შვილებისას,
როგორც კი შემოკრბა ლაშქარი, გამოცხადდა კრებული სრული.
ძყის გამოვიდა ხალხიდან აქილევი ფეხმარდი და სთქვა:
„ძე ვგონებ ატრევის ძევე ჩვენ მივყვებით გზასა გადამცდარს
„ისევ შინისაკენ ვაპირებთ, ასე გავურბივართ სიკვდილს,
„ვინაიდგან გვანადგურებს ომი, აქაველებს ძუსრს ავლებს ჟამი,
„ხამს შევეკითხოთ ვინმეს, მეზვარაკეს, ან ნათელმხილველს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ან და სიზმრების მისანს (და სიზმრებსაც ძევესი განაგებს),
„გვითხრას თუ რატომ ასე, გაგვირისხდა ფოიბოს აპოლონი,
„გვაძცხოს აღთქმების გვიან შესრულებამ თუ განარისხა,
„ახ ეგებ სწადია ჩვენგან ბატკნების, ციკნების ზვარაკნი,
„ეგებ აგვაცდინოს ღვთის რისხვა, რჩეულმა ჩვენ ჰეკატომბებს“.
წარმოსთქვა აქილევსმა ეს, და კვლავ წამოდგა კალხას
ფრინველთა მისანი, ბრძენი მართლმეტყველი თეოსტორიდე
იგი შეიცნობდა აწმყოს, ნამყოს და მომავალს ბნელსა.
აკი ის უძღოდა გზაგზა აქაველთა ხომალდებს ტროადადან,
ძისხური ხელობის წყალობით, აპოლონის მიერ ნაბოძების,
სათნოდ მოუბარი ტკბილად წარმოთქმულსა ამბობდა სიტყვას:
„შენ მიხმობ შევიცნო მიზეზი, აპოლონის უეცარ რისხვის
„ძევესის მიერ არჩეულო, პელადას ამაყო ძეო
„გავაძღლავნებ იდუმალ ზრახვას, მხოლოდ შემომფიცე აქავე
„რომ შეძლებ ამისა დამიცავ, დამიფარავ სიტყვით და საქმით.
„ღმერთი განარისხა ერთმა მბრძანებელმა არგოს ხალხებისამ,
„ძან ვისაც მორჩილებს დღესაც, აქაველთა ლაშქარი სრული.
„ძლიერია ცხადია, მეფე როს უწყრება ის კაცსა უბირს.
„კიდევაც არ შემომწყეთეს მყისვე, დაიოკოს მან გულის ბოლმა,
„უსიტყვოდ დაიხშობს გულში და ატარებს ვიდრემდის ხელმარჯვე,
„დროს არ შეურჩევს მტერს და ნაღველს არ მოიქარვებს.
„აბიტომ გეკედრები მითხრა, თუ დამიცავ მე ამიერიდან“.
ამაზე მიუგო კალხასს საპასუხოდ ფეხმარდ აქილევსმ:
„გვაძცხე ხაძრახვი ღმერთისა, რომელიც შენ შეგიცვნია,
„გეფიცები **აპოლონს მაღალს** ძევესის უძვირფასეს ძეს.
„რომლის დაფიცება შენაც, მრავალგზის გჩვევია კალხას,
„თუ შენ აქაველებს ახლა, განუცხადებ ღმერთების ზრახვას,
„ვერც ერთი ვიდრემდის ვსუნთქავ, სანამ მზე დაჰყურებს მიწას,
„უბატონოდ ვერ გაგცემს ხმას, ხელშეხებას ვერ გაგიბედავს.
„აქაველნი მოწმობენ ამას, ახსენო თუნდ აგამენონ
„ხომ ითვლება ის ჩვენში ახლა, უძლეველად მამაცთა შორის“.
წარსდგა და დაიწყო მაშინ არხეინად მისანმა კალხას:
„არ არის მიზეზი რისხვის, არც აღთქმები, არც ჰეკატომბები,
„ბრაზისგან აენთო იგი რა გაიგო აგამენონმა
„ქრიზესი გაულანძღა მოგვი, რომელსაც წაართვა ქალწული,
„არ სურდა მიეღო მისგან სანაცვლოდ ძვირფასი ქრთამები
„მიტომაც გვიწყრება ახლაც შორსმტყორცნელი, არც შეგვირიგებს,
„სანამ არ დავუბრუნებთ თვალჟუჟუნას საფასის გარეშე
„ოღონდ **შეგვირიგდეს ღმერთი** დე, მიიღოს მან ჰეკატომბები.“
ეს სთქვა და ძირს დაჯდა კალხას. წამოიჭრა ბრაზისგან მოცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეულ სივრცეთა მფლობელი ატრევის ძე აგამენონ
პირქუშს, რისხვისგან ანთებულს ბოლმიდან უელავდა თვალნი
ძძვიხვარედ უმზერდა კალხას და ამბობდა უებრო გმირი:
„ბხელძეტყველო, სიავის მკითხავო. შენ ვისაც ჯერაც კი სიტყვა
„არ დაგიძრავს სალბუნად ჩემდა და მარადჟამს სიავეს მამცნობ.
„აქაველებს აუწყებ ახლა ღმერთების უებარ ნებას,
„გვიწყრებაო ღმერთი აპოლონი, ქრიზესს ის ქალწული რადგან.
„მე მოვტაცე და მისგან ქრთამები არ მივიღე და დავუბრუნე
„ის ქალი მე მინდოდა ხასად შინ მყოლოდა რადგანაც მეტად
„ვაფასებდი მას ვიდრე ჩემს ცოლს კლიტაიმესტრას ძვირფასს,
„რადგან ის ქალწული სჯობნის უკანასკნელს აღნაგობითაც,
„სულით და ვანათლებით, მრავალგვარის ხელობის ცოდნით
„განვიზრახე დავუბრუნო ახლა ის ასული აპოლოს ქურუმს
„რადგანაც აჯობებს ასე და გადურჩეს დაღუპვას ხალხი.
„ძიტომც ძოგიწოდებთ ყველას საპატიო მომართვათ ძღვენი
„თორემ თქვენც კარგად ხედავთ მე დავკარგავ შეძლეულ ქრთამებს“.

# ოდისეა

**(მე-9 ქებიდან)**

...და როცა ძოვედით გემთან, ზღვის ნაპირს როს მივადექით
შევუშვით ხომალდი მყისვე ღვთიური ზღვის მოჰლაძო წყლებში.
აღვძართეთ გარუჯულ ხომალდზე ძაღალი ანძები, აფრები.
შევასხით ბაქანზე ცხვრები, თავათაც ავედით ზედ .
ხალველი გვიკლავდა გულს, ცრემლები ვანთხიეთ მ[illegible]
ძიუშვა ზურგისა ქარი თმახუჭუჭა ღმერთქალმა კირკემ
ფირუზისჭვინტიან გემზე, საამურად დაბერა აფრები
საჩქაროდ შევმართეთ ჩვენაც გემისათვის საჭირო ხელსაწყო,
დავსხედით ძდუმარედ მერმე, მინდობილი ქარსა და საჭეებს
ძთელი დღე ვიარეთ ასე სავსებით გაშლილი აფრებით
ძზე ჩაესვენა ზღვაში, ჩამობნელდნენ გარშემო გზები
ასე ძივაღწიეთ ბოლოს ოკეანის შორეულს კიდეს
აქაა ქვეყანა — ქალაქი კიმერიელ ვაჟკაცთა მყარი
ესენი ამ გვარად დადიან მოცულნი ნისლითა და ღამით
აროდეს უცქერის მათ ჰელიოსის ნათელი თვალი,
არც ძაშინ, როცა ის ამოდის და ზეციდან გარეკავს ვარსკვლავებს.
არც ძაშინ როდესაც იგი მიწაზე კვლავ მოვა მღვიმიდან
ამრიგად მარადი ღამე გარსარტყია ამ ბედშავ ხალხს.
ნაპირზე მივაგდეთ გემი ჩამოვსხით ცხოვარნი ხმელზე,
ძივყევით საჩქაროდ შემდეგ ოკეანის ქვიშიან ნაპირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მივდიოდით ვიდრე არ მოვსძებნეთ ადგილი იგი,
რომელიც წინასწარ გვანიშნა ამასწინად ღმერთქალმა კირკემ.
აქ დაჰკლეს ზვარაკნი თავათ ევროლხისოს და პერიმედესმა
ვიძვრე სატევარი მე ამოვსთხარე მახვილით მიწა
სიგრძით და სიგანით ორმო იქნებოდა სულ ერთი წყრთა.
შემდეგ კი მოვასხი ირგვლივ მიცვალებულ სულების საველრი;
პირველად თაფლი და რძე შემდეგ კი ღვინისა ბადაგი
ხოლო ძესამეჯერ წყალი, არეული თოვლისფერ იფქლში.
დასასრულ აღუთქვი ლოცვით ჰაეროვან აჩრდილებს მკვდრებისას
ზამფურზე შევუწვა თავათ იტაკას უდიდესს დარბაზში
ანთებულ კოცონში ბევრი რამ ჩავურთო ძვირფასი განძი.
შემდეგ კი დავდევი აღთქმა ტირეზიას [1]) რომ მედიდებინა,
დავპირდი დამეკლა მისთვის უშავესი რჩეული ვერძი.
ასეთი მივეცი აღთქმები ვიხმე რა სულები მკვდრების.
ხელში ავიყვანე ცხვარი და სატევარი ვაძგერე ყელში.
ორმოზე აღვმართე ზვარაკი დაიღვარა კუპრივით სისხლი.
მყისვე შემოკრბნენ გარს ერებოსით მოსულნი სულნი.
აქ იყვნენ ქალნი და ყრმანი, დარდისგან მიღლილნი მოხუცნი,
ქალწულნი ნაზნი და ნატიფნი სევდისაგან დამჭკნარნი უდროოდ.
აქ ბევრი ერია ყრმა დაკოდილნი რვალისა შუბისგან.
ომებში დახოცილ გმირებს ჯავშანებზე რომ ეცხოთ სისხლი.
ყვიროდნენ, ღნაოდნენ მწარედ, ეხვევოდნენ გარშემო თხრილს.
შევკრთი და შემიპყრო მყის უცნაურმა შიშისა ერეოლამ.
ეს იყო: მმართებდა მენა გამხნევება მხლებელთა ჩემთა,
ვუყივლე, უბრძანე იქვე ცხვრები გადაეგდოთ ცეცხლში
და შემდეგ ამისა ისინი დამდგარიყვნენ ფიცხლადვე ლოცვად.
ჰაედეს [2]) მოეხმოთ და შემდეგ სასტიკი პერსეპონეია.
ეს მოხდა და ვიძვრე ხმალი შევაგება მყის მკვდრების სულებს.
რათა არ მიმეშვა ისინი სისხლამდის ვიდრემდის მევე
ტირეზიას ამ ნათელმხილველს არ ვკითხავდი საჩქაროდ რჩევას.
ეს იყო მოვიდა სული ელპენორის მეგობრის ჩვენის
რადგანაც ჯერ მიწას იგი არ მიეღო მრავალგზის მოვლილს.
ვინაიდან ცხედარი მისი ჩვენ დავტოვეთ კირკეს სავანეში.
არ გვქონდა ტირილის თავი, არც მიწა მიგვიყრია მკვდრისთვის.
ცრემლებით ამევსო თვალნი მის აჩრდილს შევხედე რა.
ძაინც შევეკითხე მყისვე და ვარქვი ფრთიანი სიტყვა:

---

1) **ტირეზიას, ანუ ტეირეზიას**—ბერძნ. მითოლოგიის მიხედვით ცნობილი მისანი თებაადან გამოსული...

2) **ჰალეს**—ბერძ. მითოლ. ქვესკნელის უფალი, კრონისისძე ძეესისა და პოსეიდონის ძმა.

„ასეთის სისწრაფით, სთქვი ვით ჩახველ ქვესკნელში ელპენორ?
„ფეხ და ფეხ მოსულხარ შენ უსწრაფესად აფრიან გემით
ეს ვთქვი და ანაზდეულად მომაგება მწუხარე სიტყვები.
„ძევესის დიდის ნაშიერო ლაერტიდო ბრძენო ოდისევო
„ბედმა, დემონმან და ღვინომ განუზომელად დამლუპეს მე.
„როდესაც ჩავსთვლიმე კირკესას და სიმთვრალემ წამართვა გრძნობა,
„სხვეხიდან ვისკუპე პირდაპირ, კიბეებს არ დაგიგევდი.
„მიწაზე დავჰკარი ზურგი, გადამემსხვრა მაშინვე კისერი
„ეს მოხდა და სული ჩემი ჩაესვენა ჰადესის უფსკრულში.
„მაინც დაგაფიცებ შენ მიტოვებულს გულისა მიჯნურს,
„მეუღლეს საყვარელს შენსას და მამას გამზრდელსა ტკბილს,
„შენს პირმშოს მარადის სანუკველს ტელემახოს ოჯახში შთენილს,
„ვინაიდან მე ვიცი ეს, თავსდააღწევ ჰადესის ჯურღმულს,
„ისევ მიბრუნდები ბოლოს აიეეს კუნძულზე გემით.
„ამას გთხოვ მეფეო ჩემო, მომიგონო აქედან გასულმა!
„ნუ მტოვებ მე დაუტირალს და სამარის კიდეგან შთენილს.
„დაძწვი წასვლამდის ცეცხლში, არ დასტოვო აბჯარნი ჩემნი.
„ამიგე ზღვის პირად შემდეგ სახსოვარი სამარის კორდი,
„რათა მომავალმა თაობამ გაიგონოს ამბავი ჩემი.
„ღმართე იმ კორდზე ნიჩაბი, რომლითაც ვებრძოდი ზღვას.
ამგვარად უბნობდა იგი და ამაზე მივუგე მე:
„ყოველივე ბედშავო ძმაო შეგისრულებ უთუოდ მენა“.
შემდგომად ამისა დავსხედით და მწუხარეს ვამბობდით სიტყვებს
ცალკერძად ვიყავი მე — სისხლისა დამცველი მახვილით.
ცალკერძ კი მეგობრის ჩემის უბედური მწუხარე ლანდი.
უცებ შემოგვადგა სული გარდაცვლილის დედისა ჩემის.
(ანტიკლეასის ძვირფასის ავტოლიკოს დიადის ასულის,)
რომელიც ცოცხალი დავტოვე როს მე გავემართე ტროიაᲔას,
ამივარდა ტირილი მყისვე, დამერღვა სხეული სრული.
არ მივუშვი შშობელი სისხლთან, თუმც გული არ მქონდა საგულეს.
ვინაიდან მინდოდა ჯერ ტირეზიას რომ დავკითხებოდი
შემდეგ მოვიდა ჩემთან ტირეზიას მისანის სული.
ოქროვანი ხელთეპყრა კვერთხი, მან შემიცნო მყისვე და მითხრა:
„ო, ქველო ლაერტის ძევ, შორსმჭვრეტელო ბრძენო ოდისეუს.
„რისთვის მიატოვე ნათელი და ბრწყინვალე სამყარო მზისა?
„შენ აქ ჩამოსულხარ მკვდრების და შემზარავ ჩრდილების საჭვრეტად
„გირჩევ რომ უკუდგე გმირო, მოაშორო მახვილი თხრილს.
„რათა ეგ სისხლი მასვა და გაუწყო ბედისა ამბავი:
ეს სთქვა და უკუვდექ მე, მოვერცხლილი ჩავაგე ხრმალი.
სისხლს დაეწაფა იგი და შემდეგ მეუბნება მისანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შინა გსურს წახვიდე შენა ოდისეულს განთქმულო გმირო.
„ეს არის ხელს გიშლის ერთი, ღმერთაგანი გამწყრალი შენზე,
„შემრყევი ნაპირთა ზღვისათა აროდეს არ გაპატიებს,
„შენ მის საყვარელ ძეს, რომ დაუვსე თვალი ერთად-ერთი.
„უთუოდ მიაღწევთ შინ, თუმც გაივლით საფრთხესა მრავალს.
„იმ წუთში, როდესაც თქვენ თრინაკიას კუნძულთან მიხვალთ,
„სადაც ჰელიოსი ღმერთი, რომელიც ყოველივეს სჭვრეტს.
„აძოვებს უამრავ ჯოგებს, გალაღებულ ძროხებს და ცხვრებს.
„თუ ხელს არ ახლებთ მათ, სამშობლოში მიაღწევთ მშვიდობით.
„მაგრამ ეს იცოდე აქვე, თუ მოსტაცეთ ჰელიოსს ჯოგები.
„უთუოდ დაჰკარგავ გემს და მეგობრებს შორეულ ზღვაზე.
„თუ კი გადაურჩი სიკვდილს, იტაკაში შენ ჩახვალ მარტო.
„დაგხვდება ოჯახი შენი უბედური და აოხრებული.
„თავხედი კუროები ცოლის აიკლებენ შენს სახლსა და კარს,
„პენელოპეს ღვთაებრივ ფერცხალს არ მისცემენ ისინი საშველს,
„ოჯახს ჩაიბარებ შენსას და მიაგებ მკვრეხელებს სასჯელს.
„როცა საკუთარ დარბაზში, მოაკვდინებ კუროებს ცოლისას,
„ხერხით იქნება ეს, ან მოლესილ რვალისა ძალით,
„მაშინ მოიქეცი ასე: მყის ნიჩაბი აიღე, წადი
„შორეულს მიჰყევი ქვეყნებს, გაეცნობი იმნაირ ხალხებს,
„რომელნიც არ იცნობენ ზღვასა და საჭმელს არ აყრიან მარილს,
„არც თუ უნახავთ სადმე გემების მოვარვარე ყბები.
„ალარც ნიჩაბი სიპი ნავების ფარფატა ფრთა.
„აწ მსურს გაუწყო შენ უეჭველი ნიშანი ერთი.
„თუ გზაში შემოგხვდეს ვინმე მოგზაურს უცხოური მგზავრი
„და გითხრას: მაგ მხრებზე უცნობო გაგიდევსო სათხრელი ბარი
„იცოდე ჩაარჭვე მყის შენ ნიჩაბი გასიპულ მიწაში,
„სამკეცი შესწირე მსხვერპლი პოსეიდონა ზღვებისა ძპყოობელს.
„შესწირე მსუქანი ვერძი და თითოც ტახი და მოზვერი.
„შემდეგ გამობრუნდი შენ, სათითოოდ მიაგე ზვარაკი.
„ქვეყნისა გამგებელ ღმერთებს, მარადიულ მეუფეთ ცათა.
„მართებული მიუზღე ყველას და შემდეგ ზღვებისა კიდეგან
„როდესაც ხალხები ირგვლივ იქნებიან სვიანნი სრულად
„სიბერეც მოგისწრებს შენც და სიკვდილი მიგიბარიბს ტკბილად
„გამცნობ ყოველივეს აწ, ბედისწერის შენისა მაცნე“.

**კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ოარგმნილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კალანდაძე

# თეთრი ხომალდი

1.

დგას ჩრდილოეთით, არა დარაჯავ,
არამედ სუსხის ჩაუქრობ კერად,
მოუსხამს თოვლის თეთრი ფარაჯ
და წინ გაწოლილ ტრამალებს ზვე ...

მოწმე სისხლის და რბევა-თარეშის,
მოწმე მთიულის დუხჭირი ბედის —
— რუსეთის ტრიალ ოკეანეში
შემოჭრილ ხომალდს ჰგავს იგი ქედი.

რამდენი ხანი ეხეტებოდა
და დაათრევდა უმიზნოდ ტვირთებს!
დაიძრებოდა, შეჩერდებოდა,
უკაპიტანოდ მისდევდა ზვირთებს.

მაგრამ ამდგარა ბედი მედგარი
და მთაზე დროშა აუტანია,
ბარის ბელადი, მთაზე შემდგარი,
მთების ხომალდის კაპიტანია.

2.

ბინდია. ბორგავს აქვილიონი,
ბორგავს და ნისლებს ხევ და ხევ კეცავს,
ბორგავს ამბოხი კავკასიონი
და ამბობს თითქოს ამშვიდებს ზეცა.

ზეცა ნაპერწკლებ მინაპკურები
ჩასჩერებია ჩახერგილ ხრამებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოდ მთამსვლელი მოგზაურები
ყინულის ზვინზე ითევენ ღამეს.

ზემოთ მთამსვლელთა ხმები გაისმის,
გრიგალს ებრძვიან კარგა ხანია,
ბიჭებს მიჯაჭულ ამირანისთვის
პარიდან ცეცხლი აუტანიათ.

3.

ცივ ცადაქნილზე ღამე ნათევი
პლატინის თეთრი ბადრო ანთია,
ძთებიდან ოოვლის ათინათები
თასებს ესვრიან წითელ განთიადს.

დგება ზეიმით „იგივ ზვიადი" —
— ალპიურ მოდგმის ამაყი ქედი,
ძთები მღერიან სავანთიადოს:
„მთებზე ეკიდა მთიულის ბედი,

მაგრამ აქდგარა ბედი მედგარი
და მთაზე დროშა აუტანია,
ბარის ბელადი, მთაზე შემდგარი,
მთების ხომალდის კაპიტანია".

მღერიან... ბადრო გაფითრებული
დასავლეთისკენ ამოკლებს მანძილს,
ქრება ქებული ვარსკვლავთ კრებული
— მთების მთვარიან ღამეთა განძი.

ზეცას სიწითლე შეეპარება,
ჩამოხევს სხივი ლაინის ფარდებს,
აღმოსავლეთის აელვარება
მძივებს გაუყრის ღრუბლების ვარდებს.

შემდეგ მნათობი მარად ბრწყინვალე
ზედ იალბუზზე გააჩენს ხანძარს
და გადიბერტყავს ნისლიებს მაინვარიდ —
— კავკასიონის ხომალდის ანძა.

● ● ●

# მ. გორკის ზეიმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

## მაქსიმ გორკი

მაქსიმ გორკი ლიტერატურაში შევიდა მაშინ, როდესაც რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა მუშათა კლასი. მ. გორკის მთელი სამწერლო-შემოქმედებითი გზა დაკავშირებულია რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიასთან. ის, რომ მუშათა კლასი უფრო და უფრო ხმამაღლა და ძტკიცედ აცხადებდა თავის უფლების შესახებ ისტორიულ ასპარეზზე, ხოლო შემდეგ კი იგი გახდა წამყვანი სოციალ-პოლიტიკური ძალა ქვეყნის რევოლუციური განვითარების გზით წარმართვაში, გადამწყვეტი აღმოჩდა მ. გორკისათვის, როგორც მწერლისათვის და საზოგადო მოღვაწისათვის, ძისი როგორც რევოლუციურ-პროლეტარული მწერლის ჩამოყალიბებისათვის.

მაქსიმ გორკი რუსულ ლიტერატურაში გამოვიდა ახალი თემებით. მანამდე მთავარ თემად ე. წ. დიდი ლიტერატურისა იყო მემამულე, მოხელე, ბურჟუა, იხტელიგენტი. მ. გორკიმ კი ლიტერატურაში შეიყვანა საზოგადოებია დაჩაგრული, შევიწროებული, გარიყული ნაწილი. მაგრამ მ. გორკის შემოქმედებაში მთავარი იყო არა თვით მასალა, არამედ ახალი იყო უმთავრესად ამ მასალის გაგება, მისი ინტერპრირება.

1892 წ. ტფილისის გაზეთ „კავკაზ"-ში გამოქვეყნდა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომელსაც ხელს აწერდა მანამდე სრულიად უცნობი — მ. გ ო რ კ ი. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მ. გორკის სახელი ჩნდებოდა რუსეთის პროვინციალური ქალაქების პრესის ფურცლებზე. 1898 წ. მ. გორკი უკვე ცნობილი მწერალია. ამ ხანებში გამოცემულ ნაწერების ორმა ტომმა მ. გორკი გახადა მშრომელი მასების სახელოვან და საყვარელ მწერლად.

როდესაც მ. გ ო რ კ ი ს ასეთ უჩვეულო სამწერლო-საზოგადოებრივ გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ, აქ მთელი რიგი მოვლენებია მისაღები მხედველობაში. მ. გორკის ასეთი პოპულარობა უბრალოთ არ მომხდარა. გარდა მ. გორკის სამწერლო ნიჭისა, აქ სხვა მომენტებმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გორკი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც რუსულ მწერლობაში გამეფებული იყო პესიმიზმი „პატარა საქმეების“ კულტი, პირადი „სრულყოფის“ თეორიები, ინდივიდუალიზმი და გულგრილობა. მომაკვდავი ნაროდნიკული მოძრაობა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რევოლუციური მარქსიზმი საბოლოოდ ასაბარებდა რეაქციაში გადასულ ნაროდნიკულ „ილუზიებს“. რევოლუციური მარქსიზმი (ბოლშევიზმი) ღებულობს ხელმძღვანელობას მუშათა მოძრაობაზე, რაზმავს პროლეტარიატს კაპიტალისტურ-თვითმპყრობელურ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასეთ დროს გამოდის სამწერლო ასპარეზზე მ. გორკი. მას ახალი, ჯანსაღი ჰაერი შეაქვს თავისი შემოქმედებით მხატვრულ მწერლობაში. მ. გორკი შედის ლიტერატურაში, როგორც ქარიშხლის წინამორბედი, როგორც ბუნტარი. მთელი თავისი ძლიერი ნიჭით იგი ებრძოდა მე'ჩახლობას, სიბნელეს. მისი მდიდარი შემოქმედება სავსე იყო წინსვლის, ბრძოლის მოწოდებებით.

მ. გორკის შემოქმედების სოციალური მიმართულება, რომელიც გაჟღენთილი იყო პროტესტის სულით ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, ყველაზე უფრო შეეფერებოდა მუშათა კლასის საზოგადოებრივ მოძრაობას. აქიტომ შემთხვევითი არ იყო მ. გორკის დაპირისპირება ა. ჩეხოვთან. მ. გორკის ემბლემა იყო „გაბედული შევარდენი“, ა. ჩეხოვის კი — „მოწყენილი და სევდიანი თოლია“. თოლია იყო სიმბოლო წარსულის, გულგატეხილობის, შევარდენი კი ბრძოლის, იმედიანობის და მომავლის. მშრომელი მასები შევარდენს თანაუგრძნობდენ.

მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მოჭარბებული რომანტიზმი. მას თავის მოთხრობებში გამოჰყავდა არაჩვეულებრივი გმირები, განსაკუთრებული ენერგიის მქონე ადამიანები და გვიჩვენებდა უჩვეულო შემთხვევებს („მაკარ ჩუდრა“, „ჩელკაში“ „მოხუცი იზურგილი“ და სხვ.).

მ. გორკი უდიდესი სილრმით და სიძლიერით ხატავდა კაპიტალისტურ თვითმპყრობელურ წყობილების მიერ დამცირებულ, უარყოფილ ადამიანთა ქვეყანას. კაპიტალიზმმა ისინი ჩაყარა სიღარიბის ორბოში, გადააქცია ლოთებად, ბოროტმოქმედებათ. კაპიტალიზმი შეუბრალებლად ისვროდა ცხოვრების „ფსკერზე“ ადამიანთა მასებს, ამახინჯებდა და უსპობდა მათ ცხოვრების ყოველგვარ საღსარს.

ყველაზე უფრო ძალუმად რევოლუციური მოწოდება მ. გორკიმ გამოხატა „სიმღერა შევარდენზე“-ში. მას მოჰყავდა შემდეგ „ქარიშხლის წინამორბედი“, რომელშიაც მკვეთრად მოისმოდა რევოლუციის მოახლოება: „ქარი გრიალებს... ცა სჭექს, ჰქუხს, გრგვინავს, ზეციდან ცვივა ცეცხლის ისრები!.. აგერ შეხედეთ — შავ ღრუბელთა შორის ელვა-ჭე-

ქაში უშიშრად დაჰქრის, ზღვას აღშფოთებულს თავს დასტრიალებს და "შეუპოვრად ყივის გრიგალა — მახარობელი ქარიშხლისა, — ... ალოს, მედგრად, მრისხანედ აწ ქარიშხალმა!"

თვითმპყრობელობამ, ბურჟუაზიამ კარგად გაიგო, თუ საითკენ მიუწოდებდა „ქარიშხალის სიმღერის" ავტორი. ჟურნალი, რომელშიაც დაიბეჭდა ეს ნაწარმოები დაუყონებლივ დახურეს.

მ. გორკის შემოქმედებაში ძირეულ მობრუნებად უნდა ჩაითვალოს მისი დიდი მოთხრობა „თომა გორდეევი", ამ ნაწარმოებში მკაფიოდ არის მოცემული ცხოვრების ასპარეზზე მომქმედ საზოგადოებრივ კლასების სოციალური ანალიზი. „თომა გორდეევში" მ. გორკი ცხოვრების მეტად დიდ ფონს იძლევა, გვიხასიათებს სხვადასხვა კლასებს, მოვლენებს. აქ გმირები განმარტოებით მოცემული არ არიან. ისინი მოქმედებენ, საქმიანობენ, ხვდებიან ერთმანეთს, ებრძვიან და ეჯიბრებიან ურთიერთს. თ ო მ ა  გ ო რ დ ე ე ვ ი ს,  ი ა კ ო ბ  მ ა ი ა კ ი ნ ი ს  და სხვათა სახით მთელი საზოგადოებრივი კლასების ვრცელი ისტორია გვეძლევა.

მ. გორკიმ თავის შემოქმედებაში დიდი ყურადღება მიაქცია ინტელიგენციას. დასაწყისში მ. გორკი უარყოფითად უყურებდა ინტელიგენციას, ხედავდა მასში ზედმეტ, საბრალო და ხშირად გაიძვერა ხალხს. მ. გორკის „უბრალო ხალხი" უფრო საქმიან, თავდადებულ და სრულყოფილად მიაჩნდა, ვიდრე ინტელიგენცია, შემდეგში მ. გორკი ასე ხელაღებით აღარ უდგებოდა ინტელიგენციას, იგი მათში არჩევდა სხვადასხვა ფენებს. ეს ნათლად მოსჩანს მ. გორკის „მოაგარაკეებში", რომელშიაც უსაქმოდ, გასუქებულ, ობივატელურ ინტელიგენციას უპირისპირებდა უფრო დემოკრატიულ და საქმიან ინტელიგენციას. ზოგიერთ თავის ნაწარმოებში მ. გორკი ინტელიგენციას გადაჭარბებულ დადებითადაც კი აფასებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც კარგად ხედავდა, გრძნობდა, რომ ინტელიგენცია არ წარმოადგენდა საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალას და რომ მისი საშუალებით შეუძლებელია მშრომელი მასების განთავისუფლება.

შემდეგ საფეხურს მ. გორკის სამწერლო განვითარებაში წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის უშუალო ასახვა. 1906 წ. გორკი აქვეყნებს პიესა „მტრებს". ეს პიესა დადებითად იქნა შეფასებული თვით პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს მიერაც. თავის სტატიაში „მუშათა მოძრაობის ფსიქოლოგია", პლეხანოვი გორკის უწოდებს „დიდ მხატვარს". მაგრამ იგი ცდილობს გორკის ეს პიესა გაიგოს მენშევიკურად, იგი უგულებელყოფს ამ პიესის მთავარ იდეას. პლეხანოვს უპირველეს ყოვლისა აინტერესებს პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლა და იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ბრძოლა „კაპეიკისათვის უკვე თავისთავად არის ბრძოლა ადამიანის ღირსების შენარჩუნებისა და გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლ. ლენინი და მ. გორკი

ვითარებისათვის". პლეხანოვი ცდილობდა დაეფარა, რომ გორკის ნაწარმოებში სახავდა პროლეტარიატის რევოლუციური მებრძოლის ველ ნაბიჯებს და ამტკიცებდა ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის აუცილებლობას.

არ იყო შემთხვევითი ისიც, რომ პლეხანოვი აფუჩეჩებდა გორკის ერთ-ერთ არსებით იდეას გამოთქმულს ამ პიესაში — კრიტიკას მენშევიკურ-ლიკვიდატორული შეხედულებებისა ლიბერალურ ბურჟუაზიაზე. გორკი ხაზს უსვამდა იმას, რომ ბურჟუა-ლიბერალი მსგავსი ბ ა რ დ ი ნ ი ს ა, არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე დაუფარავი, პირდაპირი მტერი — ს კ ო რ ბ ა ტ ო ვ ი.

1907 წ. მ. გ ო რ კ ი მ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი რომანი „დ ე დ ა". ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მ. გორკის შემოქმედებაში. „დედა" მ. გორკის პირველი დიდი პროლეტარული რომანია. ეს ნაწარმოები მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ წიგნად გადაიქცა. იგი თავის დროზე გადათარგმნილი სხვადასხვა უცხო ენებზე, დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა.

„დ ე დ ა"-თი მ. გ ო რ კ ი მ რუსეთის ლიტერატურაში შეიყვანა მუშათა კლასი, როგორც ბუნებრივი და კანონიერი ობიექტი მხატვრული გამოხატვისა. „დედა"-ში მ. გ ო რ კ ი მუშებს ხატავს არა იმიტომ, რომ მკითხველში გამოიწვიოს სიბრალული ლატაკ და დაჩაგრულ ადამიანთადმი. ამ ნაწარმოებში მუშათა ცხოვრება მოცემულია არა, როგორც ფონი, როგორც ეს ადრინდელ ლიტერატურას ახასიათებდა. მუშა მ. გორკის გამოხატვით არის ისტორიულად მომქმედი საზოგადოებრივი ძალა, მებრძოლი თავისი კლასის ინტერესებისათვის, რომელიც მოითხოვს არა შებრალებას, არამედ როგორც ქვეყნიერების ბატონ-პატრონი იბრძვის თავის უფლებების მოსაპოებლად.

„დედა"-ში მუშათა კლასი ნაჩვენებია თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ნაჩვენებია კაპიტალიზმის და საერთოდ ექსპლოატაციის ყოველი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლად. მუშათა კლასი ნაჩვენებია არა უბრალო მთხრობელის პოზიციებიდან, არამედ რომანი დაწერილია ისეთი ადამიანის მიერ, რომელმაც მუშათა კლასის საქმე გაიხადა თავის პირად საქმედ.

ბიოგრაფიულ პლანში თვით მ. გ ო რ კ ი ს ა თ ვ ი ს, როგორც მწერლისათვის „დედა" ნიშნავდა სრულ შეგრძნებას და ხელოვნების ენაზე გადატანას მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებისას. ამიტომ იყო, რომ ასე გააფთრებული დაესხა თავს მ. გორკის ბურჟუაზიულ-შავრაზმელი კრიტიკა „დედა"-ს გამოქვეყნების შემდეგ. მათ დაიწყეს ლაპარაკი „გორკის დასასრულზე", გორკის როგორც მწერალის „სიკვდილზე", რომელმაც თავისი ნიჭი თითქოს მსხვერპლად მიუ-

ტანა „მშრალ პუბლიცისტიკას“. ბურჟუაზული კრიტიკის ასეთი შეფასება გამოწვეული იყო იმით, რომ ბურჟუაზიას გორკის სახით ჰყავდა მძაფრი მოწინააღმდეგე, რომელიც მთელი თავის შესაძლებლობით იბრძოდა მუშათა კლასის, მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების გასანთავისუფლებლად.

უარყოფითი დამოკიდებულება მ. გორკისადმი, როგორც მებრძოლი მწერლისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა მენშევიკურ პრესაშიაც. მენშევიკი პუბლიცისტები წინ აღუდგენ მ. გორკის რევოლუციურ, მებრძოლ ბოლშევიკურ მიმართულებას.

„დედა“-ს უდიდესი მხატვრული და აგიტაციურ პროპაგანდისტული მნიშვნელობა საუკეთესოდ განსაზღვრა ლ ე ნ ი ნ მ ა. მ. გორკი იგონებდა, რა თავის მონაწილეობას პარტიის მე-5 ყრილობაზე, ასე გადმოგვცემდა იგი ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვებს „დედა“-ს შესახებ: „საჭირო წიგნია. მრავალი მუშა ღებულობდა შეუგნებლად, სტიქიურად მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში და ეხლა ისინი „დედას“- წაიკითხავენ თავიანთ თავისთვის დიდი სარგებლობით“... შემდეგო განაგრძობდა გორკი — ლენინმა გულდასმით გამომკითხა „ითარგმნება თუ არა „დედა“ უცხო ენაზე, რამდენათ დაამახინჯა წიგნი რუსეთის და ამერიკის ცენზურამ“... მ. გორკის „დედა“-ს და საერთოდ მთელი მისი შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას რევოლუციის საქმისათვის, პროლეტარიატისათვის, როგორც ცნობილია მრავალჯერ იყო აღნიშნული ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ.

სიხაძდვილემ შეუბრალებლად გააცამტვერა კლასობრივი მტრების ყოველგვარი ლაყბობა მ. გორკის „დასასრულზე“. სწორედ ამ „დასასრულის“ შემდეგ შექმნა მ. გორკიმ ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინის ცხოვრება“, „ბავშვობა“, „ადამიანებში“, „არტამანოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“ და მრავალი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მ. გორკი ჰქმნის მთელ რიგ მონუმენტალურ ნაწარმოებებს, რომლებიც ეხება კაპიტალისტურ საზოგადოებას, მისი განწირულებისა და დაღუპვის ისტორიას. „ჩემი საქმე და ჩემი თაობის ლიტერატორების საქმეა უმღეროთ სამგლოვიარო, ბოლომდე დავასრულოთ იმ კლასის ისტორია, რომელიც ეხლა მიდის და სულ ცალე მთლად წავა“-ო ამბობდა მ. გორკი მოსკოვის კომკავშირელების კრებაზე 1928 წ. „არტამანოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“, „ეგორ ბულიჩევი“ და სხვები წარმოადგენს სწორედ ასეთ „სულითათანას“ ბურჟუაზიაზე და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე.

„არტამახოვების საქმე“-ში მ. გორკი გვიხატავს ძველი რუსეთის ცხოვრებას. ამ ნაწარმოებში დახასიათებულია კაპიტალისტ არტამანო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ი. სტალინი და მ. გორკი

ვების ოჯახის (სამი თაობის) ისტორია, მათი დაღუპვა. რომანის ფარგლ-ტილოზე მოსჩანს ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები, [illegible] და ძხატვრული სიძლიერით და სიღრმით არის შესრულებული.

არტამანოვების პირველი თაობა — ილია არტამანოვი გამოდის ყმური მდგომარეობიდან, იკაფავს გზას და შედის მსხვილი ბურჟუაზიის რიგებში, „ხდება პირველი ფაბრიკანტი მაზრაში და ახალი საქმის დამწყები“. ი. არტამანოვი — მოქნილი, მოხერხებული და გაიძვერა პიროვნებაა. მან შესძლო კარგი გვარიანი შეძლების თავის მოყრა. მაგრამ მისი შვილები და შვილისშვილები „შესაფერისად“ ვერ განაგრძობენ მის მიერ დაწყებულ საქმეს. რევოლუცია საბოლოოდ სპობს არტამანოვების წესწყობილებას. ოქტომბრის დღეებში მოსამსახურე ტიხონი, რომელიც იყო თავიდანვე არტამანოვების „საქმეების“ უშუალო მოწმე, ასე მიმართავს მომაკვდავ პეტრე არტამანოვს ძველი რუსეთის დაღუპვის შესახებ: „აი, ხედავ, როგორ გადატრიალდა ყველაფერი. მე გეუბნებოდით: თქვენ კატორღის ღირსი ხართ და აი, მიაღწიეთ კიდეც მანამდე“... მომაკვდავ ბურჟუაზიას, რომელსაც „დაუდგა დასასრული“, საბოლოოდ ასაფლავებს მუშათა კლასი, ქვეყნიერების ახალი მფლობელი. „ამხანაგებო, უკან მისაბრუნებელი არაფერი გვაქვს და არც საჭირო იქნება ჩვენთვის“ — ეს სიტყვები, რომელიც სთქვა რომელიღაც მუშამ არტამანოვების ბალში, ხაზგასმით აღნიშნავს რომანის იდეურ შინაარსს და მიმართულებას.

„არტამანოვების საქმე“-ში ძლიერი მხატვრული სახეებით არის გამოსახული რუსეთის ბურჟუაზიის დასასრული და ახალი ძლიერი კლასის პროლეტარიატის მოსვლა.

უკანასკნელად მ. გორკიმ შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომლის მსგავსსაც ეპოქის მასალის სიმდიდრით, გამოსახვის საშუალებების სიძლიერით და ისტორიული მნიშვნელობით, იშვიათად თუ შეხვდებით მსოფლიო ლიტერატურაში. ეს ნაწარმოები არის „კლიმ სამგინის ცხოვრება“ (სამი ტომი). მასში მთელი თაობის ისტორიაა მოცემული. ეპოქა, რომელსაც ეხება „კლიმ სამგინი“ იწყება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ ნაწარმოებით მ. გორკი აჯამებს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შედეგებს რევოლუციამდელ რუსეთში და ამხელს ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელიც ზოგჯერ „რევოლუციონერობის“ ტანსაცმელითაც იმოსებოდა ხოლმე.

* * *

მ. გორკის შემოქმედებას და მოღვაწეობას ყოველთვის დიდის ინტერესით ეპყრობოდენ და აფასებდენ პროლეტარიატის მასწავლებლები და ბელადები — ლენინი და სტალინი.

ნ. კრუპსკაია იგონებს: „დაწყებული ლონდონის ყრილობიდან, რომელსაც დაესწრო გორკი, ილიჩს სახე ყოველთვის უბრწყინდე-

ბოდა და თვალები ურბილდებოდა, როდესაც იგი ლაპარაკობდა გორკის შესახებ". მართალია, ლენინის ნაწერებში ჩვენ ვერ ვნახავთ მ. გორკის შემოქმედების შესახებ ისეთ ვრცელ და სპეციალურ [illegible] [illegible] [illegible]

მაისობას? მოკლეს, სულის აღმაფრთოვანებელს"? მოჩხრეკეთ ძველებურად — გახსოვთ 1905 წელი... კარგი იქნება, რომ გვქონდეს [illegible] ლუციური პროკლამაცია, „ზვეზდაში" მოთავსებულ ზღაპრების მსგავსი". შემდეგ წერილებში ლ ე ნ ი ნ ი ამ ზღაპრებს უწოდებს „საუცხოვო" ნაწარმოებს.

პარტიულ პრესაში მ. გ ო რ კ ი ს გამოჩენას ლ ე ნ ი ნ ი ს აზრით უდიდესი აგიტაციური მნიშვნელობა ექნებოდა. ასე, მაგ.: 1913 წელს, იწვევდა რა გორკის „პრავდა"-ს ხელისმოწერისათვის, აგიტაციის გაწევაში მონაწილეობის მისაღებად, ლ ე ნ ი ნ ი წერდა მას: „რა ფორმით? თუ ზღაპარს ან რაიმე ამის შესაფერისს მოგვაწვდი, — მაშინ განცხადება ამის შესახებ საუკეთესო აგიტაცია იქნება. თუ არადა, დაგვპირდი, რომ მახლობელ ხანში, სწორედ 1913 წ. გამოგვიგზავნი მას. და ბოლოს, კარგი იქნება რამდენიმე სტრიქონი თქვენი წ ე რ ი ლ ი ს ა მუშების მიმართ მუშათა გაზეთის აქტიურად მხარის დაჭერის შესახებ (ხელისმოწერა, გავრცელება, შემოწირულება) იქნებოდა მშვენიერი აგიტაცია". იწვევდა რა მ. გორკის პარტიულ პრესაში მონაწილეობისათვის, ლ ე ნ ი ნ ი არასდროს არ ივიწყებდა: რომ მ. გორკი — უპირველეს ყოვლისა არის მწერალი. ლ ე ნ ი ნ ი ყოველთვის ანგარიშს უწევდა მ. გორკის დროსა და შრომას, სთხოვს მას არ შეაფერხოს თავისი ძირითადი საქმე, დიდი შემოქმედებითი მუშაობა. უხმობდა რა ლ ე ნ ი ნ ი მ. გორკის ჟურნალ „პროლეტარში" მონაწილეობისათვის, იგი სწერდა მას: „საუცხოვო იქნებოდა თუ თქვენ შესძლებდით „პროლეტარისათვის" წერას ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს თქვენ დიდ სამუშაოებს (წერილი 1908 წ. 16 აპრილი) ეს შიში რომ გორკი არ ჩამოეშორებია თავის დიდ ლიტერატურულ სამუშაოთაგან, წვრილმანებზე არ დაეფანტა მისი სამუშაო დრო, ყოველთვის აწუხებდა ლ ე ნ ი ნ ს. იგი წერს ა. ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი ს: „თქვენი პროექტი „პროლეტარში" ბელეტრისტული განყოფილების შემოღების შესახებ და მისი ა. მ-ის (ალექსეი მაქსიმოვიჩისათვის, გორკისათვის შ. რ.) გადაცემის შესახებ საუცხოოა და მე ძალზე მახარებს. მე სწორედ იმაზე ვოცნებობდი, რომ ლიტერატურულ კრიტიკული განყოფილება „პროლეტარში" გაგვეხადა მუდმივი და იგი ჩაგვებარებია ა.მ-ისათვის, მაგრამ მე მ ე შ ი ნ ო დ ა. ძალზე მაშინებდა მისთვის ამისი, პირდაპირ შეთავაზება, ვინაიდან მე არ ვიცი ა.-მ-ის მუშაობის ხასიათი და მუშაობის უნარიანობა. თუ კაცი ჩაფლულია სერიოზულ დიდ სამუშაოში, თუ ამ მუშაობას ხელს შეუშლის წვრილმანი საქმეები გაზეთზე, პუბლიცისტიკაზე, — მაშინ სისუფლელე და დანაშაული იქნებოდა მოგვეცდინა იგი. ეს მე კარგად მესმის ღა ვგრძნობ. თქვენ ყოველივე ამას ადგილზე უკეთ ხედავთ, ძვირფასო ან. ვას. (ანატოლი ვასილევიჩ. შ. რ.), თუ თქვენ სთვლით, რომ ხელს არ შეუშლით ალ. მ-ის მუშაობას რეგულიარულ პარტიულ მუშაობაში

ჩაბმით (ხოლო პარტ-მუშაობა ამით ბევრს მოიგებს), მაშინ შეეცადეთ ამ საქმის მოგვარებას“ (წერილი 1908 წ. 19 თებერვალი).

ლენინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გორკის ჯანმრთელობაზე, როდესაც 1913 წელს გორკი ძალზე ავად გახდა და თავის თავზე სცდიდა ვიღაც ექიმის ექსპერიმენტებს, ლენინი სწერდა მას უკმაყოფილების წერილს და კატეგორიულად მოითხოვდა, რომ მან იმკურნალოს საუკეთესო ექიმებთან: „თქვენმა ცნობამ ავადმყოფობის ძესახებ ძალზე შემაწუხა. კაპრის შემდეგ ზამთარში თქვენ რუსეთში აპირებთ წასვლას?მე ძალიან ვშიშობ, ეს ავნებს თქვენს ჯანმრთელობას და ხელს შეუშლის თქვენი შრომის უნარიანობას. უმჯობესია წახვიდეთ შვეიცარიაში პირველხარისხოვან ექიმებთან. აქ მე შემიძლია მისამართისა და გვარის გაგება. ან გერმანიაში წადით. შეეცადეთ ორი ოვე მაინც იმკურნალოთ სერიოზულ და კარგ სანატორიუმში, თორემ სახაზინო ქონების ტყვილუბრალოდ ხარჯვა, ე. ი. იავადმყოფოთ და თავისი მუშაობის უნარიანობა დაკარგოთ, — პირდაპირ დაუშვებელია ყოველნაირად“. წერილის დასასრულ ლენინი კიდევ იმეორებს: „დაბეჯითებით გთხოვთ სერიოზულად დაიწყოთ მკურნალობა. მორჩენა სრულიად შესაძლებელია, ხოლო უყურადღებობა ავადმყოფობისადმი პირდაპირ უღმერთობა და დანაშაულია“ (წერილი 1913 წ. 30 სექტემბერი).

მ. გორკის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ლენინი არ ივიწყებს რევოლუციის პერიოდშიაც. ოქტომბრის შემდეგაც ლენინი თვალყურს ადევნებს მ. გორკის მდგომარეობას და როდესაც აუცილებელი გახდა მოითხოვდა მის გამგზავრებას საზღვარგარეთ სამკურნალოდ. „საჭიროა, რომ იგი წავიდეს საზღვარგარეთ. დაარწმუნეთ იგი, რომ ეს საჭიროა. დე. წავიდეს იტალიაში. მისი ჯანმრთელობის საქმე ცუდათაა. იქ მას უმკურნალებენ“.

ლენინისთვის მ. გორკი იყო დიდი პროლეტარული მწერალი, რევოლუციონერი და მახლობელი ადამიანი, რომელმაც ძლიერ ბევრი მისცა პროლეტარიატს და კიდევ ბევრის მიცემა შეეძლო მისთვის.

რწმენა იმისა, რომ გორკიმ „მჭიდროთ დაუკავშირა თავის თავი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით რუსეთისა და მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობას“,—საზღვრავდა არა მარტო ლენინის სიყვარულს გორკისადმი, როდესაც იგი ჰქმნიდა თავის მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ მაშინაც კი როდესაც გორკი უშვებდა სერიოზულ შეცდომებს, ლენინი მაშინაც არ ჰკარგავდა რწმენას, რომ გორკი დააღწევდა თავს კრიზისს, შეიგნებდა თავის შეცდომებს და მთლიანად დაუბრუნდებოდა ბოლშევიკურ გზას. ამიტომ იყო, რომ ლენინი გულისტკივილით, მაგრამ მისთვის ჩვეული პრინციპიალობით აკრიტიკებდა გორკის შეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომებს და გახარებული იყო, როდესაც უთანხმოებას ელენინი ბარობ და გორკი სცნობდა თავის შეცდომებს.

1913 წელს, როდესაც მ. გორკი იბრძოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში დოსტოევსკის დადგმის წინააღმდეგ, მან იხმარა ფრაზა იმის შესახებ, რომ საჭიროა „დროებით უარი ვთქვათ ღვთის ძიებაზე". ამ ფრაზამ ძლიერ გააკვირვა ლენინი და მან მისწერა გორკის წერილი: „განა ეს საშინელება არაა, როდესაც თქვენ ასეთი ხუმრობა გამოგდით?.. ილაპარაკოთ ღმერთის ძიებაზე არა იმისათვის, რომ უარყოფ ყველა ეშმაკები და ღმერთები, უარჰყოფ ყოველი სახის იდეური სიბნელე (ყველა ღმერთი არის სიბნელე, თუგინდ ის იყოს ყველაზე უწმინდესი, იდეალური, არა საძიებელი, არამედ საშენებელი), — სულ ერთია, რომელს ამჯობებენ ლურჯ თუ ყვითელ ეშმაკს; ეს ათჯერ უფრო უარესია, ვიდრე ის, რომ სრულებით არ ლაპარაკობენ" (1913 წ. 14 ნოემბერი).

ამ საკითხზე კარგა მოზრდილი მიწერ-მოწერა გაიმართა ლენინის და გორკის შორის. გორკიმ ამ მიწერ-მოწერიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა. როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ გორკიმ ხელმეორედ გადაბეჭდა თავისი სტატია დოსტოევსკის შესახებ, მან გამოსტოვა ის ადგილი, რომლის გულისთვისაც თავს დაესხა ლენინი.

ასეთივე დიდი სიყვარულით ეპყრობოდა მ. გორკის ლენინის გზის ერთგული გამგრძელებელი, დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხ. სტალინი. ამხ. სტალინი დიდად აფასებდა მ. გორკის, როგორც პროლეტარული ლიტერატურის კლასიკოსს, როგორც ახალი ლიტერატურული კადრების აღმზრდელს და ხელმძღვანელს.

ამხ. სტალინის უშუალო მითითებათა საფუძველზე იყო, რომ პარტიამ დაუზოგველად ამხილა „მემარცხენე" ვულგარიზატორული დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდა ზოგიერთი კრიტიკოსი და მწერალი მ. გორკის შემოქმედების დაფასების საქმეში. ამხ. სტალინისათვის მ. გორკი იყო სოციალისტური კულტურის სახელოვანი წარმომადგენელი, საბჭოთა ლიტერატურის უდავო ავტორიტეტი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა თავისი მხატვრული შემოქმედებით, თავისი პუბლიცისტიკით ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის.

*
* *

მუშათა კლასს გორკის სახით ჰყავდა თავისი ცხოვრების დიადი მესიტყვე. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ლენინი მ. გორკის შესახებ წერდა: „გორკი უსათუოდ არის პროლეტარული ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც ბევრი გააკეთა მისთვის და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია... გორკი ავტორიტეტია პრო-

ლეტარული ლიტერატურის საქმეში, ეს უდაოა... პროლეტარული ლიტერატურის საქმეში მ. გორკი ერის უდიდესი პლიუსი...

მ. გორკი — ნამდვილი პროლეტარული მწერალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მარტო ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის, არამედ ძველი მსოფლიოს მშრომელ მასებთან. თავისი უკვდავი შემოქმედებით მ. გორკი ლამპარივით უნათებდა გზას მათ.

მიუხედავად ლენინის და სტალინის ასეთი ზუსტი და სწორი შეფასებისა, კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-მენშევიკური კრიტიკა მ. გორკის შემოქმედებას იხილავდა, როგორც მეშჩანურ, წვრილ-ბურჟუაზიული მწერლის შემოქმედებას. ასეთ „შეხედულებათა" მატარებლები უხეშად ამახინჯებდნენ მ. გორკის შეხედულების ნამდვილ აზრს და შინაარს. ამ რეაქციურ-ბურჟუაზიულ მოსაზრებას არც ერთი ხაზით არ უდგებოდა დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედება.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მ. გორკი თავისი შემოქმედებით „ოქროს სიზმარში" ახვევდა მძიმე, აუტანელი სინამდვილის სახეს. ეს შეხედულება რელიეფურად გამოხატა ბესპალოვმა: „ოცნება არაჩვეულებრივზე, ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ადამიანთა და ურთიერთობათა შემოსვა მშვენიერი მაგრამ მოჩვენებითი ელვარებით, უბადრუკი სიმართლის შეცვლა ლანდით, სიცრუით, — ყოველივე ეს იმ კონფლიქტის ვარიანტებია, რომელსაც იწვევს ლამაზი ცხოვრებისაკენ მისწრაფება და ცხოვრების მიერ დამონება. ეს არის მჩაგრველი სინამდვილის უარყოფის და მისი დაძლევის უმარტივესი ელემენტარული გზა, მაგრამ დაძლევა მოჩვენებითია. იგი არ სპობს ცხოვრების მონობას, იგი მხოლოდ ამშვენებს, ოქროს სიზმარში ახვევს მას". ამ სიტყვებში ნათლად მოსჩანს ცდა იმისა, რომ გაყალბებული იქნას დიდი მწერლის შემოქმედების მნიშვნელობა, არა „ოქროს სიზმარში" ხვევდა მ. გორკი კაპიტალისტურ-თვითმპყრობელურ სინამდვილეს, მშრომელთა აუტანელ ცხოვრებას. მ. გორკი თავისი შემოქმედებით აღვიძებდა მთვლემარეთ. იგი მშრომელ მასებს მოუწოდებდა აქტივობისაკენ, ბრძოლისაკენ. მან ომი გამოუცხადა იმათ, ვინც ქადაგებდა მოთმინებასა და სიმშვიდეს, შერიგებას მყვლეფელებთან.

* * *

მ. გორკის პუბლიცისტური მოღვაწეობა მტკიცედ არის დაკავშირებული მის მხატვრულ შემოქმედებასთან. თავის წერილებში, რომლებიც დაწერილია მთელი სიძლიერით, მ. გორკი საბჭოების ქვეყანას, სადაც იქმნება ახალი ქვეყანა, ბედნიერი ცხოვრება, — მომაკვდავ კაპიტალისტურ ქვეყანას უპირისპირებს. მ. გორკის წერილების ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ღრმა რწმენით საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებისადმი, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

მ. გორკი თავის წერილებში გამოდიოდა კულტურული რევოლუციის ნამდვილ ენტუზიასტად. იბრძოდა შრომისადმი ახალი დამოკიდებულებისათვის, ტექნიკის დაუფლებისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისათვის. იგი დიდის ინტერესით და დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს ახალი სოციალისტური კულტურის ზრდა-განვითარებას.

მ. გორკი არ ივიწყებდა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, „კულტურის ოსტატებსაც“ და მკვეთრად აყენებდა მათ წინაშე საკითხს, თუ ვისთან არიან ისინი: „კულტურის შავმუშებთან ცხოვრების ახალი ფორმის შესაქმნელად თუ ამ ძალის წინააღმდეგ, უპასუხისმგებლო მტაცებელთა კასტის შესანარჩუნებლად“.

1932 წ. დასავლეთ ევროპის რევოლუციურ ინტელიგენციასთან ერთად მ. გორკი მონაწილეობს ანტიიმპერიალისტურ კონგრესში და იქ მიემგზავრება საბჭოთა დელეგაციის მეთაურად. დამფრთხალმა ბურჟუაზიამ იგი არ შეუშვა ჰოლანდიაში, სადაც მიმდინარეობდა კონგრესის სხდომები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მისი სიტყვა, რომელიც უნდა წარმოთქმულიყო კონგრესზე, გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში და მაინც მიაღწია მთელ ქვეყნის მშრომელ მასებამდი.

მ. გორკის წინადადებით და მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „სამოქალაქო ომის ისტორია“ და „ფაბრიკების და ქარხნების ისტორია“, რომელთაც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

მ. გორკის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ მწერლებს. ეს მან დაიწყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ამ წლებში, როდესაც პროლეტარული ლიტერატურა მხოლოდ ისახებოდა მ. გორკი მტკიცედ ახდენდა იმ აზრის პროპაგანდას, რომ მშრომელი მასები „ჯანსაღი და აღფრთოვანებული ენერგიით“ შეუდგებიან „ახალი კულტურის შექმნას“.

1914 წელს, როდესაც მ. გორკი თავისი რედაქციით სცემდა პროლეტარული მწერლების პირველ კრებულს, — წინასიტყვაობაში წერდა: „პროლეტარიატს შეუძლია შექმნას თავისი ლიტერატურა“, რომ ამ წიგნზე თავის დროზე იტყვიან, როგორც „რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთ ნაბიჯზე თავისი მხატვრული ლიტერატურის შექმნის საქმეში“.

ამ დიდ საქმეს მ. გორკი უკანასკნელ დრომდე განაგრძობდა. მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა ახალი კადრები მუშებიდან და კოლმეურნეებიდან. მ. გორკი სამართლიანად იყო აღვიარებული

მთელი საბჭოთა ლიტერატურის ხელმძღვანელად და მასწავლებლად. იგი დაუღალავად იბრძოდა საბჭოთა მწერლობის ხარისხისათვის, ბრძოლური დონის და ოსტატობის ამაღლებისათვის.

*
* *

მ. გორკის სახით არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელ მასებმა დაკარგა პროლეტარული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი, პირველი პროლეტარული მწერალი, რომლის ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა მჭიდროთ იყო დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლებთან. მ. გორკის სამწერლო ნიჭი ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან, განვითარებასთან ერთად. მისი შემოქმედების მნიშვნელობა განუსაზღვრელია. „გორკი სიტყვის გენიალური მხატვარი იყო. მის წიგნებში, მის სიმღერებში ჩამოქანდაკებული სახეები ჩასწვდნენ და სწვდებიან ათეული მილიონობით ადამიანების გრძნობისა და შეგნების მთელ სიღრმეს. გორკის მიერ დახატული ადამიანები ცოცხლებივით დგანან ყველა იმის წინაშე, ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს მისი ნაწარმოებნი. მას ჰქონდა შევარდნისებური მჭრელი თვალი, როგორსაც მხატვარს ისტორია საუკუნეში მხოლოდ ერთხელ აძლევს. მის ნაწარმოებთა ენა მარტივია და ხალხური, როგორადაც შეიძლება დიდი და ამავე დროს მარტივი იყოს ისტორიის მიერ რჩეული მწერლის ენა. მას საუცხოოდ შეეძლო დაენახა და გენიალურად უბრალო მხატვრული ფორმით განეზოგადოებინა ნახული, გადმოეცა იგი ხალხის, მასისათვის ისე, რომ სიყვარულითა და სიძულვილით აღენთო ისინი თავის ნაწარმოებთა გმირებისადმი“ („პრავდა“).

○ ○ ○

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. სულავა.

# მ. გორკი, როგორც პუბლიცისტი

მ. გორკის სიკვდილმა შესძრა მთელი მოწინავე კულტურული კაცობრიობა, უპირველესად კი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი სოციალისტური ოჯახი, რადგან ის იყო ამ ოჯახის სასახელო და ღირსეული შვილი.

მ. გორკი იყო გიგანტი მხატვარი, მოაზროვნე ადამიანი, მებრძოლი პუბლიცისტი, ტრიბუნი. არც ერთი ხალხის ისტორიაში მწერალს არ უთამაშნია ისეთი დიდი როლი, როგორიც მაქსიმ გორკიმ ითამაშა რუსი ხალხის ისტორიაში მისი მონური მდგომარეობიდან განთავისუფლების საქმეში.

ლენინის და სტალინის დიდი მეგობარი, მ. გორკი იყო არა მარტო დიდი მხატვარი, რომელიც დიდი რეალისტური გარკვეულობით ხატავდა და ასურათებდა ბურჟუაზიულ-მონარქისტული წყობილების საშინელი ცხოვრების სინამდვილეს და მის წინააღმდეგ ამხედრებდა და რაზმავდა მუშათა კლასს, არამედ თავისი მახვილი და მჭრელი პუბლიცისტური კალმითაც ემსახურებოდა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას.

მ. გორკი, როგორც მხატვარი, ჩვენი თანამედროვეობის ერთი უდიდესი ფიგურა იყო, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა მხატვრული სიტყვის სიძლიერეში. იგი მასების საყვარელი მწერალი იყო, მწერალი, რომლის პოპულარობა არ განისაზღვრებოდა მარტო ერთი ქვეყნით, მას იცნობდა და პატივს სცემდა მთელი კულტურული მსოფლიო.

მ. გორკი იყო არა მარტო დიდი მხატვარი, არამედ დიდი პუბლიცისტი-ტრიბუნი, რომელიც საქვეყნოდ ეხმაურებოდა დიდ ისტორიულ ამბებს და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს. „გორკიმ ახალგაზრდობიდანვე მოჰკიდა ხელი პუბლიცისტურ კალამს და უკანასკნელ დრომდე პუბლიცისტ-პროპაგანდისტული ძარღვი მასში ძლიერია, — წერდა გორკის შესახებ ა. ლუნაჩარსკი. — და რაც უფრო ხდებოდა გორკი მტკიცე კომუნისტი-ლენინელი, მით უფრო მტკიცე ხდებოდა მისი პუბლიცისტიკა. ამასთანავე გორკი არა მარტო პუბლიცისტია, არამედ პუბლიცისტ-მხატვარიც“.

მ. გორკის ამ დიდ საბრძოლო შესაძლებლობას მტრულად ეხებ-ოდნენ გორკის მოწინააღმდეგენი ბურჟუაზიის ბანაკიდან, მაგრამ ... დათ გორკის პუბლიცისტიკაში მისი პოლიტიკური სიმახვილე ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გორკიმ ძალიან ბევრი რამ გააკეთა ოქტომბრის რევოლუციის დღიდან ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გადამუშავებისა და პროლეტარული რევოლუციის მხარეზე გადაყვანის საქმეში, მაგრამ დაუნდობელი იყო ყველა იმათ მიმართ, ვინც ძველი ქვეყნის დამცველად გამოდიოდა.

დიდი პროლეტარული ჰუმანისტი უდიდეს სიძულვილს ამჟღავნებდა ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლიდა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. გორკი ყოველთვის გამოდიოდა მსოფლიო ტრიბუნად საბჭოთა კავშირის დასაცავად „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“, — ეკითხებოდა გორკი მსოფლიო ინტელიგენციას, და მისი მოწოდება არ რჩებოდა გამოუხმაურებლად.

მ. გორკი თავის პუბლიცისტურ წერილებში ყოველთვის მახვილია, აქტუალური. როგორც სოციალიზმის მიღწევათა პოპულიზატორი, იგი შეუდარებელი იყო, მაგრამ ასეთივე იყო იგი როგორც კაპიტალისტური საზიზღროებისა და ბოროტების მამხილებელი.

წერდა მ. გორკი „შევარდენის სიმღერას“ თუ პოლიტიკურ პროკლამაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ — ყველგან მოსჩანდა იგი როგორც ქარიშხლის მოციქული, დაუდგრომელი და მგზნებარე მებრძოლი. გორკის პუბლიცისტური პრაქტიკა და რევოლუციური მოღვაწეობა მისი მხატვრული შემოქმედების განუშორებელი ნაწილია.

მ. გორკი რევოლუციის ნამდვილი შევარდენი, მისი გრიგალა იყო. ამიტომ დაუკავშირდა იგი ბოლშევიზმს. აშკარაა, „მოხუცი იზერგელის“ და „გრიგალას“ ავტორი არ შეიძლებოდა ამ გზით არ წასულიყო. თვითონ გორკი ამის შესახებ შესანიშნავად სწერდა: „ჭეშმარიტი რევოლუციონერება მე სწორედ რომ ბოლშევიკებში ვიგრძენი, ლენინის სტატიებში და იმ ინტელიგენტების სიტყვებსა და საქმეში, ვინც მას მიჰყვებოდა“.

შემთხვევითი არ იყო ისიც, თუ რად მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება მ. გ ო რ კ ი ს შემოქმედებას ამხანაგმა ლ ე ნ ი ნ მ ა. ლენინსა და გორკის დაახლოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან გორკი კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა მუშათა კლასთან, და გორკი მუშათა კლასის გაჭირვების ყოველ მომენტში მისი დამხმარე და გამამხნევებელი გახდა. ასეთ მომენტებში გორკი უშუალოდ ებმებოდა ბრძოლაში. ხელს უწყობდა არალეგალური ლიტერატურის გავრცელებას, იარაღის მომზადებას, არალეგალური საიდუმლო ადგილების მოწყობას.

გ ო რ კ ი ს „დედის“ ვლასოვის პროტოტიპი, მოხუცი პ. ზ ა ლ ო მ ო ვ ი გორკის გარდაცვალების გამო დაწერილ მოგონებაში („ჩემი შეხვედრები“) ფაქტებით აღნიშნავს გორკის 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობას. „გორკისთან ჩემი ერთ-ერთი სტუმრობის დროს, — წერს,

ზ ა ლ ო მ ო ვ ი, — როცა მოსკოვში ბარიკადებს აგებდენ, [illegible] ცხადა, — ძვიდივარ ბარიკადებისაკენო, და ორივე ჯიბეში [illegible] ჩაიდო". მ. გორკის ეს რევოლუციური მოღვაწეობა და მისი ბრძოლა ბოლშევიზმის ისტორიაში ერთი უშესანიშნავესი ფურცელია.

მ. გორკის შემოქმედება ვერასოდეს ვერ ეტეოდა ვიწრო მწერლურ ფარგლებში. ის ბრძოლაში იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ასეთ პიროებებშია დაწერილი მისი სახელოვანი „გრიგალა", „დედა", „მტრები", „მოაგარაკენი" და სხვა უამრავი მხატვრული და პუბლიცისტური წერილი, და პამფლეტი, რომელთა შორის აღსანიშნავია „მშვენიერი საფრანგეთი". იგი მიმართული იყო საფრანგეთის მმართველი პარტიების წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ სესხი მიეცათ თვითმპყრობელობისათვის რევოლუციის ჩასახშობად. „სადღაა ძველი რევოლუციური საფრანგეთი? — წერდა გ ო რ კ ი ამ პამფლეტში, — შენი ოქროთი ისევ დაიღვრება რუსეთის ხალხის სისხლი", და ის ზიზღსა და ფურთხს უგზავნიდა საფრანგეთს. პამფლეტმა დიდი გამოძახილი ჰპოვა მთელ მსოფლიოში, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. მას კვლავ დასჭირდა კიდეკ პამფლეტებით გამოსვლა. ერთ-ერთ ასეთ პასუხში გორკი სწერდა: „რუსეთის რევოლუციის განვითარება წავა ნელი და ხანგრძლივი გზით, მაგრამ ის დამთავრდება ხალხის გამარჯვებით; ძველი საფრანგეთის მაგალითის მსგავსად, ჩვენ წავსჭრით თავს პარაზიტიზმის ჰიდრას, მაგრამ ამის შემდეგ არ შევეცდებით მივბაძოთ დიდ საფრანგეთს... მე შევაფურთხე ბანკებისა და ფინანსისტების საფრანგეთს... მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ხალხი არ დაუბრუნებს საფრანგეთს უკვე სისხლით გამოსყიდულს სესხს".

ცხრაას ხუთი წელი რომ გორკის ნაყოფიერი პოლიტიკური მოღვაწეობის გაშლის პერიოდია, — ამისი მაჩვენებელია მისი გამოხმაურება ამიერ-კავკასიაში მომხდარი ამბების გამო. ესაა წერილი „კავკასიის ამბების გამო". ის უსათუოდ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. გორკი ამ წერილში ეხება თვითმპყრობელობის იმ საძაგელ პოლიტიკას, რომლის წყალობითაც მოეწყო თათართა და სომეხთა ხოცვა-ჟლეტვა.

კავკასიის ამბებს გამოეხმაურა მაშინ ამხანაგი ლ ე ნ ი ნ ი; მასვე გამოეხმაურა მ. გ ო რ კ ი, რომელმაც დაუნდობლად გამოაშკარავა ცარიზმის ველურობა და მისი გამანადგურებელი ნაციონალური პოლიტიკის შედეგი.

„პარაზიტები გრძნობენ, რომ იწყება მათი აგონია, ახლოვდება მათი სიკვდილი", — წერდა გ ო რ კ ი ამ წერილში. ამიტომ იბრძვიან ისინი, ხალხის წინააღმდეგო. გორკი აღშფოთებას გამოსთქვამდა და ამ მოქმედებას სთვლიდა კაცობრიობის ისტორიაში არნახულ სამარცხვინო მოვლენად. „კაცობრიობის ისტორიის მთელი განვითარების მანძილზე არც ერთ ქვეყანაში ხელმძღვანელ კლასს თავისი ძალა-უფლების დასაცავად

არ უმოქმედია ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი სამარცხვინო, ისეთი უსინდისო ცინიკური სისასტიკით, როგორც ის ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს", სწერდა გორკი და შემდეგ ჰკითხულობდა: „ის ხელმძღვანელობაც გუშინ თავის ქალა გაუტეხა სომეხსა და ებრაელს", ვინ იცის ხვალ ვინ თავზე დაეშვებაო. ამიტომ გორკი მოუწოდებდა მუშათა კლასს მეტი სიფრთხილისა და შეუპოვარ ბრძოლისაკენ იმ საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელიც ასეთ სამარცხვინო შუღლს აჩაღებდა მოძმე ერებს შორის და ამაზე ხელს ითბობდა.

ლენინმა და სტალინმა რომელნიც გორკის სააგიტაციო გმოსვლებს დიდად აფასებდნენ, სწორედ რეაქციის წლებში დაავალეს მას ამერიკაში გამგზავრება რევოლუციისათვის ფულის შესაგროვებლად. ამ მოგზაურობის დროს დასწერა გორკიმ თავისი შესანიშნავი რევოლუციური ნაწარმოები „დედა", სადაც გამოხატა მუშა ბოლშევიკების რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„დედამ" თავისი აქტუალობით ერთბაშად მიიპყრო მუშათა კლასის ყურადღება. ლენინმა მოუწონა გორკის ეს ნაწარმოები, გორკი თვით იგონებს ლენინთან შეხვედრის დროს მის მიერ „დედის" შეფასებას.

არ მოეწონა „დედა" ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, მენშევიკებს. გ. პლეხანოვმა უარყოფითად შეაფასა „დედა", რადგან მასში ბოლშევიკური იდეები დაინახა.

პლეხანოვი, რომელმაც ბრალდებად წაუყენა მუშათა კლასს: „არ უნდა მოგვეკიდნა ხელი იარაღისათვის", არ შეიძლებოდა მტრულად არ შეხვედროდა ისეთ ნაწარმოებს, სადაც იარაღით ბრძოლის აპოლოგია იყო მოცემული. რეაქციულმა ინტელიგენციამ განგაში ასტეხა გორკის „დასასრულის" შესახებ.

მაგრამ გორკი არ შეუშინდა ამას, პირიქით, თითონ გადავიდა თავდასხმაზე. ასეთი თავდასხმის მაგალითს წარმოადგენდა თუნდაც გორკის პროტესტი 1913 წელს სამხატვრო თეატრში „ავი სულის" დადგმის გამო. დაცემულობისა და გულგატეხილობის ფონზე დოსტოევსკის წინააღმდეგ გალაშქრება — ეს მთელი მაშინდელი რეაქციური ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა.

რეაქციური ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლაში გორკი არ დარჩენილა მარტო. გორკის იცავდნენ მუშათა კლასის მოწინავე ადამიანები. მას იცავდა დიდი ლენინი. ეს წლები ლენინისა და გორკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების წლებია. გორკი ამ წლებში ბოლშევიკური გამოცემათა მუდმივი თანამშრომელია.

იმპერიალისტური ომის დროს გორკი ჟურნ. „ლეტოპისის" რედაქტორია. იგი ამ ჟურნალით ხელს უწყობდა ბოლშევიკურ პროპაგანდას. ამ ჟურნალის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ შავრაზმული პრესა

პირდაპირ თხოულობდა: „გვიხსენით გორკისაგან, გვიხსენით პარაენცული ლიტერატურისაგანო“. ჟანდარმები აგროვებდნენ ცნობებს ჟურნალის „დამლუპველი“ გავლენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი შეუპოვარია, როგორც პუბლიცისტი. იგი მტერთან უმკაცრესია, ხოლო დაჩაგრულთან ჰუმანისტი. ამით აიხსნება ის სიძულვილი, რომელსაც ამჟღავნებდნენ ყოველგვარი ჯურის რეაქციონერები გორკისადმი. მაგრამ რაც უფრო მეტად სძულდათ იგი კლასობრივ მტრებს, მით უფრო დიდი იყო მისდამი სიყვარული მსოფლიო მუშათა კლასისა და რევოლუციური ინტელიგენციისა.

გორკი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განსახიერება იყო. იგი არასოდეს არ ივიწყებდა რევოლუციური ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობას. სიკვდილის წინ გორკი პირდაპირ მოუწოდებდა თანამედროვე საბჭოთა მწერლებს, მეტი ყურადღება მიექციათ ინტერნაციონალური თემებისათვის, რის მაგალითსაც უპირველეს ყოვლისა თითონ იძლეოდა.

ფაშიზმის დაუძინებელი მტერი, მ. გორკი თავისი წერილებით ნიღაბს ხდიდა ამ ბარბაროსულ მოვლენას. პარიზში გამართულ კულტურის დაცვის კონგრესზე მისი სახელი გაისმოდა, როგორც უდიდესი ჰუმანისტისა და მებრძოლის სახელი. გორკი აკავშირებდა საბჭოთა ქვეყანასთან ევროპის თანამედროვე საუკეთესო ინტელიგენციის დიდ ნაწილს. მას დიდ ანგარიშს უწევდა და მის ხმას ყურს უგდებდა მთელი კულტურული მშრომელი კაცობრიობა.

განსაკუთრებით უზომო სიყვარულით სარგებლობდა მ. გორკი საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის, რომელთა გმირულ ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის დაცვასა და პროპაგანდას დიდი ენერგია შეესწირა მან.

წინად რევოლუციის ქარიშხლის მოციქული, ამ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ისე მჭიდროდ შეუსისხლხორცდა სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლასა და შემოქმედებას, რომ მის მახვილ კალამს არ რჩებოდა შეუმჩნეველი სოციალისტური ცხოვრების არც ერთი ახალი და სასიხარულო მოვლენა.

საბჭოთა პირობებში გორკის პუბლიცისტიკა უფრო მეტად აყვავდა და გამრავალფეროვანდა. ყოველ მის პუბლიცისტურ წერილში გამოსჭვიოდა უდიდესი სიყვარული და ენთუზიაზმი სოციალიზმის მშენებელ ადამიანებისადმი, ახალი ყოფის მოვლენებისადმი. მას ახარებდა ჩვენი ხალხის ყოველი ახალი მიღწევა, ყოველი წინგადადგმული ახალი ნაბიჯი და ისიც სცდილობდა ქაღალდის ფურცლებზე მათ აღბეჭდვას და პოპულარიზაციას.

გორკის ეს წერილები ისტორიული მნიშვნელობის წერილებია. მათში მოსჩანს ჩვენი დროის დიდი ადამიანის ნათელი ხედვა, დიდი სიხარული და სიბრძნე, კომუნიზმის გამარჯვებისათვის აქტიური ბრძოლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძახილი, საბჭოთა პატრიოტიზმის გაღვივება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დანერგვა.

სამაგიეროდ რა მძლავრი სიძულვილია გორკის იმ წერილებში, რომლებითაც იგი ნიღაბს ხდის ჩვენი ქვეყნის მტრებს. იგი პროლეტარული სიძულვილის გრძნობას სთესდა ყოველივე იმისადმი, რაც წარსულის ნაშთს, ადამიანთა შეგნების შემზღუდველ და შემაფერხებელ მოვლენას წარმოადგენდა. წერილში „პროლეტარული სიძულვილი" გორკი პირდაპირ მოუწოდებდა საბჭოთა მოქალაქეებს — აღჭურვილიყვნენ „შეგნებული, აქტიური, გმირული სიძულვილით" ყველა იმის მიმართ, ვინც ჩვენი მტერია, იმათ მიმართ, ვინც აპირებს კაცობრიობის ისევ ახალ სასაკლაოზე გაყვანას. ასეთ მტრად კი მას ფაშიზმი მიაჩნდა, ბარბაროსობაზე და სისაძაგლეზე დამყარებული ძალა. გორკი ფაშიზმის დაუძინებელი მოწინააღმდეგე იყო და მთელი თავისი ავტორიტეტით ებრძოდა კაპიტალიზმის ამ ახალ ბარბაროსობას, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულს. „მტერი, რომელიც არ გნებდება, განადგურებულ უნდა იქნას", — წერდა გორკი მავნებელთა წინააღმდეგ და დამაჯერებლად არწმუნებდა ზოგიერთ „ჰუმანისტს" იმათ წინააღმდეგ გამოტანილი პროლეტარული განაჩენის სისწორეში. გორკის ისეთი წერილები, როგორიცაა „ჰუმანისტებს", „ერთი ლეგენდის გამო", „ანონიმებს და ფსევდონიმებს", „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო", „ჯარისკაცული იდეების" შესახებ, უდიდესი საბრძოლო მნიშვნელობის წერილებია, სადაც მოსჩანს პროლეტარული ჰუმანიზმის სიბრძნე და კლასობრივი სიძულვილის მიზანი.

მ. გ ო რ კ ი უდიდესი პუბლიცისტი იყო, კომუნიზმის მგზნებარე ტრიბუნი, იგი მოესწრო ჩვენს ქვეყანაში იმ იდეების განხორციელებას, რაზეც ოცნებობდა და იბრძოდა ახალგაზრდობიდანვე, ამიტომ იცავდა იგი ასე თავდადებულად თავისი გამოცდილი კალმით საბჭოთა კავშირს, როგორც კომუნიზმის აკვანს, ნამდვილი ბედნიერი ცხოვრების ქვეყანას.

მ. გ ო რ კ ი თავისი ასაკით და მხატვრული გენიით მსოფლიო ლიტერატურის უხუცესი და უძლიერესი მწერალი იყო პროლეტარული ბრძოლის ტრადიციებზე აღზრდილი, სოციალისტური რეალიზმის მამამთავარი, დიდი მებრძოლი და ტრიბუნი.

გ ო რ კ ი იყო ავრეთვე ლიტერატურის უდიდესი გამგები, პუბლიცისტ-კრიტიკოსი, საბჭოთა კავშირის სოციალისტური ლიტერატურის ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

„ლ ე ნ ი ნ ი ს სიკვდილის შემდეგ, — როგორც ეს ამხ. ვ. მ ო ლ ო ტ ო ვ მ ა აღნიშნა თავის სიტყვაში გორკის დასაფლავების დროს, — გორკის სიკვდილი ყველაზე მძიმე დანაკლისია ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობისათვის"".

152

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკობ ბალახაშვილი.

# მაქსიმ გორკი საქართველოში

1.

ზამთარს გაზაფხული სცვლიდა, როცა 1891 წლის ერთ ჩვეულებრივ დღეს ახალგაზრდა ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი დონის გზით ნიჟნიდან ცარიცინს მივიდა.

გაიარა უკრაინა, დონის მხარე, ნოვოროსია, ბესარაბია დუნაიამდე.

ხარკოვში გზად გავლის დროს ჩამოხტა ერთ მონასტერში, სადაც ორმა „სტრაჟნიკმა" ყველაფრისაგან გასცალა.

ხარკოვიდან ოდესამდე ფეხით მივიდა.

ოდესის ნავთსადგურში პ ე შ კ ო ვ ი გაეცნო ს-ძეს, რომელიც გორკის მოთხრობაში — „ჩემ თანამგზავრში" შაქრო ფრთაძედ არის ცნობილი.

ს-ძე ამ შეხვედრას ასე იგონებს:

„პეშკოვი გავიცანი ოდესაში, სადაც მე სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ბათომში ამხანაგმა ნივთები მომპარა და ოდესაში წავიდა. მე უკან გამოვუდექ. მაგრამ ქურდი ოდესაში ვერ აღმოვაჩინე. გავიდა ორიოდე დღე და ფული სულ შემომეხარჯა. გზის ფულს ვიღა სჩიოდა, პურისთვისაც აღარაფერი გამაჩნდა. ღამეს ბაღში ვათევდი, სადაც ჩუმად გადავძვრებოდი ხოლმე. ბოლოს გადავწყვიტე ასე თუ ისე, გემში ჩაჯდომა და ბათომისაკენ წამოსვლა.

ამ აზრით ნავთსადგურში წაველ და განმარტოებით დავდექ. თითქმის ორი დღის უჭმელი ვიყავი და ძალზე მშიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა. თითქმის ახალი, ამასთან ევროპული და არა ჩოხა-ახალუხი.

ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაური მთხოვა. თითონ მშიერი ვიყავი და ეს კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანით.

ახალი ჩემი ნაცნობი პ ე შ კ ო ვ ი გამოდგა, ნიჟნინოვგოროდელი. პეშკოვი ესე 22 — 23 წლისა იქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი. მხარბეჭიანი". *)

---

*) იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2302.

„იმ დღეს, — განაგრძობს ს-ძე, — რა დღესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივენი მშივრები ვიყავით. მე ერთი „ტროსტი“ მქონდა, პეშკოვმა გა-მომართო ეს „ტროსტი“, გაჰყიდა ექვს შაურად და პური იყიდა. ესეც ბაღში გავათიეთ. მეორე დღეს სამუშაო უნდა გვეშოვნა, მაგრამ ვერა ვიშოვეთ-რა“. *)

ახალი ნაცნობები ოდესიდან 18 აგვისტოს შუადღის 12 საათზე გავიდნენ. ნიკოლაევამდე შვიდი დღე იარეს. ვერც იქ იშოვნეს სამუშაო. იქ უთხრეს — „ხერსონიდან ეხლა გემი გადის ბათომშიო“.

წავიდნენ, მაგრამ გემს ვეღარ ჩაუსწრეს.

ხერსონიდან სიმფეროპოლში მივიდნენ, მაგრამ სამუშაო ვერც იქ იშოვნეს. მაშინ პეშკოვმა გადაწყვიტა საქართველოში ფეხით ჩამოსვლა.

სიმფეროპოლიდან „მგზავრები“ იალტაში ჩავიდნენ. ორივეს ძალზე შიოდა. ბედად პეშკოვმა სამკაპიკიანი იპოვნა, პური იყიდა; ოდნავ შენაყრდნენ და უბილეთოთ ავიდნენ გემზე. კაპიტანმა მთელი საათი ლანძღა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და ფეოდოსიაში მისვლისთანავე ჩამოსვა ისინი.

შემდეგ კერჩი, ტამანი, ეკატერინოდარი, კავკავი. კავკავიდან ტფილისამდე — შვიდი დღე.

ს-ძეს, არ უნდოდა დღისით ტფილისში შემოსვლა, ნაცმობების რცხვენოდა, ამიტომ ქალაქ გარეთ მოიცადეს საღამომდე.

შებინდებისას ვერიდან შემოვიდნენ ქალაქში „რკინის გზის სახელოსნოში, — მოგვითხრობს ს-ძე, — ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა ზეინკლად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც ალქაჯებსა ვგვანდით, თმა გაუკრეჭავი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს, გვასვეს, გვაჭამეს, ტანისამოსი გამოგვიცვალეს და აბანოშიც წაგვიყვანეს.

პეშკოვს ვილაც ნაცნობი ჰყავდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა, მეორე დღეს იქ წავსულიყავით“. **)

ეს „ნაცნობი“ იყო მიხეილ იაკობის ძე ნაჩალოვი, რომელსაც მიეკედლა ალექსი მაქსიმეს-ძე.

პეშკოვი კარგა ხანს უსაქმოდ იყო ტფილისში. ამბობდა ხოლმე: „ახლა კი წავალ აქედანო“, მაგრამ არსად არ მიდიოდა.

ამავე ხანებში მაქსიმ გორკი დაუკავშირდა ტფილისში არსებულ რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობის წრეს, რომელშიაც თავს იყარიდნენ „უფრო ხნიერი მოქალაქენიც“, ციმბირიდან დაბრუნებული ნაროდნიკები, რომელთაც ალექსანდრე მეორის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის ის იყო ციმბირში სასჯელი მოეხადათ და ეხლა საქართვე-

*) იქვე.
**) იქვე.

ლოში გადმოესახლებინათ. წრე თავს იყრიდა ანდრო ლეჟავას ბინაზე ჩულურეთში.

„გაზაფხულის ერთ გრილ საღამოს, — წერს თავის მოგონებაში სერგო რობაქიძე, — ჩულურეთში ანდრო ლეჟავას ბინაზე პატარა ოთახში მაგიდასთან ვიჯექით და მოსულ ახალგაზრდებს საკითხავ წიგნებს ვაძლევდით იმ პატარა ბიბლიოთეკიდან, რომელიც ანდრო ლეჟავას ბინაზე გვქონდა მოთავსებული. აი, ამ ბინის კარებს მოადგა საღამოზე ვილაც „მოხეტიალე“ რუსის სახის პიროვნება, რომელიც ამხ. ანდროს კითხულობდა. პიროვნება ჩვენ იმდენად საეჭვოდ გვეჩვენა, რომ გვინდოდა თავიდან მოგვეშორებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ანდრო ლეჟავა და შეეკითხა მოსულს — ვინ იყო და რა უნდოდა. მოსულმა კიდევ იკითხა ანდრო ლეჟავა და, როდესაც ანდრომ მიუგო — მე ვარო, მან რაღაც ბარათი მიაწოდა და ამპარტავნულად დაუწყო ყურება. მიცემული ბარათი ანდრომ ჩვენ გვაჩვენა და აღმოჩნდა, რომ ამ ბარათის მომტანი არის ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი, და ნოვოროსიის ორგანიზაცია სთხოვს ტფილისის ორგანიზაციას მიიღოს ეს პეშკოვი თავის წრეში და აღმოუჩინოს მას ამხანაგური ნდობა. ეს ბარათი საკმაო იყო ჩვენთვის, რომ პეშკოვისთვის შესაფერისი ყურადღება მიგვექცია. ამ დროიდან გახდა პეშკოვი ჩვენი წრის წევრი“. *)

ნაჩალოვი, რომელთანაც ცხოვრობდა პეშკოვი, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ეშოვნა მისთვის სამუშაო. ჩვენში ცნობილი ხალხოსანის ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის დახმარებით იგი მოეწყო რკინის გზის სახელოსნოში.

ამხ. სტალინის სახელობის ვაგონებისა და ორთქმავლების შემკეთებელ ქარხნის არქივში ინახება „მატრიკულარული წიგნი“, რომელშიაც სწერდნენ ქარხანაში მიღებულთა ვინაობას, სამსახურში დაწინაურებას, დათხოვნას და სხვას. ამ წიგნის შვიდასსამოცდა ათ გვერდზე, გრაფაში „ქვეშევრდომობა, წოდება, სარწმუნოება, რომელ გუბერნიიდან, მაზრიდან და სოფლიდან, ცოლიანი თუ უცოლო, და რამდენი წლისაა“, სწერია:

„ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიიდან, მართმადიდებელი, უცოლშვილო, ოცდა ორი წლისა, ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი“.

— როგორც შემდეგ გრაფაში ჩანაწერიდან სჩანს, ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვი სამსახურში მღებავად მიუღიათ 1891 წლის 10 დეკემბერს. სამუშაო მარკა № 1824. დღიური ხელფასი მანეთი. ამ თანამდებობაზე მან დაჰყო 1892 წლის 1-ლ თებერვლამდე.

1892 წლის პირველ თებერვლიდან მღებავი ა. მ. პეშკოვი დაიბერს. სამუშაო მარკა № 1824. დღიური ხელფასი მანეთი. ამ თანამდებობაზე პეშკოვი ითვლებოდა 1892 წლის 21 სექტემბრამდე.

*) ეურ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № 5, გვ. 12 — 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხნის განმავლობაში პეშკოვი სისტემატიურად დადიოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩულურეთში არსებულ ახალგაზრდობის წრეში.

„აქ ეწეოდა ის, — გვიამბობს სერგო რობაქიძე — კულტურულ მუშაობას თავის ნაცნობთა თვითგანვითარების ასამაღლებლად, აქვე ვარჯიშობდა ის დრამატიული ხელოვნების დარგში სხვადასხვა მონოლოგების კითხვით და აქვე ატარებდა დროს ხშირად გამართულ საცეკვაო თუ სალიტერატურო საღამოებზე. სცენით გატაცების გარდა, მაქსიმიჩი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს წრეში ლექციების კითხვას. მან რამდენჯერმე მოინდომა ლექციების წაკითხვა, მაგრამ ვერ უხერხდებოდა, მხოლოდ ერთხელ მოუხერხდა: ეს იყო ლექცია ხელოვნებაზე, და ცხადად მახსოვს, რომ თავის ლექციის საგნად მან აიღო შილერის ტრაქტატი ხელოვნებაზე და მშვენიერი ენით გადმოგვცა მსმენელებს ამ ტრაქტატის შინაარსი სრულიად გასაგებად და პოპულარულად. ლაპარაკი მისი სტიქია იყო. ლაპარაკობდა მდაბიოდ, გასაგები ენით, რუსული კილოთი და, შეიძლება ითქვას, საშინელი მიმზიდველი ტონით. ამ მხრივ მას ტოლი არ ჰყავდა. მისი მოხდენილი და მიმზიდველი მუსაიფი იყო იმის მიზეზი, რომ ნაკლებად შნოიანი ახალგაზდით გატაცებული იყვნენ ტფილისელი მისი ნაცნობი ქალებიც. გარეგნობით არა მომხიბლავი და მიმზიდველი, ის ერთი ნახვისთანავე იტაცებდა ქალებს და მერე ის ქალები მზათ იყვნენ განუწყვეტლად ესმინათ მისი ტკბილი ენით ნაამბობი მოთხრობები“. *)

არა ნაკლებ სიყვარულით და ხალისით დადიოდა და მუშაობდა ალექსი მაქსიმეს ძე მასწავლებელ ქალთა წრეში“.

ამავე წრეში გაეცნო ალექსი მაქსიმესძე დაუვიწყარ ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს.

არ მახსოვს კარგად, — სწერს ამ წრის ერთი წევრი — 1891 თუ 1892 წელს ეგნატე სოფლიდან ჩამოვიდა ტფილისში და, რასაკვირველია, როგორც უბინაო კაცი, ესტუმრა ჩვენს ჩულურეთის კონსპირატიულ ბინას. სოფლიდან ჩამოსული ეგნატე ამ თავშესაფარში დაბინავდა. ერთ კვირა დღეს ეკლესიიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები ჩვენს ბინაზე მივედით, რათა წირვის გამოსვლამდე იქ დავრჩენილიყავით; ამ ბინაზე დაგვიხვდნენ ახლად ჩამოსული ეგნატე ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მისულებმა თან მივიტანეთ გაზეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი. მოთხრობა წავიკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავსტრიალებდით სხვადასხვა კითხვებით შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკოვი ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა ჭლექის მიერ დატანჯული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთ-

*) ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № 5, გვ. 13, 15, 16.

ქული ხმით ეუბნებოდა: „Ты счастлив, таварищ, тем, что своими глазами видишь, как любят и увожают тебя“. ეგნატემ თავისი რუსულის იმერული გამოთქმით უთხრა ალექსი პეშკოვს: „напиши то что ты как хорошо разсказываешь и тоже увидишь, как все полюбят тебя“. *)

ნაჩალოვისაგან მაქსიმიჩი გადავიდა ალექსანდრე კალიუჟნის ბინაზე.

შეკითხვაზე, თუ როგორ დაიწყო პ ე შ კ ო ვ მ ა მოთხრობების წერა, კალიუჟნიმ 1927 წელს. ნ. შებუევს გადასცა შემდეგი:

„ერთხელ გორკიმ მიამბო ბობასთან თავისი შეხვედრის ამბავი. ძალიან მომეწონა, ისე დამენანა, ეს მშვენიერება ჩაუწერელი არ დაკარგულიყო, რომ ხელი ვსტაცე ალექსი მაქსიმეს ძეს მხრებში, ცარიელ ოთახში შევაგდე, კარი ჩავუკეტე და დავუყვირე: არ გაგიღებთ, სანამ არ დასწერთ ყველაფერს, რაც კი ამ წუთს მიამბეთ. მაგიდაზე ქალალდი და კალამია. ნუ ღელავთ თავს მაინც ვერ შემაცოდებთ!“ დილით ჩვენ უკვე დამზადებული გვქონდა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. „მაშ ასე,“ ახლა „კავკაზის“ რედაქციაში მიბრძანდით“. „რას ამბობთ, ალექსანდრე მეთოდეს ძევ, არაფრის გულისათვის!“. „მაშ მე თითონ წავიღებ“. „არც თქვენ დაგანებებთ!“ „გაჩუმდით! მე მინდა თქვენი ნათლია ვიყო“. რედაქციაში მაშინ მუშაობდა ჩემი ნაცნობი ცვეტნიცკი — მწიგნობარი, შესანიშნავი მეხსიერების პატრონი. ვთხოვე, რომ ჩემთან დაუყონებლივ წაეკითხა „მაკარი“. მან დაიწყო კითხვა. კითხვამ თანდათან გაიტაცა. „თუმცა ჩვენი გაზეთი ოფიციოზია, მაგრამ, მე მგონია, შევსძლებ დავაჯერო რედაქტორი მილიუტინი დაუყოვნებლივ დაბეჭდოს ეს“. პ ე შ კ ო ვ ი ს სიხარულს და ჩემს სიამაყეს საზღვარი არა ჰქონდა, როცა „კავკაზის“ გადაშლის დროს დავინახეთ ხელმოწერა „მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი. ეს იყო 1892 წელს. არც ერთი სიტყვა რედაქტორს არ შეუსწორებია. მხოლოდ სასვენი ნიშნები შეასწორა“. **)

ასე დაიბადა მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი, როგორც მწერალი, და „მაკარ ჩუდრა“ მისი პირმშო.

მაქსიმიჩმა მალე ჩაიკეტა კარები, დასწერა მეორე თავისი მოთხრობა, რედაქციაშიც თითონ წაიღო, მაგრამ ეს მოთხრობა რედაქციამ დაიწუნა. საროსკიპოს ცხოვრებიდან აღებული სუჟეტი ოფიციოზისათვის შეუფერებელი გამოდგა. სახლში მისვლისთანავე მოსპო.

იმავე წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ალექსი მაქსიმეს ძე, საქართველოში პ ე შ კ ო ვ ი ს გვარით ჩამოსული, ნიჟნი-ნოვგოროდში წავიდა მწერალ მაქსიმ გ ო რ კ ი ს სახელით.

---

*) იგივე ჟურნალი, გვ. 17—18.

**) ჟურნალი „მნათობი“, 1927 წ. № 8—9, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

1898 წელს ტფილისის რევოლუციონერთა საქმესთან დაკავშირებით ნიჟნი-ნოვგოროდში დაპატიმრებული მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი 11 მაისს ეტაპით ჩამოიყვანეს ტფილისში და ჩასვეს მეტეხის ციხეში.

ტფილისის მაზრის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ წარმოებული „კვლევა-ძიების" დასრულებისთანავე, თვრამეტი დღის პატიმრად ყოფნის შემდეგ, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი 29 მაისს გაანთავისუფლეს. გორკი მაშინვე გაემგზავრა უკან, ნიჟნი-ნოვგოროდში.

3.

საქართველოში პირველი ჩამოსვლიდან ათი წლის თავზე, 1901 წლის ზაფხულში, მწერალ ანტონ ჩ ე ხ ო ვ თ ა ნ, მხატვარ ვასნეცოვთან, ექიმ სროდიანთან და ექიმ ალექსინსკისთან ერთად, კვლავ ჩამოვიდა გორკი „მზიურ ქვეყანაში".

ჩამოსვლისთანავე გ ო რ კ ი მ ინახულა თავისი მასწავლებელი ა. მ კ ა ლ ი უ ჟ ნ ი, რომელთან ერთად დადიოდა ტფილისის გარეუბნების დასათვალიერებლად. „ჩვენ მაშინ, — მოგვითხრობს კალიუჟნი, — მცხეთაშიც ვიყავით, ჯვარის მონასტრის მთაზე ავედით. ვასნეცოვი განცვიფრებული იყო მცხეთის ტაძრის სიმარტივით და სიდიადით. მას ის მწირის ნანგრევებზე უფრო მოეწონა" *).

ამ შემთხვევით ისარგებლეს რკინის გზის ძველმა თანამოსამსახურეებმა და უსაყვარლეს ამხანაგსა და მწერალს ბაღში სადილი გაუმართეს „ინტელიგენტ ქართველებს, — სწერს თავის მოგონებაში გიორგი თუმანიშვილი, — რომელნიც ამ სადილს დაესწრნენ, შემთხვევა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ა. პეშკოვი არა თუ ანტიპატიით, არამედ უდიდესი სიმპატიით ეპყრობა არა რუსს ხალხებს".

ორი კვირის შემდეგ სტუმრებმა ტფილისი დასტოვეს.

4.

1903 წელს, მაქსიმ გ ო რ კ ი მ კვლავ ინახულა ტფილისი და თავისი ნაცნობ-მეგობრები. მას თან ახლდნენ მეუღლე, პეტერბურგის ერთ-ერთი გიმნაზიის ინსპექტორი კ. პიატნიცკი და სამხატვრო თეატრის რეჟისორი ტიხომიროვი.

გ ო რ კ ი ს ტფილისში ჩამოსვლისთანავე როტმისტრმა ხურციევმა ტელეგრაფით აცნობა პოლიციის დეპარტამენტს, რომ ტფილისში ჩამოვიდა მაქსიმ გ ო რ კ ი და მის პატივსაცემად თეატრის მიერ დღეს და ხვალ (ე. ი. 24 და 25 ივნისს), ალბათ თითონ მისი თანადასწრებით, წარმოდგენილი იქნება „ბსკერზე"... გუბერნატორი გაფრთხილებულია.

*) იგივე ჟურნალი, გვ. 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმიჩი ამჟამადაც თავის თანამხლებლებითურთ მცხეთას გაემგზავრა, იქიდან ბორჯომს ესტუმრა, ბორჯომიდან საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში დაბრუნდა.

გაირა 25 წელმა.

5.

1928 წლის 8 ივნისს გაზ. „კომუნისტმა" ამხ. გრიგოლ მუშიშვილისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „მ ო ს კ ო ვ ი, 7 ივნისი. დღეს ვესაუბრე მაქსიმ გორკის, რომლის დროსაც გორკიმ განაცხადა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიმდინარე წლის ივლისში გაემგზავროს საქართველოში". *)

იმავე თვის 23-ს ტფილისში ჩამოვიდა მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლესი მწერალი.

იმავე საღამოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მაქსიმ გორკის პატივსაცემად ბანკეტი.

სტუმარს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით მიმართა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა. თავის საპასუხო სიტყვაში გ ო რ კ ი მ მადლობა უძღვნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს და ქართველ მწერლებს გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ის თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ყოველთვის ეძებდა ადამიანს და რომ მისი მასწავლებელი იყო მხოლოდ ცხოვრება.

„ეს ცხოვრება ეხლა სულ სხვაგვარია, ვიდრე წინად იყო. ამ ახალ ცხოვრებას ჰქმნის საბჭოთა კავშირი და ზრდის საბჭოთა ადამიანებს. როგორც მე, ისე თქვენ, ქართველ მწერლებს, ვალად გვაწევს ხელი შევუწყოთ ახალი ცხოვრების განმტკიცებას და ახალი ადამიანის სავსებით ჩამოყალიბებას" **).

24 ივლისს მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი გაემგზავრა ზაჰესის დასათვალიერებლად. დაათვალიერა სადგურის ყველა ნაგებობა და საუბარი გამართა მუშებთან. მწერალს აინტერესებდა, როდის დაიწყო ზაჰესის აგება, რამდენი დაჯდა მისი მოწყობა. შემდეგ იგი ეწვია მცხეთის მონასტერს.

დაბრუნდა თუ არა ზაჰესიდან, იგი მაშინვე გაემართა საქართველოს მუზეუმში სადაც დაათვალიერა მხარეთმცოდნეობის განყოფილება.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ალექსი მაქსიმეს ძემ გაისეირნა კოჯორისაკენ. მას თან ახლდნენ მისი შვილი — ინჟინერი მაქსიმე ალექსის ძე პ ე შ კ ო ვ ი და შვილობილი სტუდენტი.

კოჯორში გ ო რ კ ი მ დაათვალიერა ბავშვთა ახალშენები და გაიცნო პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრება.

„კოჯორის პიონერთა ორგანიზაციამ, — სწერს გაზ. „კომუნისტის" რეპორტიორი, — ახალშენების ყველა ბავშვებთან ერთად გ ო რ კ ი ს გა-

*) გაზ. „კომუნისტი", 1928 წ., № 131.

**) გაზ. „კომუნისტი", 1928 წ., № 170.

უმართა საზეიმო შეხვედრა: ბავშვებმა გორკის წაუკითხეს ლექსები და აჩუქეს პიონერთა ხელნაწერი ჟურნალის უკანასკნელი ნომერი შემდეგი სიტყვებით: „ლ ე ნ ი ნ ი ჩვენ გვიყვარს, ლ ე ნ ი ნ ი შენც გიყვარს“.

შემდეგ ბავშვებმა გამართეს ცეკვა-თამაში და სიმღერა. როცა ბავშვთა გუნდმა დაიწყო „მრავალჟამიერ“, გორკის ცრემლები მოერია და წამოიძახა: „ახ როგორ ჰგავს ეს სიმღერა ოცდაჩვიდმეტი წლის წინად ტფილისში მოსმენილ სიმღერას-ო.“

საღამოს ბავშვებმა გ ო რ კ ი ავტომობილამდე მიაცილეს „ვაშას“ და „გაუმარჯოს ძია გ ო რ კ ი ს“ ძახილით.*)

ოცდაოთხ ივლისს, საღამოს რვა საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის სხდომა გ ო რ კ ი ს პატივსაცემად. ხალხით გაჭედილი დარბაზი მაქსიმ გ ო რ კ ი ს გამოჩენას მქუხარე ტაშით შეხვდა.

სხდომა გახსნა ამხ. ს. თ ო დ რ ი ა მ.

გ ო რ კ ი ს პირველი სიტყვით მიმართა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა, შემდეგ ტიციან ტაბიძემ. საპასუხო სიტყვაში მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი მ განაცხადა:

„ოქტომბრის რევოლუციამ დიდი გარდატეხა მოახდინა ყოფილ რუსეთის იმპერიის ხალხებში, მათს ყოფაში ნიადაგი გამოეცალა ძველს ტრადიციებს და ქვეყანა დააყენა ახალ ცხოვრების გზაზე.

საჭიროა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურული კავშირის გაძლიერება. ამ მიზნის მისაღწევად უწინარეს ყოვლისა საჭიროა ერთი მეორის შემოქმედების გაცნობა“ **)

ოცდაოთხ ივნისს, ღამის თორმეტ საათზე მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი გაემგზავრა ერევანს, საიდანაც ტფილისში სამი დღის შემდეგ დაბრუნდა.

ოცდა შვიდ ივნისს მშენებლთა კლუბში შესდგა მუშკორთა, სამხკორთა და ახკორთა შეხვედრა-საუბარი მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს თ ა ნ.

იმავე დღეს, საღამოთი, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში მაქსიმ გ ო რ კ ი ს პატივსაცემად მოწვეულ იქნა ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა. „საბჭო, — ვკითხულობთ გაზეთში, — მქუხარე ტაშის ცემით ამტკიცებს პრეზიდიუმის დადგენილებებს მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს საპატიო წევრად არჩევის შესახებ. საბჭოს დადგენილებით მეორე შრომის სკოლას ამიერიდან ერქმევა მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს სახელი და კრასნოგორსკის ქუჩას, სადაც პირველად ყოფნის დროს ცხოვრობდა ახალგაზრდა პ ე შ კ ო ვ ი — მაქსიმ გ ო რ კ ი ს ქუჩა“ ***)

---

*) გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ., № 170.

**) იქვე.

***) იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე დღეს დილით საქართველოს სამხედრო გზით მაქსიმ გორკი რუსეთში დაბრუნდა.

6.

1929 წლის ზაფხულში ალექსი მაქსიმეს ძემ ორიოდე დღით კვლავ ინახულა „თავისი მეორე სამშობლო".

ვის მოუვიდოდა მაშინ აზრად, რომ მსოფლიო პროლეტარიატის და მოწინავე კაცობრიობის უსაყვარლესი მწერლის ბიოგრაფიაში ამ რიცხვით ჩაიწერებოდა მეექვსე ჩამოსვლა, როგორც უკანასკნელი ჩამოსვლა, და შვიდიოდე ზაფხულის შემდეგ ურნა მისი ნეშტით კრემლის კედელში დასატანებელი გახდებოდა.

ვლ. ასათიანი

# ბ. ბელინსკი და ქართული კრიტიკა

(დაბადებიდან 125 წლის შესრულების გამო)

ბ. ბელინსკი რუსეთის უნიჭიერესი, უდიდესი კრიტიკოსი და გან-მათავისუფლებელი მოძრაობის პირველ მედროშეთაგანია. ის პირველი მებრძოლი კრიტიკოსია, რომელმაც ლიტერატურის საკითხები თავის ლოზუნგად ყალრესად პრინციპიალურ-პოლიტიკურ სიმაღლეზე აიყვანა და მწერლობას უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა საზოგადოებრივი ცხოვრების ვარდაქმნის საქმეში. თითქმის საუკუნემ განვლო ბ. ბელინსკის მოღვაწეობის შემდეგ, და ეხლაც ბობოქარი ბესარიონის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები არა ჩვეულებრივი ამაღელვებელი დამაჯერებლობით იკითხება. ყურადღება ბ. ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი არასოდეს არ შეიძლება საარქივო ცნობის მოყვარეობით განისაზღვროს. უდიდესი დემოკრატი კრიტიკოსის ნაწერები დღესაც ინარჩუნებს განსაკუთრებულ აქტუალურ მნიშვნელობას. ის დღესაც ცოცხლობს, და სწორედ სოციალიზმის ქვეყანაში ჰპოულობს ღირსეულ შეფასებას. ბ. ბელინსკის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა ნიკოლოზ I რეაქციის პერიოდში იშლება იმ დროს, როდესაც სულის შემხუთავი პოლიციური რეჟიმი სდევნის ყოველგვარ პროგრესიულ-მოწინავე მთავრობისთვის ოდნავ საეჭვო იდეებსაც კი. ამ უსასტიკეს ცემზურის პირობებში ახერხებს ის იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეების გატარებას. მებრძოლმა, „მოუსვენარმა“, მოწინავე იდეებისათვის თავდადებულმა კრიტიკოსმა, თავი დაალწია იდეალისტურ ფილოსოფიის გავლენას, და გასული საუკუნის 40 წლებიდან რევოლუციურ იდეების მებაირახტეი შეიქმნა ლიტერატურაში. თუ როგორი ზიზღით და აღშფოთებით იგონებდა შემდეგ ბელინსკი თავის „სინამდვილესთან შერიგების“ თეორიას, ამას მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში გამოქვეყნებული წერილები ამტკიცებს. ბ. ბელინსკი თავის დროის მოწინავე იდეების უმაღლეს საფეხურზე ავიდა; განსაცვიფრებელია ის ალლო, გამჭრიახობა და აზრის სითამამე, რომელსაც ის იჩენდა ლიტერატურული და საზოგადოებრივი საკითხების გარჩევისას. გენიალური კრიტიკოსის სიძლიერე სწორედ მის იდეურ მოწინავე პოზიციებში იყო. ლენინის სიტყვით ბელინსკი შეი-

ქნა „აზნაურობის სავსებით განდევნის წინამორბედად ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში“. საშინელი რეაქციის დროს „ეროვნული“ განმათავისუფლებელი აზრი თავშესაფარს ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ჰპოებდა. მხოლოდ არაპირდაპირი, ირიბული გზებით შეიძლებოდა უსასტიკეს საცენზურო პირობებში თავისუფალი აზრის გატარება. ბელინსკის სძულდა და სძაგდა თვითმპყრობელობა, ისე როგორც ეს საერთოდ მოწინავე იდეებით გატაცებულ „დიდი გულის“ ადამიანს შეეძლო. „სოციალურობა ან სიკვდილი“ გატაცებით გაიძახის „მდტრინავი“ ბესარიონი. წყვდიად, მძიმე, ნიკოლოზ I და ბენკენდორფის სასტიკი რეჟიმის დროს ბელინსკი განსაცვიფრებელი რევოლუციური ალღოთი იკაფავს გზას. უკიდურესი იდეალიზმიდან, ჰეგელის ფილოსოფიის გატაცებიდან ბ. ბელინსკი ფეირბახიანულ მატერიალიზმის და სოციალიზმის იდეამდის მივიდა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პირველი პერიოდის ბელინსკი ორტოდოქსალური ჰეგელიანელი იყო და ყოველმხრივ ამართლებდა ცარიზმის უსასტიკეს რეჟიმს. მისი ეს ფილოსოფიური გატაცება უფრო შემთხვევითი ხასიათისაა. და დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამჩნევს იმ შინაგან მღელვარებას თავის თავიანთან, რამაც საბოლოოდ ბელინსკის ბრწყინვალე რევოლუციული სახე გამოკვეთა. მაგრამ დიდი იყო სინანული ამ შემთხვევითი გატაცებისათვისაც: მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით ის ბოტკინს წერდა: „ვწყევლი ჩემ საზიზღარ მისწრაფებას, შევრიგებოდი საზიზღარ სინამდვილეს“. ბელინსკი მისთვის ჩვეული გატაცებით, თავს ესხმის რუსეთის სინამდვილეს. სადაც ადამიანურ ღირსებას ჩალის ფასი არ აქვს. მას არ შეეძლო ნიკოლოზის დროინდელი რუსეთის „სინამდვილის მიღება“. „მე ახლა ახალ უკიდურესობაში ვარ — წერდა ის იმავე ბოტკინს 1841 წ. ეს სოციალიზმის იდეაა, რომელიც ჩემთვის იდეათა იდეად გადაიქცა. ყოფის ყოფად, საკითხთა საკითხად, ცოდნის და რწმენის ალფად და ომეგად“; ეს არაა ლამაზი ჟესტი: ბელინსკისათვის უჩვეულოა სკეპტიციზმი, ჟონგლიორობა და მანევრირება. ის ყოველთვის პირდაპირია, აშკარა და გულწრფელი. ბ. ბელინსკი ოცნებობდა დიდ საზოგადოებრივ სამოქმედო სარბიელზე. და არამც თუ ოცნებობდა, არამედ იბრძოდა ამ თავისუფლებისათვის. ვიწრო და შეზღუდული იყო ამ ბრძოლის ასპარეზი. ერთეულები თუ ახერხებდენ თანადროულობის ჭაობიდან თავის დაღწევას და მონობის უღელის ქვეშ მყოფი ხალხის ინტერესების გამოხატვას. ამ ჩვეულთა შორის ტიპიურია ბ. ბელინსკის ზრახვები: „მე მგონია მომეცით მე საზოგადოებისათვის მოქმედების თავისუფლება, თუ გინდ ათი წლით, და შემდეგ თუ გინდ ჩამომახრჩონ, მე შემეძლება სამ წელიწადში დავიბრუნო დაკარგული სიყვაწვილე... ჩემში განვითარდა რაღაც მხეცური, გიჟური, ფანტასტიკური სიყვარული თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობისადმი, რომელიც შეიძ-

ლება განხორციელებულ იქმას, მხოლოდ სიმართლისა და სიკეთის საფუძველზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. მე გავიგე სოციალური რევოლუცია, მე გავიგე შარატის სისხლიანი სიყვარული თავისუფლებისადმი... *მე ვიწყებ ყაცობრიობის სიყვარულს მარატისებურად, რომ ბედნიერად გავხადო* საზოგადოების მცირე ნაწილიც კი. მე მგონია, ცეცხლითა და მახვილით გავანადგურებდი დანარჩენს... აღარ იქნებიან მდიდრები, აღარ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები, არც ქვეშევრდომნი, მაგრამ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები."... „თავისუფლებისადმი სისხლიანი სიყვარულის" გაბედული ხმა აჯანყებისათვის მოწოდების პირველი გაბედული სიტყვაა რუსულ ლიტერატურაში. ბ. ბელინსკის არ შეეძლო უფრო შორს წასვლა. ეს სტრიქონები 100 წლის წინად იწერებოდა რუსეთში. ლიტერატურის მესაჭეობა ისევ აზნაურული მწერლობის ხელში იყო, სულიერი ესთეტიზმით გატაცებისა და საზოგადოებრივი აზრის მდუნე ატმოსფეროს პირობებში, ბელინსკის გაბედული ხმა განმარტოებულად გაისმის ლიტერატურაში. რევოლუციონერი „რაზნოჩინელი" მასიურად მხოლოდ 20 წლის შემდეგ გამოვიდა; ამიტომ ბუნებრივია ბელინსკის დრტვინვა და შფოთვა. ლიტერატურა ბედნიერი გამონაკლისი იყო, სადაც შეიძლებოდა თავის გულის თქმის ოდნავ გამომჟღავნება. 40 წლების ლიტერატურა თავის სპეციფიკურ საშუალებებით ახერხებდა სინამდვილის გამოსახვას. ლიტერატურის სინამდვილესთან, ცხოვრებასთან დაახლოვება ბელინსკის ძირითადი მოთხოვნაა. ხალხურობა და სინამდვილესთან ახლოს მისვლა ბელინსკის აზრით ძირითადია ყველა მწერლისათვის. მან ღრმა პრინციპული არგუმენტებით დაასაბუთა რეალიზმის უპირატესობა, ყველა წინა და იმ დროინდელ ლიტერატურულ სკოლებზე. სინამდვილეს დაცილებული ლიტერატურა ბ. ბელინსკის აზრით აბსტრაქტული და სქემატიურია, ის არაა „თვითმყოფადი" და ნაციონალური. ის დროისა და სივრცის გარეშე ცდილობს დადგომას. ამიტომ მას ნამდვილი ლიტერეტურა არ შეიძლება ეწოდოს. ბელინსკისათვის ნაციონალურ-რუსული არაა ნაციონალისტური, რუსეთისათვის რაღაც განსხვავებული და სხვა ხალხის საწინააღმდეგო. ბელინსკისათვის ნაციონალური, ხალხურია, სინამდვილის შემსწავლელია, ცხოვრებასთან დაახლოებული და კონკრეტული. მან თავის მახვილი კრიტიკით რეალიზმის განმტკიცებას შეუწყო ხელი. ბელინსკისათვის სხვაგვარი ჭეშმარიტი ლიტერატურა არ არსებობს, ამიტომ ბუნებრივია გენიალური კრიტიკოსი ნამდვილ რუსულ ლიტერატურას ა. პ უ შ კ ი ნ ი თ იწყებს. პუშკინის წინამორბედებმა: ო ზ ე რ ო ვ მ ა, ბ ა ტ ი უ შ კ ო ვ მ ა და ჟ უ კ ო ვ ს კ ი მ მართალია თანდათანობით დააღიწეს თავი განყენებულ რიტორიკულ პოეზიას და სინამდვილე დაუახლოვდენ, მაგრამ ის რაც მათში მოცემული იყო როგორც მისწრაფება, პ უ შ კ ი ნ შ ი მიღწევად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ რეალიზმის მწვერვალად ბელინსკი გოგოლს სახავს, რომელმაც „რუსული სინამდვილე გამოსახა განსაცვიფრებელი სიზუსტით“ ამ გამარჯვებას გოგოლმა მიაღწია „ხელოვნების განსაკუთრებული დაახლოებით სინამდვილესთან, დიდი იდეალების გარეშე. ამისათვის საჭირო იყო მთელი გულისყურის მასებისაკენ მიმართვა, საჭირო იყო ჩვეულებრივი ადამიანების გამოხატვა. ამიტომაა ბ. ბელინსკი გოგოლს თვლის უდიდეს მწერლად, უდიდეს შემოქმედად და იცავს მის შემოქმედებას „წმინდა ხელოვნების“ ძოტრფიალეთა თავდასხმებიდან.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ბელინსკი სავალდებულოდ არ თვლიდა მწერლისთვის დიდი იდეალების საჭიროებას.

ბ. ბელინსკი უიდეო და უიდეალო მწერლობის დაუძინებელი მტერია, მაგრამ საკითხი სულ სხვაგვარად ისმის ბელინსკის ეპოქისთვის. ხელმძღვანელ როლს ჯერ კიდევ თავადაზნაურული მწერლობა ასრულებდა. დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენლები რუსულ ლიტერატურაში მხოლოდ გასული საუკუნის 60 წლებიდან აჩენენ კვალს. ბ. ბელინსკისათვის ლიტერატურას ჰქონდა დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა, რომელსაც მწერალი სინამდვილესთან ახლო მისვლით შეძლებდა. დიდ რეალისტ მწერალს კლასობრივად განსაზღვრულობის მიუხედავათ არ შეეძლო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების უგულებელყოფა თავის შემოქმედებაში. და „დიდი იდეალების გარეშე“-ც შეიძლებოდა მის თხზულებებში რუსეთის მახინჯ სინამდვილეს თავის გამოხატულება ეპოვა, როგორც ეს დიდი მხატვრის, გოგოლის თხუზულებებშია. ამ შემთხვევაში ბელინსკი იჩენს არაჩვეულებრივ დაკვირვებას და შორსმჭვრეტელობას. ბელინსკის ამ ხაზს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეალიზმის განვითარების საქმეში და განა გოგოლის, ტურგენევის და სხვა რეალისტ მწერლების ზრდა-განვითარებაზე ბელინსკიმ არ მოახდინა გავლენა?

ბ. ბელინსკი არაჩვეულებრივად პრინციპულია ლიტერატურის საკითხებში. მისთვის ლიტერატურა არაა თვით მიზანი, მხოლოდ ესთეტიკური განცდების ამღძვრელი, ბელინსკი თავის ეპოქის განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაზრისით აფასებს ლიტერატურულ მოვლენებს. მაგრამ მისთვის უცხოა პისარევის ესთეტიური ნიჰილიზმი. ბელინსკის დროს ლიტერატურა ყველაზე უფრო მახვილი ბრძოლის ფორმაა. ამიტომ ის ასე გააფთრებით იბრძვის მწერლის მოწინავე იდეურობისათვის. როდესაც გოგოლმა თავის კონსერვატული წიგნი „მეგობრებთან მიმოწერა“ გამოაქვეყნა, სადაც მწერალი შეეცადა ღმერთის კურთხევით გაემართლებია რუსეთის სინამდვილე, საშინლად აღშფოთებულმა საფლავის პირას მდგომმა კრიტიკოსმა მიმართა მას ცნობილი წერილით.

„ეგებ თქვენ ავათ ხართ — და თქვენ გესაჭიროებათ მკურნალობა ან... ვერ ვბედავ დავამთავრო ჩემი აზრი!.. ქადაგებთ მათ[illegible]ებას, მოციქული ხართ უვიცობის, ობსკურანტიზმ[illegible] და [illegible]ადის, თათრულ ჩვეულებათა პანაგერიკი — რას შვებით! დაიხედეთ წინ, თქვენ ხომ უფსკრულის წინაშე იმყოფებით“... ბელინსკი აღნიშნავს რა გოგოლის წიგნის დიდ მარცხს, აფრთხილებს მწერალს: „ხალხი ამ შემთხვევაში მართალია: ის ხედავს ბელადებს, დამცველებს და მხსნელებს რუსეთის თვითმპყრობელობიდან და ამიტომ ყოველთვის მზადაა აპატიოს მწერალს ცუდი წიგნი, არასოდეს არ აპატიებს მას ბოროტების მომტან წიგნს. ეს ამტკიცებს, რამდენად მძლავრია ჩვენს საზოგადოებაში თუმცა ჯერ ჩანასახის სახით, ახალი, ჯანსაღი გრძნობა, და ეს იმასაც გვიჩვენებს, რომ მას მომავალი აქვს. „ბელინსკი ურჩევს გოგოლს ხელი აიღოს ამ წიგნზე, რადგან საქმე პიროვნული არაა; ის „ჭეშმარიტებას, რუსეთის ხალხს“ ეხება. ლენინმა გენიალური შეფასება მისცა ბელინსკის ამ წერილს: „წერილი გოგოლთან“, რომელიც აჯამებს ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას, იყო ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი უცენზურო დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისა; რომელიც ინარჩუნებს უდიდეს სასიცოცხლო მნიშვნელობას დღესაც“. ლენინი ბელინსკის ყმა-გლეხთა განწყობილების გამომხატველად თვლის და მართლაც ბ. ბელინსკიმ თავის უკანასკნელ წერილში განსაკუთრებული სიმძაფრით და ენერგიით გამოხატა პროტესტი თვითმპყრობელურ მთავრობისა და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ბუნებრივია დიდ დემოკრატ კრიტიკოსს დაემსახურებია პოლიციის ფხიზელი ყურადღება.

პანაევის მოგონებით, მცირე პროცესიას, რომელიც ვოლკოვის სასაფლაოსაკენ მიაცილებდა „მოუსვენარი“ ბესარიონის ცხედარს, შეუერთდა 3-4 უცნობი. ისინი სასაფლაოზე დარჩენ დასაფლავების ბოლომდის და გაფაციცებით ადევნებდენ თვალყურს ხალხს. ეს უცნობი ხალხი, „III განყოფილების“ აგენტები იყვნენ. ამ განყოფილების უფროსმა დუბელტმა მომაკვდავ კრიტიკოსს კიდეც მიაკითხა ჟანდარმის პირით III განყოფილებაში „მისაპატიჟებლად“, და ეჭვს გარეშე ბ. ბელინსკისაც იგივე ხვედრი ელოდა, რაც III განყოფილებამ 1862 წელს დიდ რევოლუციონერ მოაზროვნეს ჩერნიშევსკის არგუნა.

მეფის მთავრობა დიდ კრიტიკოსში დიდ მოწინააღმდეგეს ხედავდა, ამიტომ ბუნებრივია მისი თხზულებები იდევნებოდა, აკრძალული იყო ბ. ბელინსკის სახელის ხსენებაც კი. 60 წლებშიაც კი ნ. ჩერნიშევსკის, მისი აზრები მოყავდა „40 წლების დიდი კრიტიკოსის“, „გოგოლის პერიოდის დიდი მოაზროვნის“ და სხვა ნიშნეული სახელით.

ბელინსკის იდეური მემკვიდრეობის გამგრძელებლები იყვნენ 60 წლების რევოლუციონერ-რაზნოჩინელები ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის ხელმძღვანელობით. ბელინსკი ამ თაობის უშუალო წინა-

ძორბედია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩერნიშევსკიცა და დობროლიუ-ბოვიც გახსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ეკავშირებოდა ბელინსკისადმი. მათი ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის ჩამოყალიბებაც ბელინსკის ნაწერთა უშუალო გავლენით ხდება. ლიტერატურის სპეციფიკის, ფუნქციონალობის, ტიპიზაციის საკითხები და რუსული ლიტერატურის ისტორიის განვითარების სქემა რევოლუციონერ-რაზნოჩინელებმა ბელინსკის ნაწერების უშუალო ხელმძღვანელობით დააძუძავეს. ცხადია იდეურად ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლუბოვი უფრო მაღლა იდგენ ბელინსკზე, გარკვეული საზოგადოებრივი ვითარების გამო. ქრონოლოგიურად მათ ათეული წლები აცილებდა ერთმანეთს, ძაგრამ იდეური ხათესაობა და მსგავსება ამ ძოლვაწეთა შორის თვალსაჩინოა.

ნ. დობროლუბოვი ჟურნალ „სოვრემენიკ"-ის მე-4 წიგნში 1859 წ. წერდა: „რაც არ უნდა მოხდეს რუსულ ლიტერატურაში, როგორ წარმატებითაც უნდა განვითარდეს ის, ბელინსკი ყოველთვის იქნება მისი სიამაყე, ბისი დიდება, ბისი დაძამშვენებელი. აქამდის ბისი გავლენა ნათლად იგრძნობა ყველაფერში, რაც კი რამ კეთდება ჩვენში ლამაზი და კეთილშობილი; აქამდის თითოეული ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწე აღიარებს, რომ თავის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილში დავალებულია ბელინსკით. ლიტერატურულ წრეებში... იშვიათად თუ ნახავთ ხუთ-ექვს ბინძურ და გათახსირებულ პირს, რომლებმაც გაბედოს პატივისცემის გარეშე მისი სახელის ხსენება.

რუსეთის ყველა კუთხეში არის ხალხი, ამ გენიალურ ადამიანისადმი ენთუზიაზმით აღვსილი და რა თქმა უნდა, ესენი—რუსეთის საუკეთესო ადამიამებია"... 60 წლების განმანთავისუფლებელი მოძრაობის დროს ამ „რუსეთის საუკეთესო ადამიანებმა" ძალზე შეუწყვეს ხელი ბ. ბელინსკის ნაწერთა პოპულარიზაციას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ბ. ბელინსკი იდეურად 60 წლების რევოლუციურ-რაზნოჩინელებს ენათესავებოდა. გლეხთა რეფორმების დროს ცენზურის სიმკაცრის დროებით ბაინც ოდნავ შეზუსტებისას. ბელინსკის სახელი ლიტერატურულ ცხოვრებაში წინა პლანზე იწევს.

მე-60 წლების ქართულ მოღვაწეთა ახალი თაობა რუსეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ აღიზარდა. ჩვენი თერგდალეულებისათვის უცხო იყო „გლეხური სოციალიზმის" იდეები, რომელსაც რუსეთის რევოლუციური „რაზნოჩინელები" ქადაგებდენ, მაგრამ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი აზრები მათ შეითვისეს. განსაკუთრებით თერგდალეულთა ლიტერატურული კონცეპცია რუსეთის მე-60 წლების მოღვაწეთა იდეური გავლენით ჩამოყალიბდა.

1860 წელს დაწერილ ილიას პირველი კრიტიკულ წერილს „ორიოდე სიტყვა „შეშლილი"-ს თარგმანზე" უთუოდ ეტყობა ბ. ბელინსკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გავლენა. წერილის საერთო ხაზი ბ. ბელინსკის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებაზეა დამყარებული. წერილის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე ილაშქრებს ცრუ მიმძაბველობის წინააღმდეგ. ცხობილია ბ. ბელინსკის აზრი, მისი პირველი წერილიდან დაწყებული ლიტერატურის თვითმყოფობისა და ნაციონალური ლიტერატურის შექმნის შესახებ. ი. კოზლოვის შემოქმედების შეფასების დროს ილიას ბევრი რამ აღებული აქვს იმ რეცენზიიდან, რომელიც ბელინსკიმ ი. კოზლოვსკის ლექსთა კრებულის მესამე გამოცემასთან დაკავშირებით დაწერა (1840). მართალია ი. ჭავჭავაძის ტონი უფრო პოლემიკურია, მაგრამ ეს გარემოება საქმის ვითარებას არ ცვლის. ბ. ბელინსკი ი. კოზლოვის „შეშლილს" უფერულ და სუსტ ნაწარმოებად თვლის

„ამ ნაწარმოებში არავითარი შინაარსი არაა. ამისათვის ის ძალზე გაჭიანურებული და მოსაბეზრებელია. „შეშლილში" არავითარი ჭეშმარიტება არაა. ნაწარმოების გმირი—გერმანელი ქალია, ცხვრის ქურქში, და არა სოფლელი რუსის გოგო". ბელინსკი უსაყვედურებს კოზლოვს ერთფეროვნებას, მისტიკურ და ბნელ სიუჟეტებს, საიქიო ცხოვრებისადმი რწმენას და სხვა. ი. ჭავჭავაძის არგუმენტები კოზლოვის შემოქმედებისა და კერძოდ „შეშლილის" შესახებ ძალზე უახლოვდება ბელინსკის შეხედულებებს. ბელინსკიმ უთუოდ სწორად შეაფასა კოზლოვის შემოქმედება, რაც საერთოდ ბელინსკის შეხედულებიდან გამომდინარეობს. ილიამ თავის პირველ კრიტიკულ წერილში ბელინსკის ეს შეხედულებები მოიმარჯვა და გააკრიტიკა როგორც კოზლოვის „შეშლილი", აგრეთვე მისი ქართული თარგმანი. საინტერესოა კრიტიკის თვით პრინციპული მხარე. ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს ცრუ კლასიკური, რომანტიკული და სენტიმენტალური სკოლების წინააღმდეგ: ამტკიცებს, რომ ქართული ლიტერატურისათვის ამ განვლილი სალიტერატურო სკოლების შემოტანა არაა საჭირო. ი. ჭავჭავაძე აქ მოხერხებულად აყენებს საკითხს რეალიზმის უპირატესობის შესახებ, რასაც შემდეგ წერილებში ის უფრო ღრმად ასაბუთებს. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის კრიტიკამ დიდი აურზაური გამოიწვია „მამათა" ბანაკში. კონსერვატულმა თაობამ იგრძნო ახალი ძალის შეჭოჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალი თაობის იარაღი დაზვერა და დაახლოებით მიაგნო იმ არსენალს, საიდანაც თერგდალეულებს იერიშები მოჰქონდათ. სწორედ ამ ბრძოლის დროს დახავსებულ ჟურნალ „ცისკარში" ბ. ბელინსკის სახელმა იელვა. თ. გიორგი ბარათოვიმ (ბარათაშვილმა) 1861 წ. № 6 „ცისკარში" ილია ჭავჭავაძის ლექსები „გაარჩია" და თავის გულის ტკივილი „ცისკრის" უმადურ თანამშრომელ ილიაზე ესე გამოხატა: „უფ. ჭავჭ. ნაცვლად მადლობისა, რომ იმის ლექსებს ყური არავინ არ ათხოვა, შეემზადა პეტერბურღში, როგორათაც დონკიხოტი: მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მაგიერად, ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარალ-

ბული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ და ძალ ავიღოთ დაფნის გვირგვინი". გიორგი ბარათაშვილი, თუ ბარათოვი, სწორედ ... ილია ჭავჭავაძის შეიარაღებას ბელინსკის ტომებით. მაგრამ საყურადღებოა ამ „კრიტიკის" ბელინსკისადმი დამოკიდებულება. კონსერვატული თაობა, ცოდნა-მომზადებით თუ არა, ყნოსვით მაინც გრძნობდა ბელინსკის ტომების საშიშროებას. ბუნებრივია, რომ ის უარყოფითადაა განწყობილი დიდ დემოკრად კრიტიკოსისადმი და გამქირდავი კილოთ ლაპარაკობს მის შესახებ. აღსანიშნავია ანალოგიური დამოკიდებულება „მამებისა" ბელინსკისადმი რუსეთში გასული საუკუნის 60 წლებში.

„მამებისადმი" პასუხი ილია ჭავჭავაძემ ბელინსკის ნაწერიდან ამოღებული ეპიგრამით დაიწყო. მეტად მკვეთრი ადგილია შერჩეული იმ დროინდელი ქართული ლიტერატურის დასახასიათებლად. „ცისკრის" მესვეურნი ქართულ ლიტერატურას, მართლაც „საცეკვაო დარბაზად მოწყობას" უპირობდენ, სადაც ფეოდალური ეტიკეტი გადაჭარბებული სიზუსტით იქნებოდა დაცული, და სადაც „აზრი მოდის ფრაზებით" იქნებოდა შეცვლილი. „ცისკრის" რედაქციამ ამ ეპიგრამას ვრცელი და მეტად საყურადღებო შენიშვნა გაუკეთა: „ეს ეპიგრამი აქ უადგილოა: ეს მიეწერება იმ დროს, როდესაც ბელინსკისაგან მოხსენებული ნაკლულოვანებების ზოგიერთს ევროპიის საზოგადოების ზნეობაში იყვნენ და იმ ზნეობეებითგან შემოვიდნენ მათ სიტყვიერებაში: პირველი მაგალითი უჩვენა ფრანციამ, რომელსაც ჰბაძავდა თვით რუსეთიცა. ქართული სიტყვიერება ჯერეთ არ დაფუძნებულა, ჯერეთ არა .რაი „მიმართულება" მას არ მიულია. მაშასადამე თუ ჩვენის საზოგადოების ზნეობაში ის ნაკლულოვანებანი არიან შემოტანილნი, იმათ ჯერ ლიტერატურას ვერ მივაწერთ". ცხადია ეპიგრაფის აზრი ვერ იქნა გაგებული, ან უკეთ, ის გაგებული იქნა მეტად ნატურალურად და პრიმიტიულად. კიდევ უფრო კურიოზულია რედაქციის შემდეგი განმარტება: „ცისკრის" რედაქცია, მართალია, მოიწვევს ქალებს საწერად. ვითამც ამ შემთხვევაში დასაძრახისი რა არის. საქართველოს შვილნი — კაცნი და ქალნი არიან ნიჭიერნი და ამ მოწვევაში მხოლოდ ის აზრი სძევს, რომ, თუნდა თავდაპირველად ცუდათ სწერონ „ცისკრის" თანამშრომელთა (ეს აუცილებელია) თავის დროზედ ისწავლონ და განვითარდნენ". უფრო საყურადღებოა რედაქტორის შენიშვნები ბ. ბელინსკის შესახებ. უ. ჭავჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება: თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ როგორათაც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმის ბაძვა არ არის მოსაწონი, და თვით რუსეთში ეხლა ვინა ჰბაძავს იმასა". ამ შეურაცხყოფილ ბავშვურ მსჯელობაში სჩანს „ცისკრის" თანამშრომელთა დამოკიდებულება უდიდესი კრიტიკოსისადმი. ჟურნალმა ვერ გამოიჩინა სრული თავხედობა. — ბელინსკი გიჟად და უვიცად გამოეცხადე-

ბია, მაგრამ მის ლირსებას ისეთი შენიშვნა გაუკეთა, რომ ბელინსკი საერთოდ და განსაკუთრებით ქართული მწერლობისათვის „ზედმეტ ძიებაწუხებელ ტვირთად ჩათვალა. ჟურნალი „ცისკარი“ ძალზე აღტაცებულია თავის აღმოჩენით. ახლა ყველაფერი ბელინსკიდან ჰგონია ნასესხები, განსაკუთრებით მახვილი და გამკილავი გამოთქმები. ბელინსკის გავლენა ყოველ სიტყვაში სჩანს. „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა; ვისაც თავის დღეში... პასუხს ერთად გავცემდი... ზომიერი ლუკმა გამოვიდოდა...“

ბელინსკის უკბილო კიცხვა ცისკრის რედაქციას ვალად აქვს აღებული. „სჩანს, ამასაც ბელინსკი გვიმტკიცებს. უნდა დავიჯეროთ. ბელინსკი უპირატესი ავტორიტეტი ყოფილა“ „შე დალოცვილო, აქაო და ბელინსკი ილანძღებაო. მაშ ლანძღვა ძღარ უნდა იყოს. მაგრამ „ცისკარი“ მოკლებულია ენარს ენიშვნილოვანი წინააღმდეგობა გაუწიოს ილიას არგუმენტებს და ასეთ უშინაარსო რეპლიკებს ესვრის მას. მართალი იყო „ცისკრის“ რედაქცია, რომ ბ. ბელინსკის დიდ გავლენას აღნიშნავდა ილ. ჭავჭავაძის ამ წერილზე. მაგრამ რედაქცია „პასუხში“ წამოყენებულ პრინციპულ საკითხებს გვერდს უხვევდა და წვრილმანი უხერხემლო შენიშვნებით კმაყოფილდებოდა. პრინციპულ ლიტერატურული საკითხების გარჩევისას კი ილ. ჭავჭავაძე ბ. ბელინსკის დებულებიდან გამოდიოდა, რაც „ცისკრის“ რედაქციას შეუმჩნეველი დარჩა. ილ. ჭავჭავაძე უშარტავდა ბ. ჯორჯაძეს ხელოვნების არსს და წერდა: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმითი განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებს ხმარობენ, როგორც მუსიკა ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა“.

ეს განსაზღვრა როგორც თვითონ ბ. ბელინსკიც შენიშნავდა, პირველად მან შემოიღო. „ხელოვნების იდეა“-ში ის წერს: „ხელოვნება არის უშუალო განხორციელება ჭეშმარიტებისა, ან აზროვნება სახეებში. ხელოვნების ამ განსაზღვრის განვითარებაში მდგომარეობს ხელოვნების მთელი თეორია: მისი არსი, მისი განაწილება დარგებად“. „ცისკრის“ რედაქცია ილ. ჭავჭავაძის განსაზღვრის შესახებ შენიშნავდა „არც გვესმის ეს სიტყვები: „ხელოვნება არის ვანხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“.... როგორ თუ სახეში?. ანუ როგორ თუ განხორციელება. სახე თქვენს აზრში მხატვრობას ხომ არ ნიშნავს“ და სხვ. ცხადია, „ცისკარმა“ ვერ გაიგო ამ განსაზღვრის აზრი და ვერც ის, რომ მისი ავტორი ბელინსკი იყო. ამ პასუხის მთელი არგუმენტაცია ბელინსკიდან გამომდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ მე-60 წლების ქართველ მწერალთა შორის ბელინსკის ესთეტიკური მოძღვრების საუკეთესო მცოდნე ილია ჭავჭავაძე იყო. განა კამათი ენისა და მხატვრული ლიტერატურის ხალხურობის საკითხზე ბ. ბელინსკის გავლენით არ წარმოებდა. „პოეზია ხალხის ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გამომთქმელია. ჯერ უნდა ხალხმა დაამუშაოს თავის სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვნი, მიაღწიოს მსოფლიო თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად უთქვენ ბრძანებელნოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისა“ ანალოგიური აზრი აქვს ჯამოთქმული ბელინსკის მრავალ ადგილას ლიტერატურის დანიშნულებ[illegible] შესახებ. ბ. ბელინსკიმ პირველად გაარკვია რუსულ კრიტიკაში მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის ადგილი. „მეცნიერი ლაპარაკობს სილოგიზმებით, პოეტი სახეებით და სურათებით, ლაპარაკობენ კი ისინი ერთსა და იმავეზე. ერთი გვიმტკიცებს, მეორე გვიჩვენებს და ორივე გვარწმუნებს, მხოლოდ ერთი ლოგიური საბუთებით, მეორე სურათებით“. ბ. ბელინსკი ხაზს უსვამს მეცნიერებისა და ხელოვნების შემეცნებით [illegible]. „ხელოვნებას რომ საზოგადოებრივი ინტერესის სამსახური წაართვა, ეს ნიშნავს კი არ აამაღლო, არამედ მოსპო ის“ წერდა ბელინსკი. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში ილია წერდა: „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ლონ[illegible]ებათ. მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ..... „მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“. მსგავსება პრინციპიალურ დებულებაში მეტად თვალსაჩინოა და აშკარა. ჟურნალი „ცისკარი“ განაგრძობდა ყიჟინს ილიას ორგანოს „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ. „არა უფ[illegible]ჭავჭავაძე ჩვენ და თქვენა ამ შემთხვევაში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვადგება. ჯერ კოჟიც იმას უნდა მიგვიგავდეს და მერე მივბაძოთ....“ წერდა ქერელი ბექა (ანტონ ფურცელაძე) ჟურ. „ცისკრის“ 1863 წლის მარტის ნომერში.

ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძემ ფართო ადგილი დაუთმო ბ. ბელინსკის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ შეხედულებათა პოპულარიზაციას. სპირიდონ ჩიტორელიძემ (მ. ყიფიანმა) „საქართველოს მოამბეში“ სპირიდონისა და თადეოზის დიალოგის სახის წერილების სერია მოათავსა სხვადასხვა საკითხზე, სადაც ხშირ შემთხვევაში ბ. ბელინსკის მთელი ადგილებია მოყვანილი უცვლელად. არც ერთ ქართველ მოწინავე კრიტიკოსს გვერდი არ აუხვევია და არც შეეძლო აეხვია ბელინსკისთვის, რის გამო ბ. ბელინსკი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და საერთოდ ლიტერატურულ ცხოვრებაში ღრმად შეიჭრა. ბელინსკის კრიტიკის იდეური გავლენით ჩამოყალიბდა ქართული კრიტიკა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებას.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ფალავა

# ოთხი წელი აკაკისთან

ცხრაასიან წლებში 1900-დამ 1904 წლამდე, აკაკი მეტწილად ტფილისში ცხოვრობდა. ხაფხულობით მიდიოდა სხვიტორში. ტფილისში ჩერდებოდა სოსიკო მერკვილაძესთან, ქაშვეთის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლში (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

სოსიკოს გამოყოფილი ჰქონდა აკაკისათვის წინა მხარეს პატარა ოთახი, რომელსაც „აკაკის ოთახს" ვუძახოდით.

მაშინ მე ქართულ გიმნაზიაში ვსწავლობდი და სოსიკო მერკვილაძესთან ვცხოვრობდი. როცა აკაკი ტფილისიდან წავიდოდა ხოლმე, მე „აკაკის ოთახში" ვწვებოდი, როცა ჩამოვიდოდა — გვერდით მეორე ოთახში.

დილაობით აკაკის არ ვხვდებოდი, რადგან აკაკი გვიან იღვიძებდა. გაღვიძების შემდეგ უთუოდ წერდა. საერთოდ აკაკის წერა დილით უყვარდა. დღისით ან საღამოთი იშვიათად წერდა. უქმე დღეს აკაკის გამოსვლამდე ჩაის არავინ სვამდა — ვუცდიდით აკაკის გამოსვლას. ეს იცოდა აკაკიმ და თუ წერით ძალიან არ იყო გატაცებული, უფრო ადრე გამოდიოდა.

სადილად მხოლოდ ხანდახან რჩებოდა. საღამოთი კი, თუ თეატრში არ იყო, უსათუოდ სტუმრად მიდიოდა. ღამე ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. როგორც კი შეაღებდა თავის ოთახის კარს, მე მაშინვე ვიღვიძებდი და ვუგდებდი ყურს — უქეიფოდ ხომ არ იყო ან რამე ხომ არ სჭიროდა.

ეს ყველა იმიტომ, რომ არ მახსოვს ოთხი წლის განმავლობაში აკაკის ვინმე შეეწუხებიოს რამეთი. მოსამსახურეს არ დაუძახებდა და არ დააყენებდა, რაც არ უნდა სჭირებოდა.

ოთახში პირსაბანი არ ედგა. დილით, როდესაც მოსამსახურე გოგო პირისაბან წყალს შეუტანდა, აკაკიმ არ იცოდა, რა ექნა. მაშინვე გამოელაპარაკებოდა და ოხუნჯობას დაუწყებდა. პირის დაბანის შემდეგ დაიწყებდა გაუთავებელ მადლობის გადახდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ ძილი ბავშვივით იცოდა, უთუოდ ან ბალიშზე ჩაეთვლიმა, ან ადავარდნილი ლოგინიდან, ან საბანი.

როგორც ზევით ვთქვი, აკაკი ყოველთვის დილაობით წერდა და ჩვენც, თუ სახლში ვიყავით, ვცდილობდით არ გვეხმაურა. კარს კლიტის ჭუჭრუტანა ჰქონდა და, როცა აკაკი მუშაობდა, ხშირად ვიჭვრიტებოდი შიგ.

სანამ წერას შეუდგებოდა, აკაკი ფუჩუნს მოჰყვებოდა. ფუჩუნი მეორე ოთახში კარგად ისმოდა, მაგრამ სიტყვების გარჩევა არ შეიძლებოდა. ფუჩუნის შემდეგ მოჰყვებოდა ძალიან დაბალი ხმით სიმღერას, თუმცა სიმღერისა აკაკის არა გაეგებოდა რა. მერე ფეხით დაიწყებდა ბაკუნს და მხოლოდ შემდეგ შეუდგებოდა წერას. წერის შემდეგ ძალიან უყვარდა ნაწერის სხვებისთვის წაკითხვა. ხშირად გამოიტანდა და წაგვიკითხავდა ხოლმე.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულის ფანცქალით ვუცდიდით აკაკის გამოსვლას წერის შემდეგ.

ერთ უქმე დღეს აკაკიმ დილით დაიწყო წერა. მე სულგანაბული ვუცდიდი მის გამოსვლას. გამოვიდა კიდეც და გამოიტანა ლექსი „განდეგილია". ეს ლექსი მიმართული იყო ილიას წინააღმდეგ. შემდეგში კრებულში დაიბეჭდა.

იმხანად, ქუთაისის ბანკის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით, აკაკის ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომელთა შორის ყველაზე უფრო კიტა აბაშიძისა და სილოვან ხუნდაძის გამოსვლა აწუხებდა.

ზოგიერთებს უნდოდათ აკაკის გულის მოგება და აკაკისთან მიჰქონდათ ენა, თითქოს ამ განგაშის მეთაური ილია ჭავჭავაძე ყოფილიყოს. ამით გაჯავრებულმა დასწერა აკაკიმ „განდეგ-ილია".

კიტა აბაშიძეზე ძალიან გულდაწყვეტილი ამბობდა: „კიტა ისეთი სოფლიდან არის, სადაც ხეებიც დაღრეკილი იზრდება და ადამიანს სწორს იქიდან რა გამოიყვანს"-ო.

სილოვან ხუნდაძე ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო და ძალიან მწყინდა, როდესაც აკაკი იმის საყვედურს ამბობდა. გადავწყვიტე, როგორმე აკაკის გულისწყრომა შემენელებინა. ამიტომ ვუთხარი — რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, ბატონო აკაკი, თორემ თქვენ სილოვანმა მშვენიერი ლექსი გიძღვნათ მეთქი.

აკაკის ძალიან გაუხარდა ეს ამბავი და მთხოვა მეშოვნა ის ლექსი. მახსოვდა, რომ ლექსი „კვალში" იყო მოთავსებული, და გავიქეცი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" ბიბლიოთეკაში. ვიპოვე „კვალის" რომელიღაც ნომერში, გადავწერე და აკაკის მივუტანე. აკაკიმ დიდი მადლობა გადამიხადა, შეიტანა მაშინვე თავის ოთახში და წერა დაიწყო. მე, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველოდი, თუ რითი გათავდებოდა ყველაფერი ეს.

ადვილი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ აკაკიმ გამოიტანა საშინელი პასუხი ლექსად. [illegible] ლექსს სათაურად ჰქონდა „აკაკის“ და ქვეშ „სილოვანი“ ეწერა. საპასუხო ლექსს ამის მსგავსად აკაკიმ „სილოვანს“ დააწერა და ქვეშ „აკაკი“ მოაწერა.

შემდეგ ორივე ლექსი, როგორც სილოვანისა, ისე აკაკის პასუხი, „კრებულში“ იყო მოთავსებული.

აკაკი ხშირად იტყოდა ხოლმე:

„ეს კანონია, არა თუ ძველი მწერალი, ახალიც კი წერას ჩემის გინებით იწყებს“-ო.

ერთ ჩემს ამხანაგს ვ. ქ-ძეს ძმამ, რომელიც ზრდიდა მას, ფულის გამოგზავნაზე უარი შემოუთვალა. სწერდა, რომ მისი საქმე ცუდად წავიდა და არავითარი დახმარება არ შეუძლია გაუწიოს. „უკვე მე-6 კლასში ხარ და შეგიძლია აწი თავი ირჩინო“-ო. ჩემს ამხანაგს კი სწავლის განგრძობა უნდოდა და მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

აკაკის უამბე ამხანაგის გასაჭირი. ძალიან შეწუხდა და მითხრა: „უთუოდ მნახოს“-ო.

მეორე დღესვე მიუყვანე ამხანაგი აკაკის. აკაკიმ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და როცა დარწმუნდა, რომ ბავშვს სწავლა ძალიან სწყუროდა, უთხრა:

„მე დაგეხმარები, ოღონდ შენ ისწავლე, და თუ საჭირო იქნება, საზღვარგარეთაც გაგზავნი“-ო.

გახსნა მაშინვე საფულე, ამოიღო სამოცდახუთი მანეთი და მისცა. თავისთვის არაფერი დაუტოვებია. ეს იქიდან ვიცი, რომ როცა აკაკის ფული ჰქონდა ხოლმე, ეტლს მოუყვანდნენ და იმით წავიდოდა, რადგან ფეხები სუსტი ჰქონდა და ფეხით სიარულს ძალიან ერიდებოდა. იმ საღამოს კი ფეხით წავიდა.

ამას გარდა, მას ჰყავდა ღარიბი ნათესავები, ვილაც ერისთავები, რომელნიც კვირაში ერთხელ მაინც მოვიდოდენ დახმარების სათხოვნელად. აკაკიც მუდამ ეხმარებოდა. იგი ძალიან შეწუხებული იყო მათი უმწეო მდგომარეობით.

მისი ერთად-ერთი შვილი, რომელიც აკაკის ძალიან უყვარდა, წელიწადში ერთხელ მაინც გამოუგზავნიდა დეპეშას — ფული მჭირდება და მომაშველეო. ასეთი დეპეშის შემდეგ შეიქნებოდა აკაკის შფოთვა და წუხილი. ასე ძლიერად მას სხვა არაფერი არ ააშფოთებდა

ჩვენც ყველამ დეპეშის შემდეგ ვიცოდით, რომ ერთი უბედურება დატრიალდებოდა. ამ დროს ერთად-ერთი გამოსავალი, რა თქმა უნდა, ბანკი იყო. აგირავებდა თავის სახლკარს და მამულს, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ იყო ბანკზე დარჩენილი და ისევ დაბრუნებული. ქუთაისში მაშინ ბანკის თავმჯდომარედ იყო მექი ფალავა, რომელსაც აკაკისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მეგობრობა ჰქონდა. და გირავდებოდა და თავისუფლდებოდა აკაკის სახლკარი...

სოსიკო მერკვილაძე თავის მეუღლეს ანას, რომელსაც აკაკი განსაკუთრებულად სცემდა პატივს, ყოველ წელიწადს, 3 თებერვალს, დღეობას უმართავდა. ასეთ წვეულებას ერთხელ აკაკიც დაესწრო. აკაკის გარდა, იყვენ მწერლები სოფრომ მგალობლიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი, გიგა ყიფშიძე, შიო მღვიმელი და სხვანი.

თამადად, გიგა ყიფშიძე იყო. დიასახლისის და მანდილოსნების სადღეგრძელოს შემდეგ გიგამ აკაკის სადღეგრძელო დალია. რა თქმა უნდა, აკაკის ყველამ სიტყვებით მიმართა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის არ უყვარდა, როცა მის სადღეგრძელოს სვამდენ და მით უმეტეს, როდესაც გრძელგრძელ სიტყვებს ეუბნებოდენ.

ზაქარია ჭიჭინაძემაც ითხოვა სიტყვა.

— ბატონო, აკაკი! — მიმართა ზაქარიამ, — მე თუ რამეს წარმოვადგენ, ეს მხოლოდ თქვენი საქმეა. მე, გზადაკარგული, ჯიბგირობას ვეწეოდი, შენთან მოვედი, შენ მიმიკედლე, მოსამსახურედ ამიყვანე, წერა-კითხვა შემაყვარე და იმის შემდეგ შევიქენი ის, რაც ახლა ვარ...

აკაკი ამ სიტყვებმა ძალიან შეაშფოთა. მიუგო:

— ზაქარია, რავა არ გრცხვენია, მე მოსამსახურე მის დღეში არ მყოლია და შენ მოსამსახურედ რანაირად მეყოლებოდი! ხომ გახსოვს, ერთხელ, შუალამეს გადაცილებული იქნებოდა, მე და ჩემ ცოლს გვეძინა, შენ მოაკაკუნე კარს და დამიძახე — აბრაამის ცოლს რა ერქვაო.

ატყდა საერთო სიცილი. რა თქმა უნდა, ყველამ იფიქრა — აკაკიმ გადააჭარბაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ ყველას განცვიფრება, როდესაც ზაქარიამ მიუგო:

— კარგად მახსოვს.

— ჰო და რომელი მოსამსახურე გინახავს, რომ ცოლთან მწოლიარე ბატონს ასეთ რამეზე აღვიძებდა?.

კვლავ საერთო სიცილი და ტაშის ცემა.

— შემდეგ — განაგრძო აკაკიმ, — ხომ გახსოვს, შენ, ზაქარია, ერთხელ ბალიდან ჩამოვარდი და ქვას თავი დაჰკარი.

— კი მახსოვს, — მიუგო ზაქარიამ.

— და, აი, შენ ხიდან ჩამოვარდნამდის მეტად ჩლუნგი იყავი და ვერაფერს ითვისებდი, იმის შემდეგ კი, რაც შენ ქვას თავი დაჰკარი, რაღაც მოხდა შენს თავში და მეტის-მეტად ნიჭიერი და მკვირცხლი შეიქენი. შენი ახლანდელი სიკეთის მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ შენი ბალიდან ჩამოვარდნაა. რადგან მე და შენ ამდენი ხანია ერთად მოვდივართ, მოდი ხვალ დილას ჩემთან, სურათის გადასაღებად მივდივარ და ერთად გადავიღოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მართლაც მეორე დღეს სურათი ერთად გადაიღეს სასახლის ქუჩაზე ყოფილ როინიშვილის ფოტოგრაფიაში.

სურათი მშვენიერი გამოვიდა და მიკვირს, რომ არც ერთ ჟურნალში, არც ერთ გაზეთში არ მინახავს ეს მეტად საინტერესო სურათი მოთავსებული.

ამას გარდა, მე მქონდა აკაკისა და ივანე მაჩაბლის სურათი, ერთად გადაღებული. სურათი ივანე მაჩაბლის ბინაზე იყო გადაღებული. ორივე პერანგის ამარა აივანზე ისხდენ და ნარდს თამაშობდენ. თავზე ორივე მოთამაშეს ადგა ივანეს მეუღლე ტასო ბაგრატიონის ასული. სურათი კარგად იყო გადაღებული. ვინახავდი როგორც თვალის ჩინა, მაგრამ დამეკარგა.

მაშინ შემოღებული იყო სალიტერატურო საღამოები. ასეთ საღამოებს ვმართავდით ჩვენც, ქართული გიმნაზიის მოწაფეები. საღამოები იმართებოდა მთაწმინდაზე, ხან ივანე როსტომაშვილის და ხან თუმანიშვილის ბინაზე. საღამოები შაბათ დღეს იმართებოდა და ამიტომ „შაბათობას“ ვუძახდით. მაშინ გატაცებული ვიყავით პისარევით, და, საერთოდ, ნიღილიზმით და საღამოებიც ამის ირგვლივ იმართებოდა. ეს საღამოები ერთ წელიწადს გაგრძელდა, შემდეგ, არ მახსოვს, რა მიზეზით შეჩერდა.

სოსიკო მერკვილაძის თაოსნობით მისავე ბინაზე იმართებოდა ლიტერატურული „შაბათობა“, სადაც ვარჩევდით შოთა რუსთაველს. ეს იცოდა აკაკიმ. მან გამოსთქვა სურვილი დასწრებოდა ერთ ასეთ საღამოს. ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიხარულით მოველოდით შაბათს. სადაც ჩვენთან ერთად „შაბათობაში“ აკაკისაც უნდა მიეღო მონაწილეობა.

აკაკიმ იმ საღამოს განსაკუთრებული აღფრთოვანებით წაგვიკითხა, „ავთანდილის ანდერძი“. ბევრი ილაპარაკა შოთაზე, „ვეფხის ტყაოსანზე“, მის გმირებზე.

შემდეგ აიღო ჟურნალ „მოამბის“ ახალი ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და ცახელის რომელიღაც ლექსი. „აი, მაგალითად, ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით სწერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია“-ო.

გვთხოვა მოგვეტანა ვაჟას პროზად დაწერილი რაიმე ნაწარმოები. ჩვენ მაშინვე მივუტანეთ ვაჟას „ფესვები“. აკაკიმ დაიწყო კითხვა. ყველანი სმენად გადავიქეცით. ეს ნაწარმოები აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოგვეჩვენა.

შემდეგ აიღო „მოამბეში“ მოთავსებული ვაჟას „სიმღერა“ და ენაში იმდენი უმართებულო დაგვანახვა, რომ ყველას ენა ჩაგვივარდა.

„ახლა ავიღოთ ბევრად უფრო პატარა მწერალი, ცახელი, — განაგრძო აკაკიმ და ცახელის ლექსიც წაიკითხა. — მაგრამ ეს არაფერია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ახლა გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ენა და როგორი უნდა იყოს ლექსი"-ო.

ძოგვატანია დავით გურამიშვილის ლექსები და წაიკითხა მისი „ანდერძი".

გაათავა კითხვა და მოგვმართა:

„აბა თუ გაგიგონიათ შოთას შემდეგ ამისთანა სიმშვენიერე? თუ ბიჭები ხართ და ერთ ასოს ან მიუმატებთ და ან გამოაკლებთ"-ო.

აკაკის ძალიან უყვარდა მუსიკა, ჩვენთან იმ დროს თითქმის ყოველდღე დადიოდა შემდეგში დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი, მაშინ კი ერთ-ერთი სასწავლებლის გალობის მასწავლებელი ნიკო სულხანიშვილი. ჩვენ მას შიხაურულად კიკოს ვეძახდით.

კიკო სულხანიშვილი მაშინ სწერდა ოპერას — „პატარა კახს". პირველი მოქმედება თითქმის მზად ჰქონდა. მზად ჰქონდა აგრეთვე რჩეული ადგილები სხვა მოქმედებებიდან. მე ამის შესახებ ვუთხარი აკაკის. აკაკიმ მოისურვა მოსმენა. მოვიყვანეთ აკაკისთან კიკო.

კიკოს მთელი პირველი მოქმედების დამღერება გიტარაზე მოახერხა — რა თქმა უნდა, დიდის შიშითა და კრძალვით.

აკაკის ძალიან მოეწონა და აღტაცებაში მოვიდა. ნამდვილი დახვეწილი ქართული ხალხური მოტივებიაო. და ხალხური ხომ ყველაფერი აკაკის თავდავიწყებამდის უყვარდა.

პოეტის ასეთმა გულმხურვალედ მიღებამ კიკო გაამხნევა. გათამამებულმა კიკომ სთხოვა აკაკის: პირველ მოქმედებაში, იქ, სადაც მოხუცი ველა იძინებს, ქალიშვილს მინდა „ნანა" ვამღერო, მაგრამ პიესაში სიტყვები არ არის და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. აკაკი მაშინვე შევიდა თავის ოთახში, სულ მცირე ხნის განმავლობაში დასწერა ოთხი ტაეპისაგან შემდგარი „ნანინა" და გადასცა კომპოზიტორს.

შემდეგში არსად მინახავს ეს ლექსი და ვაი თუ დაიკარგა.

კიკოსაგან ვისწავლე „პატარა კახის" თითქმის მთელი პირველი მოქმედება. კიკოს სიკვდილის შემდეგ ბევრ მუსიკოსს შევეხვეწე გადაეღო ჩემგან ეს ნოტებზე, რომ არ დაკარგულიყო. მაგრამ არავინ მოისურვა. თითონ კიკო მეტად დაუდევარი კაცი იყო და, ვინ იცის, ეგება ნოტებზედაც არ გადაუღია.

აკაკის საშინლად სძულდა, როდესაც ქართულ ლექსებს არაქართულ ჰანგზე მღეროდენ. არ მახსოვს, ცხრაას პირველი იყო თუ ცხრაას მეორე, ყოფ. ქართულ თეატრის შენობაში აკაკის შვილს საოპერო დასი ჰყავდა. თითქმის მთელი ქართული გიმნაზიის მოწაფეები დავდიოდით ოპერაში. ძალიან მომწონდა ოპერა „ტრავიატა"-დან ცნობილი „მამის არია". ავიღე ეს არია, ცოტა ქართული ვარიაცია გავუკეთე და აკაკის „ჩემო ციცინათელას" სიტყვები მივუწერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩხერეში იმ დროს ელისაბედ წერეთელმა დიდი წვეულება გამართა. სხვათაშორის, მეც ვიყავი. რა თქმა უნდა, აკაკი იქ. ... ქეიფი. მახსოვს თამადად ვილაც ძალზე მსუქანი და ენამახვილი ... რიანი იყო.

როდესაც თამადამ აკაკის სადღეგრძელო დალია, მომმართა მე და მთხოვა, აკაკის საპატივცემოდ მემღერა რამე. მეც მაშინვე როიალთან მივედი და ვიმღერე ჩემს მიერ გადაკეთებული აკაკის „ციცინათელა". დამსწრეთ მოეწონათ, აკაკიმაც ტაში დამიკრა და დამიძახა: „დათიკო, მოდი ჩემთან"-ო.

მივედი. მითხრა:

„რომ მცოდნოდა, შენ ჩემს ციცინათელას არა ქართულ ჰანგზე იმღერებდი, არ დავწერდიო".

დამსწრე საზოგადოებამ ხარხარი მორთო. მე კი დიდად აბუზული ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

აკაკი ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფრო თომაშვილს აფასებდა.

აკაკის ამტყუნებდენ — ყველაფერზე და კერძოდ მწერლებზედაც პირადული შეხედულება აქვს და თუ ვინმემ რაიმე დაუშავა ან რაშე აწყენინა, მის შემდეგ იმის გინებაშიაო.

მე ეს არასოდეს არ შემინიშნავს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ამბობდენ, რომ „ივერიის" თანამშრომლებში აკაკი ყველაზე უფრო „ჩიორა"-ზე იყო გაბრაზებული და ლექსი „მურია" იმაზე დასწერაო. „სიკვდილში" რომ თანამშრომელია, რომელსაც აკაკიზე წერილი დასაბეჭდად ხან „ივერიის" ხან „კვალის" რედაქციაში მიაქვს და ყველგან აგდებენ: ეს „ჩიორა" ჰყავს გამოყვანილიო.

მიუხედავად ამისა, როდესაც „ივერიაში" „ჩიორას" ფელეტონები („წკიპურტები") იბეჭდებოდა, აკაკი აღტაცებაში მოდიოდა. რამდენადაც მახსოვს, პრესაშიც ერთ-ერთ თავის წერილში ამბობდა: „მე რომ „ჩიორას" იუმორი მქონდეს, ქვეყანას გადავაბრუნებდი"-ო.

ილიასა და აკაკის შორის არ იყო სასურველი განწყობილება, რაც ენის მიტან-მოტანის ბრალი იყო. მაგრამ იმ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მახსოვს, რომ აკაკის ილია უმართებულოდ ეხსენებიოს. პირიქით.

ერთხელ რაფიელ ერისთავის პანაშვიდი იყო ქაშვეთის ეკლესიაში. მთელი ქაშვეთის ეკლესიის გალავანი და თვით ეკლესია ხალხს ვერ იტევდა. უეცრად ეკლესიის გალავანთან შეჩერდა მშვენიერ შავცხენებგაბმული ეტლი. ეტლიდან გადმოვიდა დაბალი ტანის კარგად ჩაცმული შუახნის კაცი. მეტად ორიგინალური და ლამაზი „კარაკულის" ქუდი ეხურა.

ვინაცამ წამოიძახა: „ილიაო“. ამ სიტყვებზე ტანში ჟრუანტელმა დაბერა. უნებურად მის წინ ეს ზღვა ხალხი შუაზე გაიპობა. ეკლესიის გალავნის კარიდან ეკლესიამდე გზა გაკეთდა. ყველამ, უცნობ-ნაცნობმა ქუდი მოუხადა, რა თქმა უნდა, მეც. ილია ჩქარის ნაბიჯით ეკლესიაში შევიდა. ამ სანახაობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

აკაკი იმხანად ტფილისში არ იყო და პანაშვიდს არ დასწრებია. ყველაფერი, რაც კი ხდებოდა ტფილისში მისი აქ არ ყოფნის დროს, შემდეგში უნდა მეამბნა მისთვის. ამ შემთხვევაშიც მოუყევი პანაშვიდისა და იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც ილიამ ჩემზე მოახდინა. როცა გავათავე, აკაკი ცოტა შეჩერდა და შემდეგ მითხრა: „დიახ, ილია დიდი კაცია“-ო.

ილია ამას გარდა ერთხელ კიდევ ვნახე. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მენატრებოდა ილიას ნახვა მე, გიმნაზიელს, რომელსაც შესაძლებლობა მომეცა ასე დავახლოვებოდი აკაკის. ყველგან თვალებს ვაცეცებდი. ძაგრამ ილია იშვიათად გამოდიოდა გარეთ. ისე არა, როგორც აკაკი, რომელსაც ყველგან შეხვდებოდით: ქუჩაში, თეატრში, სახლში, და სხვაგან.

თუ არ ვცდები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოცდახუთი წლის არსებობის აღსანიშნავი სხდომა იყო ქართული ბანკის შენობაში.

კარგად მოზრდილი დარბაზი ხალხით იყო სავსე. მაგიდას უსხდენ: ნიკო ცხადაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვანი. უცდიდენ ილიას, რომელიც იმ დროს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ იყო. მალე ილიაც მოვიდა. ბეჯითის ნაბიჯით გაირა დარბაზი და მაგიდასთან მისთვის დატოვებულ სავარძელთან მისვლისთანავე წარმოსთქვა: „საუბილეო სალამოს გახსნილად ვაცხადებო“.

დამაინტერესა იმან, რომ ილია შემოსვლისთანავე საქმეს შეუდგა. არც არავის დალაპარაკებია და არც არავისათვის ხელი ჩამოურთმევია.

სხვათაშორის იმ სალამოს ირჩეოდა. ქ. ორჯონიკიძის (ყოფილ კავკავის) სკოლის გამგისა და მასწავლებლის მოხსნის საქმე (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კავკავში სკოლა ჰქონდა). რევიზიაზე კავკავში გამგეობას მაშინ საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული ფილიპე გოგიჩაიშვილი გაეგზავნა.

ერთი ვილაც (მასწავლებელი უნდა ყოფილიყო) სასწავლებლის გამგის დამცველად გამოვიდა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ რევიზიაზე უსათუოდ მასწავლებელი უნდა გაგზავნილიყოო (ფილიპე მასწავლებელი არ იყო). კრებას ეს სიცილადაც არ ეყო. ილიამ უპასუხა:

— აი, ბატონო, თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით, მაგრამ უბრალო ჭეშმარიტება არ გესმით. მე, მაგალითად, მხატვარი არა ვარ, მაგრამ ნახატებში გავარჩევ, რომელია უკეთესი და რომელი არა. შეიძლება,

ფილიპე გოგიჩაიშვილი მასწავლებელი არ იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ბატონო მასწავლებელო, რომ თქვენზე ნაკლებ არ გაარჩევს, ხელოვნებელი კარგად არის დაყენებული თუ არა.

ამ სიტყვებზე პოეტი ევდოშვილი, რომელიც, როგორც ჩანდა, მასწავლებლის დამცველებს ხელმძღვანელობდა, წამოდგა და დაიძახა:

— ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!

ამეზე ილია შეეკითხა:

— თქვენ რამდენი ხართ მანდ?

შეკითხვაზე მთელი ჯგუფი შეირყა და ცოტა ყოყმანის შემდეგ წამოვარდა ისევ ევდოშვილი:

— ბატონო ილია, თქვენ ბანზე სიტყვას ნუ აგდებთ!

ილიამ უპასუხა:

— ბატონო ხოსიტაშვილო (ევდოშვილის გვარია), თუ ვერ მისწვდებით, კიბე მიუდგით.

აკაკის ძალიან უყვარდა მოყოლა, თუ როგორ გამოვიდენ ერთხელ სცენაზე ლექსის წასაკითხავად ის და ილია.

საღამო ქართულ თეატრის შენობაში გაუმართავთ „წერა-კითხვის საზ-ბის“ სასარგებლოდ. საღამოზე აკაკი და ილია ლექსებით უნდა გამოსულიყვენ.

ჯერ აკაკის წაუკითხავს ლექსი. შემდეგ ილია უნდა გამოსულიყო. თურმე ილიას ლექსის დაზეპირება ძალიან ეძნელებოდა. ამიტომ მასთან მიეტანა საერთო რვეული, სადაც ეწერა მაშინ ახლად დაწერილი მისი ლექსი: „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“. აკაკის ილიას რვეულიდან ეს ფურცელი ამოეხია.

გამოსულა სცენაზე ილია, გამოუტანია რვეული წასაკითხავად და დაუწყია: „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“... და შესდგომია ფურცლის ძებნას, მაგრამ ფურცელი ვერ უნახავს. მაშინ სცენიდან დაუძახნია: „ბიჭო, გიგა! (გიგა ყიფშიძე) ვინ ამოხია ჩემი ლექსი? ეს უსათუოდ წყეული აკაკის საქმე იქნება“-ო.

ამ დროს კარი შეუღია და ფურცელით ხელში შესულა აკაკი. ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავი დატრიალდებოდა თეატრში.

იმ საღამოს აკაკის, როდესაც საზოგადოება ალარ მოშვებია, წარმოუთქვამს ცნობილი ექსპრომტი:

„კმარა, კმარა, კმარა!
გავჩუმდები, თუ არა
წამომცდება მეტი,
აქ მომხვდება კეტი
და თქვენგანი ბევრი იტყვის,
ბრიყვი იყო, ცეტი.
ბევრი მინახავს ჩემისთანა,
რომ შორ გზაზე გაემგზავრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები კიდევ უნდა იყოს, მაგრამ ზეპირად აღარ ახსოვს ... სადმე დაბეჭდილი შემხვედრია.

საერთოდ, აკაკი ხშირად კითხულობდა ლექსებს სცენიდან და, რა თქმა უნდა, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს არ იყო დეკლამაცია, ის თითქოს უბრალოდ გელაპარაკებოდათ თავისი მომჯადოებელი ხმით და ღიმილით.

აკაკის ნაკვესებსა და ზმებზე არაფერს ვამბობ. ეს სულ სხვა საკითხია და, მე მგონია, მთელ საქართველოში მობნეული ეს განძი უნდა შეგროვდეს და ცალკე გამოიცეს. აქ მოვიყვან მხოლოდ დროის დამახასიათებელ მისგან თქმულ ამბავს.

აკაკის და ცოლად ჰყავდა სამეგრელოში დავით დადიანს. ერთხელ აკაკი დის სანახავად წასულა.

„მივედი ახალსენაკში და ჩამოვხტი მაშინდელ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ ძიმისტარაშვილთან (მწერალი „კორტოხა"). იმ ღამეს იქ ვიყავი. მეორე დღეს, დილა ადრიან, მასპინძელმა მომცა თავისი ნაწერების ერთი რვეული, მათხოვა თავისი ცხენი და გამამგზავრა. გზად უნდა გამევლო სოფელი ბანძა, სადაც ცხოვრობდა მამაჩემის დიდი მეგობარი, მაშინდელი თავად-აზნაურობის მარშალი, ბახვა ფალავა. ბახვა ფალავამ დიდის ამბით მიმიღო. გამართა დიდი მეჯლისი. შუაღამე გადასულიყო, როცა სუფრიდან ავდექით. მომასვენეს სასტუმრო ოთახში. ის იყო ჩამეძინა, როცა უცბად ცხვირსა და პირზე დამეცა რაღაც თბილი. ავანთე სანთელი და რა დავინახე: თურმე იქვე კუთხეში ქანდარაზე ბახვას სანაქებო ქორი მჯდარიყო, და იმას დაესკინტლა ჩემთვის. მეორე დღეს მეჯლისი ისევ გაიმართა. წინა ღამეს მოხდარი ამბავი არავისთვის არ მითქვამს. შუადღე გადაცლებულ იქნებოდა, როცა წამოვიშალეთ. ჩემი ჯახრაკი ცხენის მაგიერ დიდებული ბედაური მომიყვანეს და ათიოდე ახალგაზრდა ცხენოსანი ფალავას თანხლებით ჩემი სიძის სახლისაკენ გავემგზავრე.

დავბრუნდი თუ არ ქუთაისში, ჩემ მეგობრებს მოუყევი ქორის ამბავი. ეს ამბავი ბახვას ყურამდისაც მისულიყო. მარშლების არჩევნების დროს ბახვა ქუთაისის ბულვარში შემხვდა. დამინახა თუ არა, შემომძახა: — ჰაი შე წუწკო, შენა! აქ ამდენი ხალხი არ იყოს, მამიშენის როსტომ წერეთლის სული ნუ წამიწყდება, ყურებს აგიწევდი! თუ ჩემმა ქორმა რამე გაწყენინა, მე ვერ მითხარი, რომ ქვეყანას მოსდევი"-ო.

ზემოხსენებული მასწავლებელი ძიმისტარაშვილი, რომელმაც აკაკის ხენი ათხოვა და ლექსები გაატანა წასაკითხად, შეეკითხა პოეტს — დრო როგორ გაატარეო. პოეტმა მიუგო თურმე:

ქორმა რამე გაწყენინა, მე ვერ მითხარი, რომ ქვეყანას მოსდევი"-ო.

აკაკის საჭმელებში ყველაზე უფრო ლობიო უყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებული, სახლში შევედი ... ზარეულოდან აკაკის ძახილი შემომესმა: „დათიკო, მოდი აქ".

მივირბინე. ვხედავ აკაკის გობთან. გობზე ეყარა მოხარშული წვრილი ლობიო, რომელსაც იმერეთში მამაკალია ლობიოს ეძახიან.

„აი დათიკო, — მითხრა, — უკვე მოხარშული წვრილი ლობიო გვაქვს. ანიკო კახელია და ამ ლობიოს გაკეთება არ იცის, მოდი, მე და შენ, გვაკეთოთ"-ო.

შევუდექით საქმეს, ვიცოდი, რომ ამ ლობიოს დანაყვა უნდოდა. მე ლობიოს ნაყვა დავიწყე, აკაკიმ კი საკმაზავი დანაყა და რამდენიმე წუთის შემდეგ ლობიო მზად იყო. გემოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ აკაკი მაინც ძალიან გულიანად შეექცეოდა. ლობიო განსაკუთრებით უყვარდა ზაქარია ჭიჭინაძეს. რაღაც საარაკო იყო: ერთ ჭამაზე სამ-ოთხ მათლაფას შეჭამდა.

მეორედ აკაკი პეტერბურგში ვნახე, 1912 წელს. აკაკი პეტერბურგში ჩამოვიდა. ჩვენ, ქართველ სტუდენტებს, გვინდოდა აკაკის ჩამოსვლა აღგვენიშნა რითიმე .მოხდა ისე, რომ იმ დროს ტრადიციულ ქართულ სალამოს ვმართავდით. გადავწყვიტეთ აკაკის მოპატიჟება. მოსკოვიდან გამოჩენილი მომღერალი სობინოვი იყო მოწვეული. მონაწილეობას იღებ და ბევრი ცნობილი პეტერბურგელი არტისტი და სხვათა შორის ჩვენი ნიჭიერი მომღერალი ვანო სარაჯიშვილიც.

სალამო მოეწყო პეტერბურგის თავად-აზნაურობის საკრებულოს უზარმაზარ დარბაზში. გადავწყვიტეთ აკაკისათვის ავტომობილი გაგვეგზავნა. სალამოს მეორე განყოფილება რომ დაიწყებოდა.

დაიწყო სალამოც. დარბაზი ისე გაიჭედა ხალხით, რომ ნემსიც კი არსად ჩავარდებოდა.

გათავდა მოქმედება. დაიწყო მეორე. მახსოვს, განყოფილების მესამე თუ მეოთხე ნომრად გამოვიდა ამერიკიდან გასტროლებზე ჩამოსული ვიღაც გამოჩენილი ვიოლონჩელზე დამკვრელი ქალი. დაიწყო მან დაკვრა და ამ დროს მოისმა ქუჩიდან ტაშის ცემა.

ჩვენ, სალამოს გამმართველნი, მივხვდით, რომ აკაკი მოჰყავდათ, მაგრამ სხვებმა არაფერი იცოდენ. ტაშმა უფრო და უფრო იმატა. ეტყობოდა აკაკი კიბეზე ამოჰყავდათ. დარბაზში მაყურებელნი ახმაურდენ, ყველამ ერთმანეთს კითხვა დაუწყო. დარბაზს ირგვლივ ამაღლებული ჰქონდა და უცბად ზევიდან ამ ამაღლებულზე არაჩვეულებრივი სანახაობა გამოჩნდა: ირგვლივ ქულაჯებში უამრავი სტუდენტობა, შუაში აკაკი თავისი ბიბლიური შეხედულებით.

სობინოვი, სხვა არტისტები და ჩვენც, კულისებში მყოფი სტუდენტობა, ტაშის ცემით და ვაშას ძახილით სცენაზე გამოვცვივდით.

დარბაზში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ეს ზღვა ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა. შეიქმნა ტაში და „ვაშას" ძახილი. აკაკი სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტებით გარშემორტყმული ძირს ჩამოეშვა და გაემართა პირველ რიგში, მისთვის დამზადებულ სავარძლისაკენ.

აკაკი ძალზე ღელავდა და სტუდენტებს ძლივს მიჰყავდათ. ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი თანდთან მატულობდა. მივიდა თუ არა სავარძელთან, მაშინვე ჩაჯდა, რადგან ფეხზე დგომა არ შეეძლო. ტაში მაინც არ ცხრებოდა. ექვსჯერ წამოდგა აკაკი, მადლობა გადაუხადა და მეშვიდედ ძლივს სიწყნარე ჩამოვარდა.

ამის შემდეგ საღამოს მეორე განყოფილება გაგრძელდა. სობინოვს თავისი ნომერი უკვე შესრულებული ჰქონდა. მაგრამ განაცხადა—მსურს „აკაკის ვუმღერო“-ო. სობინოვის ეს სურვილი საზოგადოებას სცენიდან გამოვუცხადეთ. ატყდა ისევ ტაშის ცემა. გამოვიდა სობინოვი, მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც აკაკი იჯდა და იმღერა რაღაც აღმოსავლური რომანსი. აკაკი წამოდგა და მადლობა გამოუცხადა. კვლავ ავაციები. ანტრაქტზე სობინოვმა გვთხოვა აკაკისთან მიმიყვანეთო. მივიყვანეთ. აკაკი წინ შემოეგება. ერთმანეთს გადაეხვივნენ. ეს რომ ხალხმა დაინახა, ატყდა კვლავ დაუსრულებელი ტაშის. ცემა.

მესამედ აკაკი კუბოში ვნახე, სხვიტორიდან რომ ჩამოასვენეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| | | გვ. |
| **ლეო ქიაჩელი** | — გვადი ბიგვა (რომანი) | 3 |
| **ერ. აბაშიძე** | — სამხარაძის დაბრუნება (ლექსი) | 31 |
| **მ ჯავახიშვილი** | — ქალის ტვირთი (რომანი. გაგრძელება) | 33 |
| **გ. ქუჩიშვილი** | — კახეთში (ლექსი) | 64 |
| **სოლ. თავაძე** | — ფრთები (რომანი. გაგრძელება) | 67 |
| **ბაირონ** | — ლექსები | 117 |
| **ჰომიროსი** | — ილიას | 119 |
| | ოდისეა | 122 |
| **გიორგი კალანდაძე** | — თეთრი ხომალდი (ლექსი) | 126 |


## მ. გორკის ხსოვნას


| | | |
|---|---|---|
| **შალვა რადიანი** | — მაქსიმ გორკი | 128 |
| **ალ. სულავა** | — მ. გორკი, როგორც პუბლიცისტი | 145 |
| **ი. ბალახაშვილი** | — მ. გორკი საქართველოში | 152 |


## კრიტიკის ისტორია


| | | |
|---|---|---|
| **ვლ. ასათიანი** | — ბელინსკი და ქართული კრიტიკა | 161 |


## წარსულიდან


| | | |
|---|---|---|
| **დ. ფალავა** | — ოთხი წელი აკაკისთან | 171 |